საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს ისტორიის წყაროები
75

ვალერი სილოგავა

ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი

თბილისი
2003

წიგნში წარმოდგენილია შიომღვიმის მონასტრისადმი 1124 წელს დაწერილი მეფე დავით აღმაშენებლის (1089-1125) ანდერძის ფოტოპუბლიკაცია ტექსტთან ერთად, გამოკვლევებით და სამეცნიერო-საცნობარო აპარატით. ანდერძის დედანი დაიწვა 1919 წელს. 1973 წ. აღმოჩნდა მისი ფოტონეგატივი, გადაღებული 1895 წ., რომელიც ქვეყნდება ამ წიგნში.

დამატებებში გამოქვეყნებულია XII და XIII სს. ორი საბუთი შიომღვიმის მონასტრის სტატუსის შესახებ. ისინი შინაარსით დაკავშირებულია ანდერძის ტექსტთან.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსების, ფილოლოგების, სამართალმცოდნეებისა და საქართველოს წარსულით, მისი ძველი წერილობითი ძეგლებით და საქართველოს ისტორიის წყაროებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

მთავარი სარედაქციო კოლეგია:

მედეა აბაშიძე, ზაზა ალექსიძე, ანდრია აფაქიძე, თამაზ გამყრელიძე, გურამ თევზაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი (მთავარი რედაქტორი), ზურაბ სარჯველაძე, ედიშერ ხოშტარია-ბროსე, თინათინ ყაუხჩიშვილი.

რედაქტორი:

აკად. **როინ მეტრეველი**

რეცენზენტები:

პროფ. მიხეილ ქავთარია

დოც. ანდრო გოგოლაძე

გარეკანზე: დავით აღმაშენებლის მონეტა; სპილენძი; ცნობილია ერთადერთი ცალი (ინახება ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში). ზედწერილები: შუბლზე — „დ(ავი)თ || მ(ე)ფჱ“; ზურგზე - „† დ(ავი)თ მ(ე)ფჱ აფ(ხაზ)თ(ა), ქ(ართველთა), რ(ა)ნ(თა), კ(ა)ხთ(ა), ს(ომე)ხთ(ა)“. [1124 წ.].

© ვ. სილოგავა, 2003

© გამომცემლობა „ნეკერი“, 2003

ISBN 99928-58-71-0

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან. სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო *კ. ტაბატაძემ*, თბ., 1976.

2. აბრაამ ერევანცი. ომების ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ლ. დავლიანიძემ*, თბ., 1976.

3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო *ვლ. ფუთურიძემ*. თბ., 1977.

4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო *ჟ. ცაგარეიშვილმა*, თბ., 1978.

5. გ. აბრამიშვილი. სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977.

6. ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978.

7. ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო *თ. ენუქიძემ*, თბ., 1977.

8. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.). ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო *ა. აბდალაძემ*, თბ., 1978.

9. „სამყაროს საკვირველებათა" ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა *რ. კიკნაძემ*, თბ., 1978.

10. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *გ. ალასანიამ*, თბ., 1978.

11. Яков Цуртавели. Мученичество Шушаник. Перевод В.Д. Дондуа. Введение и примечания *З.Н. Алексидзе*, Тб., 1978.

12. Памятник эриставов. Перевод, исследование и примечания *С.С. Какабадзе*, Тб., 1979.

13. Сумбат Давитис-дзе. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М.Д. Лордкипанидзе.

14. მუსტაფა ნაიმა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა *ნ. შენგელიამ*, თბ., 1979.

15. ზაქარია აგულეცი. დღიური. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ლ. დავლიანიძემ*, თბ., 1979.

16. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა *ც. აბულაძემ*, გამოკვლევა დაურთო *მ. სვანიძემ*, თბ., 1979.

17. არსენი საფარელი. განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო *ზ. ალექსიძემ*, თბ., 1980.

18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო *თ. ყაუხჩიშვილმა*, თბ., 1980.

19. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, I), აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა *ნ. შოშიაშვილმა*, თბ., 1980.

20. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, II), დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX-XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა *ვ. სილოგავამ*, თბ., 1980.

21. ცხოვრება საქართველოჲსა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *გ. ალასანიამ*, თბ., 1980.

22. Законы Вахтанга VI. Перевод, введение, примечания, глоссарий и указатели *Д.Л. Пурцеладзе*, Тб., 1980.

23. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა. შესავალი და კომენტარები დაურთო *ლ. მამაცაშვილმა*, თბ., 1981.

24. ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება. სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ნ. გელაშვილმა*, თბ., 1981.

25. პაპუნა ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ე. ცაგარეიშვილმა*, თბ., 1981.

26. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა. შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ე. მამისთვალიშვილმა*, თბ., 1981.

27. გ. ოთხმეზური. XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981.

—* მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო *ელ. დოჩანაშვილმა*, თბ., 1981.

—* მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, II, III, IV, ნეშტთა I, II, ეზრას I, II, III წიგნები). გამოსაცემად მოამზადა *ელ. დოჩანაშვილმა*, თბ., 1982.

—* მცხეთური ხელნაწერი (ტობის, ივდითის, ესთერის, იობის წიგნები, ფსალმუნი, იგავთა წიგნი). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო *ელ. დოჩანაშვილმა*, თბ., 1983.

28. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო *თ. ყაუხჩიშვილმა*, თბ., 1983.

29. Летопись Картли. Перевод, введение и примечания *Г.В. Цулая*, Тб., 1982.

30. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს *თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა*, თბ., 1984.

31. გეორგიევსკის ტრაქტატი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო *გ. პაიჭაძემ*, თბ., 1983.

32. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა *ნ. შენგელიამ*, თბ., 1982

33. თეიმურაზ ბაგრატიონი. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო *ლ. მიქიაშვილმა*, თბ., 1983.

34. Источниковедческие разыскания, 1979. Тб., 1984.

35. ზ. სხირტლაძე, საბერეების ფრესკული წარწერები, თბ., 1985.

—* მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები — ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი). გამოსაცემად მოამზადა *ელ. დოჩანაშვილმა*, თბ., 1985.

—* მცხეთური ხელნაწერი (დანიელის, მცირე წინასწარმეტყველა და ახალი აღთქმის წიგნები). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო *ელ. დოჩანაშვილმა*, თბ., 1986.

36. „ქართლის ცხოვრების" სიმფონია-ლექსიკონი, I. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, არჩილის წამება. შემდგენლები: *მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაჟომია*, თბ., 1986.

37. მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა*, თბ., 1985.

38. დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ჯ. ოდიშელმა*, თბ., 1985.

39. Жизнь Царицы Цариц Тамар. Перевод и введение *В.Д. Дондуа*, исследование и примечания *М.М. Бердзнишвили*, Тб., 1985.

40. Источниковедческие разыскания, 1982. Тб., 1985.

41. იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს *თ. ენუქიძემ* და *გ. ბედოშვილმა*, თბ., 1986.

42. „ქართლის ცხოვრების" სიმფონია-ლექსიკონი, II, ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. შემდგენლები: *ა. სარჯველაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაჟომია*, თბ., 1986.

43. Джуаншер Джуаншериани. Жизнь Вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания *Г.В. Цулая*, Тб., 1986.

44. Уложение Георгия V-го Блистательного. Подготовка грузинского текста, русский перевод, введение, примечания, глоссарий и указатели *Д.Л. Пурцеладзе*, Тб., 1988.

45. თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო *გ. მამისთვალიშვილმა*, თბ., 1987.

46. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, VI. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო *თ. ყაუხჩიშვილმა*, თბ., 1987.

47. თოვმა მეწოფეცი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო *კ. კუციამ*, თბ., 1987.

48. ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *რ. კიკნაძემ*, თბ., 1987.

49. XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *დ. გოჩოლეიშვილმა*, თბ., 1988.

50. Источниковедческие разыскания, 1985. Тб., 1988.

51. ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, თბ., 1988.

52. „ქართლის ცხოვრების" სიმფონია-ლექსიკონი, III, „მატიანე ქართლისა", სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა". შემდგენლები: *მ. კვაჭაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაჟომია* (წარმოებაშია).

53. ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ (XVII-XVIII სს.) თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადეს *ა. ველიევმა* და *ნ. შენგელიამ*, თბ., 1989.

54. ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ლ. მიქიაშვილმა*, თბ., 1989.

55. ფრესკული წარწერები, I. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს *გ. აბრამიშვილმა* და *ზ. ალექსიძემ*, თბ., 1989.

56. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, II, XIV-XV სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს *კ. გრიგოლიამ, თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ* (წარმოებაშია).

57. მხითარ აირივანეცი, ქრონოგრაფიული ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ლ. დავლიანიძემ*, თბ., 1990.

58. ქართული ეპისტოლარული წყაროების კორპუსი, I. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *მ. ბერძნიშვილმა*, თბ., 1989.

59. Обращение Грузии. Перевод с древнегрузинского *Е.С. Такаишвили*. Редакционная обработка, исследование и комментарии *М.С. Чхартишвили*, Тб., 1989.

60. კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.). გამოსაცემად მოამზადა *ვ. სილოგავამ*, თბ., 1989.

61. ს უ მ ბ ა ტ   დ ა ვ ი თ ი ს   ძ ე, ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატიონთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *გ. არახამიამ*, თბ., 1990.

62. ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *მზ. შანიძემ*, თბ., 1992.

63. Распорядок царского двора. Перевод *В.Д. Дондуа*. Редактирование текста, введение, примечания, краткий комментарий и указатели *Д.Л. Пурцеладзе*, Тб., 1991.

64. სამი სპარსული წყარო XVI საუკუნის საქართველოს შესახებ. სპარსულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ნ. გელაშვილმა*, თბ., 1990.

65. რიჩარდ უილბრაჰამის მოგზაურობა საქართველოში. ინგლისურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ნ. მელაძემ*, თბ., 1990.

66. П а р с а д а н   Г о р г и д ж а н и д з е, История Грузии. Перевод *Р.К. Кикнадзе* и *В.С. Путуридзе*. Исследование и указатели *Р.К. Кикнадзе*, Тб., 1990.

67. Источниковедческие разыскания, 1998 (წარმოებაშია).

68. Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии. Материал подобрал и подготовил к печати *В.Н. Гамрекели*, Тб., 1991.

69. რუი გონსალეს და კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ. ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ე. მამისთვალიშვილმა*, თბ., 1991.

70. Парижская хроника. Перевод, исследование, примечания и указатели *Г.Г. Алассания*, Тб., 1991.

71. М. Д.   А б а ш и д з е, Источниковедческие аспекты перевода грузинских исторических источников на русский язык, Тб., 1992.

72. ს ტ ე ფ ა ნ ო ს   ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სისაკანის სახლის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო *ე. ცაგარეიშვილმა* (წარმოებაშია).

—* Чин и порядок венчания на царство. Перевод, вступление и примечания *Д.Л. Пурцеладзе*, Английский перевод Д.В. Надирадзе, Тб., 1994.

—* ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა - ბ რ ო ს ე, ლეონტი მროველი და „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1996.

—* The Georgian Chronicle Matiane Kartlisa. Introduction and notes by *Roin Metreveli*, Translation and indexes by *Arrian Chanturia*, Tbilisi, 1996.

—* მცხეთური ხელნაწერი (სულხან-საბა ორბელიანის მიერ დართული „საძიებელნი მოწმობა“, „ებრაელთა, ქალდეველთა და იონთა სახელებთა თარგმანები“, „საძიებელნი მატიანეთანი“). გამოსაცემად მოამზადა *ელ. დოჩანაშვილმა*, თბ., 1999.

73. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, VI-VII. იონა ხელაშვილის ეპისტოლური არქივი (1809 – 1835 წ.წ.). შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო *გულნარა დედაბრიშვილმა*, თბ., 2002.

74. ვ ა რ დ ა ნ   ა რ ე ვ ე ლ ც ი, მსოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს *ნ. შოშიაშვილმა* და *ე. კვაჭანტირაძემ*. შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო *ეკა კვაჭანტირაძემ*, თბ., 2002.

75. ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი, თბ., 2003.

---

* არ უზის გამოცემის რიგითი ნომერი.

წინასიტყვაობა

შიომღვიმის მონასტერი მდებარეობს მცხეთის დასავლეთით დაახლოებით 10 კმ-ზე, მდ. მტკვრის ხეობაში, მის მარცხენა ნაპირას, სარკინის ხევში, რკინიგზის სადგურ ძეგვის მოპირდაპირედ მტკვრის გადაღმა. მონასტერთან სამანქანო გზა მცხეთიდან მიდის. სამონასტრო კომპლექსი რთული შედგენილობისაა და მრავალრიცხოვანი ნაგებობებისგან შედგება. მასში შედის ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთისაკენ ტერასებად განლაგებული სხვადასხვა დროისა და დანიშნულების ნაგებობანი: მღვიმე-ეკლესია (წმ. შიოს თავდაპირველი სამყოფელი), წმ. იოვანე ნათლისმცემლის ეკლესია სხვადასხვა დროის მინაშენებით, სამრეკლო, წმ. შიოს სასაფლაო-ეკლესია, ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი კოშკით, სატრაპეზო, კლდეში ნაკვეთი მღვიმეები — ქვაბები, ბერების საცხოვრებელი ნაგებობანი, წყარო, წყალსადენი, გალავანი, ჯვრის ამაღლების ეკლესია და სხვ[1].

მონასტერი დაარსებულია VI ს-ში საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისათვის მოსული „ათცამეტი ასურელი მამიდან" ერთ-ერთის — წმ. შიოს მიერ. მისი დამაარსებელი წმ. შიო განთქმული საეკლესიო მოღვაწეა. იგი დაიბადა ანტიოქიაში. 20 წლისა დაემოწაფა ცნობილ მეუდაბნოეს იოვანეს (შემდეგში იოვანე ზედაზნელი). შიო ანტიოქიაშივე ბერად შედგა და თავისი ქონება გლახაკებს და მონასტრებს დაურიგა. VI ს-ის შუა ხანებში იგი საქართველოში გამოუშვია იოვანეს და მის სხვა მოწაფეებს. თავდაპირველად ისინი ცხოვრობდნენ მცხეთაში, ხოლო შემდეგ გადავიდნენ იქვე მახლობლად ზედაზნის მთაზე. ოთხი წლის შემდეგ, დაახ. VI ს-ის 50-იან წლებში შიო გამოეყო ძმობას და მცხეთის დასავლეთით სარკინის მთაზე მონასტერი დააარსა. თავდაპირველად იგი ცხოვრობდა მცირე გამოქვაბულში, რომელიც დაახ. IX ს-ში ეკლესიად გადააქციეს. შიოს ინიციატივით აქვე აიგო პირველი ეკლესია წმ. იოვანე ნათლისმცემლის სახელობისა.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები წმ. შიომ გაატარა განმარტოებით, 12 მეტრი სიღრმის მღვიმეში (აქედან მისი ზედსახელი „*მღვიმელი*") და ანდერძის თანახმად იგი იქვე დაკრძალეს[2].

ჩვენამდე მოღწეულია ჯერ კიდევ X ს-ში შედგენილი „შიო მღვიმელის ცხოვრება", რომელშიც დაწვრილებითაა გადმოცემული მონასტრის დაარსებისა და მისი პირველი წლების ისტორია; აგრეთვე, წმ. შიოს პირველი მოწაფისა და მონასტრის მშენებლობაში მისი დამხმარის წმ. ევაგრეს ამბები, წმ. შიოს და მის მიერ დაარსებული მონასტრის ურთიერთობები იმდროინდელი ქართლის უმაღლეს ხელისუფლებასთან (სტეფანოს ერისმთავარი) და სხვ. არსებობს „ცხოვრების" ორი რედაქცია — ერთი, მოკლე, შედგენილი X ს-ის II ნახ-ში ქართლის კათალიკოს არსენ საფარელის მიერ და

---

[1] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990, გვ. 318-325; იხ. აგრეთვე, *Г.Н. Чубинашвили*, Шиомгвимская лавра (1924), იხ. *მისი*, Вопросы истории искусства. Исследования и заметки, том 1, Тб., 1970, с. 51-80.

[2] *ვ. ლომინაძე*, შიომღვიმე, ქსე, 11, თბ., 1987, გვ. 6; მისივე, შიომღვიმე, თბ., 1953.

მეორე — ვრცელი, მეტაფრასული, შედგენილი XII ს-ში[3].

შიომღვიმე ძველი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი და უმდიდრესი მონასტერი იყო. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მას წერილობით წყაროებში ხშირად *ლავრა* ეწოდება, რაც დიდ და ვრცელ მონასტერს ნიშნავს. ჯერ კიდევ წმ. შიოს დროს მონაზონთა რაოდენობა მონასტერში 25-დან 2000-მდე გაიზარდა. მონასტრის სიმდიდრეზე მეტყველებს მრავალრიცხოვანი ძველი ქართული საბუთები — სიგელ-გუჯრები, რომლებიც ამ მონასტერთან დაკავშირებითაა ცნობილი და მოღწეული ჩვენს დრომდე[4]. საკმარისია აღინიშნოს, რომ „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის" I ტომში გამოქვეყნებულ IX-XIII სს. 46 უძვირფასესი ქართული ისტორიული საბუთიდან 14 შიომღვიმის მონასტრის კუთვნილება იყო. მათ შორისაა საბუთები გიორგი II-ის, დავით აღმაშენებლის, გიორგი III-ის, თამარ მეფის, სავარაუდოდ — შოთა რუსთველის, გიორგი-ლაშას და სხვ. ავტოგრაფული ხელრთვა-დამტკიცებებით; ამდენად, თითოეული მათგანი ქართული კულტურის უძვირფასესი რელიკვიაა.

იმთავითვე მაღალი იყო მონასტრის იურიდიული სტატუსი. VI-XII ს-ის დასაწყისამდე იგი ქართლის კათალიკოსის მფარველობაში იმყოფებოდა. 1124 წლისათვის დავით აღმაშენებელმა სამეფო საკუთრებად აქცია, გამოიყვანა ყოველგვარი იურიდიული დაქვემდებარებიდან და მზრუნველად სახელმწიფოს ადმინისტრაციული მმართველობის უმაღლესი პირი — *მწიგნობართუხუცესი* მიუჩინა. მონასტერმა მიიღო საეპარქიო და სახელმწიფო გადასახადების შეუვალობის პრივილეგიები; მასვე ჰქონდა სასამართლო (თუმცა, არასრული) შეუვალობა. XIII-XVIII სს. ქვეყნის საერთო პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოშლასთან ერთად, შიომღვიმის მდგომარეობაც დაქვეითდა. მეფე გიორგი VII (1393-1407) XIV ს-ის შუა ხანებში, ერთგულებისათვის, იგი უბოძა ზევდგინიძე იოთამს (თაყას). ამიერიდან XIX ს-ის პირველ ათეულ წლებამდე მონასტერი *ზევდგინიძე-ამილახვართა* საკუთრება და მათი საძვალე იყო. ამ დროიდანვე გაუქმდა მონასტრის ყველა პრივილეგია და გადავიდა მისი პატრონის ხელში. ეპარქიალურად მონასტერი სამთავისის ეპისკოპოსს დაექვემდებარა. ზოგჯერ სამთავნელ ეპისკოპოსს შიომღვიმის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობაც ეკავა. აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების (1801) შემდეგ, მონასტერი შტატის დანესებულებად იქცა და 1811-1822 წწ. *ქვათახევის* მონასტერს, ხოლო 1822-1887 წწ. *თბილისის ფერისცვალების* მონასტერს შეუერთეს. 1887 წლიდან მიეცა დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ-სასამართლო მმართველობა მონასტრის მაშინდელი წინამძღვრის (შემდეგში მთავარეპისკოპოსის) *დოსითეოს ფიცხელაურის* დიდი მცდელობის შედეგად. მონასტერი მოქმედებდა XX ს-ის დასაწყისშიც[5]. მიუხედავად ხშირი დარბევებისა და თავდასხმებისა მთლიანად დაცლილი იგი არასოდეს ყოფილა და ამჟამადაც მამათა მოქმედი მონასტერია.

შიომღვიმის მონასტერში, მის კუთვნილ საბუთებს შორის, რომლებშიც წარმოდგენელი და აღრიცხული იყო მისი სამფლობელოები, ქონება, სამართლებრივი

---

[3] ორივე გამოცემულია ტექსტების პარალელური განლაგებით: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა *ილია აბულაძემ*, თბ., 1955, გვ. 69-143.

[4] *თ. ჟორდანია*, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძველი" ვაჰხანის ქვაბთა. გამოცემული გორის ეპისკოპოსის და საქართველოს ვიკარის ალექსანდრეს მიერ, თბ., 1896.

[5] დაწვრილებით, სათანადო არგუმენტაციით და წყაროთა მითითებით იხ.: *მ. ლომინაძე*, ქართული საეკლესიო სენიორიის ისტორიიდან (შიომღვიმის მონასტერი), საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი. თბ., 1949. იხ., აგრეთვე, ქსე, 11, თბ., 1987, გვ.6.

სტატუსი და სხვ., ინახებოდა საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის მიერ მონასტრისადმი შედგენილი *ანდერძი*. იგი, როგორც უმნიშვნელოვანესი იურიდიული დოკუმენტი, შიომღვიმის მონასტრის მესვეურებმა საუკუნეებს გამოატარეს, მონასტერზე თავსდატეხილ უამრავ თავდასხმას, ძარცვას, ანიოკებას და ხანძარს გადაარჩინეს და მას თითქმის ჩვენს დღეებამდე მოაღწევინეს. სამწუხაროდ, საბუთის დედანი 1919 წელს დაიწვა ჩრდ. კავკასიაში მიმდინარე რუსეთის სამოქალაქო ომის დროს, სადაც იგი 1915 წელს გახიზნეს I მსოფლიო ომის პირობებში თურქეთიდან მოსალოდნელი თავდასხმისაგან დაცვის მიზნით. საბუთისგან მხოლოდ მცირე ფრაგმენტი გადარჩა. 1973 წელს აღმოჩნდა ამ საბუთის ფოტონეგატივი, გადაღებული 1895 წელს. მისგან დამზადდა ფოტოანაბეჭდები დედნის ან დედანთან მიახლოებული ზომისა; ისინი სავსებით ცვლის დედანს სამეცნიერო მიზნებისათვის (ტექსტის დადგენა და სხვ.). წინამდებარე წიგნი საბუთის ფოტოპუბლიკაციას ისახავს მიზნად. აქვე განხილულია ანდერძთან დაკავშირებული ზოგიერთი წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული საკითხი. დამატებებში გამოქვეყნებულია ორი საბუთი შიომღვიმის სტატუსის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ანდერძთან.

ანდერძის ტექსტის პუბლიკაციისათვის დართული გამოკვლევები დაწერილია და გამოქვეყნებული სხვადასხვა დროს სხვადასხვა შემთხვევებთან დაკავშირებით (გამოცემები მითითებულია ამ წიგნის სარჩევში). აქ მათი ერთად თავმოყრისას, მრავალი ცდის მიუხედავად, მაინც ვერ ავცდი ცალკეულ განმეორებებს, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე.

მადლობას მოვახსენებ საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარეს აკად. *როინ მეტრეველს*, გამომცემლობა „ნეკერის" დირექტორს ბატონ *პარმენ მარგველაშვილს*, გამომცემლობის თანამშრომლებს — ქალბატონ *ნანი კალანდაძეს*, ბატონ *გიორგი ბაგრატიონს*, ხელოვნებათმცოდნეს და წიგნის მხატვარ დიზაინერს ქალბატონ *დეა ჯაბუას* ამ წიგნის გამოცემაში გაწეული წვლილისათვის.

ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანია ამ წიგნისადმი წამძღვარებული „საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის გამოცემების" სია. გარკვეული მუშაობის ჩატარება დამჭირდა მის შესავსებად და დასაზუსტებლად — უკანასკნელად ასეთი სია დაერთო 1992 წელს გამოცემულ წიგნს „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი", სადაც 62 დასახელებაა აღნიშნული; აქ მათი რაოდენობა, როგორც ვხედავთ, 84-ია. ამ სიის მიხედვით კარგად ჩანს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის (პირველი თავმჯდომარე — აკად. *შოთა ძიძიგური*, მომდევნო და ამჟამინდელი თავმჯდომარე — აკად. *როინ მეტრეველი*) მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების — მეტად ნაყოფიერი საგამომცემლო საქმიანობის შედეგები — დროის შედარებით მცირე მონაკვეთში, 27 წლის მანძილზე (1976-2003), 84 მაღალი დონის სამეცნიერო პუბლიკაცია — თითქმის ყოველწლიურად საშუალოდ სამი წიგნი.

ვეჭვობ, რომ აქ წარმოდგენილი სია, მიუხედავად დიდი მცდელობისა, მაინც არ არის სრული და საბოლოო, განსაკუთრებით იმ წიგნების აღრიცხვისას, რომელთაც არ უზის გამოცემის რიგითი ნომერი.

---

[5] დაწვრილებით, სათანადო არგუმენტაციით და წყაროთა მითითებით იხ.: *მ. ლომინაძე*, ქართული საეკლესიო სენიორიის ისტორიიდან (შიომღვიმის მონასტერი), საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 1949. იხ., აგრეთვე, ქსე, 11, თბ., 1987, გვ.6.

თავი I
ანდერძის დედნის თავგადასავალი. შესწავლის ისტორია

არ გვაქვს პირდაპირი ცნობები, წერილობითი წყაროების მონაცემები იმის შესახებ თუ სად ინახებოდა მონასტერში ეს და აგრეთვე სხვა დოკუმენტები. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ მონასტერში იქნებოდა საგანგებო არქივის მსგავსი სათავსო, რომელშიც, ალბათ, მთელი მისი საბუთები ერთად იყო თავმოყრილი. არ არის გამორიცხული, რომ მას ცალკე, საგანგებო პირიც ჰყოლოდა მიჩენილი, რომელსაც მათი დაცვა, მოვლა და თვალ-ყურის დევნება ექნებოდა დავალებული, მაგრამ ყოველივე ამის შესახებ ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

ნიშანდობლივია, რომ *ი. ჯავახიშვილი*, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ სიგელთმცოდნეობას და დაწვრილებით შეისწავლა ძველ ქართულ საბუთებთან დაკავშირებული საკითხები, საქართველოში საბუთების დაცვა-შენახვის შესახებ შენიშნავს, რომ „ამ საკითხის შესასწავლად ჯერჯერობით ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება"[6]. მისივე ცნობით, „სომეხთა ისტორიკოსის სტ. ორბელიანის სიტყვებიდან ჩანს, რომ საქართველოს დედაქალაქში XIII ს-შიაც, მონღოლთა ბატონობის დროსაც, სახელმწიფოს დავთარხანა ყოფილა, რომელშიაც ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები, უეჭველია სხვა საბუთებიც ინახებოდა"[7].

უფრო ადრეული ხანისათვის, კერძოდ, VIII-X სს. საქართველოს მდგომარეობის აღწერისას, მან მოიხმო გამოჩენილი ფრანგი ბიზანტოლოგის *ალფრედ რამბოს* თვალსაზრისი იმის შესახებ, „რომ ისეთს ძველს სახელმწიფოში, როგორიც იყო ბიზანტია, კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს თურმე სახელმწიფო დავთარხანები არ არსებობდა, საქართველოში — კი დავთარხანები ჰქონიათ და საბუთებს ინახავდნენ"[8].

ძველ საქართველოში საბუთების შენახვის წესს, როგორც ჩანს, ცნობების უქონლობის გამო, მცირე მოცულობის ქვეთავი დაუთმო მ. ბერძნიშვილმა თავისი წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევების ციკლში[9]. მისი შენიშვნებით, „საბუთი, როგორც წესი, მრგვალად დახვეული ინახებოდა. იგი იხვეოდა ან სპეციალურ ხის ჯოხზე, ან უჯოხოდ". „საოჯახო საბუთებს, გრაგნილებად დახვეულს, ნაჭრის პარკში ინახავდნენ, ან ხელსახოცში გამოსკვნიდნენ. ზოგ-

---

[6] *ი. ჯავახიშვილი*, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1925, გვ. 80; იგივე, *თხზ.* თხზ. ტ. IX, თბ., 1996, გვ. 445.

[7] იქვე.

[8] *ი. ჯავახიშვილი*, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, იხ. *თხზ.* თხზ. ტ. II, თბ., 1988, გვ. 115.

[9] *მ. ბერძნიშვილი*, ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის წყაროები, 1989, გვ. 49.

ჯერ ეს საბუთები სპეციალურ კოლოფში ეწყოთ“[10].

წერილობითი წყაროების, კერძოდ, ისტორიული დოკუმენტების ერთი ნაწილის მონაცემებით, ჩვენთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მონასტრის კუთვნილი დოკუმენტები, ან მათი ერთი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, სხვაზე უფრო გავლენიანი ნაწილი, პერიოდულად, სახელმწიფოში უმაღლესი ხელისუფლების შეცვლის დროს, ან ამ შეცვლის გამო და მასთან დაკავშირებით, მიჰქონდათ სამეფო კარზე, სადაც ახალი უმაღლესი ხელისუფლის, ან სახელმწიფოს მართვის აპარატის უმაღლეს ხელისუფალთა წარმომადგენლების მიერ ხდებოდა მათი დამტკიცება, ან მათი მიხედვით, მათზე დაყრდნობით ახალი დოკუმენტის შედგენა. ზოგჯერ ეს აქტი, რომელიმე ხელისუფლის, და მათ შორის თვით მეფისაც, მონასტერში სტუმრობის დროს ტარდებოდა; მაგრამ, როგორც წესი, საბუთები თვითონ მიჰქონდათ სამეფო კარზე მისი დამტკიცების, ან განახლების მიზნით მონასტრის მესვეურებს. ხშირად ეს საბუთები საჭირო იყო რაიმე დავის, მათ შორის სამამულო დავის, გადასაწყვეტად, როგორც მონასტრებს შორის, ისე მონასტრებსა და საერო პირებს შორის. ცხადია, მაშინაც, ამ საბუთების „ამოძრავება“, მათი სხვადასხვა ინსტანციაში წარდგენა იწყებოდა.

ძველ საქართველოში საბუთების ასეთი „ამოძრავების“, მათი წარდგენის აღსანიშნავად არსებობდა სპეციალური ტერმინები — „მოხუნვა“ და „მოღება“. მათი არსებობა ჩვენთვის ცნობილია ისევ ისტორიული საბუთების მონაცემების მიხედვით: ბაგრატ IV-ის 1054-1072 წწ. დათარიღებულ სიგელში ოპიზარ და მიჯნაძოროელ მამებისადმი, რომელშიც მათ შორის წარმოქმნილი სამამულო დავაა მეფისა და მის კარზე ამ საკითხთან დაკავშირებით შეკრებილ მოხელეების („*მღდელთ-მოძღუარნი, ერისთავთა ერისთავნი, ერისთავნი, და ყოველთა ჴევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი*“) მიერ გარჩეულ-გადაწყვეტილი, აღნიშნულია, რომ „მიჯნაძოროელთა... *მოიხუნეს* სიგელნი“ სხვადასხვა მეფეთა და ხელისუფალთანი, ხოლო „ოპიზართა *მოიღეს* დაწერილი გუარამ მამფლისაი“[11]; გიორგი II-ის 1073 წლის სიგელში მღვიმისადმი აღნიშნულია, რომ „მოვიდეს ჩუენ წინაშე წმიდაი მამი მიქაელ და ყოველნი მამანი მკუიდრნი მღუიმისანი და სიგელნი *მოიხუნეს* მამათა და პაპათა ჩემთანი“[12]; გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში შიომღვიმისადმი აღნიშნულია, რომ „მოვიდეს ჩუენ წინაშე წმიდანი მამანი უდაბნოისა დიდისა მღუიმისანი... და *მოიხუნეს* სიგელნი“ სხვადასხვა მეფეთანი[13]; მეფე

[10] იქვე, გვ. 50. ამის შესახებ იხ. აგრეთვე, *ი. ჯავახიშვილი*, ქართული სიგელთა-მცოდნეობა, გვ. 80-81; *მისი*, თხზ., ტ. IX, გვ. 445-448. ძველ საქართველოში საბუთების დაცვა-შენახვის შესახებ იხ. *დ. დათუაშვილი*, საარქივო საქმის ისტორია საქართველოში, თბ., 1977, გვ. 37-47.

[11] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, IX-XIII სს. ისტორიული საბუთები. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს *თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა*, თბ., 1984, გვ. 32-33 (ქვემოთ — ქისკ, I).

[12] ქისკ, I, გვ. 46:6.

[13] ქისკ, I, გვ. 67:4-6.

დავით რუსუდანის ძის 1261 წლის სიგელში ხეფინისჴეველთა და წაქველთადმი აღნიშნულია, რომ „მოვიდეს ჩუენს წინაშე ხეფინისჴეველნი და წაქველნი და *მოიხუნეს* სიგელნი დიდისა მეფისა გიორგისანი"[14]; ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსის 1281 წლის დაწერილში არვანბეგ საბაისძისადმი, რომლითაც იგი მას და მის შთამომავლებს უმტკიცებს ს. *შეუბანს* და სამაგიერო ბეგარად ადებს ოც ლიტრა ცვილს, აღნიშნულია, რომ „თქუენ მოხუედით და ღმრთისა სწორთა სიგელნიც *მოიხუენით* სამამულოდ ბოძებულობისანი"[15] და სხვ.

რაც შეეხება ტერმინ „მოღებას", ამჟამად ცნობილ ძველ ქართულ საბუთებს შორის პირველად იგი გვხვდება ე. წ. „ფავნელის დაწერილში", სადაც აღნიშნულია, რომ „*მოვიღე* თავისუფლებისა ბრძანება" სხვადასხვა მეფეთანი[16]; ბაგრატ IV-ის სიგელში მისი დადასტურების შესახებ უკვე გვქონდა აღნიშნული ზემოთ, როდესაც ოპიზარმა ბერებმა „*მოიღეს* დაწერილი" გუარამ მამფლისა; მეტად საინტერესო კონტექსტში დასტურდება ეს ტერმინი 1263 წლის საქართველოს საეკლესიო კრების მიმართვაში მეფისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ „*მოაღებინეთ* სიგლები და ნიშნები ყუელას, ვისთვისაც გიბოძებია"[17] — მიმართავს კრება მეფეს.

მაშასადამე, ცხადია, რომ ძველ ქართულ საბუთებს შუა საუკუნეების მანძილზე არაერთხელ მოუხდათ და დასჭირდათ თავიანთი ძირითადი ადგილსამყოფელის, შენახვის ადგილის დატოვება და სხვადასხვა მიზნით „მონასტრის სამსახურში ჩადგომა".

რაც შეეხება კონკრეტულად დავით აღმაშენებლის ანდერძს შიომღვიმისადმი, მართალია, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ სხვადასხვა ძველ ქართულ საბუთებში მისი დამოწმებით, რომელთა შესახებ დაწერილებით ქვემოთ გვექნება საუბარი (იხ. თავი IV), ცხადია, რომ ისიც არაერთხელ ყოფილა წარდგენილი სამეფო კარზე მონასტრის ინტერესების დასაცავად, ახალი სამფლობელოების შესახებ საბუთების მისაღებად, ან ძველის დასამტკიცებლად. მაგალითად, როდესაც გიორგი III ბრძანებს 1170 წლის სიგელში შიომღვიმისადმი — „მოვიდეს ჩუენ წინაშე... მამაი იოვანე მემღუიმე და *მოიხუნეს სიგელნი* დიდისა მეფეთა-მეფისა, პაპისა ჩუენისა დავითისი"[18], აქ, ალბათ, სხვა სიგელებს შორის დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძიც შეიძლება იგულისხმებოდეს; ასევე, XIII ს-ის შუა ხანებში საქართველოში გამართულ ერთ საეკლესიო კრებაზე, რომელსაც, როგორც ჩანს სხვა საკითხებს შორის შიომღვიმის მონასტრის სტატუსიც განუხილავს, ეს ანდერძიც ყოფილა წარდგენილი, რაც იქიდან ჩანს, რომ ამ საკითხზე მიღებული დადგენილების ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტის ერთ-ერთ, არსენ კათალიკოსისეულ ხელრთულობაში იგი პირდაპირ არის ორგზის დასახელე-

[14] ქძსკ, I, გვ. 168, №37:56.
[15] ქძსკ, I, გვ. 177-178, №40:12-13.
[16] ქძსკ, I, გვ. 19, №1:36.
[17] ქძსკ, I, გვ. 171, №38:8.
[18] ქძსკ, I, გვ. 67, №11:6.

ბული[19] და, გარდა ამისა, ამ ხელრთულობის ფორმულები ორიოდე შემთხვევაში სწორედ ანდერძის ტექსტიდან აღებული ფრაზებით და სიტყვებით არის შედგენილ-გამართული (დაწვრილებით იხ. აქვე, თავი IV; დამატება II).

სხვა კონკრეტული ცნობები ამ ანდერძის „მოძრაობისა" და მისი თავგადასავლისა შუა საუკუნეებში არ გაგვაჩნია. რაც შეეხება ახალ დროს, XIX ს-ის დასაწყისში (1806 წ.) იგი კიდევ ერთხელ გამოუყენებია არქიმანდრიტ *დოსითეოს ფიცხელაურს* შიომღვიმის მონასტრის უფლებებისა და ინტერესების დამცველი განცხადების შედგენისას სამედიატორო სასამართლოს სახელზე, რაც ჩანს ამ განცხადებაში ანდერძის, როგორც დამოწმების, ისე მისი ერთი ადგილის პირდაპირი ციტირებითაც[20].

1814 წელს დაწესდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, რომელმაც „1818 წლიდან მოახდინა ძველი საბუთების თავმოყრა ადგილობრივი მონასტრებიდან და ეკლესიებიდან"[21]. მათ შორის სინოდალურ კანტორას ჩაბარდა დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (რომელიც გატარდა 33-ე ნომრით[22]), ასევე, შიომღვიმის მონასტრის სხვა საბუთები, აღმოსავლეთ საქართველოს (ტფილისის გუბერნიის) ეკლესია-მონასტრების და კერძო პირთა საბუთები.

XIX ს-ის 40-იანი წლებიდან დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ბედი მთლიანად სამეცნიერო შესწავლის ინტერესებს უკავშირდება. ყველაზე უადრესი დაინტერესება ამ ანდერძისა სამეცნიერო თვალსაზრისით ცნობილია 1845 წლიდან.

ამ წელს *პ. იოსელიანმა* გამოაქვეყნა მომცრო წიგნი **„Описание Шиомгвимской пустыны в Грузии"**, რომელშიც შიომღვიმის მონასტრის კუთვნილ სხვა ძველ საბუთებს შორის დასახელებულია დავით აღმაშენებლის ანდერძიც. რადგანაც ეს არის პირველი ბეჭდური, ე. ი. ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ცნობა ამ ანდერძის შესახებ, თანაც გამოქვეყნებული საუკუნენახევრის წინათ ამჟამად ძნელად ხელმისაწვდომ გამოცემაში, მოვიყვან მას მთლიანად: **„Между грамотами значится еще завещание Царя Давида Возобновителя.Год не означен, но весьма древен. В ней упоминается, что церковь во имя Успения Пресв. Богородицы им создан в XI веке"**[23].

1880 წელს ტფილისის გუბერნიის მინათმოქმედების სამმართველოს

---

[19] *თ. ჟორდანია*, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძველი" ვაჰხანის ქვაბთა, თბ., 1896, გვ. 50; *მისივე*, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგნი II, ტფ., 1897, გვ. 95; ქართული სამართლის ძეგლები, წიგნი III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა *ი. დოლიძემ*, თბ., 1970, გვ. 160-161; *ვ. სილოგავა*, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში დამოწმებული ძველი ქართული საბუთები და ანდერძის დამოწმება ძველ ქართულ საბუთებში, „მაცნე", ისტორიის... სერია, 1, 1990, გვ. 130.

[20] *თ. ჟორდანია*, ისტორიული საბუთები, გვ. 16, 87.

[21] *დ. დათუაშვილი*, საარქივო საქმის ისტორია, გვ. 68, 70.

[22] *Ф. Жордания*, Завещание царя Давида Возобновителя, данное Шио-Мгвимской лавре в 1123 г., Тифлис, 1895, с. 1.

[23] *П. Иоселиани*, Описание Шиомгвимской пустыны в Грузии, Тифлис, 1845, с. 51-52.

არქივის „სახელმწიფო საკუთრების" („Государственные имущества") განყოფილებაში დაცულ ამ ანდერძზე უმუშავნია ტფილისის რეალური სასწავლებლის („Тифлисское реальное училище") ქართული ენის მასწავლებელს მღვდელ *იოსებ ახალშენაშვილს*. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ი. ახალშენაშვილის მასალებიდან (H-2389) ჩანს, რომ მას ტფილისში 1881 წელს განზრახული რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობისათვის უნდა შეეკრიბა ნიმუშები მხედრული დამწერლობისა ძველი ქართული საბუთების მიხედვით. როგორც 1880 წლის 24 ივლისს, „ტფილისითგან კოჯორში" *დიმიტრი ფურცელაძისადმი* გაგზავნილი მისი ერთი კერძო წერილიდან ჩანს, მას გადმოუღია XI-XII სს. 6 სხვადასხვა საბუთიდან „23 ეგზემპლიარი" ასეთი ნიმუშისა (75r-v). მათ შორის მას გადმოუღია ანბანის რიგზე ამოწერილი ნუსხური დამწერლობის ნიმუშები დავით აღმაშენებლის ანდერძის დედნიდან (2r) და *დავით აღმაშენებლის მხედრულით შესრულებული ხელრთულობის ასლები* (ანდერძის ტექსტის პირველი და ბოლო სტრიქონები) იმავე ძეგლიდან (7r, 20r, 21r, 51r).

ამჟამად, როდესაც არ მოგვეპოვება დავით აღმაშენებლის ანდერძის სწორედ ეს ადგილები, რომლებზედაც მისი ხელით დაწერილი სტრიქონები იყო მოთავსებული, ი. ახალშენაშვილის მიერ 1880 წელს დედნის ზომაზე გადმოღებული საბუთის ეს ასლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, გარდა იმისა, რომ საშუალება გვაქვს სრული, დედნის ზომით წარმოვიდგინოთ დავით აღმაშენებლის ხელრთვები, ამ ასლებმა ტექსტის წაკითხვის დაზუსტებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვეს.

ი. ახალშენაშვილის მიერ გადმოღებული ეს ასლები — როგორც დავით აღმაშენებლის ანდერძის, ისე სხვა საბუთების ნაწყვეტებისა, 1881 წელს გამოაქვეყნა დ. ფურცელაძემ (პუბლიკაციაში ასლების გადმომღები დასახელებული არ არის)[24].

მანვე იმავე წელს გამოაქვეყნა ანდერძის დაწვრილებითი შინაარსი რუსულ ენაზე თავისი ცნობილი წიგნის „Грузинские церковные гуджары" XXXI თავში. აქ, გარდა ამ ანდერძის შინაარსისა, წარმოდგენილია შიომღვიმის მონასტრის კიდევ სხვა 22 საბუთის რაობა, ანოტაცია, ან შინაარსი. ანდერძის შინაარსი, ძირითადად, სწორად არის გადმოცემული. იგი საკმაოდ დაწვრილებითია. ამ პუბლიკაციით ფართო საზოგადოებისათვის პირველად გახდა ცნობილი ამ ანდერძის ტექსტი და მისი მნიშვნელობა[25].

---

[24] *Д.П. Пурцеладзе*, Научное значение грузинских церковных гуджаров (грамот). Протоколы заседании Предворительного комитета V археологического съезда, М., 1881.

[25] *Д.П. Пурцеладзе*, Грузинские церковные гуджари (грамоты) (Материалы для пятого Археологического съезда), Тифлис, 1881, с. 94-96. წიგნს წინასიტყვაობად დართული აქვს ავტორის ზემოთდასახელებული წერილი, რომლის ბოლოში აღნიშნულია, რომ "я представил председателю Предварительного комитета V Археологического съезда снятые на восковой бумаге с гуджаров различных периодов алфавиты и отривки с необходимыми пояснениями (იგულისხმება ი. ახალშენაშვილის მიერ გადაღებული ასლები, რომლებიც გამოქვეყნდა „Протокол"-

1895 წელს, უკვე „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის“ გუჯრებში დაცული დავით აღმაშენებლის ანდერძი (ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე, მცირე შესავალი გამოკვლევა და შენიშვნები — რუსულ ენაზე) გამოაქვეყნა საქართველოს წერილობით სიძველეთა ცნობილმა მკვლევარმა, უკვე იმ დროისათვის ავტორ-გამომცემელმა წიგნისა — „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა“ (I ტომი, ტფ., 1892) და სხვა სამეცნიერო საისტორიო ნაშრომების ავტორმა *თევდორე ჟორდანიამ*[26].

მომდევნო, 1896 წელს ანდერძის ქართული ტექსტი თ. ჟორდანიამ მეორედ გამოაქვეყნა, ასევე ცნობილ თავის წიგნში „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა“[27]. ორივე ეს გამოცემა, როგორც წინასიტყვაობაში აღნიშნავს თ. ჟორდანია, მას განუხორციელებია *გორის ეპისკოპოსის ალექსანდრეს* საფასით.

ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძემ) დიდი როლი შეასრულა XIX ს-ის ბოლოს შიომღვიმის ლავრის გამოცოცხლებაში — მან შეაკეთებინა და მოახატვინა ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი, რომელიც დავით აღმაშენებლის მიერ აშენებულ, და იმ დროისათვის უკვე დანგრეულ ტაძრის ადგილას იყო აღმართული *გივი ამილახვრის* მიერ (1678, 1733)[28]. ალექსანდრე ეპისკოპოსის ღვაწლი ლავრის წინაშე აღბეჭდილია იმ ქართულ-რუსულ წარწერებში, რომლებიც მოთავსებულია ღმრთისმშობლის ეკლესიის კედლებზე, შიდა მხარეს.

ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თ. ჟორდანიას ერთი ცნობა, რომელიც მას დაურთავს „ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრის“ წინასიტყვაობაში. „ამ წიგნის ბეჭდვას რომ შევუდექით, — წერს ის, მაშინ ჩვენ იმედი გვქონდა ჩაგვერთო ფოტოტიპიით ანუ ფოტო-ლიტოგრაფიით გადაღებული ნიმუშები ამ წიგნში მოქცეული უძველესი გუჯარსიგელებისა და საკუთარნი ხელის-მოწერანი მეფეთა: გიორგი II-ისა (1072-1089), დავით აღმაშენებელისა, თამარ მეფისა, დავით IV-ისა და აგრეთვე XI-XV საუკუნის ერისთავთა, კათალიკოზთა და დიდებულთა. რამდენიმე ამ ნიმუშთაგანი პატივცემულმა ა.ს. როინაშვილმა უსასყიდლოდ ფოტოგრაფიულად გადმოიღო. სამწუხაროდ, მათი ფოტოტიპიით გამოცემა, სიძვირისა გამო ჩვენ ვერ შევძელით“[29].

მაშასადამე, ამ ცნობის მიხედვით, 1895 წლისათვის დავით აღმაშენებლის ანდერძის ფოტოასლები დაუმზადებია იმ დროს მთელს კავკასიაში და მის ფარგლებს გარეთაც ცნობილ ფოტოგრაფს *ალექსანდრე როინაშვილს*

ება). Они будут напечатаны в "Известиях Московского Археологического Общества". შემდეგ ეს მასალა კიდევ გამოქვეყნებულა სხვა გამოცემაში, მაგრამ მე მას არ ვიცნობ.

[26] *Ф. Жордания*. Завещание царя Давида Возобновителя, с. 34.

[27] თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები, გვ. 14-20.

[28] *Г.Н. Чубинашвили*. Шиомгвимская лавра. Очерк из истории грузинской архитектуры (1924), იხ. *მისი*, Вопросы истории искусства. Исследования и заметки, т. I. Тб., 1970, с. 67-69.

[29] თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები, გვ. 3-4.



სურ. 1. 1) სიგელი გიორგი II-ისა შიომღვიმისადმი. 1073 წ.
2) ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი [1124 წ.]
(ალ. როინიშვილის ფოტონეგატივიდან; საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფოტოთეკა, № 15869/5992).

(სურ. 1). როგორც ქვემოთ დავინახავთ, მოხდა ისე, რომ ანდერძის დედანი დაიღუპა და ა. როინაშვილის ამ ფოტოასლებმა, უფრო ზუსტად მის მიერ დამზადებულმა ანდერძის დედნის ფოტონეგატივმა, დიდი როლი შეასრულა ტექსტის მეცნიერული გამართვისა და თანამედროვე საგამომცემლო მოთხოვნილებების შესაბამისად გამოქვეყნებაში.

1905 წ. *მ. ჯანაშვილმა* გამოაქვეყნა ანდერძის ტექსტის მოკლე შინაარსი ნაწყვეტების ჩართვით რუსულ ენაზე და მისი ხელრთვის ქართული ტექსტი და რუსული თარგმანი[30].

1912 წელს ანდერძის ა. როინაშვილის ნეგატივიდან დამზადებული ფოტოსურათი (შემცირებული ზომისა) დაურთო *ს. კაკაბაძემ* ანდერძის ტექსტის მის მიერ განხორციელებულ გამოცემას[31].

1915 წლიდან მეტად დრამატულად წარიმართა ანდერძის დედნის ბედი. თბილისის „მთავარი არქივები... 1915 წლის დასაწყისს, საომარი ფრონტის სიახლოვის გამო, მათი სრულიად უზრუნველყოფის მიზნით, გადატანილ იქმნენ ევაკუაციის წესით ჩრდ. კავკასიაში და იქ დაბინავებულ სხვადასხვა პუნქტებში"[32]. მათ შორის გატანილ იქნა „ტფილისის გუბერნიის მიწათმოქმედების სამმართველოს" არქივიც, რომელშიც ინახებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მონასტრების 3000-ზე მეტი სიგელ-გუჯარი დაწყებული XI ს-დან. როგორც ვიცით, ამ სიგელ-გუჯრებს შორის იყო დავით აღმაშენებლის ანდერძიც შიომღვიმისადმი.

1923 წლის იანვარ-თებერვალში, არქივებისა და სამუზეუმო კოლექციების უკანვე, თბილისში დასაბრუნებლად ჩრდ. კავკასიაში საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ მივლინებული იყო ცნობილი ისტორიკოსი პროფ. *სარგის კაკაბაძე*. აი, რას წერს ს. კაკაბაძე თავისი მივლინების ანგარიშში ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს არქივის და მასში დაცული დავით აღმაშენებლის ანდერძის ბედის შესახებ ჩრდ. კავკასიაში მათი ევაკუაციის შემდეგ:

„ბევრი დაკითხვის და გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ გუჯრები სხვა ტფილისიდან მოტანილ საარქივო მასალასთან ერთად თავდაპირველად 1915 წ. მოთავსებულ იქმნა ქ. კრაპოტკინში (ყოფილი რომანოვსკი) მოქ. პაპოვის სახლში. ტფილისიდან ის ღებულობდა სახლის ქირას, დროგამოშვებით მას აკითხავდა სპეციალურად მიჩენილი მოხელე. რევოლუციის შემდეგ მოხელე გაიქცა, სახლის ქირასაც არავინ იძლეოდა. 1919 წლის იანვარში პაპოვმა, პასუხისგების თავიდან ასაცილებლად, განუცხადა არქივის არსებობა კავკასსკაიას ოტდელის ატამანს გენ. რეპნიკოვს, რომლის ბრძანებით ყველა ყუთები გადატანილ იქნა სტანიცა

[30] *М.Г. Джанашвили*, "Картлис-Цховреба" - Жизнь Грузии, СМОМПК, вып. 35, Тифлис, 1905, с. 148-149.

[31] *ს. კაკაბაძე*, ანდერძი დავით აღმაშენებლისა, შიო მღვიმისადმი დაწერილი, თბ., 1912. წინამდებარე გამოცემაში ანდერძის ტექსტის 1-63 სტრიქონის ფოტოები (იხ. აქვე, გვ. 109-115) წარმოდგენილია ს. კაკაბაძის გამოცემაში გამოქვეყნებული საბუთის დედნის ფოტოს მიხედვით (ოღონდ, აქ ისინი გადიდებულია).

[32] *ს. კაკაბაძე*, საარქივო საქმის შესახებ საქართველოში, „საისტორიო მოამბე", I, ტფ., 1924, გვ. 267.

კავკასსკაიაში (სადგ. კავკასსკაიადან 8 ვერსზე), ეგრეთ წოდებულ ძველს ციხეში მდებარე ერთ შენობაში იქ დასაცავად. 1919 წლის თებერვალში (დაახლოებით 12-ში) სტანიცა კავკასსკაია აიღო წითელმა ჯარმა. ციხის შენობაში დაბინავდნენ სტანიცაზე გამვლელი ჯარები. არქივები გადმოყრილ იქმნენ და ჩაყრილ ციხის გარშემო ყოფ. ფართო თხრილისაგან დარჩენილ ჩაღრმავებულ ადგილებში. ქარი იყო, სიგელ-გუჯრების ნაგლეჯები ქარს მიჰქონდა და ჯარისკაცები მცხოვრებლებსაც ნებას არ აძლევდნენ ქაღალდების აკრეფისას — მიამბეს მე სტანიცაში ამ ამბის მნახველებმა. ასე განიავდა და დაიღუპა უდიდესი განძეულობა. ორიოდე ნაგლეჯი ამ ორმოებიდან მოტყუებით წამოიღო მოქ. აბრამ ევანგულოვმა, რომელმაც ეს ნაგლეჯები შეინახა და ეხლა გადმომცა. „ცხენი მიმყავდა ვითომ მოსაძოვებლად და ისე ჯარისკაცების დაუნახველად ავკრიფე რამოდენიმე ნაფლეთიო", სთქვა მან. ერთი ამგვარი ნაფლეთი არის ხელისდადება ნაგლეჯი დავით აღმაშენებლის ანდერძისა, რომლის სიგრძე ორი მეტრი იყო. ასეთივე ნაფლეთია ევანგულოვის მიერ გადარჩენილი მე-11 საუკუნის გიორგი მეფის 11/4 მეტრიან სიგლისაგან. გული მიკვდებოდა, როდესაც ამ ნაფლეთებს ვუყურებდი, ნაშთს 3000 ძვირფას სიგელ-გუჯრისას" — აღნიშნავს დასასრულს ს. კაკაბაძე[33].

დავით აღმაშენებლის ანდერძიდან დარჩენილი „ხელისდადება ნაფლეთი" პროფ. ს. კაკაბაძემ ჩააბარა საქართველოს მაშინდელ ცენტრარქივს (ამჟამად, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი — სცსსა. სურ. 2).

ანდერძის დედნის ფრაგმენტის ს. კაკაბაძის მიერ ცენტრარქივისათვის ჩაბარებით დასრულდა მისი თავგადასავალი და იგი მთლიანად სამეცნიერო ინტერესების სფეროში მოექცა. სამწუხაროა, რომ ამ ძვირფასი ეროვნული რელიკვიიდან, რომელსაც დავით აღმაშენებლის ხელრთვები, მისი ავტოგრაფული სტრიქონები ამკობდა, და რომელმაც თითქმის ჩვენს დღეებამდე მოაღწია მთლიანი სახით, მხოლოდ ეს ფრაგმენტიღა შეგვრჩა. ისიც, როგორც აღინიშნა, შეადგენს დედნის მეოთხე კეფის, ე. ი. შუა ნაწილის ფრაგმენტს და, ცხადია, მასზე მეფის ხელით დაწერილი სტრიქონები არ არის და არც უნდა ყოფილიყო. ამდენად, დავით აღმაშენებლის ხელით ამ საბუთზე დაწერილი სტრიქონები (პირველი და ბოლო) ჩვენთვის საბოლოოდ დაღუპული აღმოჩნდა.

მაგრამ, როგორც ბოლო ხანების ძიებებმა გამოავლინა, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი დაწერილი ანდერძის დედანი თუ არა, სამეცნიერო ღირებულებით მისი შემცველი მასალა მაინც შემოუნახავთ ჩვენს სიძველეთსაცავებს.

1973 წელს, „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის" გამოსაცემად მომზადებასთან დაკავშირებით, სიძველეთსაცავებში დაცული მასალების გადასინჯვისას საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მდიდარ ფოტოთეკაში აღმოჩნდა მინაზე დამზადებული დიდი ზომის (13×18 სმ) მაღალხარისხოვანი ფოტონეგატივები რამდენიმე ძველი ქართული საბუთისა, და მათ შორის დავით

[33] *ს. კაკაბაძე*, მოხსენება განათლების სახალხო კომისრის სახელზე წარდგენილი, ჩრდ. კავკასიიდან არქივებისა და სამუზეუმო კოლექციების რეევაკუაციის შესახებ 1923 წ., „საისტორიო მოამბე", II, 1924, გვ. 276-277.



სურ. 2. საბუთის დედნის მოღწეული ფრაგმენტი (სცსა, 1448-2120).

ცემოდის თითოჲ კვრიაჲს ძა[ლითა, და თითო კარასეული ღჳნო. ოდეს]
ზეზადნისა ციხე და მუხრანი [ძუძლითგ(ა)ნ ვეცადე მ(ა)თგ(ა)ნ ძებნითა, მ(ა)შინცა არა]
იყო ნებაჲ* ჩ(ე)მი, მ(ა)მამ(ა)ნ ჩ(ე)მ(ა)ნ უ[ბოძაჲ, მით, რ(ომე)ლ სხუათაცაჲ ჰქონებოდა მ(ა)თთა გუ]-
ართა; და არავის ოდეს ექ[ნა ჩ(უძ)ნი ერთგულობა. აწ, ძაგანმ(ა)ნ სადგომად]
საებისკ(ო)პოს(ო)ნიცაჲ უდიდესნი, [გ(ა)რნა სამთ(ა)ვროდ, თჳთ ადრითგ(ა)ნ მ(ა)მ(უ)ლობისად]
ეწერა-ყე საებისკოპოსოდ, [და მცხეთისა საქონებელნი მრ(ა)ვ(ა)ლნი, დაემჭი]-
რნეს; და წილკანი საყდრისა, მო[ნასტრისა რაცა იყო—მთასა]
ციხე მარანი, ანუ მატური იგი სოფელი; და მღჳმე [მონასტერი შიგან ციხედ]
და სადგომად ჰქონდეს თჳთ. ოდეს მოიქცეს სალმობა მისი [თ(ა)ვსა მისსა, ყ(ოვე)ლი]
ყ(ოვ)ლ(ი)თავე უკუნით ეცით ნაქონები მის(ს)ა მიმ(ა)რთ თჳსებუ[ლი და მღჳმეს ქონე]-
ბ(ა)ნი მისნი საავაზაკონი და წარტყუძნილი, ვითა მ(ა)მისა ჩ(ე)მისა ბ[რძანებასა ში]-

* „იყო ნებაჲ" წერია სინგურით.



საბუთის დედნის მოღწეული ფრაგმენტის I ნახევარი.

გ(ა)ნ გაჩენით სწერია; აღარ ოდეს მიგეღოს იგი. და არცა ვის [სხ(უ)ასა ს(ა)ქმე]
უც მღჳმესა თ(ან)ა და არცა მღჳმისა ქუაბთა, ვ(ითა)რ იგი თჳთ სანატ[რელისა]
მ(ა)მ(ა)თა ნათლისა შიოჲს ანდერძში სწერია: „უფალი მღჳმისა ღმერთი[ა, მეუფე]
წ(მიდა)ჲ მ(ა)მა შიოჲ“. და მეფეთათ(ჳ)ს ლ(ო)ცვა აღ(ა)სრ(უ)ლონ, ვითა თჳთ წერილნი წ(მიდა)ნი [უმო]-
ძღურებენ და ვითა თჳთ იგინი. თჳნიერ მეფეთა საწირავისა <არაჲ> ს(ა)ქმე [ყოფი]-
ლა მღჳმესა თ(ა)ნა; არცა ვის აწ უც საქმე, თჳნიერ ლ(ო)ცვისა და შეწირ[ვისა].
აწ [ს(ჳმეო)ნ ბედიელ-ალავე]რდელისა იყოს შეეედრებ(უ)ლ–რაცა საქმე და სა[უ]-
[რავი მ(ა)თი იყოს, იგი იყვოფო]დ[ი]ს, რ(ომე)ლსა ჩ(უე)ნ ვერ მივიწინეთ. და შ(ემდგომა)დ მისსა,
[თუ მისსა ადგილსა ამითვე წესითა სხ(უა)ჲ მწ(იგნობარ)თუხ]უცესი იყოს, იგი იუ-
[რვოდის. და თჳთ ძუწლთა და აწინდელთა ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზთა კ(ე)ლნი] ვითარა[დ პქ]-
[ონან, არცა ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზისა ს(ა)ქმე არს მღჳმესა ზ(ედ)ა, არცა ვის სხჳსა] ეპ[ისკ(ო)პ(ო)სისა].



საბუთის დედნის მოღწეული ფრაგმენტის II ნახევარი.

ალმაშენებლის ანდერძისა შიომღვიმისადმი. ყველა მონაცემის მიხედვით ესენი სწორედ ის ფოტონეგატივებია, რომლებიც თავისი გამოცემისათვის შეუკვეთა 1895 წ. თ. ჟორდანიამ ა. როინაშვილს და რომლებიც თავისი გამოცემებისათვის გამოიყენა ს. კაკაბაძემ 1912 წელს დავით ალმაშენებლის ანდერძის გამოქვეყნებისას და იმავე წელს წიგნში — „შიომღვიმის სამი სიგელი“ — გიორგი II-ის 1073 წლის, თამარ მეფის 1195 წლის და გიორგი ლაშას 1211 წლის საბუთების გამოცემისას.



სურ. 3. დავით ალმაშენებლის ხელრთვა ანდერძზე შიომღვიმისადმი (პირველი სტრიქონი).



სურ. 4. დავით ალმაშენებლის ხელრთვა ანდერძზე შიომღვიმისადმი (პალეოგრაფიული ასლი).

დავით ალმაშენებლის ანდერძის მიკვლეული ნეგატივიდან შესაძლებელი შეიქნა დედნის ზომის ფოტოანაბეჭდების დამზადება, რაც, ფაქტობრივად, სამეცნიერო ინტერესებისათვის სავსებით სცვლის დედანს. მასზე დაყრდნობით მოხერხდა საბუთის კრიტიკული ტექსტის დადგენა, თანამედროვე სამეცნიერო მოთხოვნილებების შესაბამისად მისი გამართვა და იგი ამ სახით, ფოტოსურათების დართვით (მართალია, პოლიგრაფიული შეზღუდულობის გამო, ამჯერადაც შემცირებული, მაგრამ დედანთან მიახლოებული ზომით), უკვე ორჯერ გამოქვეყნდა[34].

სამწუხაროდ, ფოტონეგატივზე საბუთის მთლიანი ტექსტი არ აღმოჩნდა. როგორც ჩანს, იგი გადაღებული იყო მინის ორ ნეგატივზე და ჩვენამდე მოაღწია იმ ნეგატივმა, რომელზედაც ტექსტის მხოლოდ მეორე ნაწილი, დაახლოებით ორი მესამედია წარმოდგენილი. სამაგიეროდ, მასზე შემონახულია ტექსტის ის ნაწილი, რომელიც დავით ალმაშენებლის ხელით დაწერილ ბოლო სტრიქონს, მის ხელრთულობა-დამტკიცებასაც შეიცავს.

1989 წლის იანვარში, ხელნაწერთა ინსტიტუტში პირველადი აღრიცხვით

---

[34] *ვ. სილოგავა*, დავით ალმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (1123/1124), „მრავალთავი“, IX, თბ., 1981, გვ. 88-106, იქვე — ჩაკრული ტაბულა; ქისკ, I, № 8, გვ. 52-59, ტაბ. გვ. 189-192.



სურ. 5. დავით აღმაშენებლის დამტკიცება ანდერძზე შიომღვიმისადმი (ბოლო სტრიქონი).



სურ. 6. დავით აღმაშენებლის დამტკიცება ანდერძზე შიომღვიმისადმი (პალეოგრაფიული ასლი).

გატარებულ და ჯერ საბოლოოდ დაუმუშავებელი მასალის გადასინჯვისას, H-2398 ნომრით აღრიცხულ ფრაგმენტში, სხვადასხვა სახის მასალას შორის, აღმოჩნდა ძველი ქართული ისტორიული საბუთების დედნების ნაწყვეტების ასლები, რომლებიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1880 წელს გადმოულია ი. ახალშენაშვილს.

ი. ახალშენაშვილის მიერ მხედრული დამწერლობის ნიმუშებად გადმოღებულ მასალებში აღმოჩნდა, როგორც ამჟამადაც ცნობილ და ჩვენამდე მოღწეული საბუთების (მაგ. ბაგრატ IV-ის 1054-1072 წწ. სიგელი ოპიზარ და მიჯნაძოროელ მამებისადმი; 1189 წ. დაწერილი ჭიაბერ მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარისა შიომღვიმისადმი და სხვ.) ნაწყვეტების ასლები, ისე ისეთი საბუთებისა, რომლებმაც ჩვენამდე არ მოაღწიეს (მაგ., გიორგი II-ის 1073 წლის სიგელი შიომღვიმისადმი; ეს სიგელიც, როგორც ცნობილია, 1919 წელს დაიღუპა ჩრდ. კავკასიაში დავით აღმაშენებლის ანდერძთან ერთად. მისი ასევე მცირე ნაფლეთი ჩამოიტანა ს. კაკაბაძემ თბილისში, რომელიც ამჟამად დაცულია სცსა-ში, ფონდი 1448, 5343). მათ შორისაა XIII ს-ის შუა ხანების ერთი საბუთის ნაწყვეტიც (მეფის, კათალიკოსის და ქართლის მთავარეპისკოპოსის ხელრთვები), რომლის არც დედანმა, არც ტექსტის პირმა და არც ფოტომ არ მოაღწია ჩვენამდე. მისი ტექსტი ცნობილია მხოლოდ თ. ჟორდანიასეული გამოცემის მიხედვით. სამწუხაროდ, იგი ვერ მოხვდა „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის" I ტომში და რამდენადმე მივიწყებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში (დაწვრილებით ამ საბუთის შესახებ და მისი ტექსტის პუბლიკაცია იხ. აქვე, დამატება II).

მაგრამ, რაც ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ი. ახალშენაშვილს დავით აღმაშენებლის ანდერძიდან შიომღვიმისადმი, როგორც აღინიშნა, გადმოულია, როგორც ნუსხური ასოების ნიმუშები ანბანის რიგზე, ისე მეფის ხელით დაწერილი ორივე მხედრული სტრიქონის ასლი დედნის ზომაზე (სურ. 3-6). ეს ასლები მას გადმოულია ჯერ გასანთლული ქაღალდის ოთხ ფურცელზე, შემდეგ, აქედან ჩვეულებრივი თეთრი ქაღალდის ფურცელზე და ბოლოს თეთრი აბრეშუმის თხელ, ოდნავ გასანთლულ ქსოვილზე.

ასეთია ანდერძის დედნის თავგადასავალი და მისი შესწავლის ისტორიის ძირითადი ფაქტები.

თავი II
ანდერძის დათარიღება

ანდერძს თარიღი, თანამედროვე გაგებით, არ მოეპოვება. ტექსტის დასაწყისში მინიშნებულია მხოლოდ, რომ „*ჟამსა ჩემსა შარვანსა ზედა განმართვისასა შევევედრე შეწევნად ჩემდა, შესავედრებელსა ჩემსა, წმიდასა მამასა შიოს... და სახომან და განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა*“ (სტრქ. 1-5). ე.ი. ანდერძი დაიწერა შირვანს გალაშქრების წინო და ასეთი სახით მისი დაღარიღება იმ დროს (და შემდეგშიც) მიღებული დათარიღების ერთ-ერთ წესსაც წარმოადგენს — ერთი მოვლენის, ან ფაქტის დათარიღება მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენით.

ცხადია, სამეცნიერო ინტერესები ანდერძის თარიღის უფრო კონკრეტულად განსაზღვრას მოითხოვს და მისი ასეთი დათარიღება წარმოდგენილია ტექსტის პირველსავე პუბლიკაციაში, რომელიც თ. ჟორდანიამ განახორციელა 1895 წელს.

თ. ჟორდანიას მოსაზრებით, ანდერძი უნდა დათარიღდეს 1123 წლით, რადგან: 1. ანდერძში ტფილისი, რომელიც დავით აღმაშენებელმა 1122 წელს შემოიერთა, უკვე შემოერთებულად იგულისხმება. 2. ანდერძის ტექსტის დასაწყისში აღნიშნული ცნობა იმის შესახებ, რომ იგი დაიწერა დავით აღმაშენებლის შირვანში ლაშქრობის წინ, გულისხმობს 1123 წლის გაზაფხულის ლაშქრობას. თ. ჟორდანია იმასაც შენიშნავს, რომ, მართალია, შირვანში ლაშქრობას ადგილი ჰქონდა მომდევნო 1124 წელსაც, მაგრამ 1123 წლის ლაშქრობა სერიოზულად მომზადებული ჩანს, მასში მეფემ მიიწვია 50 000 ყივჩაღი მეომარი, მას ბრძოლა უხდებოდა შირვანის სამეფოსა და სელჯუკთა სულთნის გაერთიანებული ლაშქრის წინააღმდეგ, რაც მეფეში ერთგვარ შიშს იწვევდა და ეს შიში იგრძნობა ანდერძის ტექსტშიც, სადაც მეფე ეჭვს გამოთქვამს ამ ლაშქრობიდან ცოცხლად დაბრუნების შესაძლებლობის შესახებ. თანაც, 1124 წლის ლაშქრობის მიზანი ანისის შემოერთება იყო და მას შემდეგ რაც ეს ღონისძიება მოულოდნელად სწრაფად დამთავრდა, მეფემ მოაწყო ლაშქრობა, უფრო სწორად სამხედრო გასეირნება („военную прогулку“) შირვანის სამეფოზე[1].

---

[1] *Ф. Жордания*, Завещание царя Давида Возобновителя, данное Шио-Мгвимской лавре в 1123 г., Тифлис, 1895, с. 33-34. უფრო ადრე, 1881 წელს, დ. ფურცელაძემ ანდერძის თარიღად აღნიშნა 1125-1150 წწ დასაბუთების გარეშე (*Д.П. Пурцеладзе*, Грузинские церковные гуджари (грамоты), Тифлис, 1881, с. 94). თუ ქვედა თარიღი (1125) ასე თუ ისე გასაგებია, ზედა — 1150, კორექტურულ შეცდომადაც რომ ვიგულისხმოთ (ვთქვათ, 1130?), მაინც სრულებით გაუგებარია. ამ

ერთი შეხედვით, ეს ყველაფერი მართლაც ასეა ზოგიერთი დეტალის გამოკლებით; მაგ. 50000 ყივჩაღი დავით აღმაშენებლმა კი არ მოიწვია ბრძოლაში, არამედ ეს, ჯერ კიდევ 1120 წლიდან მის ხელქვეშ მყოფი ერთ-ერთი სამხედრო ძალა იყო; ან კიდევ, 1123 წლის ლაშქრობაც ისეთივე სერიოზული იყო, როგორც ნებისმიერი სხვა და მით უმეტეს დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებული სამხედრო ღონისძიება; ან კიდევ, მეფეს შიში კი არ ჰქონდა ამ ლაშქრობისა, რაც არსაიდან არ ჩანს, არამედ იგი, როგორც ღმრთისმოსავი ადამიანი, ყოველ საქმეში და მათ შორის ამ ომში, ღმრთის შეწევნაზეა მინდობილი, მის დახმარებას მოელის და აღნიშნავს "თუ ინებოს ღმერთმან ჩემი შემოქცევა", „უმჯობესი" (ალბათ, უფრო დაწვრილებითი და დეტალური) ანდერძი შევადგინო შიომღვიმის მონასტრისათვის, „თუ არა — ესე იყოს აწინდელი"-ო.

ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ზემოთაღნიშნული სხვა არგუმენტების მიხედვით თ. ჟორდანიასეული დათარიღება ანდერძისა 1123 წლით საყოველთაოდ იქნა მიღებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამავე თარიღს იზიარებდა ანდერძის ტექსტის ორი შემდგომი გამომცემელიც — ს. კაკაბაძე[2] და ი. დოლიძე[3]. პირველად განსხვავებული დათარიღება - 1123/1124 წწ. წარმოდგენილ იქნა ჩემს მიერ ანდერძის ტექსტის პუბლიკაციაში[4], ხოლო 1124 წლით მისი დათარიღება წარმოადგინა რ. მეტრეველმა[5] (ამ დათარიღებათა შესახებ დაწვრილოებით - ქვემოთ).

მართლაც, საბუთის შედგენის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია 1122 წელი, ტფილისის შემოერთება, რადგანაც ტექსტის მიხედვით, ანდერძის შედგენის დროისათვის იგი უკვე შემოერთებულია; კერძოდ, საბუთში ერთგან

თარიღმა ლიტერატურაში არა თუ ფეხი ვერ მოიკიდა, სხვაგან (რომელიმე პუბლიკაციაში) ასახვაც, თუნდაც კრიტიკული განხილვისათვის, ვერ ჰპოვა.

[2] *ს. კაკაბაძე,* ანდერძი დავით აღმაშენებლისა, შიო მღვიმისადმი დაწერილი, თბ., 1912, გვ.1

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. *ი. დოლიძემ,* თბ., 1965, გვ. 12. იგივე 1123 წ. აქვს აღნიშნული ანდერძის თარიღად ი. სურგულაძეს (იხ. *მისი,* ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, თბ., 1984, გვ.18). უფრო ადრე, თ. ჟორდანიას შემდეგ პირველმა ანდერძის თარიღად 1123 წ. აღნიშნა მ. ჯანაშვილმა — "Сигель на коже, данный Шиомгвимскому монастырю Давидом Агмашенебели в 1123 году" (*М.Г. Джанашвили,* "Картлис-Цховреба" - Жизнь Грузии, СМОМПК, вып. 35, Тифлис, 1905, с. 149. აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებლის ზედწოდების რუსული ფორმა - Агмашенебели (და არა შემდეგში დამკვიდრებული Возобновитель, ან Строитель) პირველად მ. ჯანაშვილმა აღნიშნა ჯერ კიდევ 1905 წ.).

[4] *ვ. სილოგავა,* დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (1123/1124), „მრავალთავი", IX, თბ., 1989, გვ. 91-94; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, IX-XIII სს. ისტორიული საბუთები, თბ., 1984, გვ. 12. იგივე თარიღი უფრო მისაღებად ჩათვალა ა. გოგოლაძემ (იხ. *მისი,* დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა), თბ., 2001, გვ. 24).

[5] *რ. მეტრეველი,* დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1986, გვ. 24-25. 1124 წელია ანდერძის თარიღად მიღებული ჩემ მიერ მომზადებული ტექსტის მესამე გამოცემაში (*ვ. სილოგავა,* დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი, ჟურნ. „ჯვარი ვაზისა", 1, 1989, გვ. 65-66) და ერთ სპეციალურ წერილში („მაცნე", ისტორიის... სერია, 3, 1989, გვ.52).

აღნიშნულია, რომ *„ქალაქს ტფილისს, რომელი სპარსთა ქონებასა ჰქონებია, და რომელი აწ უყიდია, და რომელი მე მომიჴსენებია, იგი და, ანუ წალმართ მოივონ იგიცა, ყუელაჲ უბაჟოდ და უსახაროდ ყოვლისა სასეფოჲსა გამოსავლისაგან ჰქონდეს*" მღვიმის მონასტერსო (სტრქ. 54-56).

მაგრამ ანდერძის დათარიღების ძირითადი საფუძველია მის დასაწყისში აღნიშნული ცნობა იმის შესახებ, რომ მეფემ შირვანში ლაშქრობისას (*„ჟამსა ჩემსა შარვანსა ზედა განმართვისასა*" - სტრქ.1) მოიხილა შიომღვიმის მონასტერი, მისი სურვილით ამ მონასტერში აგებული ღმრთისმშობლის ეკლესია, მიიღო ლოცვა-კურთხევა მონასტრის კრებულისაგან, შეევედრა შეწევნას წმ. შიოს და ბერმან არსენი უბრძანა ამ ანდერძის დაწერა. აქ არსებითია იმის გარკვევა თუ შირვანში რომელი ლაშქრობისას მოხდა ყოველივე ეს. დავით მეფის ისტორიკოსის ცნობით, დავით აღმაშენებლის დროს „შარვანსა ზედა განმართვას", ანუ გალაშქრებას ხუთჯერ ჰქონდა ადგილი. იგი ამ ლაშქრობებს შემდეგი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოგვცემს:

1. 1120 წ. „შვდეულსა პირმარხვასა დღესა აიღო შარვანს ქალაქი ყაბალა"[6].

2. 1120 წ. 7 მაისს „ჩავიდა შარვანს, არბია ლიჟათათ ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტალანთამდე"[7].

3. 1123 წ. ივნისს „კუალად წარვიდა შარვანს, აღიღო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა... მოირთო შარვანი და აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი"[8].

4. 1124 წ. აპრილს „დაესხნეს შაბურანს, დარუბანდელსა და მოსწყვდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი და აღიხუნეს შარვანისა ციხენი ღასანნი და ხოზაონდი და მიმდგონი მათი ქუეყანა"[9]. დავით აღმაშენებლის პირადი მონაწილეობა ამ ლაშქრობაში ტექსტიდან არ ჩანს.

5. 1124 წ. აგვისტოს ბოლოს, ანისის შემოერთების შემდეგ, „ანისისა მცველად დაუტევნეს აზნაურნი მესხნი, და წარმოვიდა ქართლად და მცირეთა დღეთა მოუსუენა სპათა თჳსთა"[10]. უშუალოდ ამის შემდეგ, როგორ ჩანს, 1124 წლის სექტემბერში, მას შემდეგ რაც „მცირეთა დღეთა მოუსუენა სპათა" (ე. ი. ცოტათი დაასვენა ლაშქარი), დავით აღმაშენებელი „წარემართა შარვანს, და აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი, სრულად ყოველი შარვანი და დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი, ჰერნი და კახნი"[11].

ეს არის დავით აღმაშენებლის მიერ მოწყობილი ყველაზე ფართო

---

[6] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 333:1 (ქვემოთ — ქართლის ცხოვრება, I); ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *მზექალა შანიძემ*, თბ., 1992, გვ. 187: 10-11 (ქვემოთ — ცხორებაჲ).

[7] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 339:3-4; ცხორებაჲ, გვ. 187: 13-14.

[8] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 344:7-9; ცხორებაჲ, 195: 16.

[9] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 344:11-13; ცხორებაჲ, 196: 4.

[10] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345:15-16; ცხორებაჲ, 197: 5-6.

მასშტაბის ლაშქრობა შარვანში, როდესაც მან „აღიღო... სრულად ყოველი შარვანი“, მათ შორის მისი მთავარი ქალაქი შამახია[12], ციხე-ქალაქებში ჩააყენა თავისი ლაშქარი და „განმგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა ბანდაურთა აჩინა მწიგნობართუხუცესი თჳსი სჳმონ, ჭყონდიდელი მთავარ-ეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი“[13]. სვიმონ ბედიელ-ალავერდელი ანდერძის ტექსტშიც არის დასახელებული (სტრქ. 123-124) — მისადმია „შევედრებული“ შიომღვიმის ლავრა, ყოველი საქმე და საურავი მონასტრისა მისი განსაგებელია („იგი იურვოდის“), მათ შორის ისეთიც, „რომელსა ჩუენ ვერ მივინინეთო“ — აღნიშნავს მეფე ანდერძის ტექსტში.

რომელი ლაშქრობის წინ არის დაწერილი ანდერძი?

ცხადია, 1120 წლის ორივე ლაშქრობა გამორიცხულია, რადგან, როგორც აღინიშნა, ანდერძის ტექსტის მიხედვით, მისი დაწერისა და ლაშქრობის დროისათვის თბილისი შემოერთებულია.

1124 წლის აპრილის ლაშქრობაში, როგორც აღინიშნა, დავით აღმაშენებლის პირადი მონაწილეობა მისი ისტორიკოსის თხზულების ტექსტიდან არ ჩანს.

1123 წლის და 1124 წლის სექტემბრის ლაშქრობებიდან, ანდერძის ტექსტის დასაწყისში, ვფიქრობთ, 1124 წლის ლაშქრობა უნდა ვივარაუდოთ. საქმე ისაა, რომ ამ ლაშქრობის დროს, რომელიც ყველა წინა ლაშქრობაზე ფართო მასშტაბისაა, შემოერთებული იქნა „სრულად ყოველი შარვანი“, მის ციხეებში ჩადგა საქართველოს სამეფოს ლაშქარი („პერნი და კახნი“), ამ ქვეყნის განმგებლად დაინიშნა ახალი პირი, საქართველოს სამეფოს პირველი ვაზირი — მწიგნობართუხუცესი, რომელიც, როგორც ჩანს, მეფეს თან ახლდა ლაშქრობის წინ შიომღვიმის ლავრაში — მისი მოხსენიება ანდერძის ტექსტში და მის განმგებლობაში გადაცემა ლავრისა, ცხადია, ამასაც გულისხმობს[14].

ამავე დროს, ანგარიშგასაწევია თ. ჟორდანიას მიერ 1123 წლის ლაშქრობის მიხედვით ანდერძის დათარიღების არგუმენტებიც. 1123 წელს დავით

---

[11] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345:16-18; ცხორებაჲ, 197: 7-9.

[12] შემახის (შაბურანთან ანუ შაბერან/შავერანთან ერთად) შირვანის ანუ შარვანის, როგორც მთავარი ქალაქის, ხოლო გვიან მისი დედაქალაქის შესახებ იხ.: *В.В. Бартольд*, Ширван (Статья из "Энциклопедии ислама"), Сочинения, т. 3, М., 1965, с. 371-573; აქ არაფერია ნათქვამი ერთ დროს შირვანის საქართველოსადმი დაქვემდებარებისა და საერთოდ საქართველო-შირვანის ურთიერთობათა შესახებ. XII ს-ის საქართველო-შირვანის ურთიერთობათა შესახებ იხ.: *В.Ф. Минорский*, История Ширвана и Дербенда X-XI веков, М., 1963, с.122 и след., *ნ. ასათიანი*, საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, კრ. „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები“, *შ. მესხიას* რედაქ., თსუ შრომები, ტ. 125, თბ., 1968, გვ. 25-54.

[13] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345:18-20; ცხორებაჲ, 197: 9-12.

[14] ამ დროს უნდა შეედგინა სვიმონ მწიგნობართუხუცეს-ბედიელ-ალავერდელს ის საბუთი, რომელიც შიომღვიმის მონასტრის ორგანიზაციულ სტრუქტურას აწესრიგებს — წინამძღვრის, მოძღვრისა და დეკანოზის უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. *ი. დოლიძემ*, თბ., 1970, გვ. 127-128, № 7; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 64-66, № 10; შდრ. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1, 1990, გვ. 119; იხ. აქვე, დამატება I).

აღმაშენებელმა, მართალია, დიდი ლაშქრით დალაშქრა შირვანი, მათ შორის 50000 ყივჩაღი მეომრის გამოყენებით („ყივჩაყნი ოდენ აღთუალულ იყვნეს მაშინ, და იყო შებმული კაცი ორმოცდაათი ათასი")[15], მაგრამ მას ბრძოლა დასჭირდა ამ ქვეყანაში შემოჭრილი სელჯუკთა სულტნის წინააღმდეგ, რომელსაც ფაქტიურად არც შებმია და რომელთანაც ბრძოლა არ გამართულა — იგი დავით მეფის ლაშქრის სიმრავლით შეშინებული „განკრთა, აიყარა ველთათ" და ჩაიკეტა ქალაქ შამახიის ციხეში[16]. ამის შემდეგ, როდესაც მის დასახმარებლად მისული რანის ათაბაგის აღსუნღულის ლაშქარი გაანადგურა დავით მეფის ჯარმა და ათაბაგი „იგი ოდენ მარტო მეოტი ძლით მივიდა სულტანსა წინაშე, იხილა რა ესე სულტანმან, მასვე ღამესა გაიპარა და სასდუნით მეოტი სხვთ გზით წარვიდა სოფლად თვსად"[17]. ეს მოხდა 1123 წლის მაისში, ხოლო ივნისში მეფეს კვლავ დასჭირდა შირვანზე გალაშქრება, იგი „კუალად წარვიდა შარვანს, აღიღო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა"[18].

მაგრამ 1123 წლის არც ერთი ამ ლაშქრობის დროს შარვანი საბოლოოდ და მთლიანად შემოერთებული არ ყოფილა. როგორც ჩანს, ეს ამ ლაშქრობების მიზანს არც შეადგენდა. ასეთი მიზანი 1124 წლის სექტემბრის ლაშქრობის წინაშე ჩანს დასახული, რაც განხორციელდა კიდეც იმ ღონისძიებების გატარებით, რომელთა შესახებაც ზემოთ აღინიშნა.

მართალი იყო თ. ჟორდანია, რომ 1124 წელს[19] (აგვისტოს 20-ის შემდეგ) მეფემ ანისი შემოიერთა, მაგრამ არ არის სწორი, რომ ამის შემდეგ შირვანში მოწყობილი ლაშქრობა მხოლოდ სამხედრო გასეირნება იყო — დავით აღმაშენებელს ანისის შემოერთების შემდეგ უშუალოდ და პირდაპირ შირვანში არ ულაშქრია; მისი ისტორიკოსის ცნობით, 23 აგვისტოს ანისის შემოერთების შემდეგ, როდესაც „ანისისა მცველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი", მეფე „წარმოვიდა ქართლად, და მცირეთა დღეთა მოუსუენა სპათა თვსთა, და მერმე წარემართა შარვანს"[20].

მაშასადამე, 1124 წელს ჩატარდა სამი ლაშქრობა: პირველი — შირვანში, მაისის თვეში; მეორე — ანისში, აგვისტოში და მესამე — ისევ შირვანში, სექტემბერში. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ დროს, როდესაც მეფე ქართლში იმყოფებოდა და შირვანს ლაშქრობის წინ ჯარს ასვენებდა, მან მოინახულა შიომღვიმის მონასტერიც და შეადგინა თავისი ანდერძი ამ მონასტრისადმი[21].

ანდერძის თარიღად 1124 წლის სექტემბერ-ოქტომბერს მიიჩნევს რ. მე-

---

[15] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 343:7-8; ცხორებაჲ, გვ. 194: 6-8.
[16] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 343:9-10; ცხორებაჲ, გვ. 194:10-11.
[17] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 344:1-4; ცხორებაჲ, გვ. 195: 10-12.
[18] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 344:7-8; ცხორებაჲ, გვ. 195: 15-16.
[19] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 344:20; ცხორებაჲ, გვ. 196: 14.
[20] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345:15-1; ცხორებაჲ, გვ. 197: 5-7.
[21] ანდერძის ტექსტის წინა პუბლიკაციაში („მრავალთავი", IX, 1980; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, №8) აღნიშნულია, რომ 1123 და 1124 წწ ლაშქრობები „ერთნაირად შეიძლება მივიჩნიოთ ანდერძის დაწერის თარიღად", მაგრამ, როგორც ჩანს, 1124 წლის მეორე ლაშქრობის წინ უნდა იყოს ანდერძი დაწერილი.

ტრეველი მასში დასახელებული სვიმონ ბედიელ-ალავერდელის მწიგნობართუხუცესად და, სავარაუდოდ, ჭყონდიდლადაც ყოფნის მიხედვით[22]. მაგრამ, არსად, არცერთ წყაროში აღნიშნული არ არის, რომ სვიმონ ბედიელ-ალავერდელი ანდერძის შედგენის დროისათვის ჭყონდიდელიც იყო. პირიქით, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს სვიმონის შესახებ, რომ „განმგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა (შირვანისათა — ვ. ს.) აჩინა მწიგნობართუხუცესი თჳსი სჳმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი"[23]. ისტორიკოსის ეს სიტყვები მხოლოდ ასე შეიძლება გავიგოთ: სვიმონი ჭყონდიდელია იმ დროს, როდესაც ისტორიკოსი ამ სიტყვებს წერს, ხოლო ბედიელ-ალავერდელი და მწიგნობართუხუცესი იყო მაშინ, როდესაც დავით მეფემ შარვანს „განმგებელად და ზედამხედველად... აჩინა"[24].

როგორც ჩანს, სურათი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: 1118 წელს, გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის გარდაცვალების შემდეგ, მწიგნობართუხუცესობა დავით აღმაშენებელმა მისცა გიორგის დისწულს სვიმონს, რომელიც იმ დროს ბედიელ-ალავერდელი იყო. ამის გამო ჭყონდიდლობა ერთ ხანს დაშორებული აღმოჩნდა მწიგნობართუხუცესობისაგან (როგორც ამას მიიჩნევდა ნ. ბერძენიშვილი[25]) და არა დავით მეფისათვის არასასურველი კანდიდატის მიერ მისი მიტაცების გამო. სხვათა შორის, ამასაც მიიჩნევდა ნ. ბერძენიშვილი და თავდაპირველად რ. მეტრეველი[26], მაგრამ შემდეგ მან თვალსაზრისი შეიცვალა[27].

ასეთი რამ — მეფის არასასურველი კანდიდატის მიერ უპირატესი სამღვდელმთავრო კათედრის მიტაცება დავით აღმაშენებლის მეფობის დროისათვის, თუნდაც იურიდიული თვალსაზრისით — 1104 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შემდეგ, გამორიცხული იყო[28]. როგორც ჩანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ დავით აღმაშენებლისათვის მთავარი და მნიშვნელოვანი იყო მწიგნობართუხუცესობა ჰქონოდა შეერთებული მაღალი რანგის მღვდელმთავარს და ამით გაეწია კონტროლი საეკლესიო ცხოვრებისათვის და არა პირიქით — მაღალი რანგის საეკლესიო ხელისუფლება ყოფილიყო შეერთებული მწიგნობართუხუცესობასთან.

მოგვიანებით, როდესაც ჭყონდიდელობა გამოთავისუფლდა იგი გადაეცა

---

22 *რ. მეტრეველი*, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1986, გვ. 24-25.

23 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345: 20; ცხორებაჲ, გვ. 197: 9-12.

24 *ი. ანთელავა*, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს., თბ., 1983, გვ. 107-108.

25 *ნ. ბერძენიშვილი*, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, იხ. მისი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, თბ., 1966, გვ. 11.

26 *რ. მეტრეველი*, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 51

27 *რ. მეტრეველი*, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII საუკუნე), თბ., 1973, გვ. 249-250; *მისივე*, დავით IV აღმაშენებელი, გვ. 24-25; ამის შესახებ შდრ. *ი. ანთელავა*, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 107.

28 *ი. ანთელავა*, დასახ. ნაშრომი, გვ. 107-108

სვიმონ მწიგნობართუხუცეს ბედიელ-ალავერდელს[29], როგორც ამას უეჭველს ჰყოფს უბისის სვეტის 1141 წლის წარწერა[30], თუმცა, მასში იგი მხოლოდ ჭყონდიდელად იხსენიება, ბედიელ-ალავერდელობის გარეშე, მაგრამ ეს არ შეიძლება მის მიერ ბედიელ-ალავერდელობის დატოვების და მხოლოდ ჭყონდიდლობის მიღების საფუძვლად მივიჩნიოთ, რადგან ამ წარწერაში სვიმონი მწიგნობართუხუცესადაც არ იხსენიება, რაც მას, ყველა მონაცემების მიხედვით (დავით მეფის ისტორიკოსის ცნობა[31]), უეჭველად ჰქონდა.

ამდენად, რ. მეტრეველის თავისთავად სწორი შეხედულების — ანდერძის 1124 წლით დათარიღების საფუძვლად სვიმონ მწიგნობართუხუცესის ამ ანდერძის ტექსტში ბედიელ-ალავერდელობასთან ერთად ჭყონდიდლადაც ყოფნის ვარაუდი არ გამოდგება, რადგან ანდერძის ტექსტის შედგენის დროისათვის ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია. პირიქით, ის არ იყო ამ დროს ჭყონდიდელი და ამას ხაზგასმით აღნიშნავს დავით მეფის ისტორიკოსი და არაორაზროვნად არის მინიშნებული ამის შესახებ ანდერძის ტექსტშიც — სვიმონი რომ ჭყონდიდელი ყოფილიყო ეს ანდერძშიც იქნებოდა აღნიშნული.

ერთი სიტყვით, ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმის მონასტრისადმი, ანდერძის ტექსტისა და დავით მეფის ისტორიკოსის თხზულების მონაცემებზე დაყრდნობით, თარიღდება 1124 წლის სექტემბრით[32].

---

[29] იქვე, გვ. 108.

[30] ქართული წარწერების კორპუსი, ტ. II, დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX-XIII სს), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა *ვ. სილოგავამ*, თბ., 1980, №163.

[31] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345:20; ცხორებაი, გვ. 197: 9-12.

[32] ანდერძი, ადრიდანვე ცნობილი ძველი არგუმენტების მოხმობით, კვლავ 1123 წლის მაისის წინა დროით დაათარიღა ა. ბოგვერაძემ (იხ. *მისი*, როდის დაიწერა შიომღვიმისადმი დავით აღმაშენებლის ანდერძი?, „საისტორიო მოამბე", 71-72, თბ., 1998-1999, გვ. 55-61).

თავი III

ანდერძის ტექსტის დადგენასთან დაკავშირებული საკითხები

ანდერძის ტექსტის გამომცემელთა და შემსწავლელთა შორის არის სხვადასხვა მოსაზრება ცალკეული ადგილების წაკითხვასთან ან ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. ზოგჯერ, და უმეტეს შემთხვევაში, ეს განსხვავებები არ სცილდება ორთოგრაფიული ნორმების ფარგლებს და ისინი განპირობებულია იმ მოთხოვნების დონით, რომლებიც წაეყენებოდა ტექსტების გამოცემას მათი შესრულების დროს. მაგრამ, არის ისეთი განსხვავებებიც, რომლებიც გამოწვეულია ტექსტის არასწორად წაკითხვით, ზოგჯერ ქარაგმის არასწორად გახსნით და სხვ. ცხადია, ყველა კითხვასხვაობის (განსაკუთრებით ორთოგრაფიულის) შესახებ მსჯელობის გამართვა აუცილებელი არ არის, მით უმეტეს, რომ ისინი აღრიცხულია ტექსტის ორი გამოცემის სქოლიოებში („მრავალთავი", IX და ქისკ, I). მაგრამ ზოგიერთი აზრობრივშინაარსობრივი განსხვავება ანდერძის ტექსტის გამოცემებს შორის მაინც უნდა აღინიშნოს.

ამავე დროს, დედანი, რომელიც წითელი მელნით ყოფილა დაწერილი, თავიდან ბოლომდე (სულ რამდენიმე სიტყვის გამოკლებით) გაცხოველებულია, ზემოდან ასო-ასო გადაწერილია შავი მელნით. ეს, ტექსტის ზემოდან ხელმეორედ დაწერა, ანდერძის შედგენის თანადროულია — „შავად" ტექსტი დაიწერა წითელი მელნით და შემდეგ „გადათეთრდა" შავი მელნით. როგორც ჩანს, ზოგჯერ მთლად ზუსტად ვერ მოხდა ასოს ასოზე დამთხვევა და ამის გამო ზედმეტი ასო ან ასონაკლებობა შეიმჩნევა. რაც იშვიათად, მაგრამ ტექსტის განსხვავებულ გააზრებასაც იწვევს.

დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი პირველად გამოსცა თ. ჟორდანიამ 1895 წელს. ეს არის რუსულ ენაზე გამოცემული მცირე ზომის წიგნი, რომელშიც დაბეჭდილია ანდერძის ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე გამომცემლის ტექსტოლოგიური შენიშვნებით და მოკლე ისტორიული კომენტარებით[1].

ძველი ტექსტის ყოველ ან თითქმის ყოველ პირველ პუბლიკაციას, მით უმეტეს, ისეთი ვრცელი და რთული ტექსტისა, როგორიც დავით აღმაშენებლის ეს ანდერძია, გარკვეული ხარვეზები მუდამ ახლავს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ანდერძის ტექსტის პირველი გამოცემიდან დღემდე, საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, შეიცვალა ის მოთხოვნები, რომლებიც ასეთ პუბლიკაციებს წაეყენება, დაიხვეწა გამოცემის წესები, მეთოდები,

[1] *Ф. Жордания*, Завещание царя Давида Возобновителя, данное Шио-Мгвимской лавре в 1123 г., Тифлис, 1895.

ტექნიკური ხერხები და საშუალებები.

ამდენად, დავით აღმაშენებლის ანდერძის ამ გამოცემის ხარვეზებზე ყურადღების გამახვილება, მათი საგანგებოდ გამოყოფა და მათ გარშემო მსჯელობის გამართვა, მისი შეფასება თანამედროვე მოთხოვნებისა და სადღეისოდ ამ საკითხის გარშემო დაგროვებული ცოდნის პოზიციებიდან, ვფიქრობ, გაუმართლებელია და უსამართლოც იქნებოდა. მთავარია, რომ იმ წელს, საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ჩვენი წარსულის ერთ-ერთი შესანიშნავი წერილობითი ძეგლი, საქართველოს ისტორიის მრავალმხრივ გამორჩეული და მდიდარი საისტორიო ცნობების შემცველი წყარო და შემოვიდა იმ დროის მოთხოვნების მიხედვით გამართული და შესაბამის მეცნიერულ დონეზე შესრულებული[2].

მომდევნო, 1896 წელს ანდერძის ტექსტი, უკვე მხოლოდ ქართულ ენაზე, თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა შიომღვიმის მონასტრის საბუთების მის მიერ გამოსაცემად მომზადებულ კრებულში[3]. უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ არის აბსოლუტურად იდენტური იმ ტექსტისა, რომელიც მან ერთი წლით ადრე გამოსცა ზემოდასახელებულ წიგნში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ამ გამოცემების ზოგიერთი ნაკლი მაინც უნდა აღინიშნოს, რადგან თ. ჟორდანიას, როგორც ერთ-ერთი შესანიშნავი პალეოგრაფის ავტორიტეტის წყალობით, დიდხანს გაჰყვა შემდეგ ამ ტექსტს და გადადიოდა გამოცემიდან გამოცემაში.

ზოგიერთ მათგანზე მიუთითა ჯერ კიდევ ს. კაკაბაძემ 1912 წელს და აღნიშნა სწორედ პრინციპული მნიშვნელობის შეცდომები და არა, ვთქვათ, ორთოგრაფიული ხასიათის კითხვასხვაობები.

1. „ძმა" და არა „ძე".

ს. კაკაბაძის შენიშვნით, „თ. ჟორდანიას გამოცემაში (იგულისხმება ანდერძის ტექსტის ორივე გამოცემა — ვ.ს.) ორიოდე სიტყვა გამოშვებულია და, გარდა ამისა, ერთი მძიმე შეცდომაა დაშვებული. მოდისტოს დასახელებულია ძაგანის ძედ, მაშინ როდესაც დედანში ძმა იკითხვის. გარდა ამისა, თავში მხედრულით დაწერილი რამდენიმე სიტყვა თ. ჟორდანიას ვერ წაუკითხავს"[4].

მართალია, საბუთის დედანში მოდისტოსი ძაგანის ძმად არის დასახელებული და არა ძედ, როგორც ეს თ. ჟორდანიას მიერ გამოცემულ ორივე ტექსტშია, მაგრამ უცნაური ის არის, რომ რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში თ.

---

[2] პირველი ბეჭდური ცნობა ანდერძის შესახებ გამოქვეყნდა გაცილებით ადრე, 1845 წ. (*П. Иоселиани*, Описание Шиомгвимской пустыны в Грузии, Тифлис, 1845, с. 51-52). ხოლო ტექსტის დაწვრილებითი შინაარსი რუსულ ენაზე გამოაქვეყნა დ. ფურცელაძემ 1881 წელს (*Пурцеладзе Д.П.*, Грузинские церковные гуджари (грамоты), Тифлис, 1881, с. 94-96). ანდერძის შესწავლის შესახებ იხ. აქვე, თავი I.

[3] *თ. ჟორდანია*, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი" ვაჰხანის ქვაბთა, ტფ., 1896, გვ. 15-19.

[4] ანდერძი დავით აღმაშენებლისა, შიომღვიმისათვის დაწერილი. ტექსტი გამოსცა *სარგის კაკაბაძემან*, ტფ., 1912, გვ.1

ჟორდანია მოდისტოსს ძაგანის ძმად მოიხსენიებს[5].

2. „ბრძანებითა", „ნებითა", თუ „თავსმდებობითა".

თ. ჟორდანიას მიერ გამოცემული ორივე ტექსტის პირველი წინადადება (დავით აღმაშენებლის ხელით მხედრულით დაწერილი სტრიქონი) განსხვავებულია. ამ სტრიქონის წაკითხვა და მისი საბოლოოდ გამართვა ცალკე საკითხია და მასზე შედარებით დაწვრილებით შევჩერდები.

ანდერძის ტექსტის 1895 წლის გამოცემაში თ. ჟორდანიას ეს წინადადება ასე აქვს წაკითხული: „ბრძანებითა ღ~თისაითა შედაის შეწყის (?)", რომელსაც რუსულ თარგმანში ("[Во]лею Божиею...") გაკეთებული აქვს შენიშვნა: Непрочитанные или, вернее, непонятные нам слова суть: შედაის შეწყის(?). Может быть, эти слова еврейские или арабские"[6].

1896 წლის მისსავე გამოცემაში ამ წინადადების პირველი სიტყვა წაკითხულია, როგორც „[ნე]ბითა"[7], ხოლო დანარჩენი ნაწილი ისეა წარმოდგენილი, როგორც პირველ გამოცემაში, ოღონდ, დამატებით, ქარაგმა „ღ~თისაითა" გახსნილია —„ღვთისაითა". ამავე დროს, შენიშვნა წაუკითხავი, თუ უფრო სწორად, გაუგებარი სიტყვების სადაურობის შესახებ მოხსნილია — იქ აღნიშნულია მხოლოდ შემდეგი: „რას ნიშნავს „შედაის შეწყის" ჩვენ არ ვიცით".

1912 წელს ს. კაკაბაძემ გამოსცა ანდერძის ტექსტი ხუცური შრიფტით და ერთ გვერდზე არქეოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის შენიშვნებით. ამ გამოცემას ქვემოთ ცალკე დავუბრუნდები, ხოლო აქ აღვნიშნავ, რომ ანდერძის ტექსტის მხედრულით დაწერილი სტრიქონები მას მხედრული შრიფტითვე აქვს გამოქვეყნებული. პირველ წინადადებას იგი ასე კითხულობს: „[ქ. დიდ~]-ბითა ღთსაითა მე დთ მაწვიეს". პირველი სიტყვის ფრჩხილებში ჩასმული ნაწილის ბოლო ასოს („დ") დართული აქვს შენიშვნა: „აქ სიგელი მოხეულია, მაგრამ ასო დ-ს თავი გარკვევით ჩანს"[8].

1924 წელს ანდერძის ტექსტის პირველი წინადადების მეორე ნახევრის წაკითხვას საგანგებო წერილი უძღვნა ა. შანიძემ (იგი მას მოხსენებად წაუკითხავს „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების" სხდომაზე 1923 წლის 29 აპრილს), რომელშიც გადმოსცა საკითხის ზემოთწარმოდგენილი ისტორია და რაც მთავარია, დაასკვნა შემდეგი: „მე ვფიქრობ, რომ სადავო სიტყვები ასე იკითხება: **მე დ~თს მიწყიეს**, რაიცა ნიშნავს, რომ მე დ ა ვ ი თ ს დამიწყია ამ

[5] *Жордания Ф.*, Завещание, с. 3 (ორგზის), 4. თუმცა, ერთ შემთხვევაში თ. ჟორდანია მოდისტოსს ტექსტის შესავალშიც ძაგანის ძედ („его сын") ასახელებს (გვ.1). ძაგანის ძედ არის იგი დასახელებული ორგზის ტექსტის რუსულ თარგმანში (გვ.17). ამის შესახებ უკვე აღინიშნა ჩვენს ისტორიოგრაფიაში: *რ. მეტრეველი*, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1986, გვ.100.

[6] *Жордания Ф.*, Завещание, с. 15, прим.17.

[7] *თ. ჟორდანია*, ისტორიული საბუთები, გვ. 15.

[8] ანდერძი დავით აღმაშენებლისა, გვ. 5.

ანდერძის წერაო და იგივე დავითი აბოლოვებს მას"[9].

შემდგომში იგი ამ აზრს ასე ავითარებს: „მაშასადამე, აქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ ანდერძი დავით აღმაშენებლის მიერ არის დაწყებული მხედრულად, მერმე ხუცურად არის განგრძობილი მწიგნობრის მიერ და შემდეგ დავითის მიერვეა გათავებული და დამტკიცებული მხედრულად. აქედან ჩანს, რომ დავით აღმაშენებელს არ ემარჯვებოდა ხუცური წერა და ჩვეულებრივ მას მხედრული ასოებით გამოჰყავდა ხოლმე თავისი აზრი"[10].

ანდერძის პირველი წინადადების წაკითხვის ისტორიის შესახებ შემდეგიც უნდა აღინიშნოს:

1924 წელსვე, აკ. შანიძის ამ წერილის შესახებ ბიბლიოგრაფიული შენიშვნა გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ, რომელშიც იგი კვლავ დაუბრუნდა ტექსტის დასაწყისის სიტყვების მისეულ წაკითხვას (1912) და აღნიშნა, „რომ დეფექტიან ნაწილში, შესასწორებლად თავის დროზე ჩვენს მიერ გამოთქმული წაკითხვისა, უნდა იკითხებოდეს პალეოგრაფიულ კოპიოში შერჩენილი ხაზების მიხედვით, [ბ~]ბთა, ან [ნე]ბითა. მთელი დასაწყისი მაშასადამე იკითხებოდა ამგვარად (დედანი ეხლა უკვე დაკარგულია): [ბ~]ბითა ღ~თისაითა მე დ~თს მიწყიეს. პირველი სიტყვის მაგივრად აქ შეიძლება იყოს აგრეთვე — [ნე]ბითა"[11].

მაგრამ ს. კაკაბაძის ამ კატეგორიული შენიშვნის საწინააღმდეგოდ ასევე გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ ანდერძის ტექსტის შესახებ არსებული დოკუმენტური მასალის (ფოტო, პალეოგრაფიული ასლები) მიხედვით, აშკარაა, რომ ს. კაკაბაძის თავდაპირველი, 1912 წლის პუბლიკაციაში გამოთქმული თვალსაზრისი ანდერძის ტექსტის პირველი წინადადების პირველი სიტყვის წაკითხვისა ბევრად უფრო სწორი იყო და ჭეშმარიტებასთან მიახლოებული. ამ პუბლიკაციაში საეჭვოა და, როგორც ჩანს, არ არის სწორი მისეული წაკითხვა პირველი სიტყვისა „[დიდ~]ბითა", ე. ი. „დიდებითა", მაგრამ აბსოლუტურად სწორია შენიშვნა იმის შესახებ, რომ „აქ სიგელი მოხეულია, მაგრამ ასო დ-ს თავი გარკვევით ჩანს"[12].

ტექსტში დ-ს თავი ს. კაკაბაძის მიერ გამოცემული ანდერძის დედნის ძალზე შემცირებული ფოტოს ამ ადგილის გადიდების დროსაც გარკვევით გამოჩნდა 1973 წელს, როდესაც ანდერძის ტექსტი მზადდებოდა „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში" გამოსაცემად (აქვე, სურ. 3). დ-ს თავის არსებობა დაზიანებულ ადგილას კიდევ უფრო უეჭველი გახადა ი. ახალშენაშვილის მიერ 1880 წელს ანდერძის ტექსტის ამ წინადადების დედნის ზომაზე გადმოღებულმა პალეოგრაფიულმა ასლმა, რომელიც მიკვლეულ იქნა 1989 წელს (აქვე, სურ. 4). მაშასადამე, წაკითხვა ასოთა კომპლექსისა „დ~ბთა„ ან-

---

[9] ა. *შანიძე*, დავით აღმაშენებლის მიერ შიო მღვიმისათვის დაწერილი ანდერძის დასაწყისი სიტყვები, „ჩვენი მეცნიერება", №8, 1924, გვ. 48.

[10] იქვე.

[11] საისტორიო მოამბე, წ. I, ტფ., 1924, გვ.292.

[12] ანდერძი დავით აღმაშენებლისა, გვ. 5.

დერძის ტექსტის პირველი სიტყვის მეორე ნაწილში ამჟამად ეჭვს არ იწვევს.

ახლა, რაც შეეხება ამ სიტყვის პირველი ნაწილის წაკითხვას.

ცხადია, ზემოთ მიღებული დასკვნის შემდეგ ამ სიტყვის წაკითხვა, როგორც „ბრძანებითა", ან „ნებითა" (თ. ჟორდანია, ს. კაკაბაძე) უნდა გამოირიცხოს, ხოლო ს. კაკაბაძისეული თავდაპირველი წაკითხვა (დიდებითა"), რადგან მას სხვა წერილობით ძეგლებში ანალოგია არ მოეპოვება და კონტექსტითაც მიუღებელი ჩანს, საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს[13].

ვფიქრობ, ქართული ისტორიული საბუთების შესავალ ნაწილში მიღებული ფორმულების („თავსმდებობითა და შეწევნითა ღმრთისაითა", ან „თავსდებითა და შეწევნითა", რომელიმე წმინდანისა — იხ. ქისკ, I, გვ. 226 — ტერმინთა და საგანთა საძიებელი) ანალოგიით, დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტის პირველი სიტყვა უნდა აღდგეს როგორც „თავსდებითა" ან „თავსმდებობითა". ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაში, თუ მის დაქარაგმებით გადმოცემას ვივარაუდებთ, რაც ფოტოზე გარკვევით აღბეჭდილი ქარაგმის გრძელი განივი ხაზის მიხედვით სწორედ ასეა, თუმცა, ი. ახალშენაშვილისეულ ასლზე ეს ხაზი წარმოდგენილი არ არის. მაშასადამე ანდერძის ტექსტის პირველი წინადადება მთლიანად შეიძლება ასე გაიმართოს: **„[ქ. თავს მ] დებობითა ღმრთისაითა, მე, დავითს, მიწყიეს".**

3. „მტკიცედ აქციე" თუ „დაამტკიცე, მტკიცედა უქციე".

თ. ჟორდანიასეულ ორივე გამოცემაში საბუთის ტექსტის ბოლო სტრიქონი, დაწერილი დავით აღმაშენებლის მიერ, წარმოდგენილია ასე: „სიმტკიცეო ყოველთაო, ღმერთო, მტკიცე მტკიცედ აქციე". აქ, როგორც ვხედავთ, „დაამტკიცე"-ს ნაცვლად წაკითხულია „მტკიცე", ხოლო „უქციე"-ს ნაცვლად „აქციე". მიუხედავად იმისა, რომ თ. ჟორდანიასეული გამოცემის ეს უზუსტობები გასწორებულია ჯერ კიდევ ს. კაკაბაძესთან (1912), ისინი ი. დოლიძემ (1965) კვლავ თ. ჟორდანიასეული წაკითხვებით წარმოადგინა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, გარდა თ. ჟორდანიას, როგორც პალეოგრაფის ავტორიტეტისა, გავლენა იქონია იმანაც, რომ ი. დოლიძის ვარაუდით ს. კაკაბაძის გამოცემას, თითქოს, დართული აქვს საბუთის XVII ს-ის პირის ფოტო[14], და მაშასადამე, ტექსტიც ს. კაკაბაძეს ამის მიხედვით უნდა ჰქონდეს გამოცემული. სინამდვილეში, ს. კაკაბაძის გამოცემისადმი დართული ფოტო საბუთის დედნის ფოტოა, ტექსტიც მას საბუთის დედნის მიხედვით აქვს გამოცემული. მისი წაკითხვის სისწორე სავსებით დაადასტურა 1973 წელს მიკვლეულმა

[13] ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ წაკითხვის შესაძლებლობაც დასაშვებია, რადგან არ არის გამორიცხული, რომ დავით აღმაშენებელს ღვთის სადიდებელი მოხსენიებით დაეწყო თავისი ანდერძის ტექსტი: „ქ. დიდებითა ღმრთისაითა, მე, დავითს, მიწყიეს". ის რომ მსგავსი ფორმულით არ იწყება სხვა წერილობითი ძეგლები, არ შეიძლება საწინააღმდეგო თვალსაზრისისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყოს — თვით ეს საბუთი ხომ მრავალმხრივ არაორდინალური წერილობითი ძეგლია.

[14] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. *ი. დოლიძემ*, თბ., 1965, გვ. 592.

საბუთის დედნის ფოტოპირმა და 1989 წელს მიკვლეულმა პირველი და ბოლო სტრიქონების პალეოგრაფიულმა ასლებმა, ხოლო ეს მასალა ი. დოლიძისათვის მის მიერ ტექსტის გამოსაცემად მომზადების დროს (1965), ცხადია, უცნობი იყო.

ანდერძის დავით აღმაშენებლისეული დამტკიცება-ხელრთვის ბოლო ორი სიტყვის განსხვავებული წაკითხვა გამოაქვეყნა ზ. ჭუმბურიძემ[15]: „მტკიცე და უქცევი". ასეთი სახით ტექსტი, მართალია, გრამატიკულად და ენობრივად სავსებით გამართულია, მაგრამ დედანში წერია „მტკიცედა უქციე", როგორც ეს წარმოდგენელია ტექსტის ყველა, მათ შორის უშუალოდ დედანზე დამყარებულ გამოცემებში (მართალია, ამ გამოცემებში ეს ადგილი წაკითხულია, როგორც „მტკიცე მტკიცედ აქციე", მაგრამ „და უქცევი" მათთან არ იკითხება) და როგორც ეს ეჭვმიუტანლად დასტურდება საბუთის დედნის 1973 წელს მიკვლეულ ფოტოზე (იხ. აქვე,სურ. 5) და 1880 წელს საბუთის ტექსტის ამ ადგილის ი. ახალშენაშვილის მიერ გადმოღებულ პალეოგრაფიულ ასლზე (იხ. აქვე,სურ. 6).

მთლიანად, ანდერძის ტექსტის ბოლო სტრიქონი, დაწერილი მხედრულით, დავით აღმაშენებლის ხელით, ასე იკითხება: **„ქ. სიმტკიცეო ყ(ოვე)ლთაო ღ(მერ)თო, დაამტკიცე, მტკიცედა უქციე"** (ქისკ, I, გვ.59, სტრქ. 165).

დავით აღმაშენებლის ხელრთვის ფორმულა („დაამტკიცე, მტკიცედა უქციე") პარალელურ მასალად მოჰყავს აკად. *ს. ყაუხჩიშვილს* ათონის ქართველთა მონასტრის 1015 წლის ერთ-ერთი ბერძნული აქტის სარეგისტრაციო მინაწერისათვის, რომელიც თავის მხრივ დათარიღებულია 1027 წლით[16].

4. „პური — ხილი ფურნისაჲ".

ანდერძში ერთგან აღნიშნულია: „საზრდელი ძმათა პური, ხილი ფურნისაჲ, ხუთასისა დრამისა წონი, ნუმცა ოდეს მოაკლდების" (სტრქ. 66-67). თ. ჟორდანიას მოსაზრებით აქ „ხილი ფურნისაჲ" გამხმარ ხილს, ჩირს აღნიშნავს და იგი ანდერძის ამ ადგილს ასე თარგმნის: „Пища для иноков: хлеб и фрукты сушеные весом 500 драм, пусть всегда выдается"[17]. ხოლო იქვე სქოლიოში აღნიშნავს: „ხილი ფურნისა — фрукты (высушенные в) печи"[18].

ს. კაკაბაძისეული გამოცემა ტექსტისა, როგორც აღინიშნა, ნუსხური შრიფტითაა შესრულებული თანამედროვე პუნქტუაციური ნიშნების გარეშე და ამიტომ არ ჩანს, თუ როგორ ესმოდა გამომცემელს ტექსტის ეს ადგილი, ხოლო ი. დოლიძისეულ გამოცემაში „ხილი ფურნისაჲ" წარმოდგენილია

---

[15] *ზ. ჭუმბურიძე*, დავით აღმაშენებლის ანდერძი, კრ. „მწიგნობარი, 91-92", თბ., 1992, გვ. 113, 116.

[16] გეორგიკა, 8, თბ., 1970, გვ. 217, შენ. სქ. 1. ამ მინაწერის გამართული ტექსტის პუბლიკაცია: Actes d'Iriron, I, Paris, 1985, p. 216.

[17] *Жордания Ф.*, Завещание, с. 22.

[18] იქვე, შენ. 49.

„პურის" განმარტებად, რაც სათანადო პუნქტუაციური ნიშნებით არის აღნიშნული: „საზრდელი ძმათა — პური, ხილი ფურნისაჲ"[19] და ა. შ.

ი. ჯავახიშვილს „ქართულ ნუმიზმატიკაში", წონის აღმნიშვნელ ერთეულ „დრამასთან" დაკავშირებული საკითხების განხილვისას, მოჰყავს დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტის ეს ადგილი საკუთარი კონიექტურით „პური [ც]ხობილი ფურნისაჲ ხუთასისა დრამისა წონი ნუმცა უდეს მოაკლდების"[20]. როგორც ჩანს, პურის, როგორც „ხილი ფურნისაჲ" განმარტება მას შეცდომად ჩაუთვლია და ტექსტს ასწორებს ზემოთ წარმოდგენილი სახით. ანდერძის დედანს ამ ადგილას ტექსტის გადაკეთების, დაზიანების ან სხვა რაიმე კვალი არ ეტყობა (ყოველ შემთხვევაში, დედნის ფოტოზე ტექსტის ეს ადგილი გარკვევით იკითხება) და, ამდენად, წაკითხვა „ხილი ფურნისაჲ" ეჭვს არ იწვევს.

როგორც ჩანს, ტექსტის ეს ადგილი ისე უნდა გავიაზროთ, როგორც ეს ი. დოლიძისეულ გამოცემაშია წარმოდგენილი: პური არის ფურნის ხილი, მისი „ნაყოფი" და მონასტრის ძმობას იგი ხუთასი დრამის წონისა მიეცემოდა.

ამავე დროს, ისიც ცნობილია, რომ ჩირს თონეშიც ამზადებდნენ. ეს სულ ბოლო დროის ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება[21]. აქედან გამომდინარე, თ. ჟორდანიასეული გააზრება ტექსტის ამ ადგილისა თითქოს გარკვეულ საფუძველს არ არის მოკლებული. და მაინც, რითი არის გამოწვეული, რომ ანდერძის ტექსტში „პურს" დასჭირდა საგანგებო განმარტება?

ტექსტის თ. ჟორდანიასეულ გაგებას ხელს უშლის თვით ტექსტის მონაცემი — თუ პური და ფურნის ხილი სხვადასხვა „საზრდელის" აღმნიშვნელია, მაშინ „ხუთასი დრამის წონი" რომელი მათგანი უნდა იყოს? თითოეული სახეობის „საზრდელის" ოდენობა ხომ ცალ-ცალკე იქნებოდა აღნიშნული. მაშასადამე, ამ ფორმალური გარემოების მიხედვითაც, „ხილი ფურნისაჲ" პურის განმარტებად უნდა მივიჩნიოთ და არა საზრდელის სხვა სახეობად.

„პურის" ცალკე განმარტება ანდერძის ტექსტში იმითაც უნდა იყოს გამოწვეული, რომ იგი ძველ ქართულში (გარდა თანამედროვე მნიშვნელობისა) „სადილს", „წვეულებას", „ლხინს" აღნიშნავდა[22]. ამიტომაც, ანდერძის

[19] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 14.

[20] *ი. ჯავახიშვილი*, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925, გვ. 70, თხზ. ტ. IX, თბ., 1996, გვ. 603; ტ. XII, თბ., 1998, გვ. 293; გარდა ამისა, საბუთის ტექსტის ამ ადგილის სისწორეში ი. ჯავახიშვილი ადრევე დაეჭვებულა და ტექსტის ს. კაკაბაძისეული გამოცემის მის კუთვნილ ცალში, რომელიც ამჟამად კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება, წიგნის აშიაზე, სიტყვა „ხილი"-ს გასწვრივ კითხვის ნიშანი დაუსვამს.

[21] მაგ. *ლეღვისა* და *ატმის* ჩირის თონეში გამოცხობით თუ გამოშრობით დამზადების შესანიშნავი წესებია ჩაწერილი 1930-იან წლებში კახეთში (იხ. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. აკად. *ი. ჯავახიშვილის* საერთო რედაქციით. ტ. III, ნაწ. II, საჭმელ-სასმელი, თბ., 1986, გვ. 12-14).

„სადილს“, „წვეულებას“, „ლხინს“ აღნიშნავდა[22]. ამიტომაც, ანდერძის ტექსტში, როგორც საბუთში, მეტი სიცხადისათვის კონკრეტულად არის აღნიშნული, რომ აქ იგულისხმება „პური“, როგორც საზრდელი, როგორც „ფურნის ხილი“, ფურნეში დამზადებული[23].

5. „ბროლისა ბაზიჯისა ფეშხუემი“.

მართალია, ი. ჯავახიშვილს არ გამოუქვეყნებია თავისი დაკვირვებანი ანდერძის ტექსტის ცალკეული ადგილების წაკითხვასა და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით (გარდა იმ ერთისა, რომლის შესახებ ზემოთ აღინიშნა), მაგრამ ეს დაკვირვებები ასახულია ანდერძის ტექსტის ს. კაკაბაძისეული გამოცემის მისი კუთვნილი ცალის აშიებზე. წიგნის ეს ცალი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამჟამად ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ი. ჯავახიშვილის კაბინეტში (№ 355). რადგან ეს დაკვირვებები მეტად საინტერესოა და არსებითი მნიშვნელობისა, ხოლო ზოგიერთი მათგანი შემდეგი კვლევით მიღებული და დადასტურებული სხვათა მიერ, მათი ერთი ნაწილის აქ წარმოდგენა საჭიროდ მივიჩნიე.

ანდერძის ტექსტში ერთგან აღნიშნულია: „ბროლის, ბაზიჯისა და მინისა კანდლები, რომელი მე მომიჴსენებია და რომელი არსენის დაუდგამს, ნუმცაჲ ვის უკადრებია გამოღებაჲ“ (სტრქ. 62-63). საბუთის პირველ გამოცემაში (თ. ჟორდანია) „ბროლისა“ და „ბაზიჯის“ გამოყოფილია მძიმით, და მაშასადამე, ეს სიტყვები გაგებულია, როგორც სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული კანდელების აღმნიშვნელი ტერმინები. ასე მეორდება საბუთის ეს ადგილი ყველა შემდგომ გამოცემაში.

უფრო მეტი, თ. ჟორდანია ანდერძის ტექსტის ამ ადგილს ასე თარგმნის: “Пожертвованные мною хрустальные, базиджевые („ბაზიჯისა“) и стеклянные люстры“ და ა. შ.[24] ხოლო სქოლიოში აღნიშნავს: „Значение слова ბაზიჯი (базиджи) мне неизвестно. Вероятно, базиджи есть ценный металл, из которого на Востоке делали разные дорогие сосуды“[25].

„ბაზიჯი“ ანდერძის ტექსტში კიდევ ერთხელ გვხვდება: „ბროლისა ბარძიმი და ბაზიჯისა ფეშხუჱმი სიწმიდისა განახლებისა სამსახურად მოიჴმარებოდის“ (სტრქ. 83-84). თ. ჟორდანია ამ ადგილს ასე თარგმნის: „Хрустальную чашу и дискос из базиджи назначаю на употребление во время обновления

---

[22] *ი. აბულაძე,* ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, გვ. 343. ამ თვალსაზრისით საინტერესოა იქვე მოტანილი ამ სიტყვის შემცველი სხვა ტერმინების განმარტება: „პურად მისრული – სტუმარი“, „პურის დამზადება – წვეულების გამართვა“, „პურის უფალი – მასპინძელი“ და სხვ.

[23] ვფიქრობ, საინტერესოა ი. ჯავახიშვილის შენიშვნა „500 დრამის წონის“ პურთან დაკავშირებით, რომელიც მას გაუკეთებია საბუთის ს. კაკაბაძისეული გამოცემის მისი კუთვნილი ცალის აშიაზე: „პური 500 დრამის წონი. თუ 1 დრამა=3,411 გრამს, 500 დრამა – 1705,5 გრამს“., დრამის ოდენობის განსაზღვრა იხ.: *ი. ჯავახიშვილი,* ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, გვ. 107.

[24] *Жордания Ф.*, Завещание, с. 21.

даров“[26]. მაშასადამე, აქაც „ბაზიჯი“ გაგებულია როგორც გარკვეული მასალის აღმნიშვნელი ტერმინი.

საბუთის ტექსტის ორივე ადგილისათვის ი. ჯავახიშვილს საგანგებო ყურადღება მიუქცევია. პირველ შემთხვევასთან დაკავშირებით მას ს. კაკაბაძისეული გამოცემის აშიაზე მიუწერია შემდეგი შენიშვნა: „ბროლისა ბაზიჯისა უ͞ს თხელი, ნაზი, წმინდა, სათუთი“. მაშასადამე, აქ „ბაზიჯი“ გაგებულია, როგორც ბროლის ხარისხის, მისი ღირსებების განმსაზღვრელი ტერმინი, ე. ი. მეფეს მონასტრისათვის შეუწირავს ბაზიჯი ბროლის, ანუ წმინდა, სუფთა და სათუთი ბროლის და მინის კანდელები. აქედან გამომდინარე, ტექსტის გამოცემებში ეს ორი სიტყვა („ბროლისა“ და „ბაზიჯისა“) მძიმით არ უნდა გაიყოს.

საბუთის ტექსტში ამ სიტყვის („ბაზიჯი“) მეორე გამოყენების ადგილას ი. ჯავახიშვილი შენიშნავს შემდეგს: „ბაზიჯისა. ბროლისა სასანთლენი, ბროლისა ბარძიმი და ბაზიჯისა ფეშხუემი, აქედან ჩანს, რომ ბაზიჯი ბროლი არ იყო“. ეს განმარტება რამდენადმე წინააღმდეგობაშია ამ სიტყვის იმ განმარტებასთან, რომელიც მას პირველ შენიშვნაში ჰქონდა წარმოდგენილი: იქ „ბაზიჯი“ განმარტებულია ბროლის დასახასიათებლად, ხოლო აქ აღნიშნულია, რომ „ბაზიჯი ბროლი არ იყო“. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, უპირატესობა მაინც პირველ ინტერპრეტაციას უნდა მიეკუთვნოს, რადგანაც „ბაზიჯი“ ი. ჯავახიშვილისავე მიგნებით და განმარტებით, ზედსართავი სახელია, საგნის, მასალის დამახასიათებელი, მისი თვისებების განმსაზღვრელი ტერმინი და არა ამ მასალის აღმნიშვნელი სიტყვა. აქედან გამომდინარე, საბუთის ტექსტის მეორე ადგილას აღნიშნული „ბროლისა ბარძიმი და ბაზიჯისა ფეშხუემი“ უნდა გავიგოთ, როგორც ბროლის ბარძიმი, ერთი მხრივ, და ბაზიჯი ბროლის ფეშხუემი, მეორე მხრივ, ან წმინდა, ნაზი, სათუთი მასალისაგან დამზადებული ფეშხუმი.

ბარძიმი და ფეშხუმი, ჩვეულებრივ, ერთი მასალისაგან მზადდებოდა. ამიტომ, ბარძიმი თუ ბროლისა იყო, მისი ფეშხუმიც ბროლის იქნებოდა; ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, უფრო თხელი, ნაზი და სათუთი ბროლისა ყოფილა. ს.ს. ორბელიანის განმარტებით, „ბარძიმი — ფერჴიანი მაღალი (ფერჴმაღალი) სასმისია“[27], ხოლო „ფეშხუმი — თეფში“. ორივე ეკლესიის „სიწმიდის სამსახურებელია“ და ერთად იხმარება ზიარების შემზადების დროს. ეს ორი ნივთი იმდენად განუყოფელია, რომ მათ ხშირად ერთი საერთო სახელით, შეერთებული ტერმინით — „ბარძიმ-ფეშხუმით“ მოიხსენიებენ. ასეა ეს საღმრთო ლიტურგიის უძველეს, იაკობის ჟამისწირვაში: „ხოლო რაჟამს აღიხმიდენ დიაკონნი ბარძიმფეშხუმთა

---

[25] იქვე, შენ. 47.

[26] იქვე, გვ. 23.

[27] *ს.ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძის და ა. შანიძის რედაქციით,* ტფ., 1928, გვ. 36, 354; *სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ილია აბულაძის* გამოც., I, თბ., 1991, გვ. 96; II, თბ., 1993, გვ. 190.

ზიარებად ერისა, თქუას დიაკონმან"[28] და ა. შ.

6. „ფიალა საზედაშე" თუ „ფიალა ზედაშე".

ი. ჯავახიშვილს ყურადღება მიუქცევია ანდერძის ტექსტის ერთი ადგილისათვის, სადაც გამოცემების მიხედვით წერია „ერთი ფილას საზედაშე". მთლიანი სახით ეს ადგილი თ. ჟორდანიასეულ გამოცემაში (და ყველა შემდგომ გამოცემაში, თვით, „კორპუსის" გამოცემის ჩათვლით) ასეა წარმოდგენილი: „ოდეს მუხრანს ვიყვნეთ, წმიდისა შიოჲს ხატსა შეგვამთხვენენ, სამი სეფისკუჱრი, ერთი ფილას საზედაშე და ფარჩითა კაპარი გვევლოგიონ" (სტრქ. 131-132). ი. ჯავახიშვილს წიგნის აშიაზე მიწერილ შენიშვნაში სიტყვა „ფილას" შესწორებული აქვს — „ფიალა საზედაშე". უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიტყვა ასევე ჰქონდა გააზრებული უკვე თ. ჟორდანიას ტექსტის პირველსავე გამოცემაში, როგორც ეს ანდერძის ტექსტის ამ ადგილის მისივე რუსული თარგმანიდან ჩანს: „Когда мы будем в Мухрани, то пусть (мгвимские иноки) доставят нам икону св. Шио для поклонения и поднесут мне три просфоры, одну чашу вина, назначенного для св. евхаристии (საზედაშე) и в кувшине (ფარჩასა, კორექ. შეცდომაა — უნდა იყოს „ფარჩითა", ვ.ს.) капорцы (კაპარი)[29]". მაშასადამე, ქართული ტექსტის „ფილა" აქ თარგმნილია, როგორც „чаша". მიუხედავად ამისა, ეს „ფილა", უფრო ზუსტად „ფილას", ასევე დარჩა ტექსტის ყველა შემდგომ გამოცემაში. მისი პირველი შესწორება განუხორციელებია ი. ჯავახიშვილს, რომელიც, სამწუხაროდ, აქამდე გამოუქვეყნებელი დარჩა.

ი. ჯავახიშვილის (რაც გასაგებია) და თ. ჟორდანიას დაუსახელებლად ეს სიტყვა („ფილას") ასევე („ფიალა") განმარტა და ანდერძის ტექსტის შესაბამისი ადგილი, არსებულ გამოცემებთან შედარებით, ჩაასწორა ამ მიზნით სპეციალურად დაწერილ წერილში დ. მეგრელაძემ[30]. ლექსიკონების მოხმობით იგი განმარტავს „ფარჩის" და „კაპარს" და ფაქტობრივად ღებულობს იმავე დასკვნებს, რომლებიც თ. ჟორდანიას ჰქონდა წარმოდგენილი 100 წლის წინათ საბუთის ტექსტის პირველსავე გამოცემაში[31].

---

[28] *Tarchnisvili M.*, Liturgiae Ibericae antiquiores, CSCO, vol. 122, Louvanii , 1950, p. 62.

[29] *Жордания Ф.*, Завещание, с. 21.

[30] *დ. მეგრელაძე*, დავით აღმაშენებლის ანდერძის ერთი ადგილის გარკვევისათვის, „მაცნე", ისტორიის... სერია, 3, 1989, გვ.46-50.

[31] დ. მეგრელაძის შენიშვნით, „სამწუხაროდ, „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში", საძიებელში 248 გვერდზე სიტყვა „ფარჩის" ნაცვლად გატანილია „ფარჩა", რაც არაა სწორი" (იქვე, გვ. 50, შენ. 24). ავტორს ისიც უნდა შეენიშნა, რომ „ფარჩი" სავსებით სწორადაა გატანილი საბუთის ტექსტის ცალკე პუბლიკაციის საძიებელში („მრავალთავი", IX, გვ. 104) და აქედან ცხადია, რომ „კორპუსის" „ფარჩა" კორექტურული შეცდომაა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ, როგორც თვითონვე აღნიშნავს (იქვე, გვ. 49), არც ძველ ლექსიკოგრაფებში ყოფილა ერთსულოვნება ამ სიტყვის დაწერილობასთან დაკავშირებით; კერძოდ, ს.ს. ორბელიანი ამ სიტყვას წერს „ფარჩი" ფორმით (*ს.ს. ორბელიანი*, ქართული ლექსიკონი, გვ. 355), ხოლო ეყრდნობა რა მის განმარტებას, ნ.

რაც შეეხება საბუთის ტექსტის ამ ადგილს, დ. მეგრელაძის დასკვნით, იგი ასე უნდა გაიმართოს: „ერთი ფი[ა]ლა <ს> საზედაშე". ვფიქრობ ეს ჩასწორება შეიძლება კიდევ უფრო დაზუსტდეს და ამ ადგილას ტექსტის გამართვის სხვა ვარიანტიც იქნეს წარმოდგენილი.

როგორც აღინიშნა, ანდერძის ტექსტში ამ ადგილას წერია: „ოდეს მუხრანს ვიყვნეთ, წმიდისა შიოჲს ხატსა შეგვამთხვვნენ, სამი სეფისკუჱრი, ერთი ფილას საზედაშე და ფარჩითა კაპარი გვევლოგიონ" (სტრქ. 131-132). აშკარაა, რომ ტექსტის ზემოდან გადაწერის დროს მწერალმა ამ ადგილას შეცდომა დაუშვა, იგი ზუსტად ვერ დაამთხვია სინგურით ნაწერ თავდაპირველ ტექსტს. კერძოდ, სიტყვაში „გვევლოგიონ" მას ჱ გამორჩენია და იგი ჩაუმატებია სტრიქონს ზემოდან. დ. მეგრელაძე ამ ადგილას სიტყვაში „ფიალა" ა-ს დამწერის მიერ გამოტოვებულად, ხოლო მის მომდევნო ს-ს მის მიერვე ზედმეტად დაწერილად მიიჩნევს. ამიტომ, მისი აზრით, აქ ტექსტში აღნიშნული იყო, ან უნდა იყოს „ერთი ფიალა საზედაშეს" შესახებ.

მაგრამ, როგორც ცნობილია, შესაწირავ ღვინოს, რომლის ერთი ფიალა ამ შემთხვევაში მეფისათვის უნდა მიერთმიათ (სეფისკუერთან და კაპართან ერთად), ეწოდება „ზედაშე"[32], და არა „საზედაშე". საზედაშე შეიძლება იყო საკუთრივ ფიალა, ქვევრი, დოქი, ყულაზანი[33], წუმწუმა[34], როგორც XVI ს-ში შედგენილ ერთ საბუთშია აღნიშნული ან, ბოლოსდაბოლოს, საზედაშედ შეიძლება გამოყოფილიყო ვენახი[35]. არსებობდა ტერმინი „მეზედაშე", რომელიც „ზედაშეთ მნეს" ნიშნავდა. საზედაშე ფიალას მეფეს, ცხადია, არავინ მიართმევდა. სულ სხვა საქმეა ფიალა ზედაშის მირთმევა, რაც ასევე იქნებოდა ანდერძის ტექსტში აღნიშნული.

ამიტომ, სიტყვაში „საზედაშე" მარცვალი „სა" წინა სიტყვას უნდა მივაკუთვნოთ და ტექსტის ამ ადგილის ჩასწორების ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება ასეც წარმოვიდგინოთ: „ერთი ფიალისსა ზედაშე". ენობრივად, ცხადია, უფრო გამართული იქნებოდა „ერთი[სა] ფიალისა[36] ზედაშე", ან

ჩუბინაშვილი მიმართავს ფორმას „ფარჩა" (*ნ. ჩუბინაშვილი*, ლექსიკონი ქართული, თბ., 1961, გვ.392), თუ აქ კვლავ კორექტურულ შეცდომასთან არ გვაქვს საქმე.

[32] *ს.ს. ორბელიანი*, ქართული ლექსიკონი, გვ. 128.

[33] იქვე, გვ. 288, 387 – ს.ს. ორბელიანის განმარტებით ეს იგივე „ფიალაა".

[34] ასე, მაგალითად, „ერთი წუმწუმა საზედაშე" მღვდელ-მონაზონ შილას მიერ გოლგოთისათვის შეწირული ერთ-ერთი ნივთია ვერცხლის ერთ ბარძიმთან, ორ თეფშთან, ერთ კოვზთან, ერთ კაბარსა და ერთ სატფურთან და კიდევ სპილენძის რამდენიმე ნივთთან ერთად; იხ. XVI ს-ის მინაწერი საბუთი 1155 წლის გოლგოთის სვინაქსარზე (ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 1661, 3v).

[35] იხ. ვანისქვაბთა მონასტრის XV ს-ით დათარიღებული ერთი საბუთი, მიწერილი ვანისქვაბთა განგების ხელნაწერზე (H 399) – *თ. ჟორდანია*, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 49.

[36] ტექსტში რომ „ფიალისა"-ს ნაცვლად „ფიალისსა" წერია, ეს საბუთის გადამთეთრებლის შედარებით წვრილმან შეცდომათა ჯგუფს მიეკუთვნება. ტექსტში ასეთი შეცდომები სხვაც არის: მაგ., „მონაზტერსა" (სტრქ. 86), მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევებში (იხ. სტრქ. 34, 37, 52, 70, 78, 112, 113, 136, 137) ყოველთვის სწორი ფორმა – „მონასტერია" წარმოდგენილი; ან კიდევ – „სიცბილედ" (სტრქ. 19), უნდა იყოს „სიცბილად", „მოლექენ" (სტრქ. 46), უნდა იყოს „მოლექონ", „გამიჩენენიან"

„ერთი[თა] ფიალი[თა] ზედაშე“, მაგრამ, ცხადია, უნდა დავეყრდნოთ ტექსტის მონაცემებს. ხოლო ამ მონაცემების მიხედვით, ანდერძის ეს ადგილი მთლიანად შეიძლება ასე გაიმართოს: **„ოდეს მუხრანს ვიყვნეთ, წ(მიდ)ისა შიოჲს ხ(ა)ტსა შეგვამთხჳვნენ, სამი სეფისკუჵრი, ერთი ფი(ა)ლისსა ზედაშე და ფარჩითა კაპარი გვევლოგიონ“.**

ქ-მა დარეჯან მეგრელაძემ ანდერძის ტექსტის კიდევ ერთი ადგილის მისეული კონიექტურა წარმოადგინა. იგი თვლის, რომ ტექსტის 113-ე სტრიქონის შუაში, სიტყვა „სოფლის“ წინ, უნდა ჩაემატოს სიტყვა „საუკუნო“, რადგან „სოფლის“ ერთ-ერთი სახე სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით ყოფილა „საუკუნო იგი სოფელი“[37]. ამიტომ, ტექსტის ეს ადგილი ასე უნდა წავიკითხოთ: „მონასტერისა რაცა იყო მთასა: ციხე, მარანი, ანუ მატური, - [საუკუნო] იგი სოფელი“. გარდა იმისა, რომ აქ პუნქტუაციის ნიშნები არაა სწორად დასმული — მარანი ციხის სახელია, ხოლო მატური სოფლისა (იხ. ქვემოთ, 9), როგორ უნდა გავიგოთ ამ ჩამატების წინ საბუთის ტექსტში აღნიშნული სოფლის კონკრეტული სახელი მატური? ამაზე ავტორი არაფერს წერს, ხოლო მისეული ჩამატებით გამოდის, რომ მატური ყოფილა „საუკუნო იგი სოფელი“. სინამდვილეში, ანდერძის ტექსტში, ყოველგვარი მისტიკურ-ფილოსოფიური მედიტაციურობის გარეშე, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია იურიდიული დოკუმენტებისათვის, ხოლო დავით აღმაშენებლის ანდერძი სწორედ ასეთი ძეგლია, მითითებულია სავსებით კონკრეტული ობიექტები — ძაგანის მიერ ძალით დაკავებული შიომღვიმის კუთვნილი ადგილები: მთასა ციხე მარანი, სოფელი მატური და საკუთრივ მონასტერი, რომელიც „ციხედ და სადგომად ჰქონდეს თვთ“. ამიტომ, ეს ჩამატება ხელოვნურია, ტექსტის სწორ გააზრებას არაფერს მატებს — პირიქით, აბუნდოვნებს და ზედმეტია.

7. **„გარდააქცინა“** და არა **„გარნა“** ან **„გარდა“**.

ანდერძის ტექსტში არის ერთი ბუნდოვანი ადგილი, რომელიც მკვლევართა და გამომცემელთა მიერ სხვადასხვაგვარად არის ჩასწორებული და, მაშასადამე, გააზრებული, კერძოდ, ტექსტში აღნიშნულია ("კორპუსის" გამოცემის მიხედვით): „ან ძაგანმან სადგო[მად] საებისკოპოსონიცაჲ უდიდესნი გარნა სამთავროდ. თჳთ ადრითგან მამობასა ენერა-ყე საებისკოპოსოდ და მცხეთისა საქონებელნი მრავალნი დაემჭირნეს და წილკანი საყდრისა" (სტრქ. 109-112). აშკარაა, რომ ტექსტი ამ ადგილას გამართული არ არის, განსაკუთრებით, მის

(სტრქ. 65), უნდა იყოს „გამიჩენიან“ და სხვ. ამავე რიგის შეცდომებს მიეკუთვნება ჲ-ს უადგილო დასმა სიტყვებში: „დაემჭუაჲ“, „კათალიკოზისათაჲ“, „მთავართაჲ“, „დაუდგაჲმს“, „ნუმცაჲ“, „შემსგავსებულაჲდ“, „ებოძაჲ“, „სხუათაცაჲ“ და სხვ. (იხ. შესაბამისად სტრქ. 27, 47, 51, 63, 68, 108); ორიოდე შემთხვევაში სიტყვის გამოტოვება ტექსტში, რომლის აღდგენა აზრობრივად აუცილებელია: „არა“ (სტრქ. 121), „მოასუენოს“ (სტრქ. 132).

[37] *დ. მეგრელაძე*, ერთი ტერმინის განმარტებისათვის დავით აღმაშენებლის 1123 წ. ანდერძიდან მღვიმის მონასტრისადმი, კრ. „ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი“. საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2000, გვ. 56-57.

დასაწყის ნაწილში. ამის მიზეზია, როგორც ჩანს, ის, რომ დედანი ამ ადგილას არასწორად გაუცხოველებიათ, როგორც ამას შენიშნავს თ. ჟორდანია[38]. მისი მოსაზრებით, ნაცვლად სიტყვისა „გარნა“ აქ შესაძლებელია თავდაპირველად ეწერა „გარდა“, მაგრამ დედნის ფოტოასლზე ამ ადგილას უეჭველად იკითხება „გ~რნა“, რაც, ცხადია, ტექსტის სხვაგვარად დადგენას მოითხოვს[39].

ი. ჯავახიშვილს ყურადღება მიუქცევია ტექსტის ამ ადგილისთვისაც და წიგნის აშიაზე მას მიუწერია „გ~რნა = გარდააქცინა“-ს; მაშასადამე, ამ წაკითხვით, ტექსტის ეს ადგილი ასე გაიმართება: „აწ ძაგანმან სადგო[მად] საებისკოპოსონიცაჲ უდიდესნი გარდააქცინა სამთავროდ“, რაც სავსებით სწორი და მისაღები ჩანს.

ამავე წინადადებაში, როგორც ვხედავთ, ბოლონაკლულია და გამოცემაში აღდგენილია სიტყვა „სადგომად“. ეს სიტყვა ამ სახით, სრულად და დაზიანების აღნიშვნის გარეშე, წარმოდგენილია თ. ჟორდანიასა და ს. კაკაბაძისეულ გამოცემებში (ბუნებრივია, ასევეა იგი მომდევნო გამოცემებშიც). მაგრამ, საბუთის დედნის ფოტოასლზე სიტყვის ბოლო გადასულია, ისე, რომ შეუძლებელია დანამდვილებით თქმა იმისა, თუ რა ეწერა ამ ადგილას. ვფიქრობ, უფრო ზუსტი უნდა იყოს აქ აღდგენა სიტყვისა „სადგო[მნი]“, რასაც ტექსტში მეტი გარკვეულობა შეაქვს. ცხადია, როგორც ამას თ. ჟორდანიაც შენიშნავს, „тут разумеются церковные вотчины этих кафедр, а не самые кафедры“[40].

8. „**მამაობასა**“ თუ „**მამულობისა**“.

ასევე ჩასწორებას და განმარტებას მოითხოვს ტექსტის მომდევნო ფრაზა „თჳთ ადრითგან მამობასა ეწერა-ყე საებისკოპოსოდ“ (სტრქ. 110-111). ნაცვლად სიტყვისა „მამაობასა“ თ. ჟორდანიასეულ გამოცემაში აღნიშნულია „მ~მაობისა“, რაც რუსული თარგმანის მიხედვით, მის მიერ გააზრებულია, როგორც „при жизни отца моего“, ან „в царствование отца моего“[41]. ს. კაკაბაძის მიერ ნუსხური შრიფტით გამოცემულ ტექსტში აქ იკითხება „მ~მლობისა“; მის გასწვრივ წიგნის აშიაზე ი. ჯავახიშვილს მიუწერია „მამულობა“; „მ~მლობისა“ იკითხება საბუთის ფოტოპირზე, თუმცა, აშკარაა, რომ დედანი ამ ადგილას გაცხოველებულია.

როგორც აღინიშნა, სულ ბოლო დრომდე მიღებული იყო ამ ადგილას ტექსტში „მამაობასა“-ს წაკითხვა, მაგრამ, როგორც დღეს არსებული მასალებიდან ჩანს, „მამულობისა“[42], ან „მამულობისა[დ]“ უნდა წავიკითხოთ.

მაშასადამე, საბუთის ეს ადგილი მთლიანად ასე შეიძლება გაიმართოს:

---

[38] *Жордания Ф.*, Завещание, с. 13, прим 5.

[39] მართლაც, „გარნა“-ს, რომელიც კავშირია და აღნიშნავს: მხოლოდ, მაგრამ, არამედ (ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 91), ტექსტში გაუგებრობა შეაქვს.

[40] *Жордания Ф.*, Завещание, с. 27, прим. 77.

[41] იქვე, შენ. 78.

[42] შდრ. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 3, 1989, გვ. 62.

„აწ ძაგანმან სადგო[მნი] საებისკოპოსონიცაჲ, უდიდესნი, გარდააქცინა სამთავროდ; თჳთ ადრითგან მამულობისა[დ] ეწერა-ყე, საებისკოპოსოდ", ე. ი. ძაგანმა საებისკოპოსო სადგომნი, ანუ საკუთრებანი, უდიდესნი, ადრიდანვე რომ საეპისკოპოსო სამამულედ ეწერა (მიკუთვნებული იყო სათანადო საბუთებით), სამთავროდ, ანუ თავის საკუთრებად გადააქცია.

ტექსტის ამ მონაკვეთში ყურადღებას იქცევს საბუთის დამწერის მიერ -ყე ნაწილაკის გამოყენება („ეწერა-ყე"). ეს არის დიალექტური ფორმანტის წერილობითი ფიქსირების უადრესი შემთხვევა. ფორმანტი -ყე დასტურდება XIV ს-ის ერთ სვანურ საბუთშიც — დაწერილი არიშ ღვაჩელიანისა კალის ჴევისადმი. საგანგებოდ ამ მიზნისათვის გათლილ ხის ორ ჯოხზე დაწერილ ამ საბუთში იგი ოთხჯერ გვხვდება: „რაიცა საზეზეოდ გირჯობდეს-ყე, საზეზეოდ ვიჭიროდეთ და რაიცა საქვექვეოდა გირჯობდეს-ყე, საქვექვეოდა ვიჭიროდეთ"; ცოტა უფრო ქვემოთ, ტექსტის ბოლოს ნათქვამია: „სად საურავი გირჯობდეს-ყე ვიურვოთ. სად შველა გირჯობდესა-ყე, გიშველოთ"[43]. როგორც ვხედავთ, ოთხივე შემთხვევაში აქ იგი დასტურდება ზმნა „გირჯობდეს"-თან კომპლექსში.

მიჩნეულია, რომ -ყე ფორმანტი, ქართული ენის მთის კილოებისათვის, კერძოდ, რაჭულისა და ზემოიმერულისთვისაა დამახასიათებელი[44]. როგორც ვნახეთ, იგი დადასტურდა ზემო სვანეთის ქართულენოვან წერილობით ძეგლშიც.

დადგენილია, რომ -ყე ფორმანტით აღინიშნება „გრამატიკული ობიექტების, აგრეთვე რეალური სუბიექტის მრავლობითობა"[45]. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძში „ეწერა-ყე" აღნიშნავს ძაგანის მიერ მრავალი საებისკოპოსო მამულის დაჭერის, მისაკუთრების ფაქტს.

ამასთანავე, ტექსტში ამ ფორმანტის გამოყენება თვით ანდერძის ტექსტის ჩვენთვის უცნობი შემდგენელი, თუ გადამთეთრებელ-გამაცხოველებელი მწერლის წარმომავლობის მაჩვენებლადაც შეიძლება გამოდგეს. სამაგიეროდ, ცნობილია სვანური საბუთის დამწერი — *ივანე გოშქოთელიანი*, რომელიც, ცხადია, სვანია და სვანეთის მკვიდრი (საბუთს კალაში წერს), მაგრამ ქართული წერა-კითხვის მცოდნე და ქართული განათლების მქონე, რომელსაც თავის ნაწერში დიალექტიკური ფორმაც შეურევია[46].

---

[43] სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I, ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო *ვ. სილოგავამ*, თბ., 1986, გვ. 224, № 147.

[44] *გ. ჯორბენაძე*, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 429-431, 474; *შ. ძიძიგური*, რაჭული დიალექტი, „ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი", თბ., 1970.

[45] *ბ. ჯორბენაძე*, დასახ. ნაშრომი, გვ. 429.

[46] ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ვეფხისტყაოსნის -ყე ნაწილაკიანი ფორმები: „რა ისარნი დაელივნის, მონანიყე მიართმიდეს", „მკურნალნი და დასტაქარნი წამალსაყე მოგიტანდეს" (*შოთა რუსთველი*, ვეფხისტყაოსანი, თბ., „მეცნიერება", 1988, სტრფ. 75, 3; 524,2); ან, პირველივე სიტყვები გივი თუმანიშვილის ეპიტაფიისა ვახტანგ VI-ზე, რომელიც, თურმე, შამბიანის (თრიალეთი) წყაროზედ წერია: „მე, უმცირესმან ძმათაგან, ვახტანგ-ყე სახელდებული, II ოთხ წელ

9. მარანი — ციხე ზედაზნის ქედზე.

საბუთის ტექსტის ყველა გამოცემაში „მარანი" გაგებულია, როგორც ღვინის შესანახი ადგილი და ამის შესაბამისად არის დასმული პუნქტუაციის ნიშნები: „მონასტრისა რაცა იყო, მთასა ციხე, მარანი, ანუ მატური იგი სოფელი" (სტრქ. 112-113); თ. ჟორდანიას თარგმანით: „Находящиеся на горе крепость, винный погреб, принадлежащие церкви и монастырю..."[47].

ტექსტის ამ ადგილის გასწვრივ, წიგნის აშიაზე, ი. ჯავახიშვილს მიუწერია: „მცხეთისა საქონებელნი დაემჭირნეს ციხე მარანი მატური ციხედ და სადგომად ჰქონდეს". მართალია, აქ პუნქტუაციის ნიშნები არ ზის, მაგრამ, „მარანი" მის მიერ ციხის სახელად ჩანს გააზრებული. მართლაც, ციხე ასეთი სახელწოდებით ყოფილა კახეთში, როგორც ეს აღნიშნულია „მატიანე ქართლისაში" 995 წლის ახლო ამბებთან დაკავშირებით[48]: „და ციხე მარანისა ჰქონდა მაშინ, ხახუასა, არშის ძესავე, ძმასა ივანესსა"[49]. „ქართლის ცხოვრების" ანასეულ და ჭალაშვილისეულ ნუსხებში ციხის სახელწოდებად აღნიშნულია „მარანა" და ერთ რუსულ თარგმანში ამ სახელწოდებას აქვს უპირატესობა მინიჭებული[50], ხოლო მეორეში — „მარანი"[51]-ს, რაც უფრო სწორი ჩანს, რადგან დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტში ციხის სახელწოდებად სწორედ ეს ფორმა დასტურდება.

მაშასადამე, ამ მონაცემების მიხედვით, საბუთის ტექსტის ამ ნაწყვეტში პუნქტუაციის ნიშნები ასე უნდა დაისვას: **„მონასტერისა რაცა იყო — მთასა ციხე მარანი, ანუ მატური იგი სოფელი"** და ა. შ.

10. **„დიაკონი"** თუ **„დეკანოზი"**.

ანდერძში ერთგან აღნიშნულია: *„ვითა წინამძღუარსა შჯულისა ჩუენისასა, მეუფესა იოვანეს ქართლის კათალიკოზსა, უბრძანებია და მოუნიჭებია ეკლესიისა ჩემისადა, რომელ საქონებელნი სოფელნი და აგარანი ჰქონან მღვმესა, საშჯულოჲ სამრებლოჲ არს ყოველგან, თჳთ მემღვმისა დიაკონმან მოისამართლოს და ეკლესიისა ზეთად მოაჴმაროს*" (სტრქ. 57-60).

ანდერძის ტექსტის ამ ადგილისათვის, ტერმინ „საშჯულოჲ სამრებლოჲ"-

---

ვქმენ მცხეთა, ურბნისი, სადგრის კამარა გებული" და ა.შ. (*ე. მეტრეველი*, ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი, თსუ შრომები, ტ. 43, თბ., 1951, გვ. 152; ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, ალ. *ბარამიძის* რედაქციით, „მეცნიერება", 1975, გვ. 164-165). ცხადია, ამ ლიტერატურულ ნაწყვეტებში, როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სახელებისადმი დართული ფორმანტი -ყე სხვაგვარ ინტერპრეტაციას საჭიროებს, ვიდრე ეს დავით აღმაშენებლის ანდერძის „ეწერა-ყე"-ს შემთხვევაშია. აქ მოხმობილ მაგალითებში მისი გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელობა შეიძლება იყოს კნინობითობის აღნიშვნა.

[47] *Жордания Ф.*, Завещание, с. 27.

[48] *დ. მუსხელიშვილი*, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული", III, 1967, გვ. 86, შენ. 156.

[49] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 268:16.

[50] Матиане Картлиса. Перевод, введение и примечания *М.Д. Лордкипанидзе*, Тб., 1976, с. 35.

[51] Летопись Картли. Перевод, введение и примечания *Г.В. Цулая*, Тб., 1982, с. 54.

ს მნიშვნელობის დადგენისას, ყურადღება მიუქცევია აკად. ი. ჯავახიშვილს. მისი დასკვნით, „საშჯულოჲ სამრებლოჲ სამოსამართლო უწყებასა და ოლქს ჰრქმევია", ხოლო მთლიანად საბუთის ამ ადგილს იგი ასე განმარტავს: „აქედან ცხადი ხდება, რომ ყველა სხვა მონასტრებისა და ეტყობა, თვით შიომღვიმის მონასტრის დანარჩენი, დავით აღმაშენებლისაგან აშენებული ეკლესიის ყმებს გარდა, მცხოვრებნი ქართლის კათალიკოზის სასამართლოს ექვემდებარებოდნენ და მის „საშჯულო სამრებლო"-ს შეადგენდნენ. იოანე კათალიკოზს მეფის პატივისცემით დავით აღმაშენებლისაგან აგებული ეკლესიისათვის განსაკუთრებული უპირატესობა მიუნიჭებია, საკათალიკოზო სასჯულო სამრებლოთაგან ამოუშლია და საკუთარი სამონასტრო მოსამართლის ყოლის უფლება მიუცია. ე. ი. სასამართლო შეუვალობა უწყალობებია"[52].

საბუთის ტექსტის ამ ადგილის განმარტების მეტი დაზუსტებაც შეიძლება. იოვანე კათალიკოზს შიომღვიმეში არა მარტო დავით აღმაშენებლისაგან აშენებული ეკლესიის (ღმრთისმშობლის სახელობისა) კუთვნილი ყმები ამოუშლია სასჯულო სამრებლოსაგან, არამედ საერთოდ მონასტრის კუთვნილი ყმები (საბუთში ხომ აღნიშნულია: „რომელ საქონებელნი სოფელნი და აგარანი ჰქონან მღვმესა" და არა მხოლოდ ეკლესიასაო). ხოლო „საკუთარი სამონასტრო მოსამართლის" საშუალებით მათგან („ყოველგან") აღებული სასამართლო განჩინების ბაჟი ეკლესიის ზეთად უნდა მოეხმარათ.

მონასტრის სასჯულო სამრებლოში ვინ ასრულებდა მოსამართლის ფუნქციებს, მას შემდეგ, რაც შიომღვიმის მონასტერს მეფისა და კათალიკოზისაგან სასამართლო შეუვალობა მიენიჭა? საბუთის ტექსტში ამის შესახებ ვკითხულობთ: „თჳთ მემღვმისა დიაკონმან მოისამართლოს და ეკლესიისა ზეთად მოაჴმაროს" (სტრ. 59). მაშასადამე, ეს ფუნქცია მონასტერში მემღვიმის ანუ წინამძღვრის დიაკონს ჰქონია დაკისრებული.

დიაკონი, როგორც ცნობილია, მღვდელმსახურებაში დამხმარე პირია, „ეკლესიის მსახური — მღვდლის თანაშემწე"[53]. ს.ს. ორბელიანის განმარტებით იგი „მღვდლის მოსამსახურეა"[54]. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, „მღვდელმონაზონთა ანუ ხუცეს-მონაზონთა უშუალო თანაშემწედ მღვდელმსახურებასა და ყოველნაირ წირვა-ლოცვაში „მთავარდიაკონნი" და „დიაკონნი" იყვნენ"[55]. დიაკონისათვის ასეთი ფართო უფლებების მინიჭება და მისი მოსამართლის ფუნქციითაც აღჭურვა, თუნდაც იგი მონასტრის წინამძღვრის დიაკონი იყოს, თუ საერთოდ არსებობდა ასეთი თანამდებობა, რამდენადმე ეჭვს იწვევს. „დიაკონმან" საბუთის ტექსტში ამ ადგილას წერია დაქარაგმებით — „დკ~ნმან". ეს ქარაგმა თ. ჟორდა-

[52] *ი. ჯავახიშვილი,* ქართული სამართლის ისტორია, თხზ. ტ. VII, თბ., 1984, გვ. 336-337.
[53] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986, გვ. 212.
[54] *ს.ს. ორბელიანი,* ქართული ლექსიკონი, გვ. 98.
[55] *ი. ჯავახიშვილი,* ქართული სამართლის ისტორია, თხზ. ტ. VII, გვ. 53.

ნიამ საბუთის ტექსტის პირველ გამოცემაში გაუხსნელად დატოვა („დკ~ნმან")[56]. როგორც ჩანს, აქ „დიაკონმან" წაკითხვა მას ეეჭვებოდა, თუმცა, რუსულ თარგმანში იგი წარმოადგინა, როგორც „диакон"[57]. შეიძლება ამის გამო და იმის გამოც, რომ ქარაგმა „დკ~ნმ~ნ" ბუნებრივია უნდა გაიხსნას როგორც „დიაკონმან", საბუთის ტექსტის შემდგომ გამოცემებში ამ ადგილას ეს სიტყვაა წარმოდგენილი. რამდენად შეიძლებოდა რომ დიაკონს, როგორც მონასტრის ძმობის წევრს, მოსამართლის ფუნქციებიც დაკისრებოდა?

მონასტრის მთელი ძმობა, „უფლებრივ მდგომარეობისდა მიხედვით, ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, სამ მთავარ ჯგუფად, ან... სამ დასად" იყოფოდა. „პირველისა დასისა" წევრებს მონასტრის მამასახლისი, ან წინამძღვარი, იკონომოსი და დეკანოზი ეკუთვნოდნენ... ბერმონაზონთა „პირველ დასს" მონასტრის თანამდებობის პირნი შეადგენდნენ, რომელნიც „ჴელისუფალთა" სახელით იყვნენ ცნობილნი. მისივე დასკვნით, „მეორე დასს მღვდელობის პატივის მქონებელნი ბერები შეადგენდნენ", „ბერთა მესამე ჯგუფს „მწირნი" შეადგენდნენ"[58].

როგორც ვხედავთ, აქ დიაკონი არათუ მოსამართლედ არ იხსენიება, იგი პირველი დასის წევრთა, ე. ი. მონასტრის ხელისუფალთა შორის დასახელებულიც არ არის.

რაც შეეხება საკუთრივ შიომღვიმის მონასტერს, მის ხელისუფალთა უფლება-მოვალეობის შესახებ მოიპოვება XII ს-ში შედგენილი საბუთი — განჩინება მამა სვიმეონისა მღვიმის ლავრის წინამძღვრის, მოძღვრისა და დეკანოზის დადგინების წესის შესახებ. საბუთის გამცემი მამა სვიმეონი უნდა იყოს გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის დასწული, სვიმეონ ბედიელ-ალავერდელი, რომელიც განაჩინა შიომღვიმის მონასტრის მეურვედ დავით აღმაშენებელმა 1124 წლის ანდერძის მიხედვით (სტრქ. 123-125: „აწ სჳმეონ ბედიელ-ალავერდელისა იყოს შევედრებულ — რაცა საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყეოფოდის").

ამ საბუთის მხოლოდ ფრაგმენტმა მოაღწია ჩვენამდე. მოძღვრის და დეკანოზის არჩევის წესის აღწერის შემდეგ (რომელიც, სამწუხაროდ, არ შენახულა, თუმცა დავით აღმაშენებლის ანდერძიდან ცნობილია, რომ შიომღვიმის წინამძღვრის არჩევა წმ. შიოს საფლავზე კენჭისყრით ტარდებოდა — სტრქ. 134-136) განჩინებაში აღნიშნულია: „წინამძღურისა, მოძღურისა და დეკანოზისა ჴელთა არს ეკლესიისა საქმე და ძმათა სულიერთა. ამათ სამთა ჴელთა არის ეკლესიისა საქმე, რაიცა დააკლონ, ღმერთმან მათ

---

[56] *Жордания Ф.*, Завещание, с. 11. მეორე გამოცემაში ეს ადგილი მას ქარაგმის გახსნით აქვს წარმოდგენილი (*თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა*, გვ. 16).

[57] რუსულ თარგმანში ეს დიაკონი რომ „მღვიმის დიაკონია", ეს ნიუანსი თ. ჟორდანიას გამოტოვებული აქვს. იგი მას თარგმნის „Мгвимский диакон"-ად. „მღვიმე", რომელიც მღვიმის წინამძღვარს აღნიშნავს, მას თვით მონასტრის სახელად აქვს მიჩნეული (*Жордания Ф.*, Завещание, с. 21).

[58] *ი. ჯავახიშვილი*, ქართული სამართლის ისტორია, თხზ. ტ. VII, გვ. 40-41

ჰკითხოს"[59]. რკონის მონასტერშიც, კახა თორელის დაწერილის (1260 წ.) მიხედვით, სამი პირია ხელისუფალი — წინამძღუარი, მოძღუარი და დეკანოზი[60]. ასევე, ეს პირებია მონასტრის უმაღლესი ხელისუფლები ბერთის (ტაოკლარჯეთში) ოთხთავის (XII ს.) მომგებლის იოანე ოპიზის მოძღვრის შეწირულების მიხედვით (ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 320).

როგორც ვხედავთ, აქ დეკანოზი ერთ-ერთია მონასტრის სამ ხელისუფალს შორის. ამიტომ, დავით აღმაშენებლის ანდერძში განხილული ადგილის ქარაგმა „დ~კნმ~ნ" ხომ არ უნდა გაიხსნას როგორც „დ(ე)კ(ა)ნ(ოზ)მ(ა)ნ" და ამის მიხედვით ტექსტი ისე ხომ არ უნდა გავიგოთ, რომ მონასტრის მოსამართლის ფუნქცია დეკანოზს ჰქონდა დაკისრებული და არა დიაკონს?

დეკანოზის უფლება-მოვალეობა, მონასტერში მისადმი დაქვემდებარებული პირების საკითხი საგანგებოდ განიხილა ი. ჯავახიშვილმა „ქართული სამართლის ისტორიის" სათანადო მონაკვეთში. მისი დასკვნით, „სამონასტრო წესწყობილებასა და ცხოვრებაში მონასტრის ხელისუფალთა შორის საპატიო ადგილი დეკანოზს ეკუთვნოდა... დეკანოზი იყო „მთავრად ეკლესიისა". მისი თანამდებობა ეკლესიის მსახურებასა შინა მდგომარეობდა და იგი ითვლებოდა „ხუცესთა" ანუ მღვდელთა და მგალობელთა უფროსად... დეკანოზს მღვდელმსახურებაში ასე თუ ისე მონაწილე ყველა პირები ექვემდებარებოდნენ, მათ შორის, რასაკვირველია „კანანახი", „მემსგეფსენი", „მემჴრენი" და „დიაკონნი"-ც"[61].

ამიტომ, დეკანოზისათვის მოსამართლის ფუნქციის მიკუთვნება უფრო ბუნებრივი ჩანს, ვიდრე დიაკონისათვის, რომელსაც მონასტერში დაქვემდებარებული მდგომარეობა ეკავა და დეკანოზის მორჩილებაში იმყოფებოდა.

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია დეკანოზის დახასიათება და მისი უფლებების აღწერა, წარმოდგენილი მამა სვიმეონის ზემოდასახელებულ განჩინებაში:

„პატივი ორი დეკანოზისა, რომე ღმრთის-მოშიშებით მსახურეობდეს ეკლესიათა. ეკლესიასა შინა შემავალად, დადგომად ეუბნებოდეს; და ანუ შინა შევა და ლოცვასა იჩემებს და სხუათა ეუბნების და ღმრთისა წინააღმდგომთა და შეურაცხის-მყოფელთა თანა დაისაჯების.

ესრეთ ეკლესიად შესრულთა ეუბნების — მათ ლოცვა ჰგონია და ლოცვა არა არს, სოფლიოთა და ჴორციელთათჳს მოსრულან. და ყოველთა ზრახვენ და

---

[59] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ი. დოლიძემ*, თბ., 1970, გვ. 128. იხ. აქვე, დამატება I.

[60] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, IX-XIII საუკუნეების საბუთები. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს *თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა*, თბ., 1984, გვ. 100:1.

[61] *ი. ჯავახიშვილი*, ქართული სამართლის ისტორია, თხზ. ტ. VII, გვ. 62.

ეუბნებიან. და ესერეთ იქმნების ღმრთისაგან რისხვა, ზრახვითა და უწესოდ დგომითა ეკლესიათა. განიდევნოს და იკონოვი არა მიხუდეს ძმათაგან სამი დღე. და ეკლესიათა კართა მდგომარე იყოს სამ დღეს და შენდობასა ითხოვდეს ყოველთა ძმათაგან საღმრთოთა კრებულთა. ძმათა შენდობა მისცენ, მწუხრი და იკონოვი მისცენ.

დეკანოზისა მეტისა კაცისაგან საუბარი არა იკადრების, მანცა თუ დაჭირება იყოს"[62].

საბუთის ტექსტის ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს დეკანოზის უფლება-მოვალეობის ადმინისტრაციული ხასიათი: იგი თვალყურს ადევნებს, რომ ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს წესრიგი იყოს დაცული, მას შეუძლია გარკვეული სასჯელი დაადოს იმ პირთ, რომლებიც წირვა-ლოცვის წესს არ დაიცავენ და ეკლესიაში „სოფლიოთა და ჴორციელთათჳს მოსრულან". ამ დროს საუბრის გამართვის უფლება, უფრო ზუსტად, ალბათ, შენიშვნის მიცემა მხოლოდ მას შეუძლია და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ შიომღვიმის მონასტერში მოსამართლის ფუნქცია სწორედ დეკანოზს ჰქონდა დაკისრებული და არა დიაკონს. ამის მიხედვით, ტექსტის შესაბამისი ადგილი, ქარაგმის ერთ-ერთი სავარაუდო გახსნის შედეგად, შეიძლება ასე წავიკითხოთ: **„თჳთ მემღჳმისა დეკანოზმან მოისამართლოს და ეკლესიისა ზეთად მოაჴმაროს"** (სტრქ. 59-60).

ამავე დროს, რადგანაც დეკანოზის უფლება-მოვალეობანი რამდენადმე ადმინისტრაციული ხასიათისაა, საეჭვო ჩანს მისი მოსამართლეობა და მსჯელობა ანდერძის ტექსტის ამ ადგილის გარშემო შეიძლება ასეც წარიმართოს.

სიტყვა „დეკანოზი", ჩვეულებრივ, დაქარაგმებით იწერება, როგორც „დ~კნზი", ანუ დაქარაგმებულ კომპლექსში ზ-ს წარმოდგენით, ხოლო „დიაკონი" — როგორც „დ~კნი". მაშასადამე, მხოლოდ ზ-ს არსებობა განასხვავებს დაქარაგმებით დაწერილ ამ ორ სიტყვას ერთმანეთისაგან. ამდენად, რადგანაც ანდერძის ტექსტში ეს სიტყვა წარმოდგენილია ზ-ს გარეშე, მეტი საფუძველი არსებობს აქ „დიაკონის" წაკითხვისათვის.

ამავე დროს, ეს ტერმინი ანდერძის განხილულ ნაწყვეტში მჭიდროდ არის დაკავშირებული მის წინა ტერმინთან — „მემღჳმისა". აქ ისე ჩანს, რომ „მემღჳმისა დიაკონი" ერთი, ცალკე მცნებაა და იგი გარკვეული თანამდებობის პირის აღმნიშვნელია.

ბერძნული სიტყვა „დიაკონი" διακονος *მოსამსახურე, თანაშემწეს, დამხმარეს* აღნიშნავს[63]. არ არის გამორიცხული, რომ ისეთი დიდი მონასტრის წინამძღვარს („მემღჳმეს"), როგორიც შიომღვიმე იყო, დამხმარე, თანაშემწე,

---

[62] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 128; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 65.

[63] Древнегреческо-русский словарь. Составил *И.Х. Дворецкий*, т. I, М., 1958, с. 372; *Вейсман А.Д.*, Греческо-русский словарь, СПб., 1899, стб. 307; *Sophocles E.A.*, Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods, vol. I, New York, p. 363.

ცალკე დიაკონი ჰყოლოდა. მას, ცხადია, გარკვეული გავლენა და უფლებები ექნებოდა. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ მისთვის დამატებით ახალი, მონასტრის მოსამართლის ფუნქციაც დაეკისრებინათ. თანაც, მემღვიმეს დეკანოზი არ ეყოლებოდა, დეკანოზი მონასტერს ჰყავდა, ხოლო მის წინამძღვარს, ამ შემთხვევაში *მემღვმეს*, როგორც შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარს ენოდებოდა, დიაკონი ეყოლებოდა.

ამიტომ, ანდერძის ტექსტში „დკნმ~მ"-ის დიაკონად წაკითხვა იქნებ სწორიც იყოს და არაა საჭირო მისი შეცვლა სიტყვით „დეკანოზმან".

ამ საკითხზე უფრო გარკვეული, რამდენადმე კატეგორიული და ცალსახა დასკვნის გაკეთება იმიტომაა შეუძლებელი, რომ მონასტრის ადმინისტრაციული მოწყობის, სასულიერო ხელისუფალთა ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების საკითხები, აგრეთვე, ქართული სამონასტრო სინამდვილისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი ჩვენში ჯერაც არ არის მთლიანად და სრულყოფილად შესწავლილი. მომავალმა კვლევა-ძიებამ ამ საკითხში იქნებ მეტი სიცხადე შეიტანოს.

11. „კჳრიაჲს ძალითა" თუ „კჳრაჲსძალთა".

საბუთის ტექსტში, ვფიქრობ, კონიექტურას საჭიროებს კიდევ ერთი ადგილი: *„და ტურათისუბანსა, რომელ მეზურენი დაუსხმან და ზუარნი და მინანი — ამისი პური ეკლესიას მიეცემოდის თითოჲ კჳრიაჲს ძალითა, და თითო კარასეული ღჳნო"* (სტრქ. 103-106). მაშასადამე, ტურათისუბანში რომ მონასტერს ზუარი და მიწები ჰქონდა, აგრეთვე „მეზურენი" ანუ ვენახის მცველნი[64] ჰყავდა დასმული, ამათი შემოსავლიდან ეკლესიას, ანუ მონასტრის ძმობის წევრებს უნდა მისცემოდა თითო პური „კჳრიაჲს ძალითა" და თითო კარასეული, ანუ კრასოვული[65] ღვინო.

აქ გაუგებარია გამოთქმა „კჳრიაჲს ძალითა". კონტექსტით იგი, თითქოს, უნდა ნიშნავდეს, რომ დასახელებული პური და ღვინო ძმობას უნდა მიეცეს კვირის (კვირა დღის) ძალით, რაც, ცხადია, უაზრობაა, ან კჳრიას, ვითომც წმინდანის შეწევნით. ასეთი წმინდანიც უცნობია. არის კვირიკე, კვირინე, კვიროს, თვით „კვირიაკეც" ადამიანის, წმინდანის სახელად, მაგრამ „კვირია" უცნობია. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, კვირია ძველი ქართული წარმართული პანთეონის ერთ-ერთი ღმერთია — იგი განაყოფიერებისა და შვილიერების

---

[64] *ს.ს. ორბელიანი*, ქართული ლექსიკონი, გვ. 204.

[65] *კრასოვული* ანუ *კარასეული* ბერძნული κρασοβόλιον-ია. იგი ხშირად გვხვდება ქართულ წერილობით ძეგლებში, როგორც საწყაოს, ისე ზოგადად ჭურჭლის მნიშვნელობით. განსაკუთრებით ხშირად — ბიზანტიურ გარემოში შექმნილ წერილობით ძეგლებში: „იოვანესა და ეფთჳმეს ცხორებაში", ათონის ალაპებში და სხვ. ანდერძის ტექსტში ეს ტერმინი კიდევ გვხვდება — მონასტრის ძმობის წევრებს *„პოვლისა შედეგულისა პარასკევსა თითო კარასეული* (ალბათ, ღვინო) *მიეცეს, სეფისკუერისა და თქლისა თანა შესუან ყოველთა*"-ო (სტრქ. 90-91). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ნაწარმოების ერთი ადგილის ჩასწორებასთან დაკავშირებით მას საგანგებოდ შეეხო მ. შანიძე (იხ. „ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი". ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *მზექალა შანიძემ*, თბ., 1992, გვ. 45-48, იქვე — ძირითადი ლიტერატურა).

მფარველი ღვთაებაა[66]. წარმართი ღმრთაების შეწევნის მოხმობა ქრისტიანული მონასტრის ძმობისათვის ვენახის შემოსავლიდან პურის და ღვინის გამოყოფის საქმეში გამორიცხულია. მაგრამ, როგორც ჩანს, ტექსტის გადამთეთრებელმა ეს ადგილი მართლაც ასე გაიაზრა, ამიტომ, საბუთის ტექსტში ამ ადგილას სავსებით გარკვევით იკითხება „მიეცემოდის თითოჲ კვრიაჲს ძალითა". ტექსტის ეს ნაწყვეტი საბუთის დედნის ამჟამადაც მოღწეულ ფრაგმენტზეცაა (სცსა, 1448, 2120) შერჩენილი, მისი შემოწმების საშუალება არსებობს ფოტოასლის გარეშეც და მისი ამ სახით წაკითხვა ეჭვს არ იწვევს (იხ. აქვე, გვ. 16,17, 129). ამიტომაც, იგი დედნისეული სახითაა ყველა გამოცემაში წარმოდგენილი.

ტექსტის ეს ადგილი, როგორც ჩანს, ერთგვარ გაუგებრობას იწვევდა მკვლევართა შორის და თ. ჟორდანიას რუსულ თარგმანში იგი საერთოდ გამოუტოვებია. აი, როგორ თარგმნის იგი საბუთის ამ ადგილს:

„Из (доходов от) больших виноградных садов, разведенных на площади Турата (ტურათის უბანსა), где поселены и садовники, равно как из (доходов от) пахотных земель, пусть выдается по одному красеулу вина (на каждого молящегося) и по одному печеному хлебу (в воспоминание души моей)"[67].

როგორც ვხედავთ, ანდერძის შესაბამისი მონაკვეთის საკმაოდ თავისუფალი გადმოცემაა; გარდა იმისა, რომ გამოტოვებულია ზემოთ უკვე აღნიშნული „კვრიაჲს ძალითა", „მეზურენი" გაგებულია მებაღეებად („садовники", ალბათ, სჯობდა თარგმნილიყო, როგორც „виноградари", ან „сторожи виноградников"), ჩამატებულია სიტყვა „დიდი" ვითომც „დიდნი ზუარნი" („большие виноградники"), ციტატის დასასრულს ზედმეტია „в воспоминание души моей", ადგილშეცვლილია „პურისა" და „კარასეული ღვინოს" დასახელება და სხვ. მაგრამ, ამჟამად ჩვენს ამოცანას არ შეადგენს თ. ჟორდანიასეული თარგმანის ავკარგიანობის განხილვა, ეს ცალკე მსჯელობის საგანია.

როგორც ჩანს, საბუთის ტექსტში ეს ადგილი უნდა გასწორდეს და ნაცვლად „კვრიაჲს ძალითა" უნდა აღდგეს, ალბათ, თავდაპირველი „კვრასძალთა". „კვრაძალი" კვირა დღის წინა საღამოა ანუ შაბათი საღამო[68]. ასეთი ჩასწორებით მივიღებთ, რომ მეფის განკარგულებით თითო პური და თითო კარასეული ღვინო ტურათისუბნის ზვრებისა და მიწების შემოსავლიდან მონასტრის ძმობის წევრებს უნდა მისცემოდა შაბათობით.

მეფის ამ განკარგულებას საბუთის ტექსტში უძღვის კიდევ სხვა განკარგულება: *„ვითა აწ არსენის გაუწესებია ყოველთა კჳრიათა ღამე ყოველ ღამისთევაჲ, ნუვინ შეცვლის ამას წესსა"* (სტრქ. 103-104). მაშასადამე, აქ აღნიშნულია მონასტერში ყოველი კვირა ღამე არსენ ბერის მიერ ღამისთევის

[66] *ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია,* წიგნი I, თხზ. I, თბ., 1979, გვ. 102-105, 109-110.
[67] *Жордания Ф.*, Завещание, с. 26.
[68] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 264.

დაწესების უთუოდ შესრულების შესახებ[69]. ნიშანდობლივია, რომ სიტყვა „კვირა“, როგორც ერთ, ისე მეორე ნაწყვეტში ერთნაირი ფორმით „კვირია“ არის გადმოცემული. რადგანაც ტექსტის მიხედვით მეორე ნაწყვეტში უთუოდ კვირის დღის სახელი იგულისხმება და არა ღვთაების საკუთარი სახელი, დაწერილობათა მსგავსების გამო, უნდა ვიგულისხმოთ, რომ პირველ ნაწყვეტშიც კვირის დღის სახელი იყო თავდაპირველად აღნიშნული.

ტექსტის ეს მეორე ნაწყვეტი სხვა საკითხის გასარკვევადაც გამოგვადგება.

ბოლნისის სიონის (V ს.) X ს-ის ერთ წარწერა-საბუთში, რომელიც ტაძრის სამხრეთ-დასავ. შესასვლელის თავზეა ამოკვეთილი, უკანასკნელი, „ქართული წარწერების კორპუსის“ (1980) გამოცემის მიხედვით ერთგან იკითხება: „ამას საყდარსა ღამისთევაჲ არა დებულ იყო. კჳრის ძალითა მე დავდევ“[70]. აქ „კჳრის ძალითა მე დავდევ“, ცხადია, გაუგებარია. როგორც ჩანს, ტექსტის ამ ნაწყვეტში საჭიროა ქარაგმის ნიშნების სხვანაირად გახსნა და პუნქტუაციის ნიშნების განსხვავებულად დასმა. კერძოდ, აქ უნდა წავიკითხოთ: „ამას საყდ(არ)ს(ა) ღ(ა)მ(ის)თ(ე)ვ(ა)ჲ არა დ(ე)ბ(უ)ლ(ი)ყ(ო) კ(ჳ)რ(ა)სძ(ა)ლთა. მე დ(ავ)დ(ე)ვ და ზ(ედ)აშე ღ(ა)მ(ისმთეველთა)თ(ჳ)ს“. წარწერის ტექსტის გ. ჩუბინაშვილისეულ გამოცემაში (1940), რომელიც ა. შანიძის მიერ არის მომზადებული, ბოლნისის წარწერის ეს ადგილი სავსებით სწორადაა გააზრებული, რაც ჩანს ამ ადგილის თუნდაც რუსული თარგმანიდან: „В этой церкви не было положено всеношного бдения в воскресные кануны“[71] და ა. შ.

მაშასადამე, თუ დავუბრუნდებით დავით აღმაშენებლის ანდერძის განხილულ ადგილს, უნდა დავასკვნათ, რომ ტექსტში აქ საჭიროა კონიექტურა და დედნისეული, თუმცა მაინც მეორადი, „კჳრიაჲს ძალითა“-ს გასწორება „კჳრასძალთა“-თი, ხოლო მთელი წინადადება ასე გაიმართება: „**და ტურათისუბანსა, რ(ომე)ლ მეზურენი დაუსხმან და ზუარნი და მიწანი — ამისი პური ეკლესიას მიეცემოდის თითოჲ, კჳრაჲსძალთა, და თითო კარასეული ღჳნო**“ (სტრქ. 104-106).

[69] თ. ჟორდანიასეული თარგმანით ისე ჩანს, რომ ყოველ კვირას ღამისთევა არსენ ბერს დაუწესებია არა მონასტერში, არამედ სოხასტერში — მონასტრის გარეთ მდებარე ერთ სამლოცველოში, რომელიც მეფემ თავისი გადარჩენის (ნადირობის დროს ცხენის წაქცევისაგან რომ დაიმტვრა და სამი დღე უგრძნობლად იყო) სამადლობელად ააშენა: „чтобы во все воскресные дни (в Сохастери) отправлялось всеношное бдение, долженствующее продолжаться во всю ночь (до рассвета)“ - *Жордания Ф.*, Завещание, с. 26. როგორც ჩანს, თ. ჟორდანიასთვის თარგმანში ამ ჩამატების საფუძველს წარმოადგენდა არსენ ბერის მიერ მეფის დავალებით სოხასტრისთვის განწესების შედგენა (სტრქ. 96-99). მაგრამ, ჯერ ერთი, თარგმნილი ნაწყვეტის ქართულ ტექსტში სოხასტერი ნახსენები არ არის — იქ ზოგადად ნათქვამია — ყოველი კვირა ღამე ღამისთევის წესს ნურავინ შესცვლისო, და მეორეც, ამავე ანდერძის სხვა ადგილების მიხედვით, არსენ ბერს მხოლოდ სოხასტერის საქმეები არ ეკითხებოდა, მას მრავალი სხვა საერთო სამონასტრო დავალებაც ჰქონდა მიცემული მეფისაგან.

[70] ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა *ნ. შოშიაშვილმა*, თბ., 1980, № 137, გვ. 248-250.

[71] *Чубинашвили Г.Н.*, Болнисский Сион „ენიმკის მოამბე“, IX, 1940, გვ. 74-75. ლ. მუსხელიშვილის მიხედვით, წარწერის ტექსტში ამ ადგილას უნდა წავიკითხოთ „კრებულისა ძალითა“ (ლ.

ცხადია, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტის დადგენასთან დაკავშირებული საკითხები მომავალშიც არაერთხელ იქნება განხილული. არ არის გამორიცხული, რომ აქ წარმოდგენილი შესწორებები და დაზუსტებანი მომავალში გადაისინჯოს — უფრო განმტკიცდეს ან შეიცვალოს.

მესხელიშვილი, ბოლნისი, „ენიმკის მოამბე“, III, 1938, გვ. 339), მაგრამ, წარწერის ტექსტის მონაცემებით ეს არ მტკიცდება (შდრ. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1, 1990, გვ. 119-120, შენ. 83).

თავი IV
ანდერძში დამოწმებული ძველი ქართული საბუთები და ანდერძის დამოწმება ძველ ქართულ საბუთებში

სიგელთმცოდნეობაში ცნობილია ისეთი საბუთები, რომლებიც ძველი, ადრინდელი საბუთების შინაარსს ან ცალკეული ადგილების ნაწყვეტებს შეიცავენ იმ საკითხზე, რომლის შესახებაც ეს ახალი საბუთია შედგენილი. ივ. ჯავახიშვილმა ასეთი საბუთების აღსანიშნავად ქართულ სიგელთმცოდნეობაში შემოიღო ტერმინი „ე რ თ ი ა ნ ი ს ი გ ე ლ ი". მისი შენიშვნით, განსაკუთრებით საყურადღებოა „ერთიანი სიგელი", ან „წიგნი", რომელიც ერთი პირის თუ დაწესებულებისათვის მიცემული თუ ნაბოძები საბუთების შინაარსს შეიცავდა და საერთო სიმტკიცის წიგნს წარმოადგენდა"[1].

ძველ საბუთებს შორის, ერთ-ერთი ასეთი სიგელის ნიმუშად იგი ასახელებს გიორგი III-ის 1170 წლის სიგელს შიომღვიმისადმი[2]. მართლაც, ამ სიგელში, გარდა იმისა, რომ ჩამოთვლილია ის სოფლები, რომლებშიც შიომღვიმის მონასტერს იმ დროისათვის (XII ს. შუა ხანები) „გლეხნი და მიწაი" ეკუთვნოდა, აღნიშნულია, რომ ეს ქონება მეფემ მონასტერს დაუმტკიცა იმ „ძუელნი მრავალნი" სიგელების მიხედვით, რომელიც მღვიმის ლავრას მიცემული ჰქონდა „პაპათა და მამათა ჩუენთა" მიერო[3].

ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, „ამგვარი ერთიანი სიგელი ქართული მწერლობის ძეგლთა შორის ხშირი მოვლენა უნდა ყოფილიყო და რამდენიმე საბუთი ჩვენ დრომდისაც არის შენახული"[4]. მათ ნიმუშად იგი ასახელებს ერეკლე I-ის 1703 წლის „სიგელ-გუჯარს" ქვათახევის მონასტრისადმი; ასევე, მას მოჰყავს იესე ოსესშვილის ცნობა მის მიერ შეძენილ მიწებზე „ერთიანი წიგნის", „ერთიანი სიგელის" მოპოვების შესახებ და სხვ[5].

მაგრამ, ადრინდელი ხანის „ერთიანი სიგელის" ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშად, როგორც ჩანს, ჯერჯერობით მაინც ე. წ. „ფავნელის დაწერილი" უნდა მივიჩნიოთ. როგორც ამ საბუთის ბოლო გამოცემებშია მიღებული, იგი

---

[1] *ივ. ჯავახიშვილი,* ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926, გვ. 36. იგივე, იხ. *მისი,* თხზ. ტ. IX, თბ., 1996, გვ. 428.

[2] იქვე, გვ. 56-57.

[3] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, IX-XIII სს. ქართული ისტორიული საბუთები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს *თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა,* თბ., 1984, № 11 (ქვემოთ, საბუთები ამ გამოცემიდან, ტექსტშივეა მითითებული შემოკლებულად —ქისკ, I, და შემდეგ საბუთის ნომერი და სტრიქონი — თუ საბუთი დედნის მიხედვით ქვეყნდება, ან გვერდი და სტრიქონი — თუ პირის მიხედვით ქვეყნდება).

[4] *ივ. ჯავახიშვილი,* ქართული სიგელთა-მცოდნეობა, გვ. 57.

[5] იქვე, გვ. 57-58.

ადრეული საბუთების ფრაგმენტებისგანაა შედგენილი (ქისკ, I, N 1)[6]. ეს ერთიანი საბუთი, როგორც ჩანს, შედგენილია XIII ს-ის II ნახევარში — იგი ამ დროის ხელითაა მინერილი XIII ს-ის შუა ხანების (1247-1250) საბუთის — გრიგოლ სურამელის შიომღვიმისადმი დანერილის ზურგზე (ქისკ, I, გვ. 16-17).

მართალია, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, შედგენილი 1124 წლის სექტემბერში[7], არ შეიცავს ნაწყვეტებს ძველი საბუთებიდან და თავისი შედგენილობითაც იგი „ერთიან სიგელს“ არ წარმოადგენს, მაგრამ ანდერძის ტექსტში დამოწმებულია — ზოგჯერ პირდაპირ დასახელებით, ზოგჯერ მინიშნებით, მთელი წყება ძველი ქართული საბუთებისა, რომლებიც გაცემული ყოფილა ანდერძის შედგენამდე ბევრად ადრე სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ხელისუფალთა მიერ და განსაზღვრავდა ან მონასტრის სტატუსს, ან მის კუთვნილ ქონებას, ან ამა თუ იმ უფლებას. ვფიქრობთ, თითოეული ასეთი საბუთის გამოყოფა, მისი რაობის დადგენა, საინტერესოა და აუცილებელი, როგორც თვით ამ ანდერძის —ისტორიული საბუთისა და პოლიტიკური დანიშნულების ნერილობითი ძეგლის მნიშვნელობის წარმოსაჩენად, ისე საერთოდ ქართული სიგელთმცოდნეობის შესასწავლად.

ამასთანავე, თვით ეს ანდერძიც შემდეგში დამოწმებულია მთელ რიგ ძველ ქართულ საბუთებში შიომღვიმის მონასტრისათვის რაიმე პრივილეგიის, ან მფლობელობის განახლების საფუძვლიანობის დასამტკიცებლად[8]. ამ თავის პირველ ნაწილში საუბარი გვექნება ანდერძში დამოწმებულ ძველ ქართულ საბუთებზე, ხოლო მეორე ნაწილში განვიხილავთ ძველ ქართულ საბუთებში ანდერძის დამოწმების შემთხვევებს.

I.

დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვიმისადმი დამოწმებული საბუთები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: ერთია — დავით აღმაშენებლამდე, სხვების მიერ მონასტრისადმი გაცემული საბუთები — სიგელები, დანერილები, ნიშნები, ჴელები, ჴელითნერილები და სხვ., და მეორეა — თვით დავით აღმაშენებლის მიერ ადრევე, ანდერძის შედგენამდე შიომღვიმის მონას-

---

[6] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.); ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. *ი. დოლიძემ*, თბ., 1965, გვ. 3-5 (აქ საბუთი დაყოფილია ორ ნაწილად); Грузинские документы IX-XV вв. в собрании Ленинградского отделения Института востоковедения АН СССР, Перевод и комментарии *С.С. Какабадзе*, М., 1982, с. 7-9 (აქ საბუთი დაყოფილია სამ ნაწილად).

[7] სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ არის გავრცელებული ანდერძის პირველი, თ. ჟორდანიასეული (1895, 1896) დათარიღება 1123 წლით. უკანასკნელი ხანების ორ გამოცემაში („მრავალთავი“, IX, 1981; ქისკ, I, № 8) იგი დათარიღებულია 1123/1124 წწ; ამ დათარიღებამ თანდათან გავრცელება ჰპოვა უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაშიც. სულ ბოლო ხანების გამოკვლევებით ანდერძის თარიღად 1124 წელია მიღებული, რაც, ჩვენი აზრით, ყველაზე სწორი უნდა იყოს. ანდერძის ამ დროით (IX. 1124) დათარიღების არგუმენტირება მოცემულია აქვე, II თავში.

[8] *Ф. Жордания*, Завещание царя Давида Возобновителя, данное Шио-Мгвимской лавре в 1123 году, Тиф., 1895, с. 33.

ტრისადმი გაცემული საბუთები.

1. პირველი ჯგუფის საბუთებს შორის ერთ-ერთი უძველესია „ანდერძი წმ. შიოჲსი", რომელიც ტექსტში დამოწმებულია შიომღვიმის მონასტრის სტატუსის განსაზღვრის მიზნით. კერძოდ, დავით აღმაშენებლის ანდერძში აღნიშნულია, რომ *„არცა ვის სხუასა საქმე უც მღჳმესა თანა და არცა მღჳმისა ქუაბთა, ვითარ-იგი თჳთ სანატრელისა, მამათა ნათლისა შიოჲს ანდერძში სწერია — უფალი მღჳმისა ღმერთია, მეუფე წმიდაჲ მამა შიოჲ"* (სტრქ. 117-120)[9]. აკად. ნ. ბერძენიშვილის შენიშვნით, „აქედან თითქო შეიძლება ვიფიქროთ, რომ შიომღვიმის ლავრაში მონასტრის ქონებრივი უფლების შესახებ ჯერ კიდევ XII საუკუნეში დაცული ყოფილა ამ მონასტრის დამაარსებლის შიო მღვიმელის ანდერძი (თუ ასეთ „ანდერძად" შიო მღვიმელის ცხოვრება არ იგულისხმება), რომელშიც გამოთქმული ყოფილა დებულება, რომ ამ მონასტრის საქონელი მისი შეუვალი საკუთრებაა. ასე, რომ ჩვენ თითქო მოვიპოვეთ მოწმობა შესახებ იმისა, რომ V-VI საუკუნის ქართლის საზოგადოებრივ ურთიერთობაში უკვე შემუშავებული ყოფილა იურიდიულ-დიპლომატიკური ძეგლი „ანდერძი". დღეს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ჩვენეულ საფეხურზე, როცა გარდა ამისა, დადასტურებული გვაქვს იმ დროიდან (V-VI სს.) „ქვეყნის" (მიწის) და გლეხის ნასყიდობის ფაქტები, როცა მოპოვებული გვაქვს უეჭველი ცნობები სხვადასხვაგვარი საკითხების შესახებ (იხ. ჩემი რეცენზია ს. ჯანაშიას ნაშრომზე „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე"), იურიდიულ-დიპლომატიკური ძეგლის „ანდერძის" არსებობა იმ დროისათვის დაუშვებლად აღარ უნდა გვეჩვენოს"[10].

ფაქტია, რომ წმ. შიოს ანდერძის ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია. იქნებ მისი კვალი, გარდა დავით აღმაშენებლის ანდერძისა, სხვა რომელიმე წერილობით ძეგლში დასტურდება? წმ. შიოს ცხოვრების როგორც მეტაფრასულ, ისე სვინაქსარულ რედაქციებში, ტექსტის იმ ნაწილში, სადაც წმ. შიოს მიერ მცხეთაში ნასვლა და კათალიკოსისაგან დაყუდებით ყოფნის შესახებ შენდობის გამოთხოვაა გადმოცემული, აღნიშნულია, რომ წმ. შიო „გამოეთხოვა ძმათა და დ ა უ დ გ ი ნ ა ე ვ ა გ რ ე ნ ი ნ ა მ ძ ღ უ რ ა დ და ა ღ უ წ ე რ ა ა ს ს ა მ ე ო ც ი თ ა ვ ი ს წ ა ვ ლ ა... და შთავიდა მღჳმესა"[11]. მართალია, წმ. შიოს მიერ შედგენილ „ას სამეოც სწავლას", როგორც ჩანს, თავდაპირველი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მისი ცხოვრების მეტაფრასულ რედაქციაში ჩართულია ვრცელი მონაკვეთი, რომელიც სწორედ „სწავლანს" წარ-

---

[9] აქ და ქვემოთ ყველგან, ტექსტში მითითებულია სტრიქონის ნომერი ანდერძის დედნის მიხედვით. ამჟამად არსებობს ანდერძის ტექსტის ოთხი გამოცემა, რომლებშიც სტრიქონები დანომრილია დედნის შესაბამისად: „მრავალთავი", IX, 1984; ქისკ, I, №11, ა. გოგოლაძისეული პუბლიკაცია ქისკ, I-ის მიხედვით (*ა. გოგოლაძე*, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, თბ., 2001, გვ. 168-179) და წინამდებარე გამოცემა.

[10] *ნ. ბერძენიშვილი*, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VIII, თბ., 1975, გვ. 350, შენ. 7.

[11] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევები დაურთო *ე. გაბიძაშვილმა*, თბ., 1968, გვ. 376 (ქვემოთ შემოკლებით —ძქალძ).

მოადგენს[12];მაგრამ, ჩვენამდე ასევე არ მოუღწევია მონასტრის წინამძღვრად ევაგრეს დადგინების აქტს. ვფიქრობთ, რომ ამ წერილობითი დოკუმენტების შედგენის შემდეგ, როდესაც წმ. შიო „შთავიდა მღვმესა მას ორმოსა და ბნელსა და მუნ ილუწიდა ვიდრე ცოცხალ იყო, ხოლო შემდგომად სიკუდილისა მუნვე დაეფლა" (ძქალძ, IV, გვ. 376), ისე, რომ ზემოთ მეტად აღარ ამოსულა, დავით აღმაშენებლის ანდერძში დამოწმებული ერთ-ერთი ამ საბუთთაგანი — ევაგრეს წინამძღვრად დადგინების აქტი შეიძლება ვიგულისხმოთ, რომელშიც მონასტრის საკუთრების შეუვალობაც იქნებოდა განსაზღვრული.

უფრო მეტი, დავით აღმაშენებლის ანდერძში მოტანილი სიტყვები *„უფალი მღჳმისა ღმერთია"*, შეიძლება წმ. შიოს ანდერძის ნაწყვეტიც იყოს, რომელსაც დავით აღმაშენებელი თავის მხრივ უმატებს — *„მეუფე წმიდაჲ მამაჲ შიო"*, თუ ეს, რა თქმა უნდა, იმავე წმ. შიოს ანდერძიდან მოტანილი ნაწყვეტის გაგრძელება არაა, ცხადია, გადაკეთებული სახით, რადგან შიო წმინდანად თავის თავს არ მოიხსენიებდა.

წმ. შიოს ცხოვრების ზემოთმოყვანილი ნაწყვეტების და დავით აღმაშენებლის ანდერძის შესაბამისი ადგილების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით ორი გარემოება იქცევს ყურადღებას — ერთი, „ანდერძის", როგორც წერილობითი ძეგლის, იურიდიული საბუთის უადრესი დამოწმების ფაქტი და მეორე — შიომღვიმის მონასტრის წინამძღვრის დადგენის ორი განსხვავებული წესი — დანიშვნით მონასტრის დამაარსებლის მიერ და კენჭისყრით არჩევა მონასტრის კრებულის მიერ; არსებობდა კიდევ მესამე წესი — წინა წინამძღვრის მიერ თავისი მომდევნო წინამძღვრის დანიშვნისა. რაც შეეხება პირველ გარემოებას, მასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ „ჯერჯერობით უძველესი ანდერძია დავით აღმაშენებლის 1123 წ. შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებული, რომელშიაც ეს ტერმინი ნახმარია კიდეც"[13]. ამავე წერილობით ძეგლში, როგორც დავინახეთ, დამოწმებულია ასევე „ანდერძი" და ბევრად ადრინდელი ხანისა (VI ს.). ნ. ბერძენიშვილი იმ ვარაუდსაც გამოთქვამს, რომ „ასეთ „ანდერძად" შიო მღვიმელის ცხოვრება ხომ არ იგულისხმება"; მაგრამ დავით აღმაშენებელი შიომღვიმისადმი გაცემულ იურიდიულ საბუთს თვითონვე უწოდებს ტექსტში ოთხგზის „ანდერძს" (სტრქ. 5, 137, 143, 159). ამდენად, ასეთი სახის წერილობითი ძეგლი რომ წმინდანის ცხოვრებისაგან განსხვავებულია ეს მისთვის ცხადია. ამიტომ, ვთვლი, რომ მის მიერ მისსავე ანდერძში დასახელებული „ანდერძი წმ. შიოჲსი" (სტრქ. 119) ცალკე წერილობითი ძეგლი, იურიდიული საბუთი იქნებოდა და არა წმინდანის ცხოვრების აღწერა.

1.1. დავით აღმაშენებლის ანდერძში წმ. შიოს ანდერძის დამოწმების შეს-

---

[12] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა *ი. აბულაძემ* („ძველი ქართული ენის კათედრის შრომები", 1), თბ., 1955, გვ. 125: 30-128:10; 135:12-138:22.

[13] *ივ. ჯავახიშვილი*, ქართული სიგელთა-მცოდნეობა, გვ. 47.

ახებ მსჯელობა შეიძლებოდა ამით დაგვემთავრებინა, მაგრამ, ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, საჭიროა ყურადღება მიექცეს კიდევ ერთ გარემოებას. მართალია, იგი დავით აღმაშენებლის ანდერძთან უშუალოდ დაკავშირებული არაა, მაგრამ უკავშირდება მასთან მიმართებაში არსებულ სხვა წერილობით ძეგლებს — წმ. შიოს ცხოვრების მეტაფრასულ და სვინაქსარულ რედაქციებს და დავით აღმაშენებლის ანდერძის მომდევნო სხვა ძველ ქართულ საბუთებს, რომლებშიც შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი სოფლებია ჩამოთვლილი, მონასტრის საკუთრებად დამტკიცებული, ან მის მიერ შემოწირვის, ან შეძენის გზით ახალმოპოვებული.

საქმე შეეხება შემდეგ ფაქტს: ქართლის მეფე ფარსმანი მივიდა შიომღვიმის მონასტერში წმ. შიოს თანამოსაგრის ევაგრეს ხილვად, რადგან ეს უკანასკნელი „სპასპეტი იყო და უნდა წარყვანება მისი. და არა დაემორჩილა ევაგრე" (ძქალძ, IV, გვ. 374). ბოლოს საქმე იმით დამთავრდა, რომ მეფემ „მიანიჭა უკუე მონასტერსა მას ოთხნი რჩეულნი სამეფოთა დაბათაგან და დაწერა ჴელითა თჳსითა თავისუფლებაჲ მათი და მისცა ევაგრის ოცდაათი ლიტრა ოქროჲ ეკლესიისა მათთჳს საჴმარად"; შემდეგ მეტაფრასულ რედაქციაში ჩამოთვლილია ფარსმანის მიერ შეწირული სხვა საეკლესიო სამკაული და სიწმინდისა სამსახურებელი[14], ხოლო სვინაქსარულ რედაქციაში შეწირული ოქრო-ვერცხლის შესახებ აღნიშნულია — „ოცდაათი ლიტრა ოქრო და ვეცხლი ფრიადი მონასტერთა შენებისათჳს" (ძქალძ, IV, გვ. 374). რომელ ოთხ დაბაზეა აქ საუბარი და ჩანს თუ არა ისინი საბუთებში?

ვფიქრობთ, ეს „ოთხნი დაბანი რჩეულნი", რომელიც მონასტერს უძველეს დროს, ჯერ კიდევ შიოს და ევაგრეს სოცოცხლეში ჰქონდა ქართლის მეფეთაგან მინიჭებული, უნდა იყოს „ოთხნი სოფელნი — ცხევერეთი გუელდესითურთ, გავაზელნი კოტმითურთ", რომლებიც არაერთგზის იხსენიებიან ერთად შემდგომი დროის საბუთებში, ხოლო პირველად ე.წ. *ფავნელის დაწერილშია* ამ სახით დაჯგუფებული. ვფიქრობთ, ასევე შემთხვევით არ უნდა იყოს, რომ იმავე ფავნელის დაწერილში სწორედ ამ სოფლებთან დაკავშირებით ფიგურირებს „ოცდაათი ლიტრა ოქრო, ოცდაათი ლიტრა ვეცხლი" (ქისკ, I, N1:16), რომელიც ასევე იხსენიება იმ ოთხ დაბასთან ერთად, რომელიც ფარსმან მეფემ მიანიჭა მონასტერს.

მართალია, ე. წ. ფავნელის დაწერილში, რომელიც იმ სახით, როგორი სახითაც მან ჩვენამდე მოაღწია, XIII ს-ის საბუთია, ისეთი სურათი ჩანს, რომ ეს ოთხი სოფელი ფავნელმა სთხოვა მეფეს მკვდარი შვილების სულის საურავად და ტყვეთა დასახსნელად, ხოლო შემდეგ ამ მიზნითვე „ოცდაათ ლიტრა ოქროდ და ოცდაათ ლიტრა ვეცხლად" მიჰყიდა მონასტრის წინამძღვარს „მთავარმემღუიმე" თევდორეს, მაგრამ ეს ფაქტი, რომელიც გამოწვეული იყო სრულიად გარკვეული მიზეზით, შედარებით გვიან უნდა მომხდარიყო[15].

---

[14] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 111:30–35.
[15] *ი. ანთელავა,* XI-XIV სს ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988, გვ. 132.

როგორც ჩანს, სურათი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: XIII საუკუნისათვის, როდესაც შედგა ე.წ. *ფავნელის დაწერილი*, რომლის შედგენა სხვადასხვა, XIII ს-ისათვის დაზიანებული საბუთების ნაწყვეტებისაგან, ეჭვს არ იწვევს, მოლ-ნეული იყო ევაგრეს და შიოს დროის ის საბუთიც, რომლის გაცემის შესახებ ფარსმან ქართლის მეფის მიერ მათ ცხოვრებაშია აღნიშნული და რომლითაც მეფე მონასტერს სწირავდა ოთხ სოფელს. როგორც ჩანს, სწორედ ამ საბუთის ნაწყვეტი უნდა იყოს ე. წ. ფავნელის დაწერილის სტრიქონები „ვთხოვენ ოთხნი სოფელნი — ცხევერეთი გუელდესითურთ, გავაზელნი კოტმითურთ"(ქისკ, I, N 1:13), რომელთა სახელებით აღნიშვნა წმ. შიოს და ევაგრეს ცხოვრებაში საჭი-როდ არ მიუჩნევიათ, რადგან ეს ტექსტს არაფერს სძენდა, ხოლო ფავნელის დაწერილის შემდგენელმა, როგორც მისი მიზნისათვის ძირითადი და არსე-ბითი მნიშვნელობისა, დაასახელა და იმ სახით მოიტანა, როგორითაც ძველ, მისი დროისათვის უკვე დაზიანებულ საბუთში იყო წარმოდგენილი. ასევე ძველი საბუთის ფრაგმენტად, მასში წარმოდგენილი მონაცემების ასახვად უნდა მივიჩნიოთ, როგორც ჩანს, ფავნელის დაწერილში კონკრეტული ციფრე-ბით გამოხატული მონასტრის კუთვნილი მოძრავი ქონება — „მომიწონა ოცდაათი ლიტრა ოქრო, ოცდაათი ლიტრა ვეცხლი"[16].

ამავე დროს „ცხევერეთი გუელდესითურთ, გავაზელნი კოტმითურთ" დაწყვილებული დასახელებით უძველესი (VI ს.) საბუთიდან გადმოღების არაპირდაპირ მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ ისიც, რომ უკვე XI ს-ისათვის ეს სოფლები ასე გამოკვეთილად და დაწყვილებულად აღარ ყოფილან — გიორგი II-ის 1073 წლის სიგელში, შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი სოფლების ჩამოთვლისას, ისინი ასეა დასახელებული: „სოფელნი და აგარანი მათნი და ყოველნი საქონელნი მათნი, რომელნი სამეფოსა ჩუენსა შინა არიან, სახ-ელდებით ესე: ...მინაი და გლეხნი... ცხირეთს — ცხევერი და გავაზელნი; გუელდესი და კოტმანი" (ქისკ, I, № 6:1-5). მაშასადამე, ამ დროს უკვე ძველი გავაზელნი გაზრდილა, გამოყოფია კოტმანს და ცხევერთან ერთად, რომელიც ძველი ცხევერეთი უნდა იყოს, ჰქმნის ცალკე ცხირეთს, ხოლო გუელდესი, რო-მელიც ცხევრეთთან წყვილდებოდა, ახლა უკვე კოტმანთანაა დასახელებული, ოღონდ ისიც ცალკე სოფლად.

ნიშანდობლივია, რომ უკვე ერთი საუკუნის შემდეგ, გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში შიომღვიმის მონასტრისადმი, ფავნელთა და ტბელთაგან მონასყიდად მხოლოდ „ცხირეთს — ცხევერელნი და გავაზელნია" დასახელე-

[16] როგორც ჩანს, მაინცდამაინც ამ „ოცდაათ ლიტრა ვეცხლს" – მონასტრისათვის მისი შეწირვას (ფარსმან მეფის მიერ), ან მისი მიხედვით მონასტრის საქონებელთა დაფასებას (წინამძღვრის მიერ), რაღაც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი შეწირულებაც შიომღვიმის მონასტრისადმი ასეა ანდერძის ტექსტში წარმოდგენილი: „სიწმიდის სამსახური და რაჲცა უნდა მისთჳს – ოცდაათი ლიტრაჲ ვეცხლი წმიდაჲ, არსენის ჴელსა არს" (სტრიქ. 64-65). საისტორიო წყაროებში მისი დაჟინებით ფიგურირება მაინცდამაინც ყიდვა-გაყიდვასთან და ცოდვათა მოსანანიებლად ეკლესიისათვის ფულის შეწირვასთან, ხომ არ უკავშირდება სიმბოლური მნიშვნელობით სახარებისეულ „ოცდაათ ვეცხლს" (მთ. 26, 15; 27, 3-7)?

ბული (ქისკ, I, 11:36). მაშასადამე, ცხადია, რომ რომელიმე წყაროს ცნობა ამ სოფლების კუთვნილების შესახებ, ვერ განზოგადდება და ცნობა მხოლოდ მისი დროის სინამდვილის მაჩვენებლად შეიძლება გამოდგეს — ჩვენს შემთხვევაში, ეს ოთხი სოფელი, ან რომელიმე მათგანი, როგორც ჩანს, სხვადასხვა დროს მფლობელებს იცვლიდა, ისევე, როგორც შიომღვიმის მონასტრის რომელიმე სხვა სამფლობელო, ვთქვათ, ბორცუისჯუარი, რომლის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ იქნება აღნიშნული.

მაშასადამე, უკვე XI საუკუნისათვის (გიორგი II-ის სიგელის მიხედვით) და მით უფრო XII ს-ისათვის (გიორგი III-ის სიგელის მიხედვით) ძველი დანწყვილებები ზემოდასახელებული სოფლებისა მოშლილია, ხოლო მათი დასახელება ამ ძველი დანწყვილებით შემოგვრჩა XIII ს-ის ე. წ. ფავნელის დაწერილში, რომელშიც ეს სოფლები ძველი (VI ს.) საბუთიდან მოტანილი ფრაგმენტის მიხედვითაა ჩამოთვლილი.

ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ, წმ. შიოს ანდერძის, ფეოდალური ხანის ერთ-ერთი უძველესი ქართული ისტორიული საბუთის (VI ს.), დამოწმება დავით აღმაშენებლის ანდერძში, საკითხთა ფართო წრეს უკავშირდება, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს შევეხეთ (მაგალითად, მეტის აღნიშვნა შეიძლებოდა შიომღვიმის მონასტრის დაარსებისდროინდელი სამფლობელოების შესახებ წმ. შიოს სვინაქსარული და მეტაფრასული ცხოვრებების და წმ. შიოს სასწაულების მიხედვით, მაგრამ ეს საკითხები ჩვენი ამჟამინდელი კვლევის სფეროს სცილდება) და მათ შესახებაც მსჯელობა, წყაროთა მოუღწევლობისა და ცნობათა სიმწირის გამო, სამწუხაროდ, უმეტესად ჰიპოტეთურად და მხოლოდ ვარაუდების სახით გვიხდება.

2. ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით საინტერესოა და შედარებით უხვ ცნობებს შეიცავს დავით აღმაშენებლის ანდერძის ის მონაკვეთი, რომელიც ძველ სიგელთა განახლებას შეეხება (სტრქ. 49-53). ამათგან პირველ რიგში, ქრონოლოგიის გათვალისწინებით, ყურადღებას იქცევს შემდეგი ადგილი: დავით აღმაშენებელი აღნიშნავს, რომ „თ ჳ თ ძ უ ჱ ლ ი ს ძ უ ჱ ლ ი ნ ა ს ყ ი დ ი მონასტრისაგან ყოველი უბეგროდ უწყენლად კულა მომიჴსენებია წმიდისა მამისა შიოსათჳს"-ო (სტრქ. 52-53). მაშასადამე, მონასტერს გააჩნია ნასყიდი ქონება (ცხადია, მათ შორის სოფლები), რომელიც XII ს-ისათვის უკვე „ძუელის ძუელიც" ყოფილა. ცხადია, ამ ნასყიდთა შესახებ მას სათანადო საბუთებიც ექნებოდა, რომელთა მიხედვით ეს ქონება „უბეგრო და უბაჟო" ყოფილა. ასევე, კვლავ უბეგროდ და უბაჟოდ მომიხსენებია იგი მონასტრისათვისო, აღნიშნულია ანდერძში.

სამწუხაროდ, მონასტრის ამ „ძუელი და ძუელის ძუელი" ნასყიდის შესახებ საბუთებს ჩვენამდე არ მოუღწევია: თვით მათ მიმართ ნახმარი გამოთქმა გვიჩვენებს, რომ ისინი ძალიან ძველი, შეიძლება მონასტრის დაარსებისა ან მისი არსებობის პირველი საუკუნეების დროინდელი მაინც იქნებოდა.

შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ზოგიერთი მათგანის კვალი აისახა ე.წ. ფავნელის დანერილის ცალკეულ ადგილებში და მათ შესახებ დაწვრილებით ცოტა ქვემოთ შევჩერდებით; ხოლო აქ ასეთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება — მაინც ეს „ძუელი და ძუელის ძუელი“ ნასყიდი, მართლა შეიძლება თუ არა იყოს მონასტრის დაარსებისდროინდელი, ე.ი. VI ს-სა? ჰქონდა იმ დროის საქართველოში სოფლის, ან მიწის ნასყიდობას ადგილი?

მართალია, ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ძუელი და ძუელის ძუელი“ (სავარაუდოდ VI-VII სს.) ნასყიდობის შესახებ საბუთებს შიომღვიმის მონასტრიდან ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ საერთოდ იმ დროის მიწის ნასყიდობის შესახებ სხვა საბუთმა, როგორც ეს ცნობილია, ჩვენამდე მოაღწია. ესაა ეპიგრაფიკული საბუთი, ე.წ. *წყისის წარწერა* 616-619 წლებისა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ვინმე კოსტანტიმ, ძემან სტეფანესა და გუდასმან, „ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა“ ჯვარი ალმართა მცხეთის ჯვრის სახელზე[17], ე.ი. ეს ნასყიდი მიწა მან შესწირა, დაუქვემდებარა მცხეთის ჯვრის მონასტერს. როგორც აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავდა, „ეს არის, მოღწეულთა შორის, უძველესი დოკუმენტი, რომელიც აშკარად მოწმობს, რომ მეექვსე საუკუნის დამლევს თუ მეშვიდე საუკუნის დამდეგს, მიწა ყიდვის და, საერთოდ, თავისუფალი გასხვისების საგანია“[18].

მაშასადამე, VI-VII საუკუნისათვის რომ შიომღვიმის მონასტერს ნასყიდი მიწა და ამის შესახებ საბუთი ჰქონოდა, სავსებით შესაძლებელი და დასაშვები ფაქტია, რომელმაც XII საუკუნისათვის დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტში „ძუელის ძუელი ნასყიდის“ სახით ჰპოვა მოხსენიება და დამოწმება.

გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, ანდერძის ტექსტის „ძუელი“ ნასყიდობის შესახებ საბუთებს შორის შეიძლება იგულისხმებოდეს ე.წ. ფავნელის დანერილში ჩართული ზოგიერთი საბუთის ნაწყვეტიც, ან ნაწყვეტები. მაგალითად, ფავნელის დანერილში ერთგან აღნიშნულია, რომ „მოვიყვანე მთავარი მემღუიმე თევდორე და მივათუალენით სოფელნი; და მომინონა ოცდაათი ლიტრა ოქრო, ოცდაათი ლიტრა ვეცხლი წმიდისა შიოს კუბოსა შემონაყარი, ათასი პელპელი, ათი ათასი სტავრა, შუიდი ჯორი ვარდა, შუიდი ქორი კაპოეტი, შუიდი მეძებარი, შუიდი მწევარი ნაუვალი“ (ქისკ, I, №1:15-19). როგორც ვხედავთ, შიომღვიმის მონასტრის, სხვა წყაროებით ჩვენთვის უცნობ, ერთ-ერთ წინამძღვარს თევდორეს, სავარაუდოდ, ფავნელისაგან, ან რო-

---

[17] ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა *ნ. შოშიაშვილმა*, თბ., 1980, № 32.; *გ. ხილოყავა*, ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 2, 1972, გვ. 143-146.

[18] *ს.ჯანაშია*, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 240. შედარებით დაწვრილებით ამ დროის (VI-VII სს.) საქართველოში მიწის ყიდვა-გაყიდვის და საერთოდ გასხვისების შესაძლებლობათა შესახებ: *ნ. ბერძენიშვილი*, რეცენზია ს. ჯანაშიას ნაშრომზე „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, იხ. *მისი*, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966, გვ. 381-383.

მელიმე სხვა, ჩვენთვის ასევე უცნობი ხელისუფლისაგან, უფრო ზუსტად მთავრისაგან, უსათუოდ ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული სოფელი, თუ სოფლები შეუსყიდია, რომელშიც გადაუხდია ზემოთჩამოთვლილი საფასური. როდის შეიძლებოდა ამ ფაქტს ჰქონოდა ადგილი? უფრო ზუსტად, ჩვენთვის საინტერესოა — როდის შედგა ის საბუთი, რომელშიც ეს გარიგება აისახა?

ამის განსაზღვრას გვშველის საბუთის ზემოთმოტანილ ფრაგმენტში წარმოდგენილი ორი ფაქტი: პირველი, ეს სოფლები მთავარმამა მემღვიმე თევდორეს მიერ შეძენილია „წმ. შიოს კუბოს შემონაყარი", ე.ი. მონასტრისათვის წმ. შიოს გარდაცვალების შემდეგ შეწირული ფულით და, მაშასადამე, მონასტრის წინამძღვრის მიერ სოფლების შეძენის აქ ასახულ ფაქტს ადგილი ჰქონდა წმ. შიოს გარდაცვალებიდან საკმაო ხნის შემდეგ; მეორე, სოფლების შესაძენად გადახდილი ფულადი ერთეული „პელპელი" საშუალებას გვაძლევს უფრო კონკრეტულად განვსაზღვროთ ამ ფაქტის ქრონოლოგიური მიჯნები — კერძოდ, გამორკვეულია, რომ „პერპერის", როგორც ბიზანტიის კეისრის ალექსი I კომნენოსის სამონეტო რეფორმის შედეგად მოჭრილი მონეტის გაჩენა საქართველოში მოსალოდნელია XI ს-ის 80-90-იანი წლების შემდეგ[19]. ამიტომ, ე.წ. ფავნელის დაწერილის ეს მონაკვეთი, უფრო ზუსტად, ის საბუთი, რომლის ნაწყვეტიც ამ მონაკვეთშია წარმოდგენილი, XI ს-ის 80-იანი წლებიდან XII ს-ის I მეოთხედამდე (დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი ანდერძის შედგენამდე) დროით უნდა დათარიღდეს.

მაშასადამე, არ არის გამორიცხული, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძში დამოწმებული შიომღვიმის მონასტრის „ძუჩლი" ნასყიდობის საბუთებს შორის იგულისხმებოდეს ე.წ. ფავნელის დაწერილში ფრაგმენტულად ჩართული ერთ-ერთი საბუთიც[20].

---

[19] *გ. ჯაფარიძე*, ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XII სს. საქართველოში, „მაცნე" ისტორიის...სერია, 3, 1976, გვ. 92-93. *Г.И. Джапаридзе*, О термине "Иперпир" в синодике Иверского монастыря на Афоне, "Византийский Временник", 39, 1978, с. 180-181.

[20] ქისკ-ის გამოცემაში ფავნელის დაწერილის ჩვენ მიერ ზემოთგანხილული ფრაგმენტის ნაწილად მიჩნეულია, აგრეთვე, ამ საბუთის კიდევ ერთი მონაკვეთი, რომელიც, გამოცემის მიხედვით, თითქოს მონასტრის წინამძღვრის თევდორეს ხელრთულობის ნაწყვეტი უნდა იყოს (ქისკ, I, №1:19-22), ე.ი. იმ თევდორესი, რომელსაც ზემოაღნიშნული გარიგება უწარმოებია და, მაშასადამე, საბუთის ეს მონაკვეთიც (ხელრთულობა) IX ს-ით უნდა დათარიღდეს; მაგრამ, ამ საბუთის ამ მონაკვეთის ასეთ დათარიღებას და, მაშასადამე, ზემოთგანხილული ადრინდელი საბუთის ნაწყვეტისადმი მის მიკუთვნებას, გადაულახავ წინააღმდეგობად ელობება ის, რომ ე.წ. თევდორეს ხელრთულობის ნაწყვეტში დასახელებულია ფულადი ერთეული *თეთრი* („თეთრსა რა ანგარიში უნდა: კაბარჭითა გარდაუწყე" — ქისკ, I, №1:19), რომელიც, როგორც ცნობილია, XIII ს-ში შემოდის (*ს. კაკაბაძე*, სასისხლო სიგელების შესახებ, „საისტორიო მოამბე", წ. II, 1924, გვ. 72; *ც. ღაბერიძე*, რამდენიმე ნუმიზმატიკური ტერმინის შესახებ XIII-XIV სს. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, „მაცნე", ისტორიის... სერია, 4, 1979, გვ. 125-129). მაშასადამე, ეს ნაწყვეტი არ შეიძლება თევდორესეული „ძუჩლი" საბუთის (ქისკ-ში IX ს-ით დათარიღებულის, ჩვენ მიერ XI ს-ის 80-იანი წლები — XII ს. I მეოთხედისად მიჩნეულის) ფრაგმენტი იყოს.

3.1. საბუთების შემდეგი ჯგუფი, რომლებიც დავით აღმაშენებლის ანდერძშია დამოწმებული, არის „მამათაჲ და პაპათა სიგელნი... სოფელთათჳს" (სტრქ. 49). მათ შესახებ ანდერძის ტექსტში აღნიშნულია: „*ვითარად მამათაჲ და პაპთა ჩემთაგან სიგელნი სოფელთათჳს მათთა წმიდასა ამას უდაბნოსა, რაჲცა სიბოროტითა ჟამთათა შეცვალებულ იყო, მე კულა გამიახლებიან იგი სიგელნი*" (სტრქ. 48-51). აქ, როგორც ჩანს, სხვა სიგელებთან ერთად, იგულისხმება შიომღვიმის მონასტრის ის ორი სიგელი, რომლებმაც ჩვენს დრომდეც მოაღწიეს თვით დედნის სახით და რომელთაგან ერთი გაცემულია დავით აღმაშენებლის მამის გიორგი II-ის, ხოლო მეორე — პაპის ბაგრატ IV-ის მიერ[21]. ანდერძის მოტანილ ნაწყვეტში რომ შეიძლება მაინცდამაინც ეს ორი საბუთიც იგულისხმებოდეს, ამის მაჩვენებელია ის, რომ ორივე ეს სიგელი შიომღვიმისათვის სწორედ სოფლების შეწირვის, ან მონასტრის უკვე კუთვნილ სოფლებზე უფლების დამტკიცებას წარმოადგენს; ანდერძის ტექსტის სიტყვები — „მამათაჲ და პაპთა ჩემთაგან სიგელნი ჰქონან სოფელთათჳს", ამის პირდაპირ მოწმობად შეიძლება ჩაითვალოს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ჩვენი სინამდვილისათვის მაინც უნიკალურ ფაქტთან, როდესაც ანდერძის ტექსტში დამოწმებულმა ორმა ძველმა საბუთმა ჩვენამდეც მოაღწია.

ერთი მათგანია, როგორც აღინიშნა, დავით აღმაშენებლის პაპის მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072) საბუთი შიომღვიმის მონასტრისათვის „მანგლისწევს ადგილი ბორცუისჯუარის" შეწირვის შესახებ, გაცემული მისი მეფობის „მეოლა-სა" ინდიკტიონს, ე.ი. 1057 წელს (ქისკ, I, N4).

საინტერესოა მოტივირება ბაგრატ IV-ის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი გაცემული ამ შეწირულებისა: „წარმემართოს ლაშქრობაი ესე; და ყოველნივე დღენი ცხორებისა ჩემისანი, ნებასა შინა ღმრთისასა, მშჳდობით და მტერთა ჩემთა ზედა ძლევით აღვასრულნე" (ქისკ, I, N 4:19-21). მაშასადამე, მეფის მიერ ამ სიგელის გაცემის საბაბი ყოფილა, რომელიღაც ჩვენთვის უცნობი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ლაშქრობის წინ, შეწირულების გაღება მონასტრისადმი. აქ უსათუოდ გაგვახსენდება დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისადმი ანდერძის შედგენის ანალოგიური საბაბი — ამ საბუთის ტექსტითაც ხომ მეფემ იგი შეადგინა „ჟამსა შარვანსა ზედა განმართვისასა", ანუ გალაშქრებისას. საერთოდ, ლაშქრობაში ან ომში წასვლის წინ ეკლესიისათვის სახვადასხვა სახის შეწირულების გაცემის ფაქტი, ცხადია, სამაგიეროდ შეწევნის, დახმარებისა და გამარჯვების თხოვნით, არაერთია ცნობილი ქართულ დოკუმენტურ წყაროებში და განსაკუთრებით დამახასიათებელია სწორედ XI ს-ის წერილობითი ძეგლებისათვის[22].

---

[21] შდრ. *Ф. Жордания*, Завещание, с. 19, прим. 41.

[22] მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ X-XI სს. რამდენიმე წარწერა-გრაფიტი სვანეთიდან: სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. II, ეპიგრაფიკული ძეგლები, თბ., 1988, გვ. 213-215. ნიმუშად

მაგრამ ჩვენი საკითხისათვის უფრო არსებითია და მნიშვნელოვანი ის, რომ ბაგრატ IV-ის მიერ შიომღვიმისათვის შეწირული ბორცუისჯუარი საბუთის ტექსტში მოხსენიებულია როგორც „ადგილი" და არა როგორც სოფელი, ე.ი. დასახლებული პუნქტი. საბუთში აღნიშნულია, რომ „ლავრასა მღჳმისასა" შეწირულია „მანგლისწევს ადგილი ბორცუისჯუარი, ყოვლითა მზღვრითა მისითა, მთითა, ბარითა, წყლითა, კლდითა, წისქუილითა და ყოვლითა საჴმრითა და უჴმრითა" (ქისკ, I, № 4:9-10). მართალია, აქ წისქვილიცაა ნახსენები, მაგრამ, ცხადია, არ არის აუცილებელი რომ იგი მაინცდამაინც დასახლებულ ადგილას, ე.ი. სოფელში ყოფილიყო. ნიშანდობლივია, რომ ამ სიგელისადმი დართულ ორ, გაცემის თანადროულ ან მასთან ახლო ხანით დათარიღებულ, დამტკიცება-ხელრთულობებში, რომელთაგან ერთი ეკუთვნის *გიორგი ქართლის კათალიკოსს* და მეორე — *ივანეს*, ერისთავთა ერისთავ ლიპარიტის ძეს, ბორცუისჯუარი მოხსენიებულია მხოლოდ სახელით, რაიმე განსაზღვრების („ადგილი", „სოფელი") გარეშე (ქისკ, I, № 4:40-41, 60-61).

ერთი სიტყვით, ბაგრატ IV-ის სიგელის მიხედვით, 1057 წლისთვის ბორცუისჯუარი მხოლოდ „ადგილია" და არა სოფელი. მაგრამ უკვე გიორგი II-ის 1073 წლის სიგელში იგი დასახელებულია შიომღვიმის კუთვნილ სოფლებს შორის, უფრო ზუსტად, იმ ადგილებს შორის, რომლებშიაც შიომღვიმის მონასტერს „გლეხნი და მიწაი" ჰქონებია (ქისკ, I, № 6:6), ხოლო ასეთად სწორედ სოფელი უნდა მივიჩნიოთ[23]. მით უმეტეს შეიძლება დავუშვათ, რომ დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისადმი ანდერძის შედგენის დროისათვის, XII ს-ის I მეოთხედის ბოლოს, იგი სოფელი იქნებოდა და, მაშასადამე, ეს კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ დავით აღმაშენებლის მიერ დამოწმებულ მის „მამათა და პაპათა" სიგელებს შორის „სოფელთათჳს", რომელიც შიომღვიმის მონასტერს ჰქონებია, ბაგრატ IV-ის ეს სიგელიც ვიგულისხმოთ „ადგილი ბორცუისჯუარის" შესახებ.

3.2. მეორე სიგელი, რომელიც დავით აღმაშენებლის ანდერძში აღ-

მოეყვან ს. ივხის (ლატალი) წმ. გიორგის („ჯგრაგ") ეკლესიის X ს-ის II ნახ-ის ერთ შესანიშნავ წარწერა-გრაფიტს: „ქ. წმიდაო გიორგი, შემიწყალე მე, მწარედ ცოდვილი ბენდე, სვიანი მყავ დღესა ბრძოლისასა, ჟამსა ჭირისასა. ესე კობალ მე, ბენდე შევსწირე; ვინცა აქა მოსწყვიდოს, ცოდვაი-მცა ჩემი აქუს" (იქვე, გვ. 274, 275, №65); ბენდე — საკუთარი სახელია; კობალ — ნიშა ხარია.

[23] ამ ფაქტიდან ისიც ჩანს, რომ მონასტრისათვის გადაცემული „ადგილი", სულ რაღაც ოციოდე წლის მანძილზე, ე.ი. თითქმის ერთი თაობის განმავლობაში, ისე მოშენებულა, რომ სოფლად გადაქცეულა, ცხადია, მონასტრის მიერ იქ გლეხების დასმის გზით. მაშასადამე, იმ ეროვნულ ბობოქარ ეპოქაში (XI ს.) ეკლესიის (ამ შემთხვევაში მონასტრის) მიწები და მათი სამფლობელოები, როგორც შედარებით მშვიდობიანი ადგილები, მოსახლეობისათვის თავშესაფრის პოვნის, მოშენებისა და მეურნეობის გამართვის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილი იყო. ეს, ქართული სამონასტრო ცხოვრების ისტორიისა და საერთოდ მისი მეურნეობის ერთ-ერთი მეტად საინტერესო საკითხია მთელი შუასაუკუნეების მანძილზე, რომლის აქ განხილვა, ცხადია, შეუძლებელია და არც წარმოადგენს აუცილებლობას.

ნიშნულ მეფის „მამათა და პაპთა" სიგელებს შორის უნდა იგულისხმებოდეს, როგორც აღინიშნა, არის გიორგი II-ის 1073 წლის სიგელი შიომღვიმისადმი „საქონელთათუის მათთა, რომელნი ჰქონან ლავრასა მღუიმისასა თრიალეთს და მანგლისჴევს" (ქისკ, I, N 6, გვ. 46:7). ეს სიგელი გამორჩეულია შიომღვიმის მონასტრის კუთვნილ სხვა საბუთებს შორის — მასში სახელდებით არის ჩამოთვლილი მონასტრის ის სოფლები, რომლებიც მის საკუთრებას შეადგენდა სიგელის გაცემის დროისათვის, ე.ი. 1073 წლისათვის. ამიტომაც, ამ სიგელის დამოწმება დავით აღმაშენებლის ანდერძში „სოფელთათჳს" სიგელებს შორის, არათუ სავსებით შესაძლებლად, არამედ აუცილებლადაც კი უნდა ჩაითვალოს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ სიგელის ტექსტის ის ადგილი, სადაც ეს სოფლებია ჩამოთვლილი; საჭიროდ მიგვაჩნია სიგელის ტექსტიდან შედარებით ვრცელი ნაწყვეტის მოტანა, რადგან ამ ტექსტს ქვემოთ კიდევ არაერთხელ დავიმოწმებთ ცალკეული ნაწყვეტების სახით, ხოლო ერთიანად იგი ასეთია: შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი „სოფელნი და აგარანი მათნი და ყოველნი საქონელნი მათნი, რომელნი სამეფოსა ჩუენსა შინა არიან, სახელდებით ესე: აგარაი — ციხედიდს; გლეხნი და მიწაი — ნიჩბისს; გლეხნი და მიწაი — კოდალს, წინარეჴს და შუარეჴს, ადლითს, შედარს და ძუელ ღრდულეთს; და ცხირეთს — ცხევერი და გავაზელნი; გუელდესი და კოტმანი; კლდეკართა ქუეშე — ბორცუისჯუარი და ბჭითი; ზეგანთა მოუგონელნი — სვანეთს; და ფურჴადს, და ფიცეს" (ქისკ, I, № 6:3-7).

ეს სიგელი ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მასში დამოწმებულია ამ სოფლების შიომღვიმისადმი კუთვნილების შესახებ მანამდე არსებული სხვა სიგელები, დაწერილები და ჴელითწერილები, რომლებიც საბუთის ტექსტში ექვსგზის იხსენიებიან (ქისკ, I, № 6, გვ. 46:5, 9, 12; გვ. 47:1; № 6:8,17). კერძოდ, საბუთში აღნიშნულია, რომ „ესე ყოველნი საქონელნი მათნი, ვითა პირველთა სიგელთა სწერიან და ვითა შემწირველთა ჴელითწერილსა შინა სწერიან შეუვალობისა და თავისუფლებისა მათისათუის, აწ, ჩუენცა მასვე ზედა გაგუითავისუფლებიან ესე ყოველნი საქონელნი მღუიმისანი"-ო (ქისკ, I, №6:7-10); ან კიდევ, მეორეგან სწერია, რომ მღვიმის სოფლები „ყოვლისაგანვე გაგუითავისუფლებიან და ვითა პირველთა სიგელთა შინა უწერია, გაგებით, მას წესსა ზედა იყუნენ"-ო (ქისკ, I, № 6:17-18). სამწუხაროდ, არც ერთს ამ „პირველთა სიგელთაგანს" ჩვენამდე არ მოუღწევია, ერთის გამოკლებით — ესაა ბაგრატ IV-ის სიგელი ბორცისჯუარის შეწირულებისა, რომლის შესახებ ზემოთ იყო აღნიშნული.

3.3. დავით აღმაშენებლის „მამათა და პაპათა სიგელებს" შორის, რომლებიც ანდერძის ტექსტშია დამოწმებული, ცალკე უნდა გამოიყოს ის საბუთები,

რომლებიც *ძაგანის სახლს* ჰქონებია. ანდერძის ტექსტში მათ შესახებ აღნიშნულია შემდეგი: „ოდეს ზეზადნისა ციხე და მუხრანი ძუჲლითგან ვეცადე მათგან ძებნითა, მაშინცა არა იყო ნებაჲ ჩემი, მამამან ჩემმან უბოძაჲ, მით რომელ სხუათაცაჲ ჰქონებოდა მათთა გუართა და არავის ოდეს ექნა ჩუჲნი ერთგულობა“ (სტრქ. 106-109). როგორც ვხედავთ, აქ დასახელებულია ორი სიგელი — ერთი, რომლითაც ზეზადნისა ციხე და მუხრანი ძაგან და მოდისტოსს ადრეც ჰქონებია, და მეორე — გიორგი II-ის სიგელი, რომლითაც მან თავისი ძისა და როგორც ქვემოთ ვნახავთ, თანამეფის დავით აღმაშენებლის სურვილის საწინააღმდეგოდ, ხელახლა უბოძა მათ ეს სამფლობელოები[24].

ამის შემდეგ ანდერძის ტექქტში აღნიშნულია: „ან ძაგანმან სადგომად საებისკოპოსონიცაჲ უდიდესნი, გარნა სამთავროდ თჳთ, ადრითგან მამულობისა ეწერა-ყე საებისკოპოსოდ, და მცხეთისა საქონებელნი მრავალნი დაემჭირნეს, და ნილკანი საყდრისა, მონასტერისა რაცა იყო — მთასა ციხე მარანი, ანუ მატური იგი სოფელი; და მღჳმე მონასტერი — შიგან ციხედ და სადგომად ჰქონდეს თჳთ. ოდეს მოიქცეს სალმობა მისი თავსა მისსა, ყოველი ყოველთავე უკუნით ეცით ნაქონები მისა მიმართ თჳსებული და მღჳმეს ქონებანი მისნი — საავაზაკონი და ნარტყუჲნილი, ვითა მამისა ჩემისა ბრძანებასა შიგან გაჩენით სწერია“ (სტრქ. 109-117).

ანდერძის ამ ადგილის ჩვენი საკითხისათვის საინტერესო თვალსაზრისით განხილვამდე უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტში, არსებული გამოცემებისაგან განსხვავებით, ერთი არსებითი შესწორებაა შეტანილი. საქმე ის არის, რომ ამ საბუთის ყველა გამოცემაში, გარდა ს. კაკაბაძის მიერ ნუსხური შრიფტით გამოცემული ტექსტისა[25], „მამულობისა“-ს ნაცვლად წარმოდგენილია „მამაობასა“ (ასეთი წაკითხვა მომდინარეობს ანდერძის ტექსტის თ. ჟორდანიასეული გამოცემებიდან და დღემდე მეორდებოდა, როგორც ჩანს, ტექსტის ამ ადგილას გადმოცემული ამბების გავლენით — აქ საუბარია დავით მეფის მამის მიერ ძაგანისათვის გაცემულ საბუთზე). საბუთის დედნის ბოლო ხანს მიკვლეულ ფოტოზე დაკვირვებით ცხადი შეიქნა, რომ ტექსტში აქ წერია „მ~მლობისა“, რაც შეიძლება გაიხსნას მხოლოდ როგორც „მამულობისა“[26],

[24] ამ ფეოდალურ სახლს, რომელიც, როგორც ჩანს, ქართლსა და კახეთს შორის მუდმივად სადავო ტერიტორიას — ხერკ-ზედაზენ-მუხრანის მიდამოებს ფლობდა, *აბულეთისძეებად* მიიჩნევდნენ. ვფიქრობ, ბოლოდროინდელი გამოკვლევით (ა. *გოგოლაძე*, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, თბ., 2001, გვ. 151-160), ეჭვმიუტანლად დამტკიცდა, რომ ისინი აბულეთისძეები არ არიან; *აბულეთისძეებს* დავით აღმაშენებელმა იგი გადასცა სამფლობელოდ ძაგანის სახლის ამოწყვეტის შემდეგ.

[25] ანდერძი დავით აღმაშენებლისა, შიომღვიმისათვის დაწერილი. ტექსტი გამოსცა *სარგის კაკაბაძემან*, ტფ., 1912, გვ. 13, ზემოდან მეორე სტრიქონის ბოლო სიტყვა.

[26] უნდა აღინიშნოს, რომ ანდერძის ტექსტის ეს ადგილი (სადაც „მ~მლობისა“ იკითხება), როგორც ფოტოპირზეც აშკარად ჩანს, განახლებულია, გაცხოველებულია. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ განახლების დროს აქ მთლად ზუსტად არ იქნა აღდგენილი თავდაპირველი ტექსტი და შესაძლებელია გაცხოველებამდე აქ მართლაც „მ~მაობასა“ ან სხვა მისი მსგავსი სიტყვა იკითხებოდა.

ხოლო ასეთი წაკითხვა არსებითად სცვლის ტექსტის ამ ადგილის აქამდე მიღებულ გაგებას.

აღნიშნული შესწორების გათვალისწინებით, ანდერძის ეს ადგილი, როგორც ჩანს, ასე უნდა გავიგოთ: ძაგანმა, ის რაც ადრითგან საეპისკოპოსო მამულებად ეწერა, მათ შორის მცხეთის (სვეტიცხოვლის) საქონებელნი მრავალნი, წილკნის საყდრისა და მონასტრისა რაცა იყო — მთასა ციხე მარანი, სოფელი მატური, თავისთვის სამთავროდ დაიჭირა; ასევე, მღვიმე მონასტერი ციხედ და თავის სადგომად გაიხადა. მაშასადამე, ანდერძის ამ ადგილის მიხედვით, ძაგანს მიტაცებული ჰქონია: 1. ზეზადნის ციხე, 2. მუხრანი, 3. მცხეთის საქონებელნი, 4. წილკნის საყდარი და მისი საქონებელნი, 5. მთასა ციხე მარანი, 6. სოფელი მატური და 7. მღვიმის მონასტერი — ციხედ და სადგომად. 1124 წლისათვის, როდესაც დავით აღმაშენებელი შიომღვიმისადმი ანდერძს ადგენდა, ცხადია, ყველაფერი აქ ჩამოთვლილი ძაგანს ჩამორთმეული ჰქონდა და უკვე აღარ გააჩნდა (სულ ცოტა 1103 წლიდან მაინც), თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც ამ ანდერძის ტექსტიდანვეა ცნობილი, იგი მონასტრის ბერებს შეუპყრიათ და მეფისთვის გადაუციათ (სტრქ. 28). სწორედ ამის სამადლობელად (რაც ასევეა აღნიშნული ანდერძის ტექსტში — სტრქ. 29-30) დავით აღმაშენებელმა მონასტერში ღმრთისმშობლის დიდი ტაძარი ააგებინა, რომლის მოსახილველად იგი 1124 წლის სექტემბერში მონასტერში მივიდა და ანდერძიც შეადგინა.

ამდენად, ანდერძის ტექსტის შემდეგი მონაკვეთი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ოდეს მოიქცეს სალმობა" ძაგანის თავს, „ყოველი ყოველთავე უკუნით ეცით ნაქონები მისა მიმართ თჳსებული და მღჳმეს ქონებანი მისნი — საავაზაკონი და წარტყუენილი", გულისხმობს არა მომავალში განსახორციელებელ აქტს, როგორც ეს ესმით მკვლევარებს თ. ჟორდანიას დროიდან მოყოლებული[27], არამედ წარმოადგენს ნაწყვეტს, დამოწმებას, ტექსტის თავისუფალ გადმოცემას, გიორგი II-ის „ბრძანებიდან" და ეს მას აღნიშნული ჰქონია ძაგანისათვის ზედაზნის ციხისა და მუხრანის ხელახლად დამტკიცების სიგელში; ე. ი. აღნიშნული სამფლობელოები გიორგი II-ს ძაგანისთვის გადაუცია სიცოცხლის განმავლობაში ფლობის უფლებით, ხოლო შემდეგ ისევ მონასტერს უნდა დაბრუნებოდა. დავით აღმაშენებელი, უმტკიცებს რა ამ სამფლობელოებს მონასტერს, მომავალში რომ ისინი სადავო არ გახდეს, რადგანაც მათი ნაქონებია, აღნიშნავს — ისინი ძაგანს „სალმობისა მიქცევამდე" (გარდაცვალებამდე) ჰქონდა, „ვითა მამისა ჩემისა ბრძანებასა შიგან გაჩენით სწერია"-ო (სტრქ. 116); ხოლო თავის მხრივ ამატებს — „აღარ ოდეს მიგელოს იგი და არცა ვის სხუასა საქმე უც მღვიმესა თანა" (სტრქ.

საქმე ის არის, რომ როგორც ადრევე იყო შემჩნეული იმათ მიერ, ვინც უშუალოდ საბუთის დედანზე მუშაობდა, ცალკეული ადგილები საბუთის ტექსტში ყოველთვის ზუსტად არ არის აღდგენილ-განახლებული (იხ. მაგ., *Ф. Жордания*, Завещание, с. 13, прим. 5, с. 14, прим. 10, 11; ანდერძი დავით აღმაშენებლისა, გვ. 11, შენ. სქ-ში და სხვ.).

117)[28].

როგორ უნდა დათარიღდეს ეს სავარაუდო სიგელი, რომლითაც გიორგი II-ეს ძაგანისათვის დროებით მფლობელობაში გადაუცია ზედაზნის ციხე და მუხრანი დავით მეფის სურვილის საწინააღმდეგოდ? უფრო ზუსტად, როდის შეიძლებოდა, რომ დავითის, როგორც მეფის, თუ თანამეფის სურვილს მნიშვნელობა ჰქონოდა გიორგის, როგორც მეფისათვის სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილების მიღებისას?

ტრადიციულად მიღებულია, რომ დავით აღმაშენებელი გამეფდა 1089 წელს, 16 წლისა. მაგრამ კარგა ხანია ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში, რომ იგი ჯერ კიდევ 1085 წელს მოიხსენიება „მეფედ და სევასტოსად", ხოლო მამამისი გიორგი II „მეფეთა მეფედ"[29]. მაშასადამე, 1085-1089 წწ. მათი თანამეფობის წლებია, ხოლო 1089 წლიდან, მართალია, გიორგი II ცოცხალია (ითვლება, რომ იგი გარდაიცვალა 1110-იანი წლების დასაწყისში), მაგრამ დავითი ერთპიროვნული მმართველია[30]. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ზემოთნავარაუდევი ძაგანის სიგელი, რომლის დამოწმებისას ანდერძის ტექსტში აშკარად ჩანს თანამეფობის ანარეკლი, შეიძლება 1085-1089 წწ. დათარიღდეს.

გარდა აღნიშნულისა, ანდერძის ტექსტის განხილული ადგილიდან ჩანს, რომ შიომღვიმის მონასტერს ჰქონია „მატური იგი სოფელი", როგორც ჩანს, კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე არსებული და მაშასადამე, ცხადია, კახთა მეფეებისაგან შემოწირული სამფლობელო. ცხადია, ესეც მას სათანადო სიგელით ებოძებოდა და ანდერძში შეიძლება ასეთი სიგელის არსებობის დამოწმებაც ვივარაუდოთ. მაგრამ მონასტრის კუთვნილი „კახური საბუთების" შესახებ ქვემოთ გვექნება საგანგებო საუბარი და აქ მათზე სიტყვას არ გა-

---

[27] *Ф. Жордания*, Завещание, с. 6.

[28] ვფიქრობთ, დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტის ამ ადგილის წარმოდგენილი ინტერპრეტაციით გაირკვა, ყოველ შემთხვევაში სხვაზე მეტად არგუმენტირებულად გამოჩნდა, თუ სად და როგორ უნდა დაისვას ტექსტში ამ ადგილას პუნქტუაციის ნიშნები და ამდენად, გაიმართოს იგი. მივიღეთ, რომ ქისკ-ში წარმოდგენილ ტექსტთან შედარებით (სტრქ. 115-117) მეტი უპირატესობა უნდა მიენიჭოს „მრავალთავში" (IX, 1981) გამოცემულ ტექსტს და სიტყვა „წარტყუენული"-ს შემდეგ წერტილი კი არ უნდა დაისვას, არამედ ტექსტი გაგრძელდეს, ხოლო „სწერია"-ს შემდეგ მძიმე კი არ უნდა დაისვას, არამედ წერტილი და მომდევნო ტექსტი – სიტყვებიდან „აღარ ოდეს მიგულის იგი" დაიწყოს აბზაცით, ყოველ შემთხვევაში, ახალი წინადადების სახით, როგორც ეს ტრადიციულად იყო მიღებული მანამდე არსებულ გამოცემებში. ამ ორი გამოცემის წარმოდგენილ წინააღმდეგობათა შესახებ, თუმცა, რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მიუნიჭებლად, იხ.: *ი. ანთელავა*, XI-XIV სს ქართული საისტორიო წყაროები, გვ. 107-108, 110.

[29] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული *თ. ჟორდანიას* მიერ, ტფ. 1892, გვ. 232; ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ტ. III, თბ., 1948, გვ. 306 (№1350).

[30] *რ. მეტრეველი*, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1986, გვ. 97. ზედაზნის ციხის დაბრუნება და კახეთის შემოერთება დავით აღმაშენებელმა შეძლო 1103 წელს (*რ. მეტრეველი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 85; იქვე საკითხის ისტორია და ლიტერატურა).

ვაგრძელებთ[31].

4. „მამათა და პაპათა" მიერ „სოფელთათჳს" შიომღვიმის მონასტრისადმი გაცემულ სიგელებთან ერთად, დავით აღმაშენებლის ანდერძში დამოწმებულია ზოგადად „ს ი გ ე ლ ნ ი ... მ ე ფ ე თ ა შ ე წ ი რ უ ლ თ ა" (სტრქ. 51), რომლებიც „მე კულა გამიახლებიანო". როგორც ჩანს, აქ იგულისხმება, ერთი მხრივ, მეფეთა სიგელები, არა მარტო „სოფელთათჳს", არამედ საერთოდ სხვა შეწირულებათა შესახებაც და, მეორე მხრივ, იმ მეფეთა სიგელები, რომლებიც დავით აღმაშენებელთან „მამობით" ან „პაპობით" არ იყვნენ დაკავშირებულნი, ე.ი. მის უშუალო, ან უახლოესი წარსულის წინაპრებს არ წარმოადგენდნენ.

სამწუხაროდ, შიომღვიმის მონასტერთან დაკავშირებულ არც ასეთ სიგელებს მოუღწევია ჩვენამდე, თუმცა, ე.წ. ფავნელის დაწერილში ასეთი სიგელების კვალიც ჩანს და იქ მეფეებიც არის დასახელებული, რომლებსაც ასეთი საბუთები გაუციათ: „გარდავე ლიხთ-იმერით და მოვიღე თავისუფლებისა ბრძანება კოსტანტინესი და ბაგრატისი, კახთა მეფეთა: ფალლესი და კუირიკესი" (ქისკ, I, N 1:35-37). მაშასადამე, ამ ფრაგმენტის მიხედვით ჩანს, რომ შიომღვიმის მონასტერს ჰქონია „თავისუფლებისა ბრძანება", ე.ი. შეუვალობის სიგელები: 1) კოსტანტინე აფხაზთა მეფისა (893-922), რომელმაც 906 წელს ილაშქრა ქართლში[32] და დაიპყრო იგი. ამის შემდეგაც ქართლი ეგრისაფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა; „კოსტანტინე აფხაზთა მეფის მდგომარეობა შიდა ქართლში X ს. დასაწყისში სრულიად რეალური ჩანს"[33] და სავსებით ბუნებრივია დავუშვათ, რომ შიომღვიმის მონასტრის კრებულს სწორედ მისგან გამოეთხოვა შეუვალობის სიგელი; 2) ბაგრატი, რომლის თავისუფლების ბრძანება „ლიხთ-იმერით" ჰქონია „მოღებული" მონასტერს, უნდა იყოს ბაგრატ III (978-1114), ან ბაგრატ IV (1027-1072). როგორც ვიცით, შიომღვიმის მონასტერს გააჩნდა დღემდე შემორჩენილი სიგელი ბაგრატ IV-ისა, ოღონდ იგი საერთოდ მონასტრის შეუვალობისა კი არ არის, არამედ მონასტრისათვის ერთი კერძო შემოწირულობის გაღებასთან — ბორცუისჯუარის შეწირვასთან დაკავშირებითაა გაცემული. არ არის გამორიცხული, რომ ბაგრატ IV-ეს მონასტრისათვის საერთო შეუვალობის სიგელიც გაეცა, თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ასეთი სიგელი გაეცა ბაგრატ III-საც,

---

[31] დავით აღმაშენებლის ანდერძის აქ განხილულ მონაკვეთში, ადრე მიღებულ ტრადიციულ წაკითხვაზე დაყრდნობით, სხვა სიგელების (კერძოდ, გიორგი III-ის სამი სიგელი) სავარაუდო დამოწმების შესახებ იხ.: *ი. ანთელავა*, დასახ ნაშრომი, გვ. 110.

[32] როგორც ცნობილია, ამის შესახებ გარდა ნარატიული წყაროებისა, უტყუარი ცნობა შემოუნახავს ეპიგრაფიკულ ძეგლსაც: *რ. მეფისაშვილი*, ერედვის წარწერა, „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე", ტ. V, №10, 1944, გვ. 1045; *მისივე*, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, „ქართული ხელოვნება", 4, 1955, გვ. 111-113; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I, №76 — აქ წარწერა დათარიღებულია 914 წლის ახლო დროით (გვ. 170-171).

[33] ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, საქართველო IV-X საუკუნეებში, თბ., 1973, გვ. 519.

როდესაც 1010-1011 წლებს შორის მთლიანად შემოიერთა კახეთ-ჰერეთი[34].

თითქოს მეტი საფუძველი გვაქვს ვარაუდისათვის, რომ ასეთი საბუთის გაცემა ბაგრატ IV-ეს მიეწეროს, რადგან მელქიზედეკ კათალიკოსის ცნობით, მას სვეტიცხოვლის კუთვნილი სოფლებისათვის შეუვალობის „სიმტკიცე" გამოუთხოვია ბაგრატ IV-ისათვის: „მოვაჴსენე გამზდელსა ჩემსა ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გამიხადნეს და მიბოძეს სიმტკიცე შეუვალობისაჲ" (ქისკ, I, № 2:78-79). იქნებ სწორედ მაშინ შიომღვიმის მონასტრის შეუვალობის „სიმტკიცეც" გასცა ბაგრატ IV-მ? მით უმეტეს, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შიომღვიმის მონასტერს ჰქონია „ჴელი შეუვალობისაჲ" თვითონ მელქიზედეკ კათალიკოსისაგან. მაგრამ, რადგან პირდაპირი ცნობა ბაგრატ IV-ის მიერ შიომღვიმის შეუვალობის საბუთის გაცემის შესახებ არა გვაქვს, იქნებ სჯობდეს ე.წ. ფავნელის დაწერილში მოხსენიებული ბაგრატ მეფის შეუვალობის ბრძანება ზოგადად XI ს-ით დათარიღდეს.

რაც შეეხება კახთა მეფეებს, ანუ ქორესპისკოპოსებს ფადლასა (ანუ ფადლასა) და კვირიკეს, რომელთა „თავისუფლებისა ბრძანება" ასევე ჰქონია შიომღვიმის მონასტერს, უნდა აღინიშნოს შემდეგი: როგორც ჩანს, აქ, ისევე როგორც „აფხაზთა მეფეების" — კოსტანტინესა და ბაგრატის შემთხვევაში, მეფეთა სახელების გადმოცემისას, დაცულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობა: ამდენად, აქ უნდა იგულისხმებოდნენ ან ფადლა I (881-893) და კვირიკე I (893-918), ან ფადლა II (918-929) და კვირიკე II (929-976). თუ ფავნელის დაწერილში მეფეთა სახელების ჩამოთვლისას საბუთის შემდგენლის მიერ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვის იმავე პრინციპს ვიგულისხმებთ, მაშინ, რადგან აქ ჯერ დასახელებულია X-XI სს. მეფეები დასავლეთ საქართველოდან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასევე X ს-ის მეფეები იქნებოდნენ დასახელებულები „კახთა მეფეებიდან" და მაშასადამე, ფავნელის დაწერილში დასახელებულია ფადლა II (918-929) და კვირიკე II (929-976).

მივიღეთ, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძში დამოწმებულ „სიგელნი... მეფეთა შეწირულთანში", შეიძლება იგულისხმებოდეს კონსტანტინე III-ის, ბაგრატ III-ის ან ბაგრატ IV-ის, ფადლა II-ისა და კვირიკე II-ის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის შეუვალობის მინიჭების „ბრძანებანი".

მიჩნეულია (ქისკ, I, გვ. 17), რომ ე.წ. ფავნელის დაწერილში აფხაზთა და კახთა მეფეების წყვილ-წყვილად მოხსენიება მათი თანამეფობის მაჩვენებელია და, აქედან გამომდინარე, საბუთის ზემოთ განხილული მონაკვეთი IX ს-ითაა დათარიღებული. უკანასკნელი ხანის დაკვირვებით გაირკვა, რომ წყვილ-წყვილად დასახელებული მეფეების თანამეფობისათვის საფუძველი არ გაგვაჩნია, ხოლო საბუთის ეს მონაკვეთი დაახ. 1121 წლით უნდა დათარიღდეს, და მისი გამცემი მიქაელ მეღვიმე უნდა იყოს მონასტრის წინამძღვარი, თანამედროვე დავით აღმაშენებლისა, რომელიც ცნობილია მისი ანდერძითაც[35].

---

[34] თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982, გვ. 205-206.

[35] ი. ანთელავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

ე.ნ. ფავნელის დაწერილის განხილული მონაკვეთის ამ ახლებურ ინტერპრეტაციისა და დათარიღებასთან დაკავშირებით, შეიძლება ყურადღება მიექცეს ასეთ გარემოებას — საბუთის ამ მონაკვეთში მიქაელ მემღვიმე აღნიშნავს, რომ „დაუწყე ჩემსა მამულსა შიგან ციხესა გება"-ო (ქისკ, I, № 1:25). ბუნებრივია დავუშვათ, რომ მონასტრის წინამძღვარს, როგორც ბერს არავითარი მისი მამული არ ექნებოდა და აქ რაიმე შეუსაბამობასთან ხომ არა გვაქვს საქმე. მაგრამ, ზემოთ, დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტში „მამაობასა"-ს ნაცვლად „მამულობისა"-ს წაკითხვით დავინახეთ, რომ შიომღვიმის მონასტრის კუთვნილ სოფლებს „მამულები" ეწოდებოდა — „თვთ ადრითგან მამულობისა ეწერა-ყე საებისკოპოსოდ" (სტრქ. 110-111). მაშასადამე, ე.ნ. ფავნელის დაწერილის ცნობა მიქაელ მემღვიმის კუთვნილი მამულების (ანუ შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი მამულების) შესახებ, კიდევ ერთი არგუმენტია ანდერძის ტექსტის საეჭვოდ მიჩნეულ ადგილას „მამულობისას" წაკითხვის სასარგებლოდ, რასაც ამაგრებს ორივე ამ საბუთის — მიქაელ მემღვიმის დაწერილის და დავით აღმაშენებლის ანდერძის, თანადროულობა.

4.1. დავით აღმაშენებლის ანდერძში, „სიგელნი... მეფეთა შეწირულთანის" ჯგუფში დამოწმებულ საბუთებს შორის, უნდა იგულისხმებოდეს კიდევ ერთი ასეთი სიგელი კვირიკე კახთა მეფისა შიომღვიმისათვის დაოთის შეწირვის შესახებ. პირველად ასეთი საბუთის არსებობა დასტურდება გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში, სადაც შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი სოფლების ჩამოთვლისას აღნიშნულია, რომ ამ მონასტერს ეკუთვნის „*დაოთი* — კუირიკე კახთა მეფისაგან შემოწირული" (ქისკ, I, № 11:30). შემდეგში იგი დასტურდება 1189-1200 წწ. დათარიღებულ დაწერილში შიომღვიმის კრებულისა ტოხაჲსძეებისადმი (ქისკ, I, №15), რომლებიც კვირიკე კახთა მეფის მწირველები ყოფილან შიომღვიმეში. ამის შესახებ საბუთში ნათქვამია შემდეგი:

„სამწირველად გბოძებოდა სიგლითა მკჳიდრად კჳრიკე კახთა მეფისაგან და ჩუენცა მოგეცით და მოგაჴსენეთ სამამულოდ და მკჳდრად, ამად, რომე თქუენისა გუარისა მოძღუარი ყოფილ-იყო კჳრიკე კახთა მეფისაჲ, ბასილი ტოხაჲსძე და მას მისითა მოძღურობითა შემოეწირვინა წმიდისა შიოჲსთჳს, რჩევით, მთათა შინა დაოთი და ბართა შინა რუეთი" (ქისკ, I, № 15:16-29).

აქ, უკვე, როგორც ვხედავთ, კვირიკე კახთა მეფის მიერ შიომღვიმისათვის *დაოთთან* ერთად *რუეთის* შეწირვაზეცაა აღნიშნული. მიჩნეულია, რომ „დაოთი ერწოს სოფელი იყო, რუეთი კი მუხრანის ქვეყანაში შედიოდა"[36]. როგორც ჩანს, კვირიკე კახთა მეფის მიერ დაოთის შეწირვის შესახებ იგივე სიგელია დასახელებული შიომღვიმის მონასტრის საბუთების ნუსხაში, რომელიც XV-XVI სს. მხედრულით ყოფილა მიწერილი ლაშა-გიორგის მიერ შიომღვიმისადმი 1211/1212 წწ. გაცემული ერთი ბრძანების ზურგზე, სადაც,

სხვა საბუთებს შორის, აღნიშნულია: „ერთი სიგელი სხუა — დაოთური" (ქისკ, I, გვ. 111:3).

ერთი სიტყვით, წყაროები ერთხმად მოწმობენ, რომ შიომღვიმის მონასტერს ჰქონია კვირიკე კახთა მეფის ჩვენამდე არ მოღწეული სიგელი მონასტრისათვის დაოთის, ან დაოთისა და მასთან ერთად რუეთის (თუმცა, არ არის გამორიცხული ორივე მათგანის ცალ-ცალკე სიგლით) შეწირვის, ხოლო სანაცვლოდ თავისთვის სამწირველოს დადგენის შესახებ. რომელი კვირიკე კახთა მეფე იგულისხმებოდა აქ და როგორ უნდა დათარიღდეს მის მიერ გაცემული და დავით აღმაშენებლის ანდერძში სავარაუდოდ დამოწმებული ეს საბუთი?

პირველად ამ საკითხს ე. თაყაიშვილი შეეხო (1910 წ.); მისი შენიშვნით: „აქ მოხსენებული კვირიკე კახთა მეფე უნდა იყოს კვირიკე პირველი, რომელიც მეათე საუკუნეში ცხოვრობდა"[37]. ასევე, X ს-ის კვირიკე კახთა მეფედ (893-918) არის მიჩნეული შიომღვიმისათვის დაოთის შემწირველი „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში" (ქისკ, I, საძიებლები — გვ, 206)[38]. სხვა თვალსაზრისით, ეს კვირიკე კახთა მეფე არის კვირიკე III (1009-1037)[39]; მართალია, პირდაპირ ამის შესახებ არ აღნიშნავს, მაგრამ კვირიკეს შეწირულება შიომღვიმისადმი ისეთ ქრონოლოგიურ კონტექსტში აქვს წარმოდგენილი, რომ, როგორც ჩანს, მას XI ს-ის დამდეგის კახთა მეფედ მიიჩნევს აკად. ნ ბერძენიშვილი[40].

მართლაც, თუ გავითვალისწინებთ იმ „გარემოცვას", რომელშიც კვირიკე კახთა მეფის შეწირულებაა გიორგი III-ის სიგელში დასახელებული, კერძოდ — XI ს-ის მოღვაწის გოდერძი ერისთავთა ერისთავის შეწირულება („ივანწმიდაი"), ასევე XI ს-ის მოღვაწის ადარნესე ჰერთა პატრიკის შეწირულება („თრიალეთს — ბჭითი"), რომელთა შორისაა სწორედ აღნიშნული კვირიკე კახთა მეფის შეწირულების შესახებ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს კვირიკე უნდა იყოს კვირიკე III. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ წყაროებს ცნობები შემოუნახავთ ეკლესია-მონასტრებზე სწორედ ამ კვირიკე კახთა მეფის ზრუნვის შესახებ; ასე, მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, სწორედ იგი ამტკიცებს მელქიზედეკ კათალიკოსის თხოვნით მის დიდძალ შეწირულებას სვეტიცხოვლისადმი; ითვლება, რომ იგია ალავერდის ტაძრის

---

[36] *თ. პაპუაშვილი,* რანთა და კახთა სამეფო, გვ. 103.

[37] საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, ტფ., 1926, გვ. 3, შენ. 7.

[38] უნდა აღინიშნოს, რომ რაღაც გაუგებრობისა, თუ მექანიკური შეცდომის შედეგად, ასევე X ს-ის კვირიკე კახთა მეფედ არის ამ საძიებლებში მიჩნეული და მასთან ერთად ერთ ბუდეშია მოქცეული აშკარად XI ს-ის მოღვაწე, ბაგრატ IV-ის თანამედროვე, მელქიზედეკ კათალიკოსის დაწერილში მოხსენიებული კახთა მეფე კვირიკე III დიდი (1009-1037), რომელსაც, ამ საბუთის ტექსტის მიხედვით, მელქიზედეკ კათალიკოსი, ისევე როგორც ბაგრატ IV-ს, სთხოვს სვეტიცხოვლისადმი თავისი დაწერილის დამტკიცებას და რომელსაც იგი ამტკიცებს კიდეც (ქისკ, I, № 2:138, 143-148).

[39] *თ. პაპუაშვილი,* რანთა და კახთა სამეფო, გვ. 102-103.

[40] იხ. *მისი,* საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VIII, თბ., 1975, გვ. 342.

კტიტორი-მაშენებელი[41]. ერთი სიტყვით, მეტი საფუძველი გაგვაჩნია ვივარაუდოთ, რომ გიორგი II-ის სიგელში მოხსენიებული კვირიკე კახთა მეფე არის კვირიკე III დიდი, რომელსაც, ამავე სიგელის ცნობით, დაოთი შეუწირავს შიომღვიმის მონასტრისათვის და ამ შეწირულების შესახებ სიგელის დამოწმებაც უნდა იგულისხმებოდეს დავით აღმაშენებლის ანდერძში აღნიშნულ „სიგელნი... მეფეთა შეწირულთანში".

4.2. ე.ნ. ფავნელის დაწერილის ერთ-ერთ მონაკვეთში „აფხაზთა მეფეების" და „კახთა მეფეების" წყვილ-წყვილად მოხსენების განხილვისას, აღვნიშნე, რომ აქ დასახელებული ბაგრატ მეფე შეიძლება იყოს ბაგრატ III, ან ბაგრატ IV (1027-1072), უფრო ეს უკანასკნელი, ხოლო აქ, კვირიკე კახთა მეფის მიერ შიომღვიმისათვის დაოთის შეწირვის შესახებ წყაროთა ცნობების განხილვისას, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს უნდა იყოს ბაგრატ IV-ის თანამედროვე კვირიკე III (1009-1037). იქნებ უფრო ლოგიკური იყოს დავუშვათ, რომ ე.ნ. ფავნელის დაწერილში მოხსენიებული კვირიკე კახთა მეფე არის კვირიკე III და იგი ბაგრატ IV-სთან ერთად ერთ „წყვილს ჰქმნის", ხოლო კონსტანტინე და ფალლა (ანუ ფადლა) არიან კონსტანტინე III (891-929) და ფადლა II (918-929). მაშინ მივიღებთ, რომ შიომღვიმის მონასტერს „თავისუფლობისა ბრძანება" ჰქონია ერთდროულად ბაგრატ IV-ისა და კვირიკე III-საგან, ერთი მხრივ, და ამაზე ძველი — კონსტანტინე III-ისა და ფადლა II-საგან, მეორე მხრივ, მსგავსად იმისა, მელქიზედეკ კათალიკოსმა რომ დაამტკიცებინა სვეტიცხოვლისადმი თავისი დაწერილი ერთდროულად (ყოველ შემთხვევაში მათი მეფობის თანხვედრის დროს), როგორც ბაგრატ IV-ეს, ისე კვირიკე III-ეს.

ეს მსჯელობა უფრო საფუძვლიანი მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ შიომღვიმის მონასტერს თავისი უმთავრესი სამფლობელოები ჰქონდა და თვითონაც მდებარეობდა და მდებარეობს „მუხრანის ქვეყანაში", რომელიც „აფხაზთა მეფეებისა" და „კახთა მეფეების" მუდმივი ცილობის საგანს წარმოადგენდა, განსაკუთრებით X-XI სს. განმავლობაში, სანამ 1103 წ. კახეთ-ჰერეთი საბოლოოდ არ შემოიერთა დავით აღმაშენებელმა. მაშასადამე, მივიღეთ, რომ შიომღვიმის მონასტერი, იმისათვის, რომ თავისი სამფლობელოები დაეცვა, პერიოდულად მოიპოვებდა შეუვალობის სიგელებს ერთდროულად, როგორც „აფხაზთა მეფეების", ისე „კახთა მეფეებისაგან".

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ე.ნ. ფავნელის დაწერილში მოხსენიებულია არა ოთხი სხვადასხვა მეფის მიერ შიომღვიმისადმი გაცემული ოთხი სხვადასხვა „თავისუფლების ბრძანება", არამედ ორი სიგელი — ერთი მათგანი დამტკიცებული კონსტანტინე III-ისა და ფადლა II-ის მიერ, რომელიც იმის გათვალისწინებით თუ როგორ ფარავს მათი მეფობის წლები

[41] *Г.Н. Чубинашвили*, Архитектура Кахетии, Тб., 1959, с. 404 (ეს მოსაზრება ეკუთვნის პ. ინგოროყვას, მაგრამ გ. ჩუბინაშვილი მას სკეპტიკურად ეკიდება — მიიჩნევს, რომ ალავერდის ტაძარი უფრო X-XI სს. მიჯნის, ან სულაც X ს-ის მიწურულის ძეგლია).

ერთმანეთს, 918-929 წწ. დათარიღდება, და მეორე — დამტკიცებული ბაგრატ IV-ისა და კვირიკე III-ის მიერ, რომელიც იმავე მიზეზით, 1027-1037 წწ. დათარიღდება. სწორედ ამ სიგელებს უნდა იმოწმებდეს მიქაელ მემღვიმე 1121 წლის ახლო ხანებში შედგენილ მის საბუთში და მათივე დამოწმება უნდა ვივარაუდოთ დავით აღმაშენებლის ანდერძში ნახსენებ „სიგელნი... მეფეთა შეწირულთანში".

5.1. დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში დამოწმებული ძველი საბუთების შემდეგი კატეგორიაა „სიგელნი... შეწირულთა... მთავართაჲ ვიეთმე" (სტრქ. 51). საბუთების ამ ჯგუფის დადგენისა და იდენტიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ცნობებს, რომლებიც შემოუნახავთ გიორგი II-ის 1073 წლის და გიორგი III-ის 1170 წლის სიგელებს შიომღვიმისადმი, წმ. შიოს ცხოვრების მეტაფრასულ და სვინაქსარულ რედაქციებს და, აგრეთვე, ზოგიერთ სხვა ძველ ქართულ წერილობით ძეგლს.

გიორგი II-ის 1073 წლის სიგელში, შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი სოფლების ჩამოთვლისას, პირველ ადგილზე დასახელებულია ციხედიდი, სადაც მონასტერს აგარა ჰქონია (ქისკ, I, N6:3). ცხადია, აქ იგულისხმება, რომ ციხედიდის აგარის შესახებ მონასტერს სათანადო საბუთიც გააჩნდა. ასეთი საბუთის არსებობას უეჭველყოფს გიორგი III-ის 1170 წლის სიგლის ერთი ადგილი, სადაც შიომღვიმის მონასტრის კუთვნილ სოფლებისა და მიწების ჩამოთვლისას, მათგან საგანგებოდ გამოყოფილია (ცალკე დანომრვით — „მესამედ") ციხედიდი და მის შესახებ აღნიშნულია, რომ მონასტერს გააჩნია „ციხედიდს გლეხნი, ძუელადვე ნასყიდნი" (ქისკ, I, N 11:41-42). ვისი გაცემული შეიძლება იყოს ეს საბუთი და რა დროით უნდა დათარიღდეს იგი?

წმ. შიოს ცხოვრების მეტაფრასული და სვინაქსარული რედაქციებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ მისი თანამოღვაწე ევაგრე „იყო ვინმე მთავარი ნარჩინებული, საჩინო ციხედიდს" (ძქალძ, IV, გვ. 372)[42]. ამავე წყაროებიდან ცნობილია, რომ როდესაც ევაგრემ გადაწყვიტა თვითონაც დაყუდებით შემდგარიყო წმ. შიოს მსგავსად, მაშინ ამ უკანასკნელმა ურჩია — „მივედ სახლად შენდა და განაგე საქმე შენი და მოიქეც" (ძქალძ, IV, გვ. 373)[43]. წმ. შიოს ცხოვრების მეტაფრასულ რედაქციაში ასეთი დეტალიც არის აღნიშნული, რომ ევაგრე, „ვითარცა მიიწია მდინარესა ზედა, ჰრქუა ყრმასა ერთსა, რათა წარვიდეს და ჰრქუას ყოველთა სახლეულთა მისთა, რომელნი იყვნეს ნასდაგისს, რათა მიიწივნენ წინაშე მისა ციხედიდად"[44]; ე.ი. ევაგრეს სახლეული ნასდაგისშია, ხოლო თვითონ „სახლად" ციხედიდშია. წმ. შიოს რჩევის თანახმად, როდესაც „განაგო" (მოაწესრიგა, მოაწყო)[45] ევაგრემ თავისი

[42] შდრ. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 98:24-25.
[43] იქვე, გვ. 101:7-8.
[44] იქვე, გვ. 102:1-3.
[45] ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, გვ. 278.

საქმეები ციხედიდს, მან „მისცა გლახაკთა უმეტესი კერძო მონაგებთაგან თჳსთა"[46]. ბუნებრივია დავუშვათ, რომ სადაც მან მისი კუთვნილი ქონების ნაწილი „მისცა გლახაკთა", იგი სხვა ნაწილს მონასტერსაც გადასცემდა, და ეს სხვა ნაწილი უნდა იყოს ციხედიდის აგარა, რომლის მთავარიც თვითონ იყო. ამდენად, როგორც ჩანს, *ციხედიდის აგარა* არის მონასტრის მიერ მოპოვებული ერთ-ერთი პირველი, თუ საერთოდ პირველი არა, ქონება — ვფიქრობთ, შემთხვევით არ არის, რომ გიორგი II მონასტრის კუთვნილი სოფლების ჩამოთვლისას პირველად სწორედ ციხედიდს ასახელებს, რაშიც არ არის გამორიცხული გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვაც ივარაუდებოდეს.

მაგრამ, სწორედ ევაგრეს მიერ ციხედიდის შიომღვიმის მონასტრისადმი შეწირვას, თუ გადაცემას უეჭველად ამტკიცებს XIII ს-ის შუა ხანების ერთი შიომღვიმური საბუთის — დაწერილი მღვიმის კრებულისა გრიგოლ სურამელისადმი, ცნობა იმის შესახებ, რომ მონასტერს ციხედიდიდი „წმიდისა ევაგრესობითგან გუქონებია უცილობელად და უწყინელად" (ქისკ, I, N 28:13-14). ამავე საბუთში აღნიშნულია, რომ „ციხედიდს სხუაი საქონებელი მღვიმისაი არს შეუვალი" (ქისკ, I, N 28:19). საინტერესოა, რომ ამ ციხედიდის მდებარეობის შესახებ წმ. შიოს „მეცხრე სასწაულში" აღნიშნულია შემდეგი: „მოიწივნეს რაჲ სოფელსა ციხედიდისასა, იხილეს პირისპირ კლდეთა შინა სარკინისათა გამოქმნილი იგი ქუაბები"[47]. როგორც ცნობილია, შიომღვიმის წინამძღუარს „სარკინისა წინამძღუარიც" (ქისკ, I, N 1:23) ეწოდებოდა, რადგან ხევს, რომელშიც ეს მონასტერი და მისი გამოქვაბულები მდებარეობდნენ სარკინის ხევი ერქვა. მაშასადამე, როგორც ზემოთმოყვანილი ცნობიდან ჩანს, სოფელი ციხედიდი და შიომღვიმის მონასტერი მტკვრის გაღმა-გამოღმა ერთმანეთის პირისპირ მდებარეობდნენ, ისე, რომ ერთი მეორისაგან „იხილვებოდა".

ამრიგად, ერთ-ერთი პირველი სოფელი, რომელიც შიომღვიმის მონასტერს მოუპოვებია, უნდა იყოს *ციხედიდი*, რომელიც ევაგრემ შესწირა მას და ამის შესახებ მონასტერს სათანადო საბუთიც ექნებოდა, რომელიც უნდა იგულისხმებოდეს დავით აღმაშენებლის ანდერძში აღნიშნულ „შეწირულთა მთავართაჲ ვიეთმე" საბუთებს შორის.

5.2. წყაროებს შემოუნახავთ ცნობები იმის შესახებ, რომ ევაგრეს, გარდა საკუთარი ქონების შეწირვისა, შიომღვიმის მონასტრისათვის სოფლები „მოუსყიდია", ე.ი. შეუძენია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მონასტერში მისი წინამძღვრობის დროს. კერძოდ, გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში შიომღვიმისადმი აღნიშნულია, რომ „მერმე აგარანი მათნი (ე.ი. შიომღვიმის მონასტრისა), სახელდებით: სოფელი სხალტბაი და მათი კერძი გოროვანი, წ მ ი დ ი ს ა ე ვ ა გ რ ე ს ა გ ა ნ მ ო ს ყ ი დ უ ლ ი" (ქისკ, I, N 11:22-23). ცხადია, ევაგრეს მიერ

---

[46] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 102:14.
[47] იქვე, გვ. 206.

სხალტბის მოსყიდვისა და შიომღვიმისათვის შეწირვის შესახებ მონასტერს სათანადო საბუთიც ექნებოდა[48]; ამას უეჭველყოფს მღვიმის საბუთების ზემოდდასახელებულ ნუსხაში აღნიშნული: „[სიგელი ერთი] — სხალტბური" და „სიგელი სახლ[ტბური] სხუავე" (ქისკ, I, გვ. 111:1, 4). მაშასადამე, შიომღვიმის მონასტერს, XV-XVI სს. ჩატარებული აღრიცხვით, ო რ ი ს ხ ა ლ ტ ბ უ რ ი ს ი გ ე ლ ი ჰქონია, რომელთაგან ერთ-ერთი ევაგრეს დროინდელი და მის მიერ სხალტბის „მოსყიდვისა" უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე, სავარაუდოდ, როგორც ჩანს, უნდა იყოს ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სიგელი 1196 წლისა (ქისკ, I, N 20) მონასტრისათვის სხალტბიდან წყლის გამოყვანის და მის მკაზმავად გლეხების მიჩენის შესახებ, რომლის დედანმა ჩვენს დრომდეც მოაღწია და 1919 წელს, სხვა ძველ ქართულ საბუთებთან ერთად დაიღუპა ჩრდილოეთ კავკასიის სტანიცა კავკაზსკაიაში[49].

5.3. გარდა იმისა, რომ ევაგრემ შესწირა შიომღვიმეს და მოისყიდა მონასტრისათვის სოფლები, როგორც ზემოთ აღინიშნა, წმ. შიომაც ქართლის მეფე ფარსმანს „დაბები" გამოსთხოვა: „უფალო მეფე, გულნი მეფეთანი ჴელთა შინა ღმრთისათა არიან, ვითარცა რაჲ ჯერ-გიჩნს, ყავ" — უპასუხა წმ. შიომ ფარსმან მეფის შეკითხვაზე — „რაჲცა ჯერ-იყოს ჩემ მიერ სამსახურებელი წმიდისა ამის მონასტრისა შენისაჲ" და, როგორც აღინიშნა, მეფემაც „მიანიჭა უკუე მონასტერსა მას ო თ ხ ნ ი რ ჩ ე უ ლ ნ ი ს ა მ ე ფ ო თ ა დ ა ბ ა თ ა გ ა ნ და დაწერა ჴელითა თჳსითა თავისუფლებაჲ მათი"[50]. ზემოთ გამოვთქვით ვარაუდი, რომ ეს ოთხი დაბა შეიძლება იყოს „ცხვერეთი გუელდესითურთ და გავაზელნი კოტმითურთ".

მაშასადამე, მივიღეთ, რომ VI ს-ის დასასრულისათვის, ჯერ კიდევ შიოს და ევაგრეს სიცოცხლეშივე, მონასტერს საკუთრად მოუპოვებია სოფლები, აგარები თუ დაბები: ც ი ხ ე დ ი დ ი, ს ხ ა ლ ტ ბ ა, გ ო რ ო ვ ა ნ ი, ც ხ ვ ე რ ე თ ი, გ უ ე ლ დ ე ს ი, გ ა ვ ა ზ ე ლ ნ ი და კ ო ტ მ ა ნ ი. ცხადია, ამოდენა ქონება, რომელიც მდებარეობდა ქართლის ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ მხარეში — მათი უმეტესობა „მუხრანის ქვეყანაში", ან მის მიდამოებშია, ფეოდალიზაციის გზაზე კარგა ხნის შემდგარი ქვეყნის საერო ხელისუფალთა მხრივ ცილობის გარეშე ვერ დარჩებოდა.

მართლაც, წმ. შიოს „მერვე სასწაულის" შესახებ მოთხრობიდან ცნობილია, რომ ქართლის მთავარმა სტეფანოზმა (595-605)[51], იმის მომიზეზებით,

---

[48] ამის შესახებ საგანგებოდ აღნიშნა ნ. ბერძენიშვილმა ჯერ კიდევ 1938 წელს ს. ჯანაშიას სადოქტორო დისერტაციის რეცენზიაში: იხ. *მისი*, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, თბ., 1966, გვ. 383.

[49] დაწვრილებით იხ.: მოხსენება ს. კაკაბაძისა, განათლების სახალხო კომისრის სახელზე წარდგენილი, ჩრდილ. კავკასიიდან არქივებისა და სამუზეუმო კოლექციების რევაკუაციის შესახებ 1923 წ., „საისტორიო მოამბე", წიგნი I, 1924, გვ. 276-277.

[50] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 111:28-33.

[51] ქართული წარწერების კორპუსი, ტ.I, გვ. 95.

რომ მას, მონასტერში მისულს ქართლის კათალიკოს ბართლომესთან ერთად, სათანადო, ისეთივე როგორც კათალიკოსს, პატივი არ მიაგეს მონასტრის მამებმა, „მისტაცნა ორნი აგარაკნი და თქუა: არა მივსცე შეურაცხისმყოფელთა მამული ჩემი"[52]. ამ დროიდან იწყება ის გაუთავებელი დავა შიომღვიმის მონასტერსა და საერო ხელისუფალთა შორის, რომელიც მონასტრის სამფლობელოების გარშემო წარმოებდა მისი არსებობის მთელს მანძილზე (XIX ს-ის ჩათვლით), რაც კარგად არის ასახული საბუთებსა და სხვა წერილობით წყაროებში მონასტრის კუთვნილ, ერთხელ უკვე შეწირულ, შემდეგ ვილაცის მიერ გამოწირულ და კვლავ სხვათა მიერ ხელახლა შეწირულ სამფლობელოების შესახებ (ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს სოფელ *გავაზელნი/გავაზნის* მაგალითზე).

იმავე „მერვე სასწაულიდან" ჩვენთვის ცნობილია, რომ სტეფანოზ ქართლის მთავარი იძულებული შეიქნა, არათუ ის ორი წართმეული აგარაკი დაებრუნებინა მონასტრისათვის, არამედ ორი ახალიც შეეწირა „დაბათაგან სამეუფოთა ურჩეულესნი". ამ შეწირულობის შესახებ „ჴელითწერილი" სტეფანოზმა „დაამტკიცა ჴელითა თჳსითა"[53], ე.ი. შეადგინა სათანადო საბუთი. გარდა ამისა, სტეფანოზს გაუცია კიდევ ერთი, მოგვიანო ხანის (XI-XIII სს.) საბუთებიდან კარგად ცნობილი საბუთის სახეობა — „ყოველთა ეკლესიათა მძლავრებისაგან და ხარკის მიხდისაგან გათავისუფლების" შესახებ, ე.ი. *შეუვალობის საბუთი*, რომელსაც „სასწაულის" ტექსტში „*პროსტაკი*" ეწოდება[54].

მაშასადამე, ქართლის მთავარ სტეფანოზის სახელს შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი VI-VII სს. მიჯნის ორი საბუთი მაინც უკავშირდებოდა, რომელთა დამოწმებაც შეიძლება ვივარაუდოთ დავით აღმაშენებლის ანდერძში აღნიშნულ „მთავართა ვიეთმე" საბუთებს შორის[55].

---

[52] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 204.

[53] იქვე, გვ. 205.

[54] იქვე.

[55] წმ. შიოს და ევაგრეს ცხოვრებაში შემონახული ცნობა სტეფანოზ ერისმთავრის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის საბუთების გაცემისა, მიჩნეულია იმის მოწმობად, რომ „X ს-ში და მასზე ადრე უკვე არსებობდა „საერო ხასიათის დოკუმენტების" შედგენის პრაქტიკა (*ვ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე*, მხედრული დამწერლობის სათავეებთან, „ცისკარი", 5, 1978, გვ. 138). ეს მოსაზრება გამოყენებულ იქნა სხვა მოსაზრების დასამტკიცებლად, რომლის თანახმად, „მხედრული დამწერლობა VI საუკუნეში უკვე არსებობდა" (*რ. პატარიძე*, ქართული მწიგნობრობა, თბ., 1989, გვ. 19-11), ან „საერო დამწერლობა... IV ს-ის დამდეგს ჩაისახა" (*მისივე*, ქართული მწიგნობრობა, კრ. „მწიგნობარი-88", თბ., 1988, გვ. 171). ქართული დამწერლობის რომელი სახეობით იყო შესრულებული უძველესი ქართული ისტორიული საბუთები ცალკე კვლევის საგანია და მას აქ ვერ განვიხილავთ; თუმცა, VII ს-ის ერთი ეპიგრაფიკული საბუთი — *წყისის წარწერა*, როგორც ცნობილია, ასომთავრული (მრგვლოვანი) დამწერლობითაა შესრულებული. ასევე ამჟამად ცნობილი უძველესი „საერო" საბუთები (ეპიგრაფიკულები) — *კელი მერ და გიორგი კვესუფლებისა და დაწერილი ზაზისა და თუთასი მაჰრამასა და ლომსადმე*, ერთი X ს-ის 20-იანი წლებისა და მეორე X ს-ისა, ასომთავრული და ნუსხური დამწერლობებითაა შესრულებული (ქართული წარწერების კორპუსი, I, №57,58); X ს-ითა და XI ს-ის დასაწყისით თარიღდება ერთი რბილ საწერ მასალაზე (ეტრატზე) შესრულებული საბუთიც — დაწერილი გიორგი ხუცის ძისა კორიდეთის ეკლესიისათვის ვენახის შეწირვის შესახებ (კორიდეთის საბუთები, *ვ. სილოგავას* გამოც., თბ., 1989, №1), რომელიც, მართალია,

5.4. როგორც ზემოთ აღინიშნა, დავით აღმაშენებლის ანდერძში დამოწმებულ „მთავართა ვიეთმე" მიერ შიომღვიმისადმი შეწირულ სამფლობელოების შესახებ საბუთის გარკვევისათვის და კონკრეტული პირებისა და საბუთების განსაზღვრისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ცნობებს, რომლებიც დაუცავთ გიორგი II-ის 1073 წლის და გიორგი III-ის 1170 წლის სიგელებს. განსხვავება ამ ორი სიგელის მიერ მოწოდებულ ცნობებს შორის პრინციპული ხასიათისაა და ის მდგომარეობს იმაში, რომ გიორგი II-ის სიგელში ჩამოთვლილია შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი სოფლების მხოლოდ სახელები, შემწირველთა აღნიშვნის გარეშე — თანაც ის სოფლები, „რომელნი სამეფოსა ჩუენსა შინა არიან"-ო, აღნიშნავს გიორგი II, ხოლო გიორგი III-ის სიგელში, სოფლების აღნიშვნასთან ერთად, აღნიშნულია მათი შემწირველი პირები. ცხადია, ეს უკვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ამ საბუთის ცნობებს, რადგან დასახელებული პირების იდენტიფიკაციების საფუძველზე შესაძლებელია, როგორც შეწირულებათა, ასევე შეწირულებათა შესახებ საბუთების გაცემათა, თუ შედგენათა თარიღების დადგენაც.

გიორგი II-ის სიგელში დასახელებული შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი სამფლობელოები ზემოთ ერთხელ უკვე იყო აღნიშნული და მათ აქ არ გავიმეორებთ, ხოლო, რაც შეეხება გიორგი III-ის სიგელის ცნობებს, მისი მიხედვით, 1170 წლისათვის შიომღვიმის მონასტრის საკუთრება ყოფილა:

სხალტბაი და გოროვანი — ე ვ ა გ რ ე ს ა გ ა ნ მოსყიდული.

აგარაი — ჯ ო ჯ ი კ ი ს ა გ ა ნ მთავრისა მოსყიდული.

ასევე საერო პირის მიერაა გაცემული, როგორც ზემოდასახელებული ორი — ასომთავრულითა და ნუსხურით შესრულებული საბუთი, მაგრამ შესრულებულია ნუსხური დამწერლობით. XI ს-დან, როდესაც ფართოდ იწყებს გავრცელებას მხედრული (ჯერ გარდამავალი მხედრული) დამწერლობა, საბუთებიც ამ დამწერლობით იწერებოდა, თუმცა, მათ თანადროულად ნუსხური დამწერლობით შესრულებული საბუთიც არსებობს, როგორც ეპიგრაფიკული (დაწერილები — კრიხის სოფლისა...), ისე რბილ საწერ მასალაზე შესრულებულები (მაგ., დაწერილი მელქიზედეკ ქართლის კათალიკოსისა სვეტიცხოვლისადმი); და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, თვით XI საუკუნეში ასომთავრულით შესრულებული საბუთებიც არსებობდა, მართალია ეპიგრაფიკული (მაგ., 1046 წ. დაწერილი გიორგი ერისთავთა ერისთავისა სავანის სოფლისადმი), თუმცა, ვინ იცის, იქნებ რბილ საწერ მასალაზე შესრულებულებმა ჩვენამდე არც მოაღწიეს.

ერთი სიტყვით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ V-X სს-ის საბუთები, რომელთა დამოწმებასაც ვგულისხმობთ დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვიმისადმი, მაშინ გავრცელებული დამწერლობით — ასომთავრულით ან ნუსხურით იქნებოდა შესრულებული. საბუთების რომელიმე სახეობის (საერო, ან სასულიერო პირთა მიერ გაცემულების, ან საერო — ერთი მხრივ, საერო და საეკლესიო მეორე მხრივ, საქმეებზე შედგენილების) მაინცდამაინც ერთი რომელიმე დამწერლობით (საეროების მხედრულით, სასულიეროების — ნუსხურით ან ასომთავრულით) შესრულების კანონზომიერება, ან, ამ მხრივ, რაიმე წესის თანმიმდევრულად დაცვა, არც გვიან — XI ს-ის შემდეგ შეინიშნება და, ამიტომ, V-X სს-ისათვის, განსაკუთრებით V-VI ს-ისათვის, უსაფუძვლო ჩანს იმის ვარაუდი, რომ თუ ამ დროის საბუთი საერო პირის მიერაა გაცემული, ან იგი „საერო საქმეებს" შეეხება, აუცილებლად მხედრული დამწერლობით იქნებოდა შესრულებული და ამაზე დაყრდნობით ასევე უსაფუძვლოა ვარაუდი ამ დროის, მით უმეტეს, ამაზე უწინ (V ს-ზე ადრე, და თვით IV ს-ში), მხედრული დამწერლობის არსებობის შესახებ.

რუეთი — ნასყიდი და შემონირული.

შიოსუბანი ყოველი — მოსყიდული თუით მ ო ნ ა ზ ო ნ თ ა მეუდაბნოეთაგან.

ჩიქუნურნი — რ უ ს ი ს ა ნასყიდი, მისგან აშენებული და შემონირული.

ხორვაი — მამისა ჩემისა ნაბოძვარი (დემეტრე I-ისა), გ ო გ რ ა ჭ ი ს ა გ ა ნ შემონირული.

ივანწმიდაი — ძუელადვე გ ო დ ე რ ძ ი ს ა გ ა ნ შემონირული.

დაოთი — კ უ ი რ ი კ ე კ ა ხ თ ა მ ე ფ ი ს ა გ ა ნ შემონირული.

ალაჭინი — ხ ა ხ უ ი ლ ა გ ი ს ა გ ა ნ შემონირული.

თრიალეთს — **ბჭითი** — ა დ ა რ ნ ე ს ე ს ა გ ა ნ ნასყიდი და შემონირული.

მანგლისჴევს — **ბორცუისჯუარი** — ძუელადვე მღუიმისაი, ლ ი პ ა რ ი ტ ე თ გ ა ნ ნაღებული, ან ახლად პაპისა ჩემისა დიდისა მ ე ფ ი ს ა დ ა ვ ი თ ი ს ა გ ა ნ შემონირული.

მოუგონელთა, ფერჴადის და ფიცეს — წურილმანად გ ლ ე ხ ე ბ ი .

ცხირეთს — **ცხევერი და გავაზელნი** — წმიდისა შ ი ო ი ს ოქროთა და ვეცხლითა მონასყიდი ფ ა ვ ნ ე ლ თ ა დ ა ტ ბ ე ლ თ ა გ ა ნ .

კობალი — რაც რ ა ტ ი ს უ რ ა მ ე ლ ი ს ა გ ა ნ შემონირულია.

ნიჩბის, სასხორს — გლეხები, ყოველგან სადმე მოსყიდული და შემონირული.

ციხედიდს — გლეხნი ძუელადვე ნასყიდნი (ქისკ, I, № 11:22-41).

როგორც ვხედავთ, ორივე სიგელშია დასახელებული სოფლები, ან სოფლებში სამფლობელოები: ციხედიდი, ნიჩბისი, ცხირეთი, ცხევერეთი, გავაზელნი, ბჭითი, მოუგონელნი, ფერჴადი, ფიცე, ბორცუისჯუარი. ამასთანავე, მხოლოდ გიორგი II-ის სიგელშია დასახელებული: კოდალი, წინარეჴი, შუარეჴი, ადლითი, შედარი, ძუელი ღრდულეთი, გუელდესი, კოტმანი; ასევე, მხოლოდ გიორგი III-ის სიგელშია დასახელებული: სხალტბა, გორროვანი, აგარაი, რუეთი, შიოსუბანი, ჩიქუნურნი, ხორვაი, ივანწმიდაი, დაოთი, ალაჭინი და კობალი[56]. ზემოთ ვეცადეთ გაგვერკვია, რომ დასახელებული სოფლებიდან და აგარებიდან ციხედიდი, სხალტბა, გორროვანი, ცხევერეთი, გუელდესი, გავაზელნი და კოტმანი შიომღვიმის მონასტერს მოპოვებული ჰქონდა ჯერ კიდევ შიოს და ევაგრეს სიცოცხლეში. მაშასადამე, მივიღეთ, რომ მხოლოდ გიორგი III-ის სიგელში დასახელებული ყოფილა: აგარა, რუეთი, შიოსუბანი, ჩიქუნურნი, ხორვაი, ივანწმიდაი, დაოთი, ალაჭანი და კობალი. აქედან, ხორვაი შემონირულია დავით აღმაშენებლის შვილის და გიორგი III-ის მამის („მამისა ჩე-

[56] ცხადია, განსხვავება ამ ორ სიგელს შორის შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი სოფლების შესახებ, მკვლევართა შორის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მისთვის საგანგებოდ მიუქცევია ყურადღება აკად. ნ. ბერძენიშვილს, რომელიც ამ განსხვავებას ხსნის იმით, რომ გიორგი II „განუახლებს შიომღვიმეს იმ საქონებელს „რომელნი სამეფოსა ჩუენსა შინა არიან“ და დასახელებულ „საქონებელში“ არც ერთი არაა, რომელიც მუხრანის ქვეყანაში იმყოფებოდა“. მისი აზრით, ეს არის „პირდაპირი ჩვენება იმისა, რომ მუხრანის ქვეყანაზე აფხაზთა მეფეებს ხელი არ მიუწვდებოდა“. მაშინ როდესაც გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში „როცა მუხრანი (და მთელი კახეთიც) დიდი ხანია გაერთიანებული საქართველოს მეფეთა ხელშია, შიომღვიმის საქონებელთა შორის დასახელებულია არა მარტო მანგლის-თრიალეთის სოფლები და აგარანი, არამედ მუხრანული და კახური საქონებელიც“ (იხ. მისი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 347).

მისა ნაბოძვარი სამღუიმოდ“ — ქისკ, I, N11:28) მიერ და, ცხადია, მის დამოწმებას დავით აღმაშენებლის ანდერძში ვერ ვიგულისხმებთ. ასევე, ვერ ვიგულისხმებთ „რატი სურამელისაგან შემოწირული“ კობალის შესახებ საბუთის დამოწმებას, რადგან, როგორც ეს ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილმა აღნიშნა, აქ იგულისხმება გიორგი III-ისა და თამარ მეფის თანამედროვე „რატი სურამელი ერისთავი ქართლისა“[57]. რაც შეეხება დაოთს და კვირიკე კახთა მეფისაგან შიომღვიმისადმი მისი შეწირულების საბუთის შესაძლო დამოწმებას, ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული. ამდენად, მხოლოდ გიორგი III-ის სიგელში დასახელებულ შეწირულებეთაგან გასარკვევი დაგვრჩა:

აგარაი — ჯოჯიკისაგან მთავრისა მოსყიდული.

რუეთი — ნასყიდი და შემოწირული.

შიოსუბანი ყოველი — მოსყიდული თუით მონაზონთა მეუდაბნოეთაგან.

ჩიქუნურნი — რუსისა ნასყიდნი.

ივანწმიდაი — ძუელადვე გოდერძისა შემოწირული.

ალაჭინი — ხახუილაგისაგან შემოწირული.

ბჭითი — თრიალეთს, ადარნესესაგან ნასყიდი და შემოწირული, მართალია, ორივე საბუთში იხსენიება, მაგრამ პირველში მხოლოდ სახელის აღნიშვნით, შემომწირველის დასახელების გარეშე, ხოლო მეორეში მისი დასახელებითაც და ამიტომ აქვე უნდა შემოვიდეს.

ამათგან, *რუეთი* როდის არის „ნასყიდი და შემოწირული“, ამის დანამდვილებით დადგენა შეუძლებელი ჩანს, რადგან „მყიდველი და შემომწირველი“ დასახელებული არ არის, მაგრამ, რადგან იგი გიორგი II-ის სიგელში არ იხსენიება, შეიძლება პირობითად მივიჩნიოთ, რომ ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა 1073-1170 წწ. შორის. ასევე, შეუძლებელი ჩანს დანამდვილებით გარკვევა იმისა, თუ როდის მოხდა „მონაზონთა მეუდაბნოეთაგან“ *შიოსუბნის* „მოსყიდვა“ და ამის შესახებ საბუთის შედგენა, რადგან სხვა და უფრო კონკრეტული ცნობა ამ ფაქტის შესახებ არ გაგვაჩნია. არ გაგვაჩნია კონკრეტული ცნობა სხვა წყაროებით უცნობი რუსის შესახებაც, რომელსაც შიომღვიმის მონასტრისათვის *ჩიქუნურნი* უყიდია, აუშენებია და შეუწირავს[58].

ამდენად, აქ დასახელებული სოფლებისა და მათი მოპოვების შესახებ საბუთის შედგენა დავით აღმაშენებლის მეფობის შემდეგაც ჩანს შესაძლებელი (თვით 1170 წ-მდე), ამიტომ მათ აუცილებელ დამოწმებას დავით აღმაშენებლის ანდერძის „მთავართა ვიეთმე“ შეწირულებათა შესახებ საბუთებს შორის ვერ ვიგულისხმებთ.

მაშასადამე, მივიღეთ, რომ გიორგი III-ის სიგელში გასარკვევი დაგვრჩა შემწირველებთან ერთად დასახელებული შემდეგი სოფლების საბუთების

---

[57] საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, ტფ., 1926, გვ. 4, შენ. 4.

[58] გიორგი III-ის საბუთის ამ ცნობასთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილი შენიშნავს შემდეგს: „პ.კარბელაშვილის აზრით, ჩიქუნურნი უნდა იყოს ნასოფლარი ჩანგილარი სოფ. ალაიანის ზემოდ, მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზედ“ (საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, გვ. 3, შენ. 5).

გაცემის თარიღები: *აგარაი, ივანწმიდაი, ალაჭინი, ბჭითი*, რომელთა დამოწმებაც შეიძლება დავით აღმაშენებლის ანდერძში ვივარაუდოთ.

მაგრამ, სანამ მათი შემწირველი პირების იდენტიფიკაციას და მათი გაცემისა თუ შედგენის სავარაუდო თარიღების დადგენას შევუდგებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი II-ის სიგელში დასახელებულია მთელი წყება სოფლებისა (*კოდალი, ნინარეჯი, შუარეჯი, ადლითი, შედარი* და *ძუელი ღრდულეთი*), რომელიც შიომღვიმის მონასტერს XI ს-ში, 1073 წლამდე მოუპოვებია და ამ დროისათვის ჰკუთვნებია, რომელთა შესახებ საბუთების დამოწმებაც შეიძლება ასევე ვივარაუდოთ დავით აღმაშენებლის ანდერძში. მაგრამ, რადგან მონასტრის მიერ მათი მოპოვების შესახებ კონკრეტული ცნობები არ გაგვაჩნია, იმდენად, რომ არ ვიცით საბუთების რომელ კატეგორიას, თუ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ისინი — მეფეთა, მთავართა, სასულიერო, ან საერო ხელისუფალთა მიერ შეწირულს, თუ თვითონ მონასტრის მიერ ნასყიდს, ამიტომ, საკითხი მათ შესახებ ღიად უნდა დარჩეს.

5.5. გიორგი III-ის სიგელში წარმოდგენილი თანმიმდევრობით პირველად უნდა განვიხილოთ „ა გ ა რ ა ი — ჯ ო ჯ ი კ ი ს ა გ ა ნ მთავრისა მოსყიდული". (ქისკ, I, № 11:24); ე.ი. აგარა, ანუ „აგარისა სოფელი", როგორც ეს ამავე სიგელშია ცოტა ქვემოთ აღნიშნული (სტრქ. 94), შიომღვიმისათვის „მოუსყიდია" ჯოჯიკ მთავარს. საკუთრივ *აგარა*, რომელიც, ჩვეულებრივ ძველ წერილობით ძეგლებში ზოგადი სახელია და „დაბას, სოფელს, ყანას, ველს" აღნიშნავს[59], აქ საკუთარი სახელია და როგორც ამ საბუთის ჯერ კიდევ ე. თაყაიშვილისეული პუბლიკაციის დროიდანაა (1911/1926) მიღებული, სოფლის სახელს გადმოსცემს. აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ XI-XIII სს. საბუთების მიხედვით, ამ სახელწოდების სოფელი სხვაც ყოფილა საქართველოში, კერძოდ, რაჭაში და იგი სამჯერაა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით დასახელებული ნიკორწმიდელის დაწერილში (ქისკ, I, გვ. 42:4, 6, 8). ამავე დროს, ჯოჯიკის მიერ შიომღვიმისათვის მოსყიდული სოფელი აგარა შემდეგშიც (გიორგი III-ის შემდეგი დროის საბუთებშიც) არაერთგზის იხსენიება შიომღვიმის საბუთებში (იხ. ქისკ, I, N 23:6,11; N 44:30; გვ. 111:10, 12...).

აგარის შემწირველი ჯოჯიკ მთავრის შესახებ პირველად აღნიშნა ე. თაყაიშვილმა, რომ იგი „იყო ტაოელი, ცხოვრობდა მეათე საუკუნეში და თორნიკე ერისთავთან ერთად მონაწილეობას იღებდა ბარდა სკლიაროსის დამარცხებაში"[60], ე.ი. 979 წელს[61]. ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა, აგრეთვე, ადრე ნ. სარგისიანისა და მ. ბროსეს მიერ შეცდომით გამოცემული ერთი ფრესკული წარწერა ოშკის ტაძრიდან, რომლის მიხედვით, ეს ტაძარი 1036 წელს

[59] *ილ. აბულაძე*, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 1

[60] საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, გვ. 3, შენ. 3.

[61] История Византии, т. 2, М., 1967, с. 218; *ი. ჯავახიშვილი*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 128 (ბარდა სკლიაროსის დამარცხების თარიღად აღნიშნულია 977 წელი).

მოუხატავთ „საფასითა სულკურთხეულისა ჯოჯიკ პატრიკისაჲთა"[62]. ე. თაყაიშვილს უეჭველად მიაჩნდა, რომ ეს ჯოჯიკ პატრიკი უნდა იყოს ქართული წერილობითი წყაროების ჯოჯიკ ერისთავთა ერისთავი, თორნიკე ერისთავთან ერთად წინამძღოლი დავით კურაპალატის მიერ ბიზანტიის იმპერატორთა დასახმარებლად ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ გაგზავნილი ქართველთა ჯარისა[63]. ოშკის ტაძრის წარწერის მიხედვით 1036 წლისათვის იგი „სულკურთხეული", ე.ი. გარდაცვლილი ყოფილა. მაშასადამე, თუ გიორგი III-ის სიგელში დასახელებულ შიომღვიმისათვის აგარის შემწირველ ჯოჯიკ მთავარს X-XI სს. საქართველოს ცნობილ მოღვაწესთან ჯოჯიკ პატრიკთან და ერისთავთა ერისთავთან გავაიგივებთ, მაშინ, მის მიერ ამ შეწირულების შესახებ შედგენილი საბუთი 979-1036 წლებით დათარიღდება[64].

5.6. გიორგი III-ის სიგელის მიხედვით, შიომღვიმის მონასტრის საკუთრება ყოფილა „ი ვ ა ნ წ მ ი დ ა ი, ძუელადვე გ ო დ ე რ ძ ი ს ა შემოწირული" (ქისკ, I, N 11:29). თავისთავად, მისი „ძუელადვე შემოწირულად" მოხსენიება მიგვანიშნებს, რომ ეს ფაქტი XII ს-ის 60-იან წლებზე ბევრად ადრე, ალბათ, თვით დავით აღმაშენებლის მეფობამდეც უნდა მომხდარიყო. ე. თაყაიშვილი, მაგალითად, მიიჩნევდა, რომ შიომღვიმისათვის ივანწმიდის შემწირველი „გოდერძი ერისთავი მეათე საუკუნეში ცხოვრობდა"[65], თუმცა, წყარო, რომელსაც ის იმოწმებს XI ს-ის შუა ხანების ამბებს გადმოგვცემს. ამდენად, უფრო ზუსტი ჩანს ნ. ბერძენიშვილის ვარაუდი, რომ „ეს გოდერძი შეიძლება იყოს ერისთავთა ერისთავი XI ს-ში, გაგიკ კახთა მეფის თანამედროვე"[66].

ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ამ გოდერძის გაიგივება ალავერდის ტაძრის წარწერის ერისთავთა ერისთავთან, როგორც ამას მიიჩნევს დ. მუსხელიშვილი[67]. ასეთი გაიგივებისათვის გარკვეული საფუძველი ისიცაა, რომ გიორგი III-ის სიგელში გოდერძის შეწირულების აღნიშვნას უშუალოდ მისდევს „კუირიკე კახთა მეფის" შეწირულების (დაოთის) დასახელება და ამით ეს ორივე პირი და მათი შეწირულობები ერთი რეგიონისადმია მიკუთვნებული. თუ აღნიშნული გაიგივება სწორია, მაშინ,

---

[62] *ე. თაყაიშვილი*, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 56-57.

[63] იქვე, გვ. 57.

[64] ვფიქრობთ, საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ოშკის ტაძრის დაზიანებულ ფრესკებში შემონახული ყოფილა ერთი საერო პირის გამოსახულებაც (*ე. თაყაიშვილი*, დასახ. ნაშრომი, გვ. 44, ტაბ. 68-2), რომელსაც ტაო-კლარჯეთის ქართული ძეგლების ცნობილი ფრანგი მკვლევარი *ნ. ტიერი* ჯოჯიკ პატრიკის გამოსახულებად მიიჩნევს (*N. Thierry*, Peintures historiques d'Oški (T'ao), "Revue des études Géorgiennes et Caucasiennes", Paris, 1986, №2, p. 135, 150-151, fig. 5 (p. 158).

[65] საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, გვ. 5, შენ. 6.

[66] *ნ. ბერძენიშვილი*, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 342.

[67] *დ. მუსხელიშვილი*, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII სს-ში, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული", III, თბ., 1967, გვ. 106-107.

რადგან ალავერდის ტაძრის დასახელებული წარწერა XI ს-ის I ნახევრით თარიღდება[68], გოდერძის შეწირულება და ამის შესახებ შედგენილი საბუთიც ამ დროით უნდა დათარიღდეს.

გოდერძი ერისთავთა ერისთავი XI ს-ის შუა ხანების საქართველოს პოლიტიკური ამბების ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. „მატიანე ქართლისაჲს" ცნობით, როდესაც მეფე ბაგრატ IV-ემ, ტფილისის ამირა ჯაფარის გარდაცვალების შემდეგ, ტფილელი ბერების თხოვნით, დიდი ზეიმით დაიკავა ქალაქი, მას მხოლოდ ისნი არ დაემორჩილა. მეფემ ისანს გაუმართა ბრძოლა და მაშინ „ისნის ველსა მოვიდეს კახთა მეფე გაგიკ და ერისთავთა ერისთავი გოდერძი და ყოველნი დიდებულნი კახეთისანი დარბაზობად ბაგრატ მეფისა წინაშე და მშვდობისა ძებნად"[69]. მეფესაც მიუღია დარბაზობად მისული კახთა მეფე გაგიკ და გოდერძი ერისთავთა ერისთავი და „მოსცა მშვდობა"-ო, აღნიშნულია მატიანეში. ამ მოვლენებს ადგილი ჰქონდა 1046 წლის ზაფხულში[70].

„მატიანე ქართლისაჲ"-ში გოდერძი კიდევ ორჯერ არის დასახელებული: პირველად, როდესაც ბაგრატ მეფემ გაილაშქრა კახეთს, „შეება და შეუჴდა მთასა ზედა მიქელგაბრიელთასა. და წყობასა შინა" სხვებს შორის „შეიპყრა... ჯედი, დისწული გოდერძისა, შტორის ერისთავი და მაჭელისა"[71], და მეორედ, როდესაც 1047 წელს ლიპარიტმა ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ მისი ძმა დემეტრე „გამოიყვანა" — ერთ-ერთი იმათგანი ვინც ლიპარიტმა ასევე „გამოიყვანა ანისით" იყო „გუარამ გოდერძის ძე"[72].

მაშასადამე, ამ მონაცემების მიხედვითაც გოდერძი ერისთავთა ერისთავის შეწირულება შიომღვიმის მონასტრისადმი (ივანწმიდაი) XI ს-ის I ნახევრით, უფრო კონკრეტულად ამ საუკუნის 40-იანი წლებით დათარიღდება. ამრიგად, არ არის გამორიცხული, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვიმისადმი დამოწმებულ „მთავართა ვიეთმე" საბუთებს შორის ამ შეწირულების შესახებ საბუთიც იგულისხმებოდეს.

5.7. შემდეგი შეწირულება, რომელიც შემწირველთან ერთად არის დასახელებული გიორგი II-ის სიგელში, ასეთია: „ა ლ ა ჭ ი ნ ი , ხ ა ხ უ ი ლ ა გ ი ს ა გ ა ნ შემოწირული" (ქისკ, I, N 11:30). ამ ცნობასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი

[68] *თ. ბარნაველი,* კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962, გვ. 12. *Г.Н. Чубинашвили*, Архитектура Кахетии, с. 389, 391.

[69] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I, თბ., 1959, გვ. 300:1-3.

[70] *ი. ჯავახიშვილი,* ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1965, გვ. 144.

[71] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 298:8. „მატიანე ქართლისაჲ"-ს ამ ადგილის შემდეგი შესწორება წარმოადგინა დ. მუსხელიშვილმა —„ჯედი, დისწული გოდერძისა, ტურის ერისთავი(სა) და მაჭელისა", ე.ი. ტურის ერისთავად და მაჭელად გოდერძი უნდა ვიგულისხმოთ და არა ჯედი. მისივე დასკვნით, გოდერძის წოდების რეალურ შინაარსს ვხედავთ ამ (აგრეთვე, ალავერდის ტაძრის წარწერის) ცნობაში, „რომლის მიხედვით გოდერძი ტურის და მაჭის ერისთავია და ე.ი. ერისთავთერისთავია" (*დ. მუსხელიშვილი,* კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები, გვ. 107-108).

[72] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 300:10.

გამოთქვამს რამდენიმე ვარაუდს; მისი აზრით, „ალაჭინი ლოჭინი ხომ არაა?"; შემდეგ — „ასევე კახი უნდა იყოს ხახვილა... გორთა ჯუარის ციხის პატრონი?[73]. მაშასადამე, იგი ხახუილაგს აიგივებს „მატიანე ქართლისაჲ"-ში მოხსენიებულ ხახვლასთან, რომელიც იხსენიება XI ს-ის 30-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით. 1039-1040 წწ. თბილისის აღებისა და ამირა ჯაფარის შეპყრობის განზრახვისაგან ხელის აღების შემდეგ[74], „მატიანე ქართლისაჲ"-ს ცნობით, „იბირნა (ე.ი. მიიმხრო, თავის მომხრედ დაიყოლია) აფხაზთა მეფემან კახნი — აშოტ მთავარი მარილელი, დისიძე კვრიკე მეფისა, და ხახვლა გუართა ჯუარის-ციხითა"[75].

ნ. ბერძენიშვილისეული შესწორებით, „გუართა ჯუარის ციხის" ნაცვლად, უნდა წავიკითხოთ „გორთა ჯუარის ციხე". თანაც, მატიანის ტექსტიდან მაინცდამაინც არ ჩანს, რომ ხახვლა გორთა ჯუარის ციხის პატრონი იყო — იქ აღნიშნულია, რომ აშოტ მარილელი, კვირიკე მეფის დისიძე (ე.ი. დის ქმარი) და ხახვლა გორთა ჯუარის ციხით „იბირნა" მეფემ. მაგრამ, დავუშვათ, რომ ეს ციხე მართლაც ხახვლასი იყო, განსხვავებაა მისი სახელის იმ ფორმასა, რომელიც საბუთშია წარმოდგენილი და იმ ფორმას შორის, რომელიც მატიანეშია აღნიშნული. ვთვლი, რომ ფორმა „ხახუილაგი", ან „ხახვლაგ" უფრო სწორი უნდა იყოს. ამის საფუძველს გვაძლევს, ჯერ ერთი ის, რომ გიორგი III-ის სიგელი, რომელშიც ის არის წარმოდგენილი, დედნის სახითაა ჩვენამდე მოღწეული, მაშინ, როდესაც მატიანისეული ფორმა გვიანდელი ხელნაწერების ვითარებას ასახავს. გარდა ამისა, ძველი შუამთის მონასტრის ღმრთისმშობლის ტაძრის ერთ-ერთ წარწერა-გრაფიტში, რომელიც XI ს-საა და რომელშიც, როგორც ჩანს, სწორედ საბუთისეული და მატიანისეული ხახუილაგ/ხახვლა უნდა იხსენიებოდეს, ეს სახელი „ხახ~ილაგ" (ანუ „ხახუილაგ") ფორმითაა წარმოდგენილი („ქრისტე, შეიწყალე ხახუილაგ და დაიცევ ცათა და ბართა [შინა]"). უფრო მეტი, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ „გორთაჯუარის ციხის" ნაცვლად მატიანის ტექსტში აღდგეს „ორთაჯუარის ციხე" და მაშინ ეს ადგილი ასე გაიმართება: „და ხახვლაგ ორთაჯუარის ციხითა", ე.ი. მთა რომელზედაც ციხეა აშენებული არის „ორთაჯუარისა" და არა გორთა, ან გურთა ჯუარისა.

ამისგან დამოუკიდებლად, თუ გიორგი III-ის საბუთისეულ ხახუილაგს და მატიანისეულ ხახვლას გავაიგივებთ, როგორც ეს ნ. ბერძენიშვილმა მიიჩნია, მაშინ მის მიერ შიომღვიმისათვის ალაჭინის შეწირულების საბუთი შეიძლება XI ს-ის 30-იანი წლებით დათარიღდეს.

---

[73] *ნ. ბერძენიშვილი*, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 342. არსებობს სოფელი ალაჭინი თიანეთის რ-ნის ტუშურების სასოფლო საბჭოში. ვფიქრობთ, სწორედ ეს უნდა იყოს (და არა ლოჭინი) ხახულაგისაგან შიომღვიმისადმი შეწირული სოფელი.

[74] *ი. ჯავახიშვილი*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, გვ. 140-142.

[75] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 298:1-2.

5.8. როგორც ჩანს, ზემოდასახელებულ შეწირულობებს, შიოსა და ევაგრეს დროს მოპოვებული სამფლობელოების გამოკლებით, ქრონოლოგიურად წინ უსწრებს გიორგი III-ის სიგელში დასახელებული შემდეგი შეწირულება: „თრიალეთს — ბ ჭ ი თ ი , ა დ ა რ ნ ე ს ე ს გ ა ნ ნასყიდი და შემოწირული" (ქისკ, I, N 11:31-32). ექ. თაყაიშვილის მიხედვით, „აქ მოხსენიებული უნდა იყოს მეფე ადარნასე მეორე, ძე დავითისა, რომელიც 923 წელს გარდაიცვალა"[76]. ვთვლი, რომ რადგან ადარნესეს შეწირულება სიგელში დასახელებულია კახთა სამეფოს წარმომადგენელთა შეწირულობებს შორის, ეს ადარნესე კახეთ-ჰერეთის ხელისუფალთა შორის უნდა ვიგულისხმოთ. ასეთი ხელისუფალი ჩანს ჰერეთის მეფე ადარნესე, რომელიც „მატიანე ქართლისაჲ"-ში პატრიკის ტიტულით მოიხსენიება. მისი მეფობა დაახ. 906-953 წწ. არის განსაზღვრული[77]. ადარნესე პატრიკის ვინაობა და მის მეფობასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც ადრევე ცნობილი, ასევე უახლესი წყაროების (მათ შორის ეპიგრაფიკული მასალის) გათვალისწინებით, დაწვრილებითაა სპეციალურ ლიტერატურაში შესწავლილი[78] და მას არ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გიორგი III-ის სიგელში დასახელებულ ადარნესესთან ჰერეთის მეფის ადარნესე პატრიკის გაიგივებას ხელს არ უშლის მის მიერ შიომღვიმისათვის სამფლობელოს შეწირვა თრიალეთში. ჯერ ერთი, ჩვენთვის უცნობია გარკვეულ დროს თრიალეთზეც მიუწვდებოდა თუ არა ხელი ადარნესე პატრიკს და, მეორეც, შემთხვევით არ უნდა იყოს, რომ გიორგი III-ის სიგელში მისი შეწირულების შესახებ საგანგებოდ არის აღნიშნული, როგორც „ნასყიდის და შემონირულის", რაც ადარნესეს მის უშუალო გამგებლობაში არარსებულ „სხვა ქვეყანაშიც" შეეძლო ჩაეტარებინა.

თუ ამ იდენტიფიკაციას შესაძლებლად მივიჩნევთ, მაშინ, ადარნესეს მიერ შიომღვიმისათვის *ბჭითის* შეწირვა და ამის შესახებ საბუთის შედგენა X ს-ის I ნახ-ით უნდა დათარიღდეს.

ამრიგად, თუ ზემონარმოდგენილი იდენტიფიკაციები სწორია და მისაღები, მაშინ ირკვევა, რომ დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში სავარაუდოდ დამოწმებული „მ თ ა ვ ა რ თ ა ვ ი ე თ მ ე " საბუთების ქრონოლოგია მოიცავს VI-XI საუკუნეებს და ამჯერად ათიოდე ასეთი საბუთის არსებობის დადასტურება მოხერხდა.

6. ცალკე განსახილველია ანდერძში დამოწმებული საბუთი, რომლის შესახებ ტექსტში აღნიშნულია, რომ შიომღვიმის მონასტერს „ძუჱლითგან ვითა ს ი გ ე ლ ი შ ე უ ვ ა ლ ო ბ ი ს ა ჲ ა ქ უ ს ც ხ უ ა რ თ ა თ ჳ ს უ ს ა ბ ა ნ ჯ რ ო ბ ი ს ა ჲ, სამი ათასისა ცხურისაჲ მთას და ბარს" (სტრქ. 73-74). ასეთი საბუთის არსებობა დასტურდება, აგრეთვე, გიორგი III-ის 1170 წლის სიგელით,

---

[76] საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, გვ. 4, შენ. 1

[77] *თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო*, გვ. 203.

[78] *მისივე, ჰერეთის ისტორიის საკითხები*, გვ. 198-200.

რომელშიც აღნიშნულია, რომ „ცხუარნი მათნი და მათთა სოფელთა: ცხევერელთა, გავაზელთა, ციხედიდელთა და სხალტბელთანი, ვითა ძ უ ე ლ ი თ გ ა ნ უ ს ა ბ ა ნ ჯ რ ო ნ ი ყ ო ფ ი ლ ა ნ , ეგრეთვე ჩუენგან შეუვალნია და ნუვისგან აიღების საბანჯრე" (ქისკ, I, N 11:55-58).

როგორც ვხედავთ, გიორგი III-ის სიგელში უკვე კონკრეტულადაა დასახელებული მონასტრის ის სოფლები — *ცხევერეთი, გავაზნი, ციხედიდი* და *სხალტბა*, რომელთაგან „გამოსული" ცხვრისაგან, აგრეთვე, საერთოდ მონასტრის სხვა ცხვრისგანაც („ცხუარნი მათნი და მათთა სოფელთანი" ტექსტში წარმოდგენილია, როგორც სხვადასხვა ერთეული) *საბანჯრე* გადასახადი, ე.ი. მატყლის ბაჟი, არ აიღებოდა.

სამწუხაროდ, არც შიომღვიმისადმი დავით აღმაშენებლის ანდერძის და არც ამავე მონასტრისადმი გიორგი III-ის სიგელის მიხედვით არ ჩანს, თუ ვისი გაცემული იყო ეს საბუთი, ან რა დროიდან ჰქონდა იგი მონასტერს. მაგრამ ერთი მაინც ცხადია, რომ, როგორც ჩანს, იგი, მართლაც, ძალიან „ძუჱლი" უნდა ყოფილიყო, რადგან შეეხებოდა, როგორც ეს ზემოთ ვეცადეთ გვეჩვენებინა, მონასტრის მიერ სწორედ უძველეს დროს მოპოვებული სოფლებიდან გამოსულ ცხვარს. ამიტომ, პირობითად, შეიძლება ეს საბუთი VI-VII სს. დავათარიღოთ.

7. ანდერძის ტექსტში ერთგან აღნიშნულია, რომ „ასი ფური მომიჴსენებია, რომელ თრიალეთს, მ ა თ ს ა ს ო ფ ე ლ ს ა ბ ჟ ი თ ს და ბჟითის ზეით სოფლებს და მ ა თ ს ა ს ა ფ უ რ ე ს ა მ უ ხ ნ ა რ ს დგეს" (სტრქ. 79-80). მაშასადამე, ამ ცნობის მიხედვით, მონასტერს საფურე ჰქონია ბჟითს და მუხნარს/მუხრანს (ჰქონდა თუ არა სხვაგანაც, ეს ანდერძის ტექსტიდან არ ჩანს, მაგრამ ამას ჩვენი საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს). ამ ცნობითვე, მართალია, პირდაპირ არა, მაგრამ სავარაუდოდ, ისიც ჩანს, რომ მონასტერს ამის შესახებ საბუთებიც ექნებოდა. მართლაც, ასეთი საბუთების არსებობას უკვე პირდაპირ ადასტურებს გიორგი III-ის 1170 წლის სიგელი, რომელშიც კონკრეტულად არის აღნიშნული, რომ მონასტერს თრიალეთში ეკუთვნის „ბჟითი, ადარნასესგან ნასყიდი და შემოწირული" (ქისკ, I, N 11:32), ხოლო მუხრანის ქვეყანაში მათი საფურე ყოფილა *ქანდაი* (იქვე, N 11:63).

მონასტრის კუთვნილ თრიალეთის სოფელ *ბჟითის* საბუთის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა მსჯელობა (იხ. 5.8.) და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს საბუთი გაცემული უნდა ყოფილიყო X ს-ის II ნახევარში *ადარნესე ჰერთა პატრიკის* მიერ, ხოლო რაც შეეხება მუხრანის საფურის შესახებ საბუთს, აქ შემდეგი სურათი ჩანს.

საკუთრივ მუხრანის ქვეყანაში საფურე კონკრეტულად სად ჰქონდა მონასტერს, ამის შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირდაპირ არის მითითებული გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში: „ქანდაი მათი საფურე" (ქისკ, I, N

11:63)[79]. ამავე საბუთის მიხედვით ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს ქანდა დემეტრე I-ს „მოუცვალებია" და გიორგი III-ის დროს იქ მონადირეთა სადგომი ყოფილა (ქისკ, I, N 11:94). როგორც ჩანს, დემეტრე I-ის მიერ ქანდის საფურის მონადირეთა სადგომად „მოცვალების" შემდეგ (რაც, აგრეთვე, ცალკე საბუთით იქნებოდა გაფორმებული, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია და მხოლოდ გიორგი III-ის ამ სიგელის მიხედვით ჩანს მისი არსებობის კვალი, მაგრამ ეს ჩვენი კვლევის საგანს სცილდება) მონასტერმა იგი დაკარგა. ამიტომაცაა, რომ გიორგი III 1170 წლის სიგელში აღნიშნავს „ქანდისა ნაცვალი ჩვენ მოვაჴსენოთ წმიდასა შიოს, სადაცა მემღუიმემან ინებოს"-ო (ქისკ, I, N 11:67-68). მაგრამ მოხდა თუ არა ასეთი ფაქტი, ეს ჩვენთვის უცნობია, რადგან გიორგი III-ის სიგელს ამის შესახებ (შიომღვიმისათვის ქანდის ნაცვლად საფურედ სხვა ადგილის შეწირვის შესახებ) ჩვენამდე არ მოუღწევია.

შიომღვიმის მონასტრის მუხრანულ საფურესა და ქანდასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ლაშა გიორგის შიომღვიმისადმი 1212 წლის ბრძანებაზე XV-XVI სს. ხელით მიწერილი საბუთების ნუსხაში „ერთი ქანდაური" სიგელის დასახელება (ქისკ, I, გვ. 111:1). ჩვენთვის უცნობია თუ როდის და ვის მიერ უნდა ყოფილიყო ასეთი სიგელი გაცემული, მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ, რომ რადგან ქანდა გიორგი III-ის 1170 წლის სიგელის მოწმობით, დემეტრე I-ის დროიდან შიომღვიმის მონასტერს უკვე არ ეკუთვნოდა, ცხადია, იგი მანამდე გაცემული იქნებოდა. იქნებ სწორედ ეს უნდა იყოს დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში მუხრანში მონასტრის საფურეს არსებობის შესახებ დამოწმებული საბუთი და მას „ქანდაური სიგელი" ეწოდებოდა? ვფიქრობთ, არსებული მასალები ასეთი დაშვებისათვის სრულ საფუძველს გვაძლევს.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, თუ რა დროიდან ჰქონდა შიომღვიმის მონასტერს ქანდაში საფურე და, შესაბამისად, ამის შესახებ საბუთი, მაგრამ გარკვეული ვარაუდისათვის არაპირდაპირი მონაცემები გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში, თითქოს, მაინც მოგვეპოვება. კერძოდ, ქანდა ამ სიგელში დასახელებულია ისეთ „გარემოცვაში", მონასტრის კუთვნილ ისეთ უძველეს სამფლობელოებს შორის (რუეთი, სხალტბა, წყალშატროანი, ჩიქუნურნი — იხ. ქისკ, I, გვ. 69), რომ ქანდაც და იქ საფურეც მონასტერს უკვე უძველეს დროსვე მოპოვებული უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ, უფრო კონკრეტულად მეტის თქმა ამჟამად შეუძლებელია, ამიტომ, მხოლოდ ვარაუდის მიხედვით, „ქანდაური სიგელი" VI-VII სს. უნდა დავათარიღოთ.

8. დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტში დამოწმებული საბუთების შემდეგი ჯგუფია უმაღლეს სასულიერო ხელისუფალთა — ქართლის კათალიკოსთა მიერ შიომღვიმისადმი გაცემული საბუთები.

---

[79] *ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები*, წ. VIII, გვ. 343.

8.1. დავით აღმაშენებელი ანდერძის ტექსტში ცალკე და საგანგებოდ აღნიშნავს მისი დროის *ქართლის კათალიკოსის იოვანეს* შეწირულების შესახებ: „ვითა წინამძღუარსა შჯულისა ჩუენისასა მეუფესა ი ო ვ ა ნ ე ს ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ს ა უბრძანებია და მოუნიჭებია ეკლესიისა ჩემისადა, რომელ საქონებელნი და აგარანი ჰქონან მღვმესა, საშჯულო॰ სამრებლო॰ არს ყოველგან, თჳთ მემღვმისა დიაკონმან მოისამართლოს და ეკლესიისა ზეთად მოაჴმაროს" (სტრქ. 57-60).

დავით აღმაშენებლის ანდერძის ეს ადგილი თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში, სადაც ანდერძში რამდენადმე ბუნდოვნად გამოთქმული აზრი უფრო ნათლად და შედარებით გარკვევითაა გადმოცემული: „მათნი (შიომღვიმის) სოფელნი, იოვანე ქართლისა კათალიკოზისა მათისა ეკლესიისათვის ბოძებულნია, რომელ სასჯულოი მოსავალი სანთლად მიოჴმარონ; ეგრეთვე, აწ გუიბრძანებია და დაგუიმტკიცებია ჩუენ, რომელ მათთა სოფელთა სასჯულოსა ნუვინ ეცილების" (ქისკ, I, N 11:59-63).

მაშასადამე, ანდერძის ტექსტში დამოწმებულია იოვანე ქართლის კათალიკოსის საბუთი, რომლითაც მას დაუწესებია, რომ მონასტრის კუთვნილი სოფლებიდან და აგარებიდან „სასჯულოი" შემოსავალი დავით მეფის სურვილით აშენებულ და მის კუთვნილ ეკლესიას („ეკლესიისა ჩემისადა") ზეთად (ანდერძის მიხედვით) ან სანთლად (გიორგი III-ის 1170 წლის სიგელის მიხედვით) უნდა მოხმარებოდა. როგორც XIII ს-ის 20-იანი წლების ერთი შიომღვიმური საბუთიდან ჩანს, იოვანე ქართლის კათალიკოსის ამ საბუთს „ჴელი" ეწოდებოდა, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით. ითვლება, რომ ქართლის კათალიკოსად იოვანე იყო 1100-1142 წლებში; რადგან მისი საბუთი დავით აღმაშენებლის 1124 წლის ანდერძშია დამოწმებული, ცხადია, რომ შიომღვიმისათვის შედგენილი მისი „ჴელი" სასჯულო შემოსავლის ეკლესიის ზეთად მოხმარების შესახებ 1100-1124 წწ. დათარიღდება.

8.2. იოვანე ქართლის კათალიკოსის საბუთის გარდა, ანდერძის ტექსტში დამოწმებულია „ძუჩლთა და აწინდელთა ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ თ ა ჴ ე ლ ნ ი" (სტრქ. 126). ვინ არიან ისინი და რამდენი ქართლის კათალიკოსის „ჴელზეა" აქ აღნიშნული ანდერძის ტექსტიდან გაურკვეველია, მაგრამ XIII ს-ის 20-იანი წლების ერთ შიომღვიმურ საბუთში, რომლის შესახებ მეორე ნაწილში გვექნება უფრო დაწვრილებით საუბარი, ეს ქართლის კათალიკოსები და მათი „ჴელები" ასეა დამოწმებული:

„ვინცა ესე დაწერილი და გაგებული წმიდასა უდაბნოსა მღუიმისასა შეუცვალოს, [ანუ იგიცა დაწერილნი უწ]ინდელი — წმიდისა მამათმთავრისა იოვანე ქართლისა კათალიკოზისა, ანუ ოქროპირ ქართლისა კათალიკოზისა, ანუ გაბრიელ ქართლისა კათალიკოზისა... და წმიდისა მამათმთავრისა

მელქიზედეკისი, ჰრისხავს ღმერთი დაუსაბამოი"[80].

მაშასადამე, ამ საბუთზე დაყრდნობით, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტში, სულ ცოტა, ქართლის ოთხი კათალიკოსის საბუთების დამოწმება მაინც უნდა ვიგულისხმოთ. ერთი მათგანის — იოვანე ქართლის კათალიკოსის მიერ გაცემული საბუთის შესახებ, რომელიც შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი სოფლებიდან „სასჯულოჲ" შემოსავალს ეკლესიის ზეთად (ან სანთლად) მოხმარებას აწესებდა, უკვე გვქონდა საუბარი (8.1.) და იგი 1100-1124 წწ. დავათარიღეთ რაც შეეხება სხვა დანარჩენ ქართლის კათალიკოსების მიერ გაცემულ საბუთებს, მათ შესახებ მხოლოდ ის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ, როგორც ჩანს, ისინი შეუვალობის საბუთები იყო, რადგან „ჴელებად" იწოდებიან, ხოლო მათი დათარიღება თითოეული დასახელებული კათალიკოსის ზეობის წლების მიხედვით შეგვიძლია.

ამდენად, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში, იოვანე ქართლის კათალიკოსის მიერ გაცემულ საბუთთან ერთად, შეიძლება უმაღლეს სასულიერო ხელისუფალთა შემდეგი საბუთების დამოწმებაც ვივარაუდოთ:

1. ჴელი მელიქიზედეკ ქართლის კათალიკოსისა შიომღვიმისადმი. 1012-1030, 1039-1045.
2. ჴელი ოქროპირ ქართლის კათალიკოსისა შიომღვიმისადმი. 1031-1039, 1045-1049.
3. ჴელი გაბრიელ ქართლის კათალიკოსისა შიომღვიმისადმი. 1065-1080.

8.3. დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში დამოწმებულ სასულიერო პირთა საბუთების ჯგუფში უნდა განვიხილოთ არსენი ბერის ორი საბუთი-განწესება. არსენი ბერი, როგორც სხვა წყაროებითაც კარგად არის ცნობილი, მეფესთან დაახლოებული პირი იყო. როგორც დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტიდან ვიცით, იგი იყო მთავარი ინიციატორი ამ ანდერძის შედგენისა („*სასომან და განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა*" — სტრქ. 4-5). მეფეც ანდერძის ტექსტში იმოწმებს და ამტკიცებს არსენის მიერ შედგენილ ორ საბუთს.

ანდერძის ტექსტიდან ჩანს, რომ აქედან ერთი საბუთი შიომღვიმის მონასტრის სოხასტერს შეეხებოდა. სოხასტერი მონასტერთან არსებული „სადაყუდებულო" იყო[81]. ისინი, ჩვეულებრივ, სხვადასხვა წმინდანის სახელზე იყო აგებული. ცნობილია, მაგალითად, კალიპოსის (ანტიოქიაში) ქართველთა მონასტრის სოხასტერი, რომელიც მდებარეობდა „მონასტრისა

---

[80] თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 51 აქ მოტანილი ტექსტის ნაწყვეტი შესწორებულ-დაზუსტებულია (იხ. აქვე, დამატება II).

[81] ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 401

აღმოსავალით" და აგებული იყო წმინდათა მთავარანგელოზთა სახელზე[82]. შიომღვიმის მონასტრის სოხასტერი, როგორც ჩანს, წმ. სვიმეონ საკვირველთმოქმედის სახელზე ყოფილა აგებული, რადგან დავით აღმაშენებელი, ანდერძის ტექსტის მიხედვით, სწორედ მას სწირავს ხოდაბუნს, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით.

შიომღვიმის მონასტრის სოხასტერისათვის არსენი ბერს ცალკე განწესება შეუდგენია: „*სოხასტერი, ვითა ბერსა, განმანათლებელსა ჩემსა, არსენის გაუწესებია*" (სტრქ. 96), აღნიშნულია ანდერძის ტექსტში. საერთოდ, XII ს-ის I მეოთხედში, როგორც ჩანს, უფრო 1124 წლისათვის, შიომღვიმის მონასტრის, როგორც სამეფო მონასტრის სტატუსის განმტკიცებასთან დაკავშირებით, რამდენიმე განწესება და საბუთი შედგა. ერთი მათგანია, საკუთრივ დავით აღმაშენებლის ანდერძი, რომელსაც აქ განვიხილავთ, მეორეა, სვიმეონ ბედიელ-ალავერდიელის განწესება[83]. მათ რიცხვში შედიოდა აგრეთვე, არსენი ბერის ორი განწესება და ერთი მათგანი — მონასტრის სოხასტერის შესახებ, რომელსაც იმოწმებს დავით აღმაშენებელი. სამწუხაროდ, ამ განწესებას ჩვენამდე არ მოუღწევია, არ ვიცით, თუ რას აწესებდა და გულისხმობდა იგი. შეიძლება ამ განწესებით პირველად დაარსდა მონასტერთან „სადაყუდებული", შეიძლება მანამდეც არსებულს რაიმე წესი დაუდგინდა. 1124 წლისათვის ეს განწესება უკვე შედგენილი ყოფილა და ამიტომ, პირობითად, შეიძლება იგი XII ს-ის I მეოთხედით დავათარიღოთ.

8.4. ასევე XII ს-ის I მეოთხედით უნდა დავათარიღოთ არსენი ბერის მეორე საბუთი, რომელიც დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძშია დამოწმებული. ეს საბუთი მონასტრის ლიტურგიული პრაქტიკის სფეროდან ყოფილა და იგი მონასტერში კვირა დღეს ღამისთევას აწესებდა: „*ვითა აწ არსენის გაუწესებია, ყოველთა კჳრიათა ღამე ყოველ ღამისთევაჲ, ნუვინ შეცვლის ამას წესსა*" (სტრქ. 103-104) — აღნიშნულია ანდერძში.

ეკლესიაში, ან მონასტერში ღამისთევის დაწესება, რომელ დღესაც არ უნდა ყოფილიყო იგი, საგანგებო შემთხვევა იყო და გარკვეული ლიტურგიული წესის შესრულებას უკავშირდებოდა. ამიტომაა, რომ საბუთები ასეთ დადგენილებათა შესახებ ძალზე იშვიათია. ამდენად, მით უფრო საინტერესოა ერთი ეპიგრაფიკული საბუთი, რომლითაც X ს-ის II ნახევარში *ელია ბოლნელს* კვირაძალს (ე.ი. კვირა დღის წინა საღამოს, ანუ შაბათ საღამოს) ღამისთევა დაუწესებია „ფიჩოსანთათჳს" (ე.ი. ბერებისათვის). დადგენილება ამის შესახებ მას ამოუკვეთინებია ბოლნისის ტაძრის სამხრეთი შესასვლელის ტიმპანზე — „ამა საყდარსა ღამისთევაჲ არა დებულიყო; კჳრასძალთა მე დავდევ და ზედაშე ღამისმთეველთათჳს, საგალობელად ღმრთისა"-ო, აღნიშნულია სხვა ამბებთან

---

[82] *ვ. სილოგავა*, XI საუკუნის ქართველი მწიგნობარი ბასილი თორელ-ყოფილი და მისი ანდერძი, „მრავალთავი", XV, 1989, გვ. 162.

[83] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ 127-128, №7; იხ. აქვე, დამატება I.

ერთად ამ წარწერა-საბუთში[84].

ჩვენთვის უცნობია არსენი ბერის განწესება შიომღვიმის მონასტერში კვირას ღამისთევის დაწესების შესახებ ეპიგრაფიკული საბუთის, თუ სხვა, რბილ საწერ მასალაზე შესრულებული ჩვეულებრივი დოკუმენტის სახით იყო გაფორმებული, მაგრამ, ფაქტია, რომ ასეთი საბუთი-განწესება, თუმცა, მას ჩვენამდე არ მოუღწევია, არსებობდა და იგი დამოწმებულია დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვიმისადმი.

9. ანდერძში დამოწმებული საბუთების შემდეგი ჯგუფია თვითონ დავით აღმაშენებლის მიერ ანდერძის შედგენამდე შიომღვიმისადმი გაცემული საბუთები. ასეთი საბუთების არსებობის პირდაპირ დამოწმებას ადგილი აქვს XIII ს-ის 20-იანი წლების ზემოთ არაერთგზის დასახელებულ ერთ შიომღვიმურ საბუთში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ვინცა „დიდისა დავითის ანდერძი და სიგლები მათი შეცვალებულ-ყოს, ჰრისხავს ღმერთი დაუსაბამოი"-ო და სხვა წყევლა-ცაა მოყვანილი[85]. სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს ჩვენამდე არ მოუღწევია[86] და მხოლოდ ანდერძის ტექსტშია, ალბათ, მათი მხოლოდ ერთი ნაწილის შესახებ მითითებები. განვიხილოთ ისინი ანდერძში დამოწმებული თანმიმდევრობით.

9.1. *„ქალაქს ტფილისს, რომელი სპარსთა ქონებასა ჰქონებია, და რომელი ან უყიდია, და რომელი მე მომიჴსენებია იგი და, ანუ წალმართ მოიგონ ივიცა, ყუელაჲ უბაჟოდ და უსუხროდ ყოვლისა სასეფოჲსა გამოსავლისაგან ჰქონდეს"* (სტრქ. 54-56) მონასტერსო, აღნიშნულია ერთგან ანდერძის ტექსტში. ანდერძის ტექსტის ამ ადგილის მიხედვით, შიომღვიმის მონასტერს, ტფილისში არსებული მისი კუთვნილი ქონების შესახებ, სულ ცოტა სამი საბუთი მაინც ჰქონია.

---

[84] *Г.Н. Чубинашвили*, Болнисский Сион, „ენიმკის მოამბე", IX, 1940, გვ. 74-75 (ა. შანიძის წაკითხვით). როგორც ჩანს, „კვირაძალის" მნიშვნელობის არასწორად გააზრების შედეგად, წარწერის ტექსტის ეს ადგილი ბოლო პუბლიკაციაში ასეა წარმოდგენილი: „ამას საყდარსა ღამისთევაჲ არა დებულ იყო. კვრის ძალითა მე დვვდევ და ზედაშე ღამისმთევველთათჳს" (ქართული წარწერების კორპუსი, I, №137, გვ. 250), რაც სწორი არ არის. „კვირის ძალით" ღამისთევის დაწესება („დადება") გაუგებარია, ხოლო „კვირასძალი", ანუ კვირაძალი, რა დროსაც ეკლესიაში ღამისთევა იქნა დაწესებული, „კვირა დღის წინა საღამოს, შაბათ საღამოს" ნიშნავს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული, თბ., 1986, გვ. 264). ლ. მუსხელიშვილის მიხედვით, წარწერის ტექსტში გახსნილულ ადგილას „კრებულისა ძალითა" უნდა წავიკითხოთ (იხ. ლ. *მუსხელიშვილი*, ბოლნისი, „ენიმკის მოამბე", III, 1938, გვ. 339), მაგრამ, ფაქტობრივი მონაცემებით ეს არ მტკიცდება. შდრ. აქვე, გვ. 45-48.

[85] *თ. ჟორდანია*, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 51.

[86] მართალია, დავით აღმაშენებლის გაცემულმა შიომღვიმურმა საბუთებმა ვერ მოაღწიეს ჩვენამდე (ერთის – ანდერძის გამოკლებით), თორემ ცნობილია მისი (სამწუხაროდ, ბოლონაკლული) საბუთი – სიგელი ნიანია ნიანიასძისადმი (ქძსკ, I, №7), დათარიღებული 1104/1108 წწ., რომლის დედანი ამჟამადაც დაცულია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში (№1448-1015).

ერთი შეეხებოდა იმ ქონებას, რომელიც მონასტერს ქალაქში გააჩნდა იქ სპარსთა (არაბთა) ბატონობის დროს; მეორე — იმ ქონებას, რომელიც „ან უყიდია" — უნდა ვივარაუდოთ დავით აღმაშენებლის მიერ 1122 წელს ტფილისის განთავისუფლებისა და საქართველოს სამეფოსათვის შემოერთების შემდეგ და მესამეა — საბუთი იმ ქონების შესახებ, რომელიც ქალაქის შემოერთების შემდეგ თვითონ დავით აღმაშენებელს შეუწირავს („რომელი მე მომიჴსენებია") მონასტრისათვის. მაშასადამე, ორი უკანასკნელი საბუთის ზუსტად დათარიღებაც არის შესაძლებელი და ისინი 1122-1124 წწ. უნდა დათარიღდეს.

ანდერძის ტექსტში სხვა ადგილას დავით აღმაშენებელი კიდევ ერთხელ ასახელებს მის მიერ ტფილისში მონასტრისათვის გაღებულ შეწირულებას და აქ უკვე კონკრეტულად აღნიშნავს გაღებული შეწირულების სახეობას: *„ტფილისს საამიდოით, ვითა სხჳთაცა ნიშნითა, თჳთ ჴელითა ჩემითა დამიწერია ასი დრაჰკანი მღდელთა და მგალობელთათჳს, წუვინ დააკლებს. მას დღესა, რომელსა მომიჴსენოს ღმერთმან, გაიყონ მღდელთა და მგალობელთა*" (სტრქ. 99-103).

როგორც ვხედავთ, აქ დამოწმებულია კიდევ ერთი, მეოთხე „ტფილისური" საბუთი ქალაქის საამიდო გადასახადიდან ასი დრაჰკანის შიომღვიმის მონასტრის „მღდელთა და მგალობელთათჳს" გამოყოფის შესახებ, რომელიც მათთვის უნდა დაერიგებინათ დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. აღსანიშნავია, რომ ამ საბუთის შესახებ დავით აღმაშენებლი საგანგებოდ აღნიშნავს „თჳთ ჴელითა ჩემითა დამიწერია"-ო, გარდა იმისა, რომ იგი (შეწირულება) სხვა „ნიშნითაც" (საბუთით) ყოფილა გაფორმებული. აქ, ან ორი საბუთის არსებობა უნდა ვიგულისხმოთ ამ ასი დრაჰკანის შესახებ, რომელთაგან ერთს „ნიშანი" ეწოდებოდა, ხოლო მეორე, დავით აღმაშენებლის ხელით ყოფილა ცალკე დაწერილი, ან იმ „ნიშანს" დართული ჰქონია დავით მეფის დამტკიცება-ხელრთულობა და იგი უნდა ვიგულისხმოთ სიტყვებში „ჴელითა ჩემითა დამიწერია".

როგორც ჩანს, უფრო უკანასკნელი ვარაუდი უნდა მივიღოთ და ანდერძის ტექსტში აქ ვიგულისხმოთ ისეთი საბუთის („ნიშანი") არსებობა ასი დრაჰკანის მონასტრისათვის გამოყოფის შესახებ, რომელსაც დავით აღმაშენებლის საკუთარი ხელრთულობა ახლდა[87].

მაგრამ, დავუბრუნდეთ მონასტრის იმ სამ „ტფილისურ" საბუთს, რომელთა შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ. ანდერძის ტექსტიდან არ ჩანს თუ რას შეეხებოდა კონკრეტულად ეს საბუთები და ქალაქში არსებული მონასტრის კუთვნილი ქონებიდან თუ რას მოიცავდნენ ისინი. იქნებ სხვა საბუთების მონაცემები დაგვეხმაროს ამის გარკვევაში.

მართლაც, გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში ერთგან აღნიშნულია, რომ

---

[87] დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ეს ადგილი, საბუთის აღმნიშვნელ ტერმინ „ნიშნის" შემოსვლის თარიღის გარკვევასთან დაკავშირებით, საგანგებოდ განიხილა ივ. ჯავახიშვილმა (იხ. *მისი*, ქართული სიგელთა-მცოდნეობა, გვ. 51).

შიომღვიმის მონასტერს „ეგრეთვე ქალაქს, რომელნი ქულბაგნი აქუან: ხუთი სპარსობითგანვე და ოთხნი, რომელ უკანის მოუსყიდიან და შემოუწირვან, თავისუფალნი და უხარჯონია საამიროისა, საამიდოისა, სარაისოისა, სამუსტასიბოისა და ყოვლისა სანუკვრისაგან" (ქისკ, I, N 11:38-52). მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტში დამოწმებული „ტფილისური" საბუთები შეეხებოდა ქალაქში არსებულ მონასტრის ქულბაგებს — სავაჭრო დუქნებს; ერთი — ხუთ „ქულბაგს", რომელიც სპარათა (არაბთა) ბატონობის დროსაც („სპარსობითგანვე") ჰქონებიათ; მეორე — ოთხ „ქულბაგს", რომელიც ამის შემდეგ („უკანის") „მოუსყიდიან" (დავით აღმაშენებელს) და „შემოუწირვან" მონასტრისათვის; ხოლო მესამე საბუთის რაობა, რომელიც დავით აღმაშენებლის კიდევ სხვა შეწირულებას შეეხებოდა, გიორგი III-ის 1170 წლის სიგელის ცნობის მიხედვით გაურკვეველია.

მაგრამ მის გარკვევაში გვშველის ისევ დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტი, სადაც ეს ქულბაგებიც არის დასახელებული შემდეგ კონტექსტში: „სხუაჲ — ნაბჭობი და ქულბაგთაჲ და საზეთეთაჲ და ნისქვილთაჲ ყოველი შესამოსლად განეყოფვოდის" (სტრქ. 70-71). მაშასადამე, სასამართლო განხილვის გადასახადი, ქულბაგთა, ზეთსახდელების და ნისქვილთა ბაჟი შესამოსლად უნდა გამოყოფილიყო და როგორც ჩანს, მესამე „ტფილისური" საბუთიც ამის შესახებ იყო შედგენილი.

9.2. შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტში დამოწმებულია საბუთი დავით აღმაშენებლის მიერ მონასტრისათვის ც ვ ი ლ ი ს შ ე წ ი რ ვ ი ს ა: *„ცჳლი, ვითა გამიჩენენიან(!) ვაჭართა ზედა ჟამად-ჟამადი, იგი ამსახურონ*" (სტრქ. 65-66), ე.ი. ცვილით მონასტრის მომარაგება ვაჭართა გარკვეული ნაწილისათვის ყოფილა შეწერილი.

საინტერესოა, რომ ეკლესია-მონასტრებისათვის საჭირო აუარებელი ცვილის ერთი ნაწილით მათი მომარაგება სწორედ ვაჭრებს ჰქონდათ ტრადიციულად შეწერილ-დაკისრებული. მაგალითად, ჭიაბერ მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის 1189 წლის ცნობილ დაწერილში შიომღვიმისადმი, რომლითაც იგი ჟონოვნელ მიხითარაისძეებს, როგორც ჩანს, ვაჭრებს, სწირავს მონასტერს, აღნიშნულია: „ვითა სადაცა სხუაგან შ ე მ ო წ ი რ უ ლ ნ ი ვ ა ჭ ა რ ნ ი თ ქ უ ე ნ ნ ი (შიომღვიმის მონასტრისა) ყოვლისა მავნებელისაგან შეუვალნი და ნებიერნი სხენან, ეგრეთვე ესენი (დავითის შვილნი ოქრაი, მახარაი, ბრაჭი და იოვანე მიხითარაისძენი) სხდენ. და ყოველთა წელიწადსა ამას ცუინსა მოგართუმიდენ თხუთმეტსა ლიტრასა" (ქისკ, I, N19:38-41).

ანდერძის ტექსტზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ დავით აღმაშენებლის შეწირულებათა ერთი ნაწილი მთლიანად მონასტერს ეკუთვნის (მათში შედის, ძირითადად, ძველ შეწირულებათა განახლება და მათ შესახებ არსებული საბუთების დამტკიცება), ხოლო მეორე ნაწილი — საკუთრივ მის მიერ აშე-

ნებულ ღმრთისმშობლის ეკლესიას. რაც შეეხება საბუთს ვაჭართა მიერ „ჟამად-ჟამადი" მონასტრისათვის ცვილის „მსახურების" შესახებ, იგი, როგორც ჩანს, საერთო სამონასტრო შეწირულების საბუთი იყო, რადგან, მის შესახებ აღნიშნულია „ვითა გამიჩენენიან"-ო, ე.ი. ადრევე, 1124 წლამდე, შიომღვიმისადმი ანდერძის შედგენამდე ფაქტს გადმოსცემს.

ამდენად, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ შიომღვიმის მონასტერს მოეპოვებოდა საბუთი დავით აღმაშენებლის მიერ მონასტრისათვის ცვილის შეწირვის (ვაჭრების მიერ „ჟამადი-ჟამად" სამსახურად მისი გამოღების) შესახებ, რომელსაც იგი იმოწმებს მისსავე ანდერძში ამ მონასტრისადმი.

9.3. დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში დასტურდება ფაქტი მეფის მიერ მონასტრისათვის, უფრო ზუსტად მონასტერთან არსებული სოხასტერისათვის, მიწის შეწირვის და, შესაბამისად, ამის შესახებ არსებული საბუთის დამოწმებაზე.

არ შეიძლება საგანგებო ყურადღება არ მიიქციოს იმან, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვიმისადმი, რომლითაც იგი დიდძალ ქონებას სწირავს, ან ძველი საბუთების დამოწმებით ადრევე შეწირულს განუახლებს მონასტერს, მიწის, სოფლის, ადგილის ან სხვა უძრავი ქონების შეწირვის შესახებ საერთოდ არ არის აღნიშნული. ამის შესახებ აქ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ამის მიზეზი უნდა იყოს ყოველი ასეთი შეწირულების შესახებ ცალკე საბუთის შედგენა. მართლაც, მეფის მიერ მონასტრისადმი ასეთ შეწირულებებს (მიწის, სოფლის ან სხვა უძრავი ქონების შეწირვას) რომ ადგილი ჰქონდა, ამას მოწმობს გიორგი III-ის 1170 წლის სიგლის ერთი ადგილი, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ, ხოლო აქ აღვნიშნავთ მიწის შეწირულების იმ ერთადერთი საბუთის შესახებ, რომელსაც თვითონვე იმოწმებს დავით აღმაშენებელი შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტში:

„მე ხუდაბუნი შემიწირავს მუხრანს წმიდისა სჳმეონ საკჳრველთმოქმედისადა, რომელმან სამისა დღისა მკუდარი აღმადგინა" (სტრქ. 97-98), აღნიშნულია ანდერძში ერთგან. ვიცით, რომ წმ. სჳმეონ საკჳრველთმოქმედის სახელზე შიომღვიმის მონასტრის სოხასტერი, ანუ „სადაყუდებულო" იყო აგებული, რომლისთვისაც არსენი ბერს საგანგებო განაწესი შეუდგენია (აქვე, **8.3.**) და დავით აღმაშენებელსაც მუხრანში მისთვის ხუდაბუნი (ყანა, სახნავ-სათესი მიწა) შეუწირავს.

ანდერძის ტექსტიდან, თითქოს, მაინცდამაინც არ ჩანს ეს ხუდაბუნი ადრევე შესწირა დავით აღმაშენებელმა შიომღვიმის სოხასტერს და აქ მხოლოდ ამის შესახებ საბუთის დამოწმებასთან გვაქვს საქმე, თუ იგი ამ ანდერძით ადგენს ამ შეწირულებასაც. მაგრამ, რადგან ანდერძის ტექსტში აღნიშნულია, რომ წმ. სჳმეონ საკჳრველთმოქმედმა „სამისა დღისა მკუდარი აღმადგინა"-ო, ე.ი. აღნიშნულია ადრე, ანდერძის შედგენამდე მომხდარი ფაქტი, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამაგიერო სამადლობელი შეწირულებაც ადრევე

იენებოდა გაღებული და ანდერძის ტექსტის ამ ადგილასაც ამის შესახებ საბუთის დამოწმება იგულისხმება.

როგორც ჩანს, „მუხრანს წმ. სვმეონ საკკრველთმოქმედისადა" ხუდაბუნის შეწირვა დაკავშირებულია დავით აღმაშენებლის ცხოვრების იმ ეპიზოდთან, რომლის შესახებ მისი ისტორიკოსი მოგვითხრობს შემდეგს: „ნადირთა დევნასა შინა ოდესმე მუხნარს წარექცა ცხენი, და ესეოდენ შეიმუსრა, რომელ სამ დღე ყოვლად უსულოდ მდებარე იყო უძრავად, სამშჳნველისაგან ოდენ საცნაურ ცოცხლად. და შემდგომად სამ[ისა] დღ[ისა] ნამტკნარსა სისხლისასა აღმოჰყრელსა მოექცა სული და სიტყუაჲ, და ძლითღა აღდგა ცოცხალი"[88].

მართალია, ისტორიკოსს არა აქვს აღნიშნული თუ როდის მოხდა ეს, რომ ამის მიხედვით შესაძლებელი იყოს საბუთის დათარიღებაც, მაგრამ, რადგან ეს ფაქტი მეფის სასწაულით გადარჩენის ეპიზოდებს შორის ყველაზე წინ, პირველად არის მოთხრობილი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი უფრო მისი ახალგაზრდობის დროის ამბავს გადმოგვცემს. ყოველ შემთხვევაში, ანდერძის ტექსტში გადმოცემული თხრობის მიხედვით ისეთი სურათი ჩანს, რომ მეფეს ეს უნდა შემთხვეოდა შიომღვიმეში ღმრთისმშობლის ტაძრის მშენებლობის დაწყებამდე, ე.ი. მის მიერ მონასტრის ძაგანისაგან გამოთავისუფლებამდე, ანუ მეფის მიერ ძაგანის შეპყრობამდე შიომღვიმის მონასტერში, რასაც ადგილი ჰქონდა მეფის მიერ 1103 წელს ზედაზნის ციხის აღების შემდეგ[89]. მაშასადამე, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში დამოწმებული მისივე საბუთი მუხრანს წმ. სვმეონ საკკრველთმოქმედისადმი ხუდაბუნის შეწირვის შესახებ შეიძლება 1103 წლის ახლო დროით დავათარიღოთ.

9.4. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გიორგი III-ის 1170 წლის სიგელს დაუცავს ცნობა დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისადმი მიწის შეწირვის და, მაშასადამე, ამის შესახებ საბუთის არსებობის შესახებ. „*მაწვლისწევს — ბორცუისჯუარი*, ძუელადვე მღჳმისაჲ, ლიპარიტეთგან წაღებული, აწ ახლად პ ა პ ი ს ა ჩ ე მ ი ს ა დ ი დ ი ს ა მ ე ფ ი ს ა დ ა ვ ი თ ი ს ა გ ა ნ შ ე მ ო წ ი რ უ ლ ი" (ქისკ, I, N11:32-35), აღნიშნულია ამ საბუთში. მაშასადამე, ამ სიგელში ასეთი ამბავია გადმოცემული: ბორცუისჯუარი „ძუელადვე" მღვიმის საკუთრება ყოფილა. როდის გახდა ის მღვიმის საკუთრება ეს ჩვენთვის ცნობილია, რადგან არსებობს ბაგრატ IV-ის 1057 წლის სიგელი, რომლითაც იგი შიომღვიმის მონასტერს („ლავრასა მღჳმისასა") სამუდამო მფლობელობაში სწირავს „ადგილს ბორცუისჯუარს" (ქისკ, I, N4). ეს ბორცუისჯუარი „ლიპარიტთა", ანუ ბაღვაშთა სამფლობელოში არსებულა (უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბაგრატ IV-ის მიერ სიგელის გაცემის დროისათვის — ყოფილ სამ-

[88] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ.361:18-21; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *მზექალა შანიძემ* („ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები", IX; საქართველოს ისტორიის წყაროები, 62), თბ., 1992, გვ. 221:11-16.

[89] *რ. მეტრეველი*, დავით IV აღმაშენებელი, გვ. 100-101.

ფლობელოში). ამის მაჩვენებელია ის, რომ ამ საბუთს სულ სამი პირი ურთავს ხელრთულობა-დამტკიცებას და, მეფესა და კათალიკოსთან ერთად, ეს მესამე პირია *ივანე ძე ლიპარიტ ერისთავთა ერისთავისა*, აწ უკვე დამცრობილი, რომელიც თავისთავს მხოლოდ სახელით იხსენიებს, რაიმე ტიტულის ან წოდების გარეშე, თანაც ორგზის სიმდაბლის ფორმულით („მიწასა მეფობისა მათისა", „მონისა მათისაგან" — ბაგრატ IV-ისა; ქისკ, I, N4:59-65).

შემდეგში ამ ბორცისჯუარს ბაღვაშები ისევ დაპატრონებიან, იგი „ლიპარიტეთგან წაღებულა" და მათი დამარცხებისა და დამხობის შემდეგ დავით აღმაშენებელს შიომღვიმის მონასტრისათვის „ახლად" შეუწირავს, რაც, ცხადია, სათანადო საბუთით გაფორმდებოდა. ბაღვაშთა დამხობას და საქართველოდან მათი უკანასკნელი წარმომადგენლის დავით აღმაშენებლის მიერ განდევნას ადგილი ჰქონდა 1097 წელს[90] და ამიტომ, მათ სამფლობელოთა ნაწილის (ბორცუისჯუარის) შიომღვიმისათვის გადაცემას ამ წლის ახლო დროს ექნებოდა ადგილი და საბუთიც ამის შესახებ ამ დროით შეიძლება დათარიღდეს.

მაშასადამე, დავით აღმაშენებელს შიომღვიმის მონასტრისათვის უძრავი ქონებაც შეუწირავს, რამაც ასახვა ვერ ჰპოვა მის ანდერძში. ეს ფაქტი იმის საილუსტრაციოდაც გამოდგება, თუ როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში (ამ შემთხვევაში სულ ნახევარი საუკუნის მანძილზე) მონასტრის მფლობელობა ამათუ იმ სოფელზე, ან ადგილზე. ამიტომ, მართალია, გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში აღნიშნულია, რომ „ცხირეთს — ცხევერი და გავაზელნი წმიდისა შიოს ოქროითა და ვერცხლითა მონასყიდი ფავნელთა და ტბელთაგან"-ო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს სოფლები შიომღვიმის მონასტერმა მაინცდამაინც მათ დროს (X ს.) მოიპოვა პირველად. ამდენად, ეს ფაქტიც ზემოთწარმოდგენილ ვარაუდს ამ სოფლების მონასტრისათვის ჯერ კიდევ „უძველეს" დროს, ფარსმან მეფის მიერ „მინიჭების" შესაძლებლობის შესახებ (აქვე, 1.1) მეტ საფუძვლიანობას სძენს.

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს შევაჯამებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში, მონასტრისადმი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხელისუფალთა მიერ გაცემული შეწირულობების განახლება-დამტკიცებისას, იგულისხმება შემდეგი ძველი ქართული საბუთების დამოწმება, რომლებიც, სავარაუდოდ განსაზღვრული მათი თარიღების მიხედვით, ასე დალაგდებიან:

1. დაწერილი მღვიმის კრებულისა ევაგრე მთავრისაგან სოფელ სხალტბის მოსყიდულობისა. VI ს-ის II ნახ.
2. დაწერილი მღვიმის კრებულისა ევაგრე მთავრისაგან გოროვანის მოსყიდულობისა. VI ს-ის II ნახ.
3. დაწერილი ევაგრე მთავრისა ციხედიდის აგარის შიომღვიმისადმი შეწირულებისა. VI ს-ის II ნახ.
4. სიგელი ფარსმან მეფისა ოთხი სოფლის შიომღვიმისადმი „მინიჭებისა".

[90] *ივ. ჯავახიშვილი*, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 195.

VI ს-ის II ნახ.

5. „ძუჩლი სიგელი შეუვალობისაჲ ცხუართათჳს უსაბანჯრობისაჲ". VI-VII სს. (?).
6. სიგელი მუხრანს შიომღვიმის მონასტრის საფურეს არსებობისა („ქანდაური სიგელი"). VI-VII სს. (?).
7. ანდერძი წმ. შიოსი. VII ს. დასაწყ.
8. დაწერილი სტეფანოზ მთავრისა შიომღვიმისადმი ორი დაბის შეწირულებისა. VII ს-ის დასაწყ.
9. „პროარტაკი" სტეფანოზ მთავრისა ქართლის ეკლესიათაგან „ხარკის მიჴდისა". VII ს-ის დასაწყ.
10. დაწერილი (ფავნელისა?) შიომღვიმისადმი სოფლების შეწირვისა. IX ს.
11. „ძუჩლი სიგელი" (კახთა მეფეებისა?) ზედაზნის ციხისა და მუხრანის ძაგანის სახლისათვის გადაცემისა.
12. სიგელი (კახთა მეფეებისა?) „მთასა ციხე მარანის" და სოფელ მატურის შიომღვიმისადმი ბოძებისა.
13. ნიშანი შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი ხუთი ქულბაგისა სპარსობითგან ტფილისს.
14. დაწერილი ადარნესე ჰერთა პატრიკისა შიომღვიმისადმი თრიალეთს სოფელ ბჭითის შეწირულებისა. X ს-ის II ნახ.
15. დაწერილი ჯოჯიკ მთავრისა შიომღვიმისადმი აგარის შეწირულებისა. 979-1036.
16. სიგელი კვირიკე III კახთა მეფისა შიომღვიმისადმი სოფელ დაოთის შეწირულებისა. 1009-1037.
17. ჴელი მელქიზედეკ ქართლის კათალიკოსისა შიომღვიმისადმი. 1012-1030, 1039-1045.
18. ჴელი ოქროპირ ქართლის კათალიკოსისა შიომღვიმისადმი. 1031-1039, 1045-1049.
19. დაწერილი ხახუილაგისა შიომღვიმისადმი ალაჭინის შეწირულებისა. XI ს-ის 30-იანი წლები.
20. დაწერილი გოდერძი ერისთავთა ერისთავისა შიომღვიმისადმი ივანწმიდის შეწირულებისა. XI ს-ის 40-იანი წლები.
21. სიგელი ბაგრატ IV-ისა შიომღვიმისადმი „ადგილი ბორცუისჯუარის" შეწირულებისა. 1057.
22. ჴელი გაბრიელ ქართლის კათალიკოსისა შიომღვიმისადმი. 1065-1080.
23. სიგელი გიორგი II-ისა შიომღვიმისადმი მონასტრის კუთვნილი სამფლობელოების დამტკიცებისა. 1073.
24. სიგელი გიორგი II-ისა ზედაზნის ციხისა და მუხრანის ძაგანის სახლისთვის დროებით მფლობელობაში გადაცემისა. 1085-1089.
25. სიგელი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი ბორცუისჯუარის შეწირულებისა. 1097 წლის ახლო.

26. სიგელი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმის სოხასტერისათვის მუხრანს ხუდაბუნის შეწირვისა. 1103 წლის ახლო.
27. დაწერილი იოვანე ქართლის კათალიკოსისა შიომღვიმის სამფლობელოების „სასჯულო“ შემოსავლის ღმრთისმშობლის ეკლესიის ზეთად მოხმარებისა. XII ს-ის I მეოთხედი.
28. განაჩენი არსენი ბერისა შიომღვიმის სოხასტერის შესახებ. XII ს-ის I მეოთხედი.
29. განაჩენი არსენი ბერისა შიომღვიმეში კვირას ღამისთევის დაწესებისა. XII ს-ის I მეოთხედი.
30. დაწერილი მთავარმამა მემღვიმე თევდორესი შიომღვიმისათვის სოფლების შესყიდვისა. XI ს-ის 80-იანი წლები - XII ს-ის I მეოთხედი.
31. სიგელი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი ვაჭართა მიერ „ჟამადი-ჟამად“ ცვილის შეწირვისა. XII ს-ის I მეოთხედი.
32. ნიშანი შიომღვიმის კუთვნილი ქულბაგებისა ტფილისს, რომლებიც მონასტერს „აწ უყიდია“. 1122-1124.
33. ნიშანი შიომღვიმის კუთვნილი ოთხი ქულბაგისა ტფილისს, რომლებიც დავით აღმაშენებლის „მოსყიდულია“ და შეწირულული მონასტრისათვის. 1122-1124.
34. ნიშანი ტფილისს მონასტრის ნაბჭობის, ქულბაგთა, საზეთეთა და წისქვილთა ბაჟის შესამოსლად მოხმარებისა. 1122-1124.
35. ნიშანი დავით აღმაშენებლისა ასი დრაჰკანის შიომღვიმის მონასტრის მღვდელთა და მგალობელთათვის განწესების შესახებ. 1122-1124.

როგორც ვხედავთ, დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვიმისადმი დამოწმებული აღმოჩნდა VI-XII სს. ძველი ქართული საბუთების საკმაოდ დიდი რაოდენობა. მათი ერთი ნაწილის რაობის დადგენა შესაძლებელი გახდა, როგორც თვით ანდერძის ტექსტის, ისე სხვა წერილობითი წყაროების ცნობების მოშველიებით. ამ საბუთთაგან ზოგიერთი ზუსტად თარიღდება, ხოლო ზოგიერთის მხოლოდ დაახლოებითი თარიღი განისაზღვრა; ორ საბუთს თვითონვე ახლავს თარიღი ტექსტშივე მათი აღნიშვნით.

ანდერძის ტექსტში დამოწმებული 35 სავარაუდო საბუთიდან (არ არის გამორიცხული, რომ მასში კიდევ სხვა საბუთებზე მინიშნებებიც დადასტურდეს) ჩვენამდე, სამწუხაროდ, მხოლოდ ორმა მოაღწია (საბედნიეროდ, ორივემ, მართალია, ნაკლული, მაგრამ მაინც დედნის სახით); ერთია, ბაგრატ IV-ის 1057 წლის სიგელი შიომღვიმისადმი (ქისკ, I, N4) და მეორეა — გიორგი II-ის 1073 წლის სიგელი შიომღვიმისადმი (ქისკ, I, N 6). გარდა ამისა, ორი თუ სამი საბუთის ტექსტის ფრაგმენტი შეიძლება ვივარაუდოთ XIII ს-ის II ნახევრის „ერთიანი სიგელის“, ე.წ. ფავნელის დაწერილის სხვადასხვა ადგილას (ქისკ, I, N1).

ამდენად, ანდერძის ტექსტში დამოწმებული საბუთების გამოყოფით კიდევ ერთხელ გახდა ცხადი, თუ ადრეული პერიოდის ძველი ქართული საბუთების

რამდენად მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. საინტერესოა, რომ ერთი მონასტრის მარტო ამ ერთ საბუთში VI-XII სს. 35 საბუთი დადასტურდა, მაშინ როდესაც მთლიანად XI-XIII სს-დან ჩვენამდე მხოლოდ 46 საბუთია მოღწეული.

აქ წარმოდგენილი მასალიდან და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვიდან სხვა რიგის დასკვნებსაც ვღებულობთ: თვალნათლივ ჩანს, თუ რამდენად მოწესრიგებულია სახელმწიფოში სამართლებრივი სისტემა — მეფის ყოველი შეწირულება, მის მიერ გაცემული განკარგულება მთლიანად არსებულ საბუთებს, უკვე მანამდე მიღებული გადაწყვეტილებებს ეყრდნობა და არ არის დაფუძნებული მხოლოდ მის პირად ნებასა, ან სურვილზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი ქვეყნის თვითმპყრობელია და ერთპიროვნული მმართველი.

ამით და ასევე სამართლებრივი საბუთების შედგენის ხანგრძლივი ტრადიციითაა განპირობებული, რომ ანდერძში დამოწმებული საბუთები, რაც უკვე თავისთავად მაღალი სამართლებრივი დონის მაჩვენებელია, დაჯგუფებულია გარკვეული სისტემის მიხედვით, თემატურად: ა. „სიგელნი მთავართაჲ ვიეთმე", ბ. „მამათაჲ და პაპათა სიგელნი", გ. „სიგელნი მეფეთა შეწირულთა", დ. „ჴელნი ქართლისა კათალიკოზთაჲ" და სხვ.

II.

1. ყველაზე ადრეული დამოწმება დავით აღმაშენებლის ანდერძისა შიომღვიმისადმი, ამჟამად ცნობილი საისტორიო წყაროებიდან, ცნობილია მისი შვილიშვილის გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში. ჩვენ არ ვიცით ამ მხრივ რა ვითარება იყო დავით აღმაშენებლის ძის დემეტრე I-ის საბუთებში, რადგან არც ერთ მის სიგელს ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა საერთოდ დემეტრე I-ის საბუთების არსებობა უეჭველია, რადგან ორი, თუ სამი მათგანი დამოწმებულია მისი შვილის გიორგი III-ის 1170 წლის ზემოდასახელებულ სიგელში.

მასში აღნიშნულია, რომ „მოვიდეს ჩუენ წინაშე წმიდანი მამანი უდაბნოისა დიდისა მღუიმისანი" და სხვა საბუთებს შორის „მოიხუნეს სიგელნი... მამისა ჩუენისა დემეტრე მეფისანი"-ო (ქისკ, I, N11:4-7), ან კიდევ, „ჩუენ ვისმინეთ ჰაჯაი მათი და მოჴსენებაი. და მამისა ჩუენისა ბრძანებანი და სიგელნი ამითა ჩუენითა სიგლითა გაგუიახლებიან"-ო (ქისკ, I, N 11:15-17). ხოლო უფრო ქვემოთ, კონკრეტულადაა აღნიშნული თუ რას შეეხებოდა ამ სიგელთაგან ზოგიერთი: „ხორვაი — მამისა ჩემისა ნაბოძვარი სამღუიმოდ" (ქისკ, I, N11:27-28), ან „წყალშატროანი, ვითარად მამასა ჩემსა მოუცვალებია, იგი ჩუენ მოგუიჴსენებია" (ქისკ, I, N 11:64-65), ან კიდევ, „რაოდენ ქანდაი მონადირეთა სადგომად მოცვალა მამამან ჩუენმან, მეფემან დემეტრე, მღუიმისაგან და ნაცვალი ჩუენ მოვაჴსენოთ წმიდასა მამასა შიოს"-ო (ქისკ, I, N11:91-93) და სხვ.

ერთი სიტყვით, დემეტრე I-ის სიგელები გაცემული ყოფილა შიომღვიმის მონასტრის კუთვნილი სამფლობელოების — *ხორვაის, წყალშატროანის* და *ქანდაის* შესახებ. არც ერთი მათგანი დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტში კონკრეტულად დასახელებული არ არის და ამიტომ, ძნელია, გადაჭრით ითქვას

დემეტრე I-ის სიგელებში დავით აღმაშენებლის ანდერძი დამოწმებული იყო თუ არა. ამდენად, ფაქტია, რომ ამ ანდერძის პირველი დამოწმება ამჟამად ცნობილია გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში შიომღვიმისადმი. კერძოდ, აქ აღნიშნულია:

„პირველად — თუით წმიდაი იგი უდაბნოი მღუიმე, ვითა ყოვლითურთ უწყინარი ყოფილა და თავისუფალი ყოვლისა წყენისაგან, ეგრევე იყოს, ვითა თუით პაპისა ჩუენისა ანდერძსა სწერია; ნუმცა-ვის უკადრებია მას ზედა სიტყუისა შემოღებაი და ცილობა" (ქისკ, I, N11:18-21).

სიგლის დამწერს, მეფის მწიგნობარს („ჴელითა მწიგნობრისა ჩუენისა") *დანგა ბრუტაისძეს* ზემოთმოყვანილ ნაწყვეტში წარმოდგენილი ფორმულის — „ყოვლითურთ უწყინარი და თავისუფალი ყოვლისა წყენისაგან", საფუძვლად აუღია ანდერძის ორ სხვადასხვა ადგილას აღნიშნული დაახლოებით ანალოგიური გამოთქმები: *„ნასყიდი მონასტრისაგან ყოველი უბეგროდ, უბაჟოდ და უწყენლად კულა მომიჴსენებია წმიდისა მამისა შიოსათჳს" (სტრქ. 52-53) და „ხუთი ათასი ცხუარი მონასტრისაჲ...უსაბანჯროდ, უბაჟოდ და უწყენლად დგეს და იარებოდეს ჩუენსა ჭამბარსა გუერდით*" (სტრქ. 75-76).

რადგანაც ეს ფორმულები პირველად ამ ორ საბუთშია, ხოლო შემდეგ ხშირად დასტურდება ქართულ ისტორიულ საბუთებში (იხ. ქისკ, I, საძიებლები: „უწყინარი" და „წყენა"), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დანგა ბრუტაისძე იცნობდა დავით აღმაშენებლის ანდერძის ტექსტს და მისგან გადმოიღო ისინი.

2. ამჟამად ცნობილი შემდგომი საბუთი, რომელშიც დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძია დამოწმებული, XIII ს-ის 20-იანი წლებით თარიღდება. სამწუხაროდ, ეს საბუთი, „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის" I ტომში — IX-XIII სს. ქართული საბუთების ბოლო აკადემიურ პუბლიკაციაში, ჩართული არ არის[91].

საბუთის ტექსტში დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი ორჯერაა დამოწმებული (ერთგან, სხვა საბუთებთან ერთად — „დიდისა დავითისა ანდერძი და სიგლები"). პირველად, იგი დამოწმებულია მონასტრის სტატუსის განსაზღვრასთან, უფრო სწორად, უკვე არსებულის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

კერძოდ, *არსენი ქართლის კათალიკოსის* ხელრთულობაში აღნიშნულია, რომ როგორც „დიდისა და მეფეთა შორის სანატრელისა დავითის ანდერძში... სწერია გაჩენითავე —მწიგნობართუხუცესი ვაზირი მონაზონი ჯდეს" მოურავად მღუიმისა, და „მამაი მემღუიმე სულიერთა საქმეთა მათთა" განაგებდესო. ანდერძში ეს ადგილი ასეა გადმოცემული: *„აწ სკმეონ ბედიელ-ალავერდელისა იყოს შევედრებულ. რაცა საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყვოფოდის, რომელსა ჩუენ ვერ მივიწინეთ. და შემდგომად მისსა, თუ მისსა ადგილსა, ამითვე წესითა სხუაჲ მწიგნობართუხუცესი იყოს, იგი იურვოდის*" (სტრქ. 123-126).

ანდერძის ტექსტში კიდევ ერთხელ არის აღნიშნული მწიგნობარ-

---

[91] საბუთის პუბლიკაცია იხ. აქვე, დამატება II.

თუხუცესისა და შიომღვიმის მონასტრის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. კერძოდ, ტექსტის ბოლოს, იქ სადაც ანდერძის დამრღვევთა — „შეცვალებად მოურვეთა“ წყევლაა გადმოცემული, ნათქვამია, რომ *„გარეშე მონაზონისა მწიგნობართუხუცესისა სასაურაობასა ვინმე იკადრებდეს“*, ღმერთმა თავისი რისხვა მიაწიოსო.

საეკლესიო კრების დადგენილების ტექსტში, უფრო ზუსტად, არსენი კათალიკოსის ხელრთულობაში (რომელიც, როგორც წესი, საბუთის ძირითადი, ვრცელი და დაწვრილებითი დადგენილების მოკლედ გადმოცემაა), უფრო მკაფიოდ არის განსაზღვრული მწიგნობართუხუცესისა და მონასტრის წინამძღვრის ფუნქციები, ვიდრე ეს დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ტექსტშია.

კერძოდ, საბუთის მიხედვით, მწიგნობართუხუცესი მონასტრის მეურვეა, „მწიგნობართუხუცესი ვაზირი მონაზონი ჯდეს“, ე.ი. იგი სასამართლო ფუნქციას ახორციელებს, ხოლო „მამაჲ მემღუიმე სულიერთა საქმეთა მათთა [განაგებდეს]“, ე.ი. მას მონასტრის სასულიერო საქმეების წარმართვა ეკისრება. როგორც ვხედავთ, ანდერძისა და საბუთის დადგენილებები ერთ რამეში — მონასტრის მიმართ მწიგნობართუხუცესის ფუნქციის განსაზღვრაში, ერთმანეთს ემთხვევა, ხოლო საბუთი აკონკრეტებს წინამძღვრის ფუნქციას — მის მიერ მხოლოდ „სულიერთა საქმეთა“ ხელმძღვანელობას.

მეორედ, როგორც აღვნიშნეთ, განჩინებაში ანდერძი დამოწმებულია სხვა სიგელებთან ერთად ტექსტის კრულობით ნაწილში, რომელიც ანდერძის შესაბამისი ადგილის შემოკლებული გადმოცემაა.

აღსანიშნავია, რომ არსენი კათალიკოსის ხელრთულობაში თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება ადგილები ანდერძის ტექსტიდან, რაც, ცხადია, მის მიერ ანდერძის გაცნობის მაჩვენებელია:

ანდერძი:	განჩინება:
1. „და ამისთჳს, რომელ მიჰრონსა მოანიჭებდეს ქართლისა კათალიკოზი, ჩემსა ეკლესიასა შინა სახელი მისი მოიჴსენებოდეს პირველთა თანა მღდელისაგან“ (სტრქ. 60-62).	1. „უკეთუ ჩუენ მათნი მოღუაწენი ვიყუნეთ, სახელსა ჩუენსა მოიჴსენებდენ, პირველთა თანა მღდელისაგან მოიჴსენებდენ“.
2. „მღჳმესა თანა არცა ვის აწ უც საქმე თჳნიერ ლოცვისა და შეწირვისა“ (სტრქ. 122). „არცა ქართლისა კათალიკოზისა საქმე არს მღჳმესა ზედა, არცა ვის სხჳსა ეპისკოპოსისა“ (სტრქ. 127).	2. „არა უც საქმე მღუიმესა თანა არცა ქართლისა კათალიკოზთა, თჳნიერ ლოცვისა და კურთხევისაგან, [არცა მთავარ]ეპისკოპოზთა, არცა ვის სხუასა ეპისკოპოზსა“.

3. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შიომღვიმის მონასტერს „ძუელითგან“ ჰქონია „სიგელი შეუვალობისაჲ ცხუართათჳს“, რომელიც დამოწმებულია დავით აღმაშენებლის ანდერძში (სტრქ. 73). თავის მხრივ დავით აღმაშენებელი

ანდერძის ტექსტით ადგენს, რომ მის მიერ შეწირული სამი ათასი ცხვარი, უკვე არსებულ ორი ათას ცხვართან ერთად, ე.ი. *„ხუთი ათასი ცხუარი, თჳთ სასეფოჲსა მონასტრისაჲ და მათთა მეცხოვრეთაჲ, უსაბანჯროდ, უბაჟოდ და უწყენლად დგეს და იარებოდის ჩუენსა ჭამბარსა გუერდით“* (სტრქ. 75-77).

ვფიქრობთ, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის ეს ადგილი („ძუელ“, მანამდელ სიგელებთან ერთად) უნდა იგულისხმებოდეს და იგი უნდა იყოს დამოწმებული ერისთავთა ერისთავის, ქართლის ერისთავის გრიგოლ სურამელის დაწერილში შიომღვიმისადმი, რომელიც თარიღდება 1247-1250 წწ. და რომელიც მას შეუდგენია მეოთხედ მიმავალს „წარმართთა თათართა შიგან ქრისტეს სჯულისა და ერისა და ეკლესიისა დაცუისათჳს“ (ქისკ, I, N 27, გვ. 122:6-7).

ნიშანდობლივია, რომ გრიგოლ სურამელის ეს დაწერილი შიომღვიმისადმი მის ანდერძს წარმოადგენს, მსგავსად დავით აღმაშენებლის მიერ „შარვანსა ზედა გალაშქრების“ წინ ასევე შიომღვიმისადმი გაცემული ანდერძისა. ვფიქრობთ, რომ პირველი მეორის მიბაძვით და გავლენით შედგენილი საბუთია. მასში, სხვა საკითხებსა და დადგენილებებს შორის, აღნიშნულია, რომ „თუით წმიდათა მეფეთაგან და ჩუენისა სახლისაგანცა წმიდისა შიოის ცხუარნი და მეცხუარენი ყოველსა ადგილსა თავისუფალნი არიან და შეუვალნი საბანჯრობისაგან და მისი სიგელიც აქუნდა დაწერილი ჩუენისა სახლისაგან წმიდისა უდაბნოსა მღუიმისასა“ (ქისკ, I, N 27, გვ. 122:24-27).

როგორც გრიგოლ სურამელის ამ ანდერძიდან ჩანს, მათი კუთვნილი ცხვრების „უსაბანჯრობა“, ე.ი. მატყლის გადასახადისაგან განთავისუფლება, შიომღვიმის მონასტრის ძველი პრივილეგია ყოფილა და ამ უფლების განსაახლებლად მას პერიოდულად ახალი საბუთები მიეცემოდა ხელისუფალთაგან. ერთ-ერთი ასეთი საბუთი *სურამელთა სახლისგანაც* ჰქონია მონასტერს, რომელსაც, ჩვენი აზრით, დავით აღმაშენებლის ანდერძთან ერთად, იმოწმებს და თავის მხრივ ამტკიცებს გრიგოლ სურამელი.

4. ამჟამად ცნობილი საბუთების მიხედვით, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის შემდგომ დამოწმებას ადგილი აქვს XV ს-ის ერთ საბუთში. იგი, გაცემული მეფე გიორგი IX-ის მიერ შიომღვიმისადმი, თ. ჟორდანიას ცნობით, „წარწერილი“ ყოფილა ზემოთგანხილული საბუთის ფრაგმენტის — არსენი კათალიკოსისა და საბა მთავარეპისკოპოსის ხელრთვების, „მეორე გვერდზე“[92].

რადგან საბუთი გაცემულია მეფე გიორგი IX-ის მიერ, თ. ჟორდანია მას 1445-1469 წწ. ათარიღებს. საბუთის მიხედვით „ქუეყანასა სხალტბასა“ გიორგი მეფეს „დიდი სათათრო ულუფა სრულიად“ ამოუკვეთია, „ასრე რომე, დიდი სათათრო ულუფა არასოდეს და არას ჟამშიგა არა ეთხოვებოდეს“. სამაგიეროდ, აღნიშნულია საბუთში, „სულკურთხეულისა პატრონისა მამისა ჩუენისა ალექსანდრესთჳს კარგაღებულსა [აღაპსა დაგვიდგენდით და] შეგვიკვე-

---

[92] *თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა*, გვ. 72-73.

თია დღესასწაულსა და დღეობასა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა [შიოსა, მა]ისსა ცხრასა".

საბუთის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ „კარზედა მოგუადეგით და ძუელნი გუჯარნი და განაჩენნი მის სულკურთხეულისა აღმაშენებლის დავითისი" მოიტანეთო. როგორც ვხედავთ, აქ, მართალია, დავით აღმაშენებლის ანდერძი დასახელებული არ არის, მაგრამ მის „გუჯართა და განაჩენში" შეიძლება ისიც იგულისხმებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ამ საბუთის მიხედვით ცხადია, რომ შიომღვიმის მონასტერს დავით აღმაშენებლის მრავალი „სიგელი და გუჯარი" ჰქონია, რომელთაგან ჩვენამდე მხოლოდ ერთმა — მეფის ანდერძმა მოაღწია.

5. უკანასკნელად დავით აღმაშენებლის ანდერძი დამოწმებულია XIX ს-ის ერთ-ერთი ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, „ქვათახევის, შიომღვიმისა და სხვათა მონასტერთა" არქიმანდრიტის, შემდეგში *მთავარეპისკოპოსის დოსითეოს ფიცხელაურის* განცხადებაში, რომლითაც 1806 წლის 14 მაისს მას მიუმართავს მედიატორთა სასამართლოსათვის[93]. თ. ჟორდანიას ცნობით, „მედიატორობა დაინიშნა იმის გამო, რომ მუხრანბატონები ეცილებოდნენ შიოს მამულებს იმ არევ-დარევის დროს, რომელიც შეუდგა პირველს წლებში რუსების ქართლ-კახეთში დამკვიდრებისას". ეს განცხადებაო, განაგრძობს თ. ჟორდანია, „შეიცავს შიომღვიმის მამულების ისტორიას, შედგენილს საბუთებით და გუჯრებით".

მართლაც, არქიმანდრიტ დოსითეოს ფიცხელაურის განცხადებაში დამოწმებულია შიომღვიმის მონასტრის მრავალი საბუთი, რომელთაგან ზოგმა მოაღწია ჩვენამდე, ხოლო ზოგიც სხვა წყაროებით უცნობია. ჩვენი საკითხისათვის არსებითია, რომ განცხადებაში, როგორც აღინიშნა, ჩართულია ნაწყვეტი დავით აღმაშენებლის ანდერძიდან შიომღვიმისადმი და ამის შესახებ თავის დროზე აღნიშნა თ. ჟორდანიამაც[94]. კერძოდ, დოსითეოს ფიცხელაურის განცხადებაში აღნიშნულია:

„კმა არს ჩვენდა სიმართლედ დავით დიდისა მონარხისა, ზედწოდებით აღმაშენებლის ანდერძი, რომელსაც შინა მოიღებს მრავალთა ზვართა ქონებასა, ნისქვილთა და ხოდაბუნთასა, სოფელთა სითარხნესა და ეგრეთვე მღვიმისა ყმათაგან აძლევს მონასტერსა ყოველსა სარჯულოსა დრამასა საკანონოსა და სხვასა ესრეთ: ვითარად წმიდასა მეუფესა ქართლის კათალიკოზსა უბრძანებია ყოველსა სარჯულოსა სოფელსა მათთასა ნუვინ ეცილების, თვთ შიომღვიმის დიაკონმან მოისამართლოს და ეკლესიას ზეთად მოახმარონ".

დოსითეოს ფიცხელაურის განცხადების ეს ადგილი შედარებით თავისუფალი გადმოცემაა დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძის 57-60 სტრიქონე-

[93] *Д.П. Пурцеладзе*, Грузинские церковные гуджари (грамоты), (Материалы для пятого Археологического съезда), Тиф. 1881, с. 100-102; *თ. ჟორდანია*, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 86-89.

[94] *თ. ჟორდანია*, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 16, შენ.; გვ. 87, შენ. 2.

ბისა, მაგრამ საკითხის არსებითი მხარე მასში ზუსტად არის ფიქსირებული.

ერთი სიტყვით, საუკუნეთა განმავლობაში, მისი შედგენის დღიდან მონასტრის არსებობის მთელს მანძილზე, *დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი* წარმოადგენდა მონასტრის ყველაზე ძლიერ და ქმედით დაცვის სიგელს. მას, როგორც დიდი ძალისა და გავლენის საბუთს, გაცემულს საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მეფის მიერ, არაერთხელ იმოწმებენ და ეყრდნობიან როგორც საქართველოს მეფეები, ისე სხვა ხელისუფალნი, მონასტრის უფლებების განახლება-დამტკიცების, ან ახალი სამფლობელოებისა და პრივილეგიების მინიჭების დროს. ამიტომაც იყო, რომ ეს საბუთი საუკუნეებს გამოატარეს მონასტრის მესვეურებმა და მან სრულად და უვნებლად თითქმის ჩვენს დრომდეც მოაღწია.

ანდერძის აღწერილობა. ტექსტის გამოცემები

დედნის ძირითადი ნაწილი დაღუპულია. გვაქვს: 1) საბუთის დედნის მცირე ფრაგმენტი, 2) დედნის ფოტონეგატივი 1895 წლისა, რომელზედაც ტექსტის თითქმის ორი მესამედია წარმოდგენილი.

I. *დედნის აღწერილობა.* საბუთის დედნის ზომა იყო 212×28 სმ. (ს. კაკაბაძის ცნობით), ანუ 3 არშინი 6 ვერშოკზე (თ. ჟორდანიას ცნობით). იგი შედგებოდა ერთმანეთზე აბრეშუმის ძაფით გადაკერებული თეთრი ეტრატის ფურცლების ხუთი კეფისაგან. ტექსტი დაწერილი ყოფილა 165 სტრიქონად; აქედან პირველი და ბოლო სტრიქონები მდივანმწიგნობრული, გარდამავალი მხედრულით, დანარჩენი — ნუსხახუცურით. განკვეთილობის ნიშანი: წერტილი, ორწერტილი და სამწერტილი, რაც თანამედროვე პუნქტუაციით შეესაბამება მძიმეს, წერტილს და ტექსტის ერთი მონაკვეთის დასასრულს. დედანი დაიწვა 1919 წლის თებერვალში ჩრდილოეთ კავკასიაში, კრასნოდარის მხარის ქ. კრაპოტკინის ახლოს სტანიცა კავკაზსკაიაში, სადაც იგი ევაკუირებული იყო 3000 სხვა ძველ ქართულ საბუთთან ერთად. მისგან დარჩენილი მცირე ფრაგმენტი 1923 წელს საქართველოში დააბრუნა საბუთების რეევაკუაციის მიზნით მივლინებულმა ს. კაკაბაძემ და ჩააბარა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივს.

II. *დედნის ფრაგმენტის აღწერილობა.* სცსსა, ფონდი 1448/2120. ეტრატი; გრაგნილის მეოთხე კეფის ზედა ნახევრის მარცხენა ნაწილი; ნუსხახუცური; ზომა: 26×25 სმ. ფრაგმენტის მარჯვენა და ქვედა კიდე მოხეულია არასწორხაზოვნად, ხოლო მარცხენა კიდე შემონახულია თავდაპირველი სახით. ტექსტი ნაწერია შავი მელნით; ასოების სიმაღლე: 0,3-0,7 სმ. ქარაგმის ნიშანი — კლაკნილი ხაზი; განკვეთილობის ნიშნები: ერთი და ორწერტილი ადგილ-ადგილ; რესტავრირებული. მარცხენა, თავდაპირველი სახით შემონახული კიდე კეფის დაახლოებით ნახევარია; ქვედა კიდე შემონახულია მთელი სიგანით — 28 სმ. (შემორჩენილი ფრაგმენტის ფოტო და მისი ტექსტი იხ. აქვე, გვ. 16-20).

III. *დედნის ფოტონეგატივები:* 1) საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფოტოთეკა, 15853/5976; მინა; მისგან დამზადებული მეორადი ფოტონეგატივი — ხელნაწერთა ინსტიტუტი, ისტორიული დოკუმენტების ფოტოთეკა, 141; პლასტმასი.

მოღწეულ ფრაგმენტზე წარმოდგენილია ტექსტის 106-123 სტრიქონების დასაწყისები და 124-127 სტრიქონების ნაწყვეტები. მხოლოდ ერთი — 124-ე სტრიქონია შემონახული თითქმის მთლიანად, აკლია ბოლო 4 ასო. ტექსტი ნაწერია შავი მელნით, ხოლო 108-ე სტრიქონის პირველი ორი სიტყვა („იყო ნებაი") — სინგურით. ასევე სინგურით ნაწერის კვალი შეიმჩნევა ზოგიერთი სხვა

სტრიქონის შავი მელნით დაწერილი ტექსტის ქვემოთაც. სხვაგანაც შეიმჩნეოდა იგი საბუთის ტექსტში, როგორც ამას მოწმობს დედნის უშუალო შემსწავლელის თ. ჟორდანიას შენიშვნები. ს. კაკაბაძის შენიშვნითაც, რომელსაც ასევე ჰქონდა საშუალება დედანი ადგილზე, უშუალოდ შეესწავლა მის ჩრდილოეთ კავკასიაში გახიზვნამდე, „ჟამთა ვითარებისა გამო მელანი გადასულა და შემდეგ დროში კვლავ განუახლებიათ". მისი ეს შენიშვნა, როგორც ჩანს, მიემართება უკვე შავი მელნით დაწერილ ტექსტს და არა სინგურით ნაწერი სტრიქონების გაცხოველებას. ასევე, შავი მელნით ნაწერი ტექსტის შესახებ ს. კაკაბაძე ერთგან, სიტყვა „მოიჴმარონ"-თან (სტრქ. 82) შენიშნავს: „პირველი 3 ასო ამ სიტყვისა და უკანასკნელი 4 განახლებულია სხვა მელნით და მთელი სიტყვა იკითხვის — მთიჴმარონ — რაც ცხადი შეცდომაა"[1]. თ. ჟორდანიას შენიშვნითაც „так как чернила выцвели, то большая часть текста завещания в позднейщее время подновлена новыми чернилами, вследствие чего, к сожалению смысл завещания по местам значительно затемнился"[2]. ასეთსავე შენიშვნას ურთავს თ. ჟორდანია ტექსტის 120-122 სტრიქონებს[3] და სხვ. მაგრამ მისი ეს შენიშვნებიც, ისევე, როგორც ს. კაკაბაძის შენიშვნები მიემართება ანდერძის შავი მელნით ნაწერ ტექსტს.

როგორც ჩანს, ანდერძის მთელი ტექსტი თავდაპირველად დაწერილი იყო ბაცი ფერის სინგურით. სინგურით საბუთის მთელი ტექსტის დაწერის შემთხვევა ქართულ დიპლომატიკაში სხვაც დასტურდება. კერძოდ, ბაგრატ IV-ის 1057 წლის სიგელი შიომღვიმისადმი მანგლისჴევს ბორცვისჴვრის ბოძების შესახებ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-14) დაწერილია ბაცი სინგურით[4]. დავით აღმაშენებლის ანდერძის თავდაპირველი ტექსტი ზემოდან გადაუწერიათ მუქი შავი მელნით, ისე რომ მთელი თავდაპირველი ნაწილი თითქმის მთლიანად დაფარულია — სინგურით ნაწერის კვალი მხოლოდ რამდენიმე ადგილას ოდნავ შეიმჩნეოდა. მაგრამ ზემოდან გადაწერილი ტექსტი, ეჭვს არ იწვევს, რომ XII ს-ის ნუსხურითაა შესრულებული და თავისუფლად შეიძლება დედნის შედგენის თანადროულად მივიჩნიოთ. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ დედნის შავი ბაცი ფერის სინგურით დაწერეს, ხოლო შემდეგ ტექსტი ცალკე ეტრატის ფურცელზე კი არ გადაათეთრეს, არამედ იმავე ტექსტზე, რომელსაც შეცვლა არ დასჭირდა, მუქი შავი მელნით ზემოდან „გადაიარეს", ისე რომ ყოველი ასო ასოს დაემთხვა, რაც ადვილად მიიღწევა ნუსხახუცურით ნაწერი ტექსტის შემთხვევაში.

ამჟამად არსებობს ანდერძის ტექსტის შემდეგი გამოცემები:

---

[1] *ს. კაკაბაძე,* ანდერძი დავით აღმაშენებლისა, შიო მღვიმისადმი დაწერილი, თბ., 1912, გვ. 11, შენიშვნა.

[2] *Ф. Жордания*, Завещание царя Давида Возобновителя, данное Шио-Мгвимской лавре в 1123 г., Тифлис, 1885, с.1.

[3] Там-же, с. 28, прим. 81.

[4] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, IX-XIII სს. ისტორიული საბუთები. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს *თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა*, თბ., 1984, გვ. 35.

1. *Д.П. Пурцеладзе*, Грузинские церковные гуджары (грамоты) (Материалы для пятого Археологического съезда), Тифлис, 1881, с. 94-96 (საბუთის შინაარსი რუსულ ენაზე). 2. *Ф. Жордания*, Завещание царя Давида Возобновителя, данное Шио-Мгвимской лавре в 1123 г. Тифлис, 1885 (საბუთის ტექსტი ქართულ ენაზე და რუსული თარგმანი). 3. *თ. ჟორდანია*, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი" ვაჰხანის ქვაბთა, ტფ., 1896, გვ. 15-19. 4. *М.Г. Джанашвили*, "Картлис-Цховреба" - Жизнь Грузии. СМОМПК, вып. 35, Тифлис, 1905, с. 149. (საბუთის შინაარსი რუსულ ენაზე მცირე ფრაგმენტების ჩართვით. ბოლო სტრიქონის ქართული ტექსტი მხედრული შრიფტით და მისი რუსული თარგმანი). 5. *ს. კაკაბაძე*, ანდერძი დავით აღმაშენებლისა, შიო მღვიმისადმი დანერილი, თბ., 1912 (დართულია საბუთის შემცირებული ზომის ფოტო). 6. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. *ი. დოლიძემ*, თბ., 1965, N 7, გვ. 12-18. 7. *ვ. სილოგავა*, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (1123/1124), „მრავალთავი", IX, 1981, გვ. 88-106 (დართული აქვს საბუთის ფოტოასლი). 8. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს *თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა*, თბ., 1984, N 8, გვ. 52-59 (დართული აქვს საბუთის ფოტოასლი). 9. *ვ. სილოგავა*, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი, „ჯვარი ვაზისა", 1, 1989, გვ. 63-68 (დართული აქვს საბუთის ფრაგმენტის ფოტოასლი და მხედრულით ნაწერი სტრიქონების ი. ახალშენაშვილის მიერ გადმოღებული პირები). 10. *ა. გოგოლაძე*, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი (ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა), თბ., 2001, გვ. 168-179 („ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის" I ტომში გამოქვეყნებული ტექსტის განმეორება კითხვა-სხვაობების გარეშე).

პირობითი ნიშნები:

( ) — ქარაგმების გახსნა.

[ ] — ნაკლული და აღდგენილი ადგილები.

< > — ტექსტის გამართვის მიზნით ჩამატებული სიტყვები.

{ } — ტექსტში ზედმეტად ჩაწერილი ადგილები.

| — სტრიქონის დასასრული.

|| — კეფის დასასრული.

. . . — ნაკლული ტექსტი.

(!) — ტექსტში სიტყვა ასეთი, მოულოდნელი ფორმითაა.

sic — ტექსტში ასე წერია.

ანდერძის ტექსტი
(ფოტოპუბლიკაცია)

[ქ. თავსმ]დე(ბო)ბითა ღ(მრ)თისაითა, მე, დ(ავი)თს, მიწყიეს. [ჟამსა ჩემსა შარვან] -
[სა ზ(ედ)ა გა(ნ)მართვის(ა)სა შევევედრე] შეწე[ვნად ჩემდა, შესავედრებელსა]
[ჩემსა, წ(მიდა)სა] მ(ა)მ(ა)სა შიოს. [ვიხილე ეკლესიაჲ, ჩემ მ(იე)რ აღშენებული, და] -
[სრულებულად]. [მივიღე ლოცვაჲ] ყ(ოველ)თა მ(ა)მ(ა)თაჲ. და სასომ(ა)ნ და გან[მანა]-
თლებელმ(ა)ნ ჩემმ(ა)ნ, [ზერ]მ(ა)ნ არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა [დაწერა].
დაკლებული სისწრაფისაჲ არს. თუ ინებოს ღ(მერთმა)ნ ჩ(ე)მი შემოქ[ცევაჲ],
უმჯობესად შეიცვალოს, თუ არა - [ე]სე იყოს აწინდელი. ვინათგ(ა)ნ მსთუა-
[მან წყალო]ბად და ს(უ)ლგრძელმ(ა)ნ მხედველობა[თა] შ(ინ)ა ც(ო)დვათასა და
[წ]ყალობი[თა] სიყ(უა)რ(უ)ლისა თ(ჳ)სისა მ(იმა)რთ მიმზიდველმ(ა)ნ ღ(მერთმა)ნ ჩ(ე)მ ულირსსა
ზ(ედ)ა აჩუჱნნა მიუწდომელნი ქველისმოქმედებანი, რ(ომელ)ათ(ჳ)ს ყ(ოვლა)დ უ[მადლოჲ]



ესე ჯერისაებრ ვერ მმადლობელსცა არა მომიძაგა და არა და[აცადა] ჩუჱულებითი წყ(ა)ლ(ო)ბ(ა)ჲ დღეს დღედმდე უგბილსა ს(უ)ლსა ზ(ე)და, რ(ომე)ლთ(ა)ჲ კერძო[ჲ] რაჲმე და ურიცხუთ(ა)გ(ა)ნ ერთი მიზეზად თხრობისავე მივსცე თხრობასა. თჳ[თ] იგი, ოდეს მარწმუნა მის მ(იე)რ გ(ა)ნგებულსა მეფობასა, თჳსითა რაჲთმე გ(ა)ნ[გე]ბითა, არა ულირს-მჩენელმ(ა)ნ შარავანდსა შ(ინ)ა პ(ა)ტ(იო)ს(ა)ნსა უპატიოებისა [ჩემი]სამ(ა)ნ, აქაჲთგ(ა)ნვე ალილო ჴ(ე)ლი სიტკბ(ოე)ბითა თ(ჳ)სითა გ(ა)ნძლებად ჩემდა. [და] თჳთ მეფე მეფეთაჲ იქმოდა საჭირველთა უჭირველად: ცხადთა წინააღ[მ]დგ[ომთა გ(ა)ნგებ(უ)ლი]სა თ(ჳ)სისათა მისცემდა მოსასრველ(ა)დ, იდუმალთა კუ(ა)ლად ზაკუვისათჳს შ(ორი)ს მფარველთა არა შეუნდობდა სიცბილად, რ(ომელ)თა თ(ა)ნად თჳთ მ[ი]იღეს ზაკუვისა მ(ა)თისათ(ჳ)ს საცთური. და ერთმ(ა)ნ მათგ(ა)ნმ(ა)ნ, ძაგანმ(ა)ნ, შემაწუხებელმ(ა)ნ ღ(მრ)თისა და მონ(ა)თაჲ მისთამ(ა)ნ, მძლავრებ[ი]თ ღ(მრ)თისაცა არა-მრიდმ(ა)ნ, თ(ა)ნავე ძმისა თჳსისა მოდისტოს წინაუკმოჲსა მღდელთმოძღურისა, რ(ომე)ლმ(ა)ნ ერთმ(ა)ნ პატრ(ო)ნთა თ(ჳ)სთა წყ(ა)ლობ(ა)ჲ მ(ა)თ ზ(ედ)ა საისრელაჲდ აღმახუა, ხ(ოლო) მეორემან



ღ(მრ)თ(ი)სადა გ(ან)კუთნვითა ეკლესიები საზესთმჩენოდ თჳსად მიიტაცა. რ(ომელ)ნი-ესე არა ითნნა ესრეთ ყ(ო)ფ(ა)დ საშჯელმ(ა)ნ გ(ა)მოუძიებელმ(ა)ნ,-ცხად არს, რ(ამეთუ) ღ(მრ)თისამ(ა)ნ, და არცა მიუშუა კუჱრთხი ც(ო)დვილთა ნ(ა)წილსა ზ(ედ)ა მ(ა)რთ(ა)ლთ(ა)სა: მწყემსი უკა-როჲ ჭ(ეშმარიტ)თა მწყემსთა მ(იე)რ დაემკუაჲ და ძაგანი, მღჳმეს შელტოლვილი, მომცა ღ(მერთმა)ნ, რ(ომე)ლსა შ(ინ)ა არამცირედი ერთგ(უ)ლებ(ა)ჲ აჩუჱნეს ჩ(უჱ)ნდა მო[მართ მამათა მემღჳმეთა]. რ(ამეთუ) იხ(ა)რ(ე)ბს მ(ა)რთ(ა)ლი, რ(ა)ჟ(ამ)ს იხილოს შურისგებ(ა)ჲ, მადლობ(ა)ჲ აღუვარე დამბად(ე)ბ(ე)ლსა ღ(მერთს)ა და თ(ა)ყ(უა)ნისვეც ღ(მერ)თ-შემოსილისა წ(მიდ)ისა მ(ა)მისა შიოს საფლ(ა)ვსა. ვიხილე წ(მიდა)ჲ მთ(ა)ვ(ა)რ-მ(ა)მა მემღჳმე მ(ი)ქ(აე)ლ და ს(უ)ლითა ღ(მრ)თისაჲთა გ(ა)ნ(ა)თლებ(უ)ლნი მ(ა)მ(ა)ნი. გ(ა)ნვიშჳ ს(უ)ლითა საწადელისა მისთ(ჳ)ს კრებულისა და მხიარულებით აღვივსე სამოთხის მსგავსისა მის ლავრისათ(ჳ)ს. მყის მოუწოდე არსენის ბერსა და გ(ა)ნუცხადე სა-



თნოჲ ჩ(ე)მი და ვარწმუნე აღშენებად ეკლესიაჲ საშუალ მონასტრისა ს(ა)ხ(ე)ლსა ზ(ედ)ა ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ისა ღ(მრთ)ისმშ(ო)ბ(ე)ლისსა და მომადლებითა მისითა სრ(უ)ლად ვიხილე. მიბრძანა სასომ(ა)ნ ჩ(ე)მმ(ა)ნ ბერმ(ა)ნ არსენი და თჳთ ს(უ)ლიერმ(ა)ნ ბერმ(ა)ნ მოძღუარ-მ(ა)ნ ჩ(ე)მმ(ა)ნ ი(ოვან)ე, რა(ჲთა)მცა წესსა ზ(ედ)ა სჳმ(ეო)ნწ(მიდ)ისსა დავსხენ მონასტრისა მღჳმისა [წე]სნი, რ(ომელ)ი თჳთ მ(ა)თ მ(იე)რ აღწერილი ვიხილე ყ(ოვლა)დ შუჱნიერად: უცთომელი გზა[ჲ], [და] წესიერი ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)ჲ, და ანგ(ე)ლ(ო)ზებრი მოქ(ა)ლ(ა)ქობაჲ, რ(აჲთ)ა ღ(მრ)თისათ(ჳ)ს ოდენ გ(ა)ნკუთ-[ნვილ]ნი, მ(ა)ს მხ(ო)ლოსა, თჳნიერ საწუთუთაჲსა ზრუნვისა ჰზრახვიდენ [და წ(ინაშ)ე ღ(მრთ)ისა] მ(ეო)ხ(ე)ბ(ა)დ კადნიერ იყვნენ. შეწევნითა ყ(ოვლა)დ სახ(იე)რისა ღ(მრ)თისაჲთა და მ(ა)დლითა ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ისა ღ(მრთ)ისმშ(ო)ბ(ე)ლისაჲთა და მ(ეო)ხ(ე)ბითა შესავედრებელისა ჩ(ე)მისა წ(მიდ)ისა შიოჲსითა მიეცინ სიმტკიცე ეკლესიასა, ჩ(ე)მ მ(იე)რ აღშენ(ე)ბ(უ)ლსა! თუ მ[ე] ღირს მყოს ღ(მერთმა)ნ, ენკენიობ(ა)ჲ მისი ვიხილო, კ(ურთ)ხ(ეულა)რს ს(უ)ლგრძელებ(ა)ჲ მისი, თ[უ არა] -არსენის ბერსა, რ(ომე)ლ აქუს კოსტანატი და პერპერაჲ, კალაპოტი გ(ა)მო[უყა]-რონ, მოლესენ(!), მოხატონ და ძემ(ა)ნ ჩ(ე)მმ(ა)ნ დ(ემე)ტ(რ)ე, თ(ა)ნადგომითა კ(ურ)თ(ხეუ)ლის მწ(იგნობართ)-უხუცესისა და ჩ(ე)მთა ბერთ(ა)ჲთა, აკ(ურთ)ხონ ჴელითა ი(ოვა)ნე ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზისათაჲ, თ(ა)ნა-დახუდომითა იმერთა და ამერთა ყ(ოველ)თა ეპისკ(ო)პოსთაჲთა. ვითარად მ(ა)მ(ა)თაჲ



და პაპთა ჩ(ე)მთ(ა)გ(ა)ნ სიგელნი ჰქონან სოფელთათ(ჳ)ს მ(ა)თთა წ(მიდას)ა ამ(ა)ს უდაბნოსა, რაჲცა სიბ(ო)რ(ო)ტითა ჟ(ა)მთათა შეცვალებ(უ)ლ იყო, მე კულა გამიახლებიან იგი სიგელნი, ანუ მეფეთა შეწირულთა, ანუ მთავართაჲ ვიეთმე. და თჳთ ძუძლი და ძუძლის ძუძლი ნასყიდი მონასტრის(ა)გ(ა)ნ ყ(ოვე)ლი უბეგროდ, უბაჟოდ და უწყენლად კულა მომიჴსენებია წ(მიდ)ისა მ(ა)მისა შიოსათ(ჳ)ს. ქ(ა)ლ(ა)ქს ტფილი(ს)ს, რ(ომელ)ი სპარსთა ქონებასა ჰქონებია, და რ(ომელ)ი აწ უყიდია, და რ(ომელ)ი მე მომიჴსენებია იგი, და, ანუ წაღმართ მოიგონ იგიცა, ყ(უე)ლაჲ უბაჟოდ და უსუხრაოდ ყ(ოვლ)ისა სასეფოჲსა გ(ა)მოსავლის(ა)გ(ა)ნ ჰქონდეს. ვითა წინამძღუარსა შჯ(უ)ლისა ჩ(უძ)ნისსა, მ(ეუ)ფესა ი(ოვა)ნეს ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზსა, უბ(რძანე)ბია და მოუნიჭებია ეკლესიისა ჩ(ე)მისადა, რ(ომე)ლ საქონებელნი სოფელნი და აგარანი ჰქონან მღჳმესა, საშჯ(უ)ლ(ო)ჲ სამრებლოჲ არს ყ(ოვე)ლგ(ა)ნ – თჳთ მემღჳმისა დ(ია)კ(ო)ნმ(ა)ნ მოისამართლოს და ეკლესიისა ზეთად მოაკმაროს. და ამისთ(ჳ)ს, რ(ომე)ლ მიჰრონსა მონანიჭებდეს ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზი, ჩ(ე)მსა ეკლესიასა შ(ინ)ა სახელი მისი მოიჴსენებოდეს პ(ირვე)ლთა თ(ა)ნა მღდელის(ა)გ(ა)ნ. ბროლისა, ბაზიჯისა და მინისა კანდლები, რ(ომელ)ი

[მე მომიჴსენებია, და რ(ომე)ლი] არსენის დაუდგაჲმს, ნუმცაჲ ვის უკადრებია გ(ა)მოღებაჲ. სასანთლე(ე)ბი, სიწ(მიდ)ის სამსახური და რაჲცა უნდა მისთ(ჳ)ს ოცდაათი ლიტრაჲ ვეცხლი წ(მიდა)ჲ, არსენის ჴ(ე)ლსა არს. ცჳლი, ვითა გამოჩენენიან(!) ვაჭართა ზ(ედ)ა ჟამად-ჟამადი, იგი ამსახურონ. საზრდელი ძმათა პური, ხილი ფურნისაჲ, ხუთასისა დრამისა წონი, ნუმცა ოდეს მოაკლდების. სამღდვიროდ ღჳნოჲ, ქ(ა)მსა სთულის(ა)სა შემსგავსებულაჲდ მოსულისა, შინ(ა)თ მოართუან მსახურთა მონასტრისათა ყ(ოვე)ლ)თა ერთი საწყავი; ეგრეთვე, სხ(უა)ჲ ყ(ოვე)ლი საჭიროჲ საკმარი—შემოსავალთაგ(ა)ნ მონასტრისათა. სხ(უა)ჲ—ნაბჭობი და ქულბაგთაჲ და საზეთეთაჲ და წისქჳლთაჲ, ყ(ოვე)ლი შესამოსლად გ(ა)ნეყოფვოდის. ოცდაათი ჴორი, რ(ომელ)ი აწ მე მომიჴსენებია, ამ(ა)ს ნუ დააკლდების. ძუჵ-



ლითგ(ა)ნ ვითა სიგელი შეუვალობისაჲ აქუს ცხუართათ(ჳ)ს უსაზანჯრობისაჲ, სამი ათასისა ცხურისაჲ მთას და ბარს, აწ მე მომიჴსენებია ორი ათასი ცხუარი. და ხუთი ათასი ცხუარი თჳთ სასეფოჲ მონასტრისაჲ და მ(ა)თთა მეცხოვრეთაჲ უსაზანჯროდ, უბაჟოდ და უწყენლად დგეს და იარებოდის ჩ(უე)ნსა ჭამბარსა გუჱრდით. და ამისი გ(ა)მოსავალი ცხუარი ჯორსა იყიდდეს. მატყლი მსახურთა მონასტრისათა და წუჱლ(ა)ჲ ძმ(ა)თა მიეცემოდის. ასი ფური მომიჴსენებია, რ(ომე)ლ თრიალეთს, მ(ა)თსა სოფელსა ბჭითს და ბჭითის ზეით სოფლებს და მ(ა)თსა საფურესა მუხნარს დგეს. მომეტებული ზროხაჲ ჯორსა და ცხენსა მონასტრისა სამსახურებელსა იქმოდეს. ჴარი სამცხორებლოთა სამუშაოთა ადგილთა მოიჴმარონ. თ(უა)ლი და მარგალიტი ჩ(ე)მისა ხ(ა)ტისა-



თ(ჳ)ს რ(ომელ)ი დამიც, და ორნი ბროლისა სასანთლენი, მ(ა)ს ემსახურროს უკლებად. ბროლისა ბარძიმი და ბ(ა)ზიჯისა ფეშხუჱმი სიწ(მიდ)ისა გ(ა)ნახლებისა სამსახურად მოიჴმარებოდის. სხ(უა)ჲ ჭურჭელი, იავარი სპარსთაჲ, რ(ომელ)ი არსენისდა და ი(ოვა)ნესდა მიმითუალავს, იგი, მისსა ქ(ა)მსა, ჩ(ე)მსა მონაზტერსა(!) გაგზავნოს ძემ(ა)ნ ჩ(ე)მმ(ა)ნ დ(ემე)ტ(რ)ე. ძელი ცხ(ო)რ(ე)ბის(ა)ჲ და ნაწილნი წ(მიდა)თ(ა)ნი, ორი მოთხე სავსე, ესე თჳთ ამ(ა)ს ჩ(ე)მსა ეკლესიასა შ(ინ)ა იყოს. წ(მიდა)თა დიდთა მარხვათა ყ(ოველ)თა პარასკევთა ეკლესიას ტფილსა სეფისკუჱრსა გ(ა)ნუყოფდენ საჴსენებელად ჩ(ე)მდა. და პ(ირვე)ლისა შჳდეულისა პარასკევსა თითო კარასეული მიეცეს, სეფისკუჱრსა და თესლსა თ(ა)ნა შესუან ყ(ოველ)თა და მილოცონ ესრეთ: „უ(ფალო) ღ(მერთ)ო, დ(ავი)თს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცთომილებისანი“. მემსგეფსე ყ(ოველ)თა კ(ჳ)რ(ია)კეთა ჩ(ე)მთ(ჳ)ს წირვიდეს ჩ(ე)მსა ეკლესიასა შ(ინ)ა



და მ(ა)მ(ა)ჲ მემღჳმე მ(ა)ს დღესა სერსა უყოფდეს. რ(ომე)ლსაცა დღესა ჩ(ე)მი გ(ა)ნყოფაჲ იქმნას ჴ(ო)რცთა ამ(ა)თგ(ა)ნ უზადრუკთა და მრ(ა)ვ(ა)ლმცოდველთა, ღამისთევაჲ და ლ(ო)ცვ(ა)ჲ ყონ სიმრ(ა)ვლ(ე)მ(ა)ნ, და მ(ა)ს დღ(ე)სა ჟ(ამ)ისწირვ(ა)ჲ ჩ(ე)მთ(ჳ)ს აღესრულებოდის. სოხასტერი, ვითა ზერსა, გ(ა)ნმ(ა)ნ(ა)თლ(ე)ბ(ე)ლსა ჩ(ე)მსა არსენის გაუწესებია, და მე ხუდაბუნი შემიწირავს მუხრანს წ(მიდ)ისა სჳმ(ეო)ნ ს(ა)კჳრვ(ე)ლთმოქმედისადა, რ(ომელმა)ნ სამისა დღისა მკუდ(ა)რი აღმადგინა, იგი, ვითაცა თჳთ არსენი გ(ა)ნაწესის, ეგრე იქნას, გარნა ჩ(ე)მ მ(იე)რ ესე ოდენი, რ(ომე)ლ შ(ემდგომა)დ არსენისსა გ(ა)ნკრძალული მღდ(ე)ლი იყოს მაჴსენებ(ე)ლი ჩ(ე)მი შეუცვალებელად. ტფილი(ს)ს საამიდოჲთ, ვითა სხჳთაცა ნიშნითა, თჳთ ჴ(ე)ლითა ჩ(ე)მითა დამიწერია ასი დრაჰკანი მღდელთა და მგ(ა)ლ(ო)ბ(ე)ლთათ(ჳ)ს, ნუ ვინ დააკლებს; მ(ა)ს დღ(ე)სა, რ(ომე)ლსა მომიჴსენოს ღ(მერთმა)ნ, გაიყ



მღდელთა და მგალ(ო)ბ(ე)ლთა. ვითა აწ არსენის გაუწესებია ყ(ოველ)თა კჳრიათა ღამე ყ(ოვე)ლ ღამისთევაჲ, ნუ ვინ შესცვლის ამ(ა)ს წესსა. და ტურათისუბანსა, რ(ომე)ლ მეზურენი დაუსხმან და ზუარნი და მიწანი—ამისი პური ეკლესიას მიეცემოდის თითოჲ, კჳრაჲსძალთა*, და თითო კარასეული ღჳნო. ოდეს ზეზადნისა ციხე და მუხრანი ძუწლითგ(ა)ნ ვეცადე მ(ა)თგ(ა)ნ ძებნითა, მ(ა)შ(ი)ნცა, არა იყო ნებაჲ ჩ(ე)მი, მ(ა)მამ(ა)ნ ჩ(ე)მმ(ა)ნ უბოძაჲ, მით რ(ომე)ლ სხუათაცაჲ ჰქონებოდა მ(ა)თთა გუართა; და არავის ოდეს ექნა ჩ(უე)ნი ერთგ(უ)ლობა. აწ ძაგანმ(ა)ნ სადგო[მნი] საებისკ(ო)პოს(ო)ნიცაჲ უდიდესნი გ(ა)რ(დააქცი)ნა სამთ(ა)ვროდ, თჳთ ადრითგ(ა)ნ მ(ა)მ(უ)ლობისა[დ] ეწერა-ყე, საებისკოპოსოდ; და მცხეთისა საქონებელნი მრ(ა)ვ(ა)ლნი დაემჭირნეს და წილკანი საყდრისა. მონასტერისა რაცა იყო - მთასა ციხე მარანი, ანუ მატური იგი სოფელი, და მლჳმე მონასტერი შიგან ციხედ და სადგომად ჰქონდეს თჳთ. ოდეს მოიქცეს სალმობა მისი თ(ა)ვსა მისსა, ყ(ოვე)ლი

* ნსხ.: „კჳრიაჲს ძალითა“.



ყ(ოვ)ლ(ი)თავე უკუნით ეცით ნაქონები მი(ს)სა მიმ(ა)რთ თჳსებული და მღჳმეს ქო[ნე]ბ(ა)ნი მისნი საავაზაკონი და წარტყუჱნილი, ვითა მ(ა)მისა ჩ(ე)მისა ბრძანებასა შიგ(ა)ნ გაჩენით სწერია; აღარ ოდეს მიგეღოს იგი. და არცა ვის სხ(უ)ასა ს(ა)ქმე უც მღჳმესა თ(ან)ა და არცა მღჳმისა ქუაბთა, ვ(ითა)რ იგი თჳთ სანატრელისა მ(ა)მ(ა)თა ნათლისა შიოჲს ანდერძში სწერია: „უფალი მღჳმისა ღ(მერ)თია, მეუფე წ(მიდა)ჲ მ(ა)მა შიოჲ“. და მეფეთათ(ჳ)ს ლ(ო)ცვა აღ(ა)სრ(უ)ლონ, ვითა თჳთ წერილნი წ(მიდა)ნი უმოძღურებენ და ვითა თჳთ იგინი. თჳნიერ მეფეთა საწირავისა <არაჲ> ს(ა)ქმე ყოფილა მღჳმესა თანა; არცა ვის აწ უც ს(ა)ქმე, თჳნიერ ლ(ო)ცვისა და შეწირვისა.

აწ ს(ჳმეო)ნ ბედიელ-ალავერდელისა იყოს შევედრებ(უ)ლ - რაცა საქმე და საურავი მ(ა)თი იყოს, იგი იყვოფოდის, რ(ომე)ლსა ჩ(უე)ნ ვერ მივიწინეთ. და შ(ემდგომა)დ მისსა,



თუ მისსა ადგილსა ამითვე წესითა სხ(უა)ჲ მწ(იგნობარ)თუხუცესი* იყოს, იგი იურვოდის. და თჳთ ძუჱლთა და აწინდელთა ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზთა კ(ე)ლნი ვითარად ჰქონან, არცა ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზისა ს(ა)ქმე არს მღჳმესა ზ(ედ)ა, არცა ვის სხჳსა ეპისკ(ო)პ(ო)სისა, არცა ზვერი, არცა მეფეთა, არცა მუხრანისა მგეთა; არცა მღჳმისა შედგომად ვის აქუს კ(ე)ლმწიფ(ე)ბ(ა)ჲ, არცა მ(ა)თთა აგარაკთა და საქონებ(ე)ლთაჲ თ(ა)ნა ვის ს(ა)ქმე უც და ესე ჩ(ე)მგ(ა)ნ აღშენ(ე)ბ(უ)ლი ეკლესია ნიჭად ჩ(უე)ნობისად კმა ეყ(ო)ს ყ(ოვე)ლ)თა. ოდეს მუხრანს ვიყვნეთ, წ(მიდ)ისა შიოჲს ხ(ა)ტსა შეგვამთხჳვნენ, სამი სეფისკუჱრი, ერთი ფილას საზედაშე(!) და ფარჩითა კაპარი გჳევლოგიონ; მთ(ა)ვ(ა)რმა(მა)მ(ა)ნ მემღჳმ(ე)მ(ა)ნ <მოიღოს> ჯ(უარ)ი მისი, მ(ა)ს გვაამბორონ; ჩ(უე)ნ პ(ა)ტი(ვი)ვსცეთ, ვ(ით)ა ს(უ)ლიერსაჲ მ(ა)მ(ა)სა ჰშუჱნის, საჯდომელითა და სერითა. თჳნიერ ერთი მიიცვალოს, ვითა თჳთ წესი არს, მის წ(მიდ)ისა შიოჲს ს(ა)ფლ(ა)ვსა

* ნსხ.: მწეთუხუცესი.



ზ(ედ)ა წილგდებაჲ, ამით სხ(უა)ჲ გ(ა)ნაჩინონ და ჩ(უე)ნსა დარბაზსა მოიყვანონ და ჩ(უე)ნ არგანი მოვაკსენოთ და შევჰვედროთ მონასტერი. და თქ(უე)ნ, შ(ემდგომა)დ მომავალნო მეფენო, ჩ(ე)მსა ეკლესიასა და მონასტერსა ანდერძითა ამით შ[ემ]ოგვედრებ წ(ინაშ)ე ღ(მრ)თისა შეკრებასა ჩ(უე)ნსა, რ(ომე)ლ არ(ა)სირცხჳლისა თ(ა)ნამდებ(ა)დ იხ[ი]ლვნეთ ღ(მრ)თისა და ანგ(ე)ლ(ო)ზთა მისთ(ა)გ(ა)ნ; მოიკსენეთ ვედრი ჩ(ე)მი და ნუ ოდეს დამივიწყებთ დ(ავი)თს; ჰნახევდით გ(უ)ლსმოდგინებით ქმნილსა ჩ(ე)მსა ეკლესიასა და ნუ ოდეს ვის გაარყუნევთ კულა მ(ა)ს დ(იდე)ბ(უ)ლსა ლავრასა. და აწ შ(ე)მდგ(ო)მ(ა)დ ამისსა ანუ მეფემ(ა)ნ, ანუ მთ(ა)ვ(ა)რმ(ა)ნ, ანუ ეპისკ(ო)პ(ო)სმ(ა)ნ, გინა მ(ო)ნ(ა)ზ(ო)ნმ(ა)ნ, გინა კ(ე)ლისუფ(ა)ლმ(ა)ნ ვინ, თუნდა გლეხმ(ა)ნ და თუნდა აზნაურმ(ა)ნ, ანუ ანდერძი ესე ჩ(ე)მი შეცვალებად იურვის, ანუ ვინ საურავი მოუღოს, ანუ ქრთამისათჳს, ანუ თუ თჳთ იქმოდეს, ანუ მძლავრებით და, ანუ თუ



ღ(მრ)თისმსახურებასა რასმე აჩუჭნებდეს, ანუ მღჳმესა შიგ(ა)ნ სადგომად იურვოდეს, ანუ თ(ა)ვისათ(ჳ)ს რადმე მოსაკმარებლად, ანუ გარეშე მ(ო)ნ(ა)ზ(უ)ნისა მწ(იგნობართ)უხუცესისა სასაურაობასა ვინმე იკადრებდეს, რაჲ გუარი, გინდა ვინ იყოს, პ(ირველა)დ შ(ე)ნ, დაუსაბამოო და დაუსრულებელო ღ(მერ)თო, მიაწიე რისხვაჲ შ(ე)ნი დაუსრ(უ)ლებელ(ა)დ მის ზ(ედ)ა; ნუმცა უხილავნ ნ(ა)თ(ე)ლი ღ(მრ)თეებისა შ(ენ)ის(ა)ჲ, ნუმცა მიეცემის წყ(ა)ლ(ო)ბ(ა)ჲ შ(ე)ნი, ნუცა ცუარის(ა)გ(ა)ნ ზ(ე)ცისა, ნუცა ნ(ა)ყ(ო)ფის(ა)გ(ა)ნ ქ(უე)ყნისა; იყ(ა)ვნ სამკჳდრებ(ე)ლი მისი ოჴერ, და ნაშობნი მისნი მოსასრველ; მოლოდებასა შ(ინ)ა წყალობის(ა)სა რისხვაჲ შ(ე)ნი ეწიენ; გონებისა, ცნობისა და ხედვის(ა)გ(ა)ნ ოჴერ ყავ იგი, ღ(მერ)თო. ხ(ოლო) შ(ე)ნ, ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ო ღ(მრ)თისმშ(ო)ბ(ე)ლო, გ(ა)ნყოფაჲსა მისსა ჴ(ო)რცთ(ა)გ(ა)ნ, გ(ა)ნყავ იგი ნაწილისაგ(ა)ნ ცხოვნებულთაჲსა და შური იძიე ვ(ითარც)ა მგმობარსა შ(ე)ნსა ნესტო-



რს ზ(ედ)ა. ხ(ოლო) შ(ე)ნ, წ(მიდა)ო ღ(მერ)თშემოსილო მ(ა)მ(ა)ო შიო, ოდეს დაჯდეს ქ(რისტ)ე ღ(მერ)თი გ(ა)ნსჯად ყ(ოველ)თა ტომთა და ს(ა)ქმეთა, წარმუუდეგ(!) და გ(ა)ნესაჯე, და ვ(ითარ)ცა შემაწუხებელსა შ(ე)ნსა ზ(ედ)ა ეგრეთ შური იძიე პირითა ღ(მრ)თისაჲთა. უკ(უე)თუ ჟ(ა)მი მომცეს ღ(მერ)თმ(ა)ნ და სხუაჲ უახლესი ანდერძი დავწერო, იგი თქუენ, თქ(უე)ნ მიერითა კანონითა, უჯუარობითა, წყევითა და შეჩუჵნებითა დაამტკიცეთ, წმიდაო მეუფეო ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზო და ყ(ოვე)ლნო მღდ(ე)ლთმოძღუარნო. და თუ სხჳსა დაწერად ჟ(ა)მი აღარ მომხუდეს, თჳთ ესე დაამტკიცეთ. და რაჲთაცა რას ვინ მღჳმესა დააკლებდეს კანონითამცა თქუჵნ მიერითა კრული არს გაუჴსნელად.

ქ. სიმტკიცეო ყ(ოვე)ლთაო ღ(მერ)თო, დაამტკიცე, მტკიცედა უქციე.



ანდერძის სიმფონია-ლექსიკონი*

ა

აგარა — *სახნავ-სათესი ადგილი:* „საქონებელნი... აგარანი გქონან მღჳმესა“ 58.

აგარაკი — *იგივეა რაც აგარა:* „არცა მათთა აგარაკთა... თანა ვის საქმე უც“ 229.

ადგილი: „ჯარი... სამუშაოთა ადგილთა მოიჴმარონ“ 82; „თუ მისსა ადგილსა ... სხუაჲ მწიგნობართუხუცესი იყოს“ 125.

ადრითგან: „ადრითგან მამაობასა ეწერა-ყე“ 110.

ავაზაკი — იხ. საავაზაკონი.

აზნაური — *წარჩინებული წოდების პირი:* „აზნაურმან ... ანდერძი შეცვალებად იურვოს“ 143.

ათასი 74_2, 75.

ალავერდელი იხ. ბედიელ-ალავერდელი.

ამა: „სიგელნი ჰქონან... ამას უდაბნოსა“ 49. „ამას ნუ დააკლდების“ 72; „ამას ჩემსა ეკლესიასა“ 87; „ჩემი განყოფაჲ იქმნას ჴორცთა ამათგან“ 94; „ნუვინ შესცვლის ამას წესსა“ 104; „ამისი გამოსავალი“ 77; „ამის ანდერძისა დაწერა“ 5; „ამისი პური ეკლესიას მიეცემოდეს“ 155; „შემდგომად ამისს “ 142; „ამითვე წესითა“ 135; „ანდერძითა ამით შემოგვედრებ“ 137; „ამისთჳს ... მოიჴსენებოდეს“ 60.

ამბორება: „მას გვაამბორონ“ 133.

ამერი — *აღმოსავლეთ საქართველო:* „ამერთა ყოველთა ეპისკოპოსთაჲთა“ 48.

ამიდი იხ. საამიდოჲ.

ანგელოზებრი მოქალაქობაჲ: „ვიხილე... ანგელოზებრი მოქალაქობაჲ“ 39.

ანგელოზი — *ღმრთის მსახური, ღმრთის მცნებათა მომტანი:* „იხილვნეთ ღმრთისა და ანგელოზთა მისთაგან“ 139.

ანდერძი — *წერილობითი ან ზეპირი დანაბარები, განკარგულება:* „ანდერძის დაწერა“ 5; „ჩემსა ეკლესიასა... ანდერძითა შემოგვედრებ“ 137; „ანდერძი ესე ჩემი შეცვალებად იურვის“ 143; ა. წმ. შიოსი: „შიოჲს ანდერძში სწერია 119; ა.

---

*გამოყენებული ლექსიკონები:

1. *სულხან-საბა ორბელიანი,* ლექსიკონი ქართული, *ილ. აბულაძის* გამოცემა, I, თბ., 1991; II, თბ., 1993.
2. *სულხან-საბა ორბელიანი,* სიტყვის კონა, თბ., 1949.
3. *ნიკო ჩუბინაშვილი,* ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, *ალ. ღლონტის* რედაქციით, თბ., 1961.
4. *ილია აბულაძე,* ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
5. *ივანე იმნაიშვილი,* სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თბ., 1975.
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. მთავარი რედაქტორი *არნ. ჩიქობავა,* თბ., 1986.

უახლესი: „სხუაჲ უახლესი ა ნ დ ე რ ძ ი დავწერო“ 159.

ანუ: „ა ნ უ მეფეთა შეწირულთა, ანუ მთავართა ვიეთმე“ 51; „ა ნ უ წალმართ მოიგონ“ 55; „ა ნ უ მატური იგი სოფელი“ 113; „ა ნ უ მეფემან, ა ნ უ მთავარმან, ა ნ უ ეპისკოპოსმან“ 143; „ა ნ უ ანდერძი ესე ჩემი“ 143; „ა ნ უ ვინ საურავი მოუღოს, ა ნ უ ქრთამისათჳს“ 144; „ა ნ უ თუ თჳთ იქმოდეს, ა ნ უ მძლავრებით და ა ნ უ თუ ღმრთის მსახურებასა რასმე ჩუჱნებდეს“ 145; „ა ნ უ თავისთჳს, ა ნ უ გარეშე“ 147.

არა: „თუ ა რ ა -ესე იყოს“ 7; „ა რ ა - მომიძაგა, ა რ ა დააცადა“ 7; „ა რ ა ულირს მჩენელმან“ 15; „ა რ ა შეუნდობდა სიცბილად“ 19; „ა რ ა ითნნა ესრეთ ყოფად„ 25; „თუ ა რ ა “ 44; „ა რ ა იყო ნებაჲ ჩემი“ 107; „ა რ ა სირცხვლისა თანამდებად იხილვნეთ“ 138.

არავინ: „ა რ ა ვის... ექნა ჩუჱნი ერთგულობა“ 109.

არამრიდი: „ღმრთისაცა ა რ ა მ რ ი დ - მ ა ნ “ 21.

არამცირედი: „ა რ ა მ ც ი რ ე დ ი ერთგულებაჲ“ 28.

არგანი — *აქ მონასტრის წინამღვრის კვერთხი.* „ჩუჱნ ა რ გ ა ნ ი მოვაჴსენოთ“ 135.

არს: „სისწრაფისაჲ ა რ ს “ 6; „ცხად ა რ ს “ 25; „კურთხეულ-ა რ ს “ 44; „სამრებლოჲ ა რ ს “ 59; „არსენის ჴელსა ა რ ს “ 65; „საქმე ა რ ს მღჳმესა ზედა“ 127; „ვითა თჳთ წესი ა რ ს “ 134; „კრული ა რ ს გაუჴსნელად“ 164.

არსენი: „ბერმან ა რ ს ე ნ ი მიბრძანა“ 5; „მოუწოდე ა რ ს ე ნ ი ს ბერსა“ 33; „მიბრძანა... ბერმან ა რ ს ე ნ ი “ 36; „ა რ - ს ე ნ ი ს ბერსა... აქუს კორტანატი და პერპერაჲ“ 45; „კანდლები... ა რ ს ე ნ ი ს დაუდგაჲმს“ 65; „ჭურჭელი... ა რ - ს ე ნ ი ს დ ა მიმითუალავს“ 85; „ბერსა... ა რ ს ე ნ ი ს გაუწესებია“ 96; „ვითაცა თჳთ ა რ ს ე ნ ი განაწესის“ 98; „ა რ ს ე ნ ი ს ა განკრძალული მღდელი“ 99; „ა რ ს ე ნ ი ს გაუწესებია“ 103.

არცა: „ა რ ც ა მიუშუა კუჱრთხი“ 26; „ა რ ც ა ვის სხუასა საქმე უც“ 117; „ა რ ც ა მღჳმისა ქუაბთა“ 118; „ა რ ც ა ვის აწუც საქმე“ 122; „ა რ ც ა ქ~სა კათალიკოზისა საქმე არს მღჳმესა ზედა, ა რ ც ა ვის სხჳსა ეპისკოპოსისა; ა რ ც ა ზვერი, ა რ ც ა მეფეთა, ა რ ც ა მუხრანისა მგეთა. ა რ ც ა მღჳმისა შედგომად ვის აქუს ჴელმწიფებაჲ... ა რ ც ა მათთა აგარაკთა“ 127-129.

ასი: „დამიწერია ა ს ი დრაჰკანი მღდელთათჳს“ 101.

ასრულება: „ჟამისწირვაჲ ჩემთჳს ა ე ს - რ უ ლ ე ბ ო დ ი ს “ 95; იხ. აღსრულება.

აქაჲთგან: „ა ქ ა ჲ თ გ ა ნ ვ ე აღიღო ჴელი“ 16.

აღარ: „ა ღ ა რ ოდეს მიგეღოს იგი“ 117; „ჟამი ა ღ ა რ მომხუდეს“ 162.

აღდგენა: „მკუდარი ა ღ მ ა დ გ ი ნ ა “ 98.

აღება: „ა ღ ი ღ ო ჴელი“ 16.

აღვსება: „მხიარულებით ა ღ ვ ი ვ ს ე “ 32.

აღვიარება: „მადლობაჲ ა ღ უ ვ ა რ ე “ 19.

აღსრულება: „მეფეთათჳს ლოცვა ა ღ ა ს რ უ ლ ო ნ “ 120; იხ. ასრულება.

აღშენება: „ვარწმუნე ა ღ შ ე ნ ე ბ ა დ

ეკლესიაჲ“ 34.

აღშენებული: „ვიხილე ეკლესიაჲ ჩემ მიერ აღშენებული“ 3; „მიეცონ სიმტკიცე ეკლესიასა, ჩემ მიერ აღშენებულსა“ 43; „ესე ჩემგან აღშენებული ეკლესია“ 130.

აღწერილი: „წესნი... მათ მიერ აღწერილი“ 38.

აღხუმა *აქ აღმოფხვრა, მოსპობა*: „წყალობაჲ... სასრულაჲდ აღმახუა“ 13.

აწ: „აწ უყიდია“ 54; „აწ მე მომიჴსენებია“ 72, 74; „აწ არსენის გაუწესებია“ 103; „აწ ძაგანმან... დაემჭირნეს(!)“ 109; „აწ ... იყოს შევედრებულ“ 123; „აწ, შემდგომად ამისა“ 141.

აწინდელი: „ესე იყოს აწინდელი“ 7; „აწინდელთა ქართლისა კათალიკოზთ ჴელნი ჰქონან“ 126.

ბ

ბაზიჯი, *ალბათ, ძვირფასი ლითონი*: „ბაზიჯისა... კანდლები“ 61; „ბაზიჯისა ფეშხუჳმი“ 84.

ბანჯარი იხ. უსაბანჯრო.

ბარი: „მთას და ბარს“ 74.

ბარძიმი — *ზიარების ჭურჭელი* (*ილ. აბულაძე*); „*ფერჯიანი მაღალი სასმისი*“ (*საბა*): „ბროლისა ბარძიმი“ 84.

ბეგარა იხ. უბეგროდ.

ბედიელ-ალავერდელი: მღვმისა ლავრა „სჳმეონ ბედიელ-ალავერდელისა იყოს შევედრებული“ 123.

ბერი — *მონაზონი კაცი*: „ბერმან არსენი მიბრძანა“ 5; „მოუწოდე არსენის ბერსა“ 33; „მიბრძანა... ბერმან არსენი... სულიერმან ბერმა... იოვანე“ 36; „არსენის ბერსა“ 45; „თანადგომითა... ჩემთა ბერთაჲთა“ 47; „ვითა ბერსა... არსენის გაუწესებია“ 96.

ბოძება: „მამამან ჩემმან უბოძაჲ“ 108.

ბრალი: „უფალო... მოუტევენ ბრალნი“ 91.

ბროლი — *მაღალხარისხოვანი მინა*, „*ბუნებით თეთრი ქვაი*“ (*საბა*): „ბროლისა... კანდლები“ 62; „ბროლისა სასანთლენი..., ბროლისა ბარძიმი... სიწმიდისა სამსახურად მოიჴმარებოდის“ 83.

ბრძანება: „ბერმან არსენი მიბრძანა“ 5; „მიბრძანა... ბერმან არსენი“ 36; „მამისა ჩემისა ბრძანებასა შიგან... სწერია“ 116; ბ. კათალიკოზისა: „ქართლისა კათალიკოზსა უბრძანებია“ 57.

ბჭითი: „ასი ფური მომიჴსენებია... ბჭითს და ბჭითის ზეით სოფლებს“ 79.

ბჭობა იხ. ნაბჭობი.

გ

გაგზავნა: „ჭურჭელი... ჩემსა მონასტერსა გაგზავნოს დემეტრე“ 86.

გამოსავალი — *ნამეტი, მოგება, შემოსავალი*: „სასეფოჲსა გამოსავლისაგან ჰქონდეს“ 56; „ამისი გამოსავალი ცხუარი ჯორსა იყიდდეს “ 77.

გამოუძიებელი: „არა ითნნა... საშჯელმან გამოუძიებელმან“ 25.

გამოღება — *ჩამორთმევა*: „ნუმცაჲ ვის უკადრებია გამოღებაჲ“ 63.

გამოყრა — *შემოცლა, გამოშლა*: ეკლესიას „კალაპოტი გამოუყარონ“ 45.

განათლებული: „სულითა ღმრთისაჲთა განათლებულნი“ 31.

განახლება: „მე კულა გამიახლებიან იგი სიგელნი“ 50; „სიწმიდისა განახლებისა სამსახურად მოიჴმარებოდეს“ ბარძიმ-ფეშხუმი 84.

განგება: „მარწმუნა მის მიერ განგებულსა მეფობასა“ 14; „წინააღმდგომთა განგებულისა თჳსისათა მისცემდა მოსასრველად“ 18.

განკრძალული — *აქ დადგენილი; ბეჯითი*: „განკრძალული მღდელი“ 99.

განკუთნვილი: „ღმრთისათა განკუთნვითა ეკლესიები... მიიტაცა“ 24; „ღმრთისათჳს ოდენ განკუთ[ნვილ]ნი“ 39.

განმანათლებელი: „განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა“ 4; „განმანათლებელსა ჩემსა არსენის გაუწესებია“ 96.

განმართვა — *ბრძოლად წასვლა*: „ეამსა ჩემსა შარვანსა ზედა განმართვისასა“ 2.

განსჯა: „დაჯდეს ქრისტე ღმერთი განსჯად“ 157; „წარმოუდგე და განესაჯე“ წმ. შიო 157.

განყოფაჲ: „ყოველი შესამოსლად განეყოფვოდის“ 71; „ტფილსა სეფისკუჩრსა განუყოფდენ“ 89; „ჩემი განყოფაჲ რქმნას“ 93; „გაიყონ მღდელთა“ 102; „განყოფასა მისსა ჴორცთაგან განყავ იგი“ 154.

განშუება — *ნეტარება*: „განვიშჳ სულითა„ 31.

განჩინება — *დადგინება*: წილგდებით „სხუაჲ განაჩინონ“ ლავრის წინამძღვრად 135.

განცხადება — *გამოცხადება*: „განუცხადე სათნოჲ ჩემი“ 33.

განძლება: „აღიღო ჴელი... განძლებად ჩემთა 16.

განწესება — *დადგინება*: „სოხასტერი, ვითა... არსენის გაუწესებია“ 96; „ვითაცა თჳთ არსენი განაწესის“ 98.

გარდაქცევა — *გადაქცევა*: „ძაგანმან სადგომნი საებისკოპოსონიცაჲ... გარდააქცინა სამთავროდ“ 110.

გარეშე: „გარეშე... მწიგნობართ-უხუცესისა სასაურაობასა ნუვინ იკადრებს“ 147.

გარნა — *გარდა, გარეშე*: „გარნა ჩემ მიერ ძლეოდენი“ 99.

გარყუნევა: „ნუ ოდეს ვის გაარყუნევით... ლავრსა“ 141.

გაუკსნელი: „კრული არს გაუკსნელად“ 164.

გაჩენა: „ცჳლი... გამოჩენენიან“(!) 65; „ბრძანებასა შიგან გაჩენით სწერია“ 117.

გაწესება: „ვითა არსენის გაუწესებია“ 103.

გზა: „უცთომელი გზა“ 35.

გინა: „გინა მონაზონმან, გინა ჴელისუფალმან ვინ“ 142, 143; „გინდა ვინ იყოს“ 148.

გლეხი: „თუნდა გლეხმან... ანდერძი ესე ჩემი შეცვალებად იუროს“ მიაწიე რისხვაჲ შენი 143.

გმობა იხ. მგმობარი.

გონება: გონებისა(გან) ... ოჴერ ყავ“ 153.

გუარი: „სხუათაცაჲ ჰქონებოდა მათთა გუართა“ 108; „რაჲ გუარი“ 148.

გუშრდი: „იარებოდის ჩუენსა ჭამ-ბარსა გუშრდით“ 77.

გულსმოდგინება: „ჰნახევდით გულს-მოდგინებით ქმნილსა“ 140.

დ

და (კავშ.) 4_2, 8_2, 9, 11, 13, 16, 20, 21, 26, 30-36, 39_2, 41_2, 42, 45-49, 52_2, 53-58, 60_2, 62-64, 70, 71_2, 74-85, 87, 89-96, 102-107, 109, 111-118, 121-124, 126_2, 129, 130, 131, 134-137, 139, 141, 145, 149, 152, 153, 155, 157_2, 159, 160-163.

დადგმა: „კანდლები... არსენის დაუ-დგაჲმს“ 63.

დავით: „დავითს მიწყიეს“ 1; „დავ-ითს მიუტევენ ბრალნი“ 91; „ნუ ოდეს დამივიწყებთ დავითს“ 140.

დავიწყება: „ნუ ოდეს დამივი-წყებთ“ 139.

დაკლება: „ამას ნუ დააკლდების“ 72; „ნუვინ დააკლებს“ 102; „რას ვინ მღვმესა დაკლებდეს... კრულ არს“ 163; „დაკლებული სისწრაფისაჲ არს“ 6.

დამბადებელი: „მადლობაჲ აღუვარე დამბადებელსა ღმერთსა“ 29.

დამიც: „მარგალიტი... ხატისათჳს რო-მელი დამიც“ 83.

დამტკიცება: „წყევითა და შეჩუენე-ბითა დაამტკიცეთ“ ანდერძი 161; „თჳთ ესე (ანდერძი) დაამტკიცეთ“ 163; „ღმერთო, დაამტკიცე“ (ანდერძი) 165.

დამჴობა: „მწყემსთა მიერ დაემ-ჴუაჲ“ 27.

დარბაზი: „ჩუენსა დარბაზსა მოიყ-ვანონ“ (ახალარჩეული მთავარ-მამა მღმ-ღვმე) 135.

დასრულებული: „ვიხილე ეკლესია... დასრულებულად“ 3.

დასხმა — *დასმა*: არსენის „მეზურენი დაუსხმან“ 105; „დავსხენ მონას-ტრისა წესნი“ 37.

დაუსაბამო: „დაუსაბამოო... ღმერთო, მიაწიე რისხვაჲ“ 149.

დაუსრულებელი: „დაუსრულე-ბელო ღმერთო, მიაწიე რისხვაჲ“ 149.

დაცადება: „არა დააცადა... წყა-ლობაჲ 11.

დაწერა: „ამის ანდერძისა დაწერა“ 5; „თჳთ ჴელითა ჩემითა დამიწერია“ 101; „სხუაჲ უახლესი ანდერძი დავ-წერო“ 159; „სხჳსა დაწერად ჟამი აღარ მომხუდეს“ 162.

დაწყება: „მე, დავითს მიწყიეს“ 1.

დაჭერა: „საქონებელნი მრავალნი დაემჭირნეს“ 111.

დახუდომა — *დასწრება*: აკურთხონ ეკლესია „თანა დახუდომითა... ეპის-კოპოსთაჲთა“ 47.

დაჯდომა: „ოდეს დაჯდეს ქრისტე ღმერთი“ 156.

დგომა: ცხუარი „უწყენლად დგეს“ 76; „ფური... მუხნარს დგეს“ 80.

დემეტრე: „გაგზავნოს ძემან ჩემმან დემეტრე“ 86; „ძემან ჩემმან დემე-ტრე“ აკურთხებინოს ეკლესია 46.

დიაკონი — *მღვდლის მოსამსახურე* (*სამ*.): „მემღვმისა დიაკონმან მო-ისამართლოს“ 59.

დიდებული: „ნუ... გაარყუნევთ დიდებულსა ლავრასა“ 141.

დიდი მარხვა — *აღდგომის წინა*

შეიდკვირიანი მარხვა: „დიდთა მარხვათა... სეფისკუჩრსა განუყოფდენ“ 88.

დრამა — *ფული*: „პური... ხუთასისა დრამისა წონი“ 67.

დრაჰკანი — *ოქროს ფული*: „დამიწერია ასი დრაჰკანი“ 101.

დღე: „არა დააცადა... წყალობაჲ დღეს დღემდე“ 12; „მას დღესა სერსა უყოფდეს“ 93; „მას დღესა... ჟამისწირვაჲ აღსრულობდის“ 95; „სამისა დღისა მკუდარი აღმადგინა“ 98; „მას დღესა... გაიყონ მღდელთა“ 102.

ე

ეგრე: „ეგრე იქნას“ 98.

ეგრეთვე: „ეგრეთვე, სხუაჲ ყოველი“ 69; „ეგრეთ შური იძიე“ 158.

ევლოგიობაჲ — *მოსაკითხობა*: „ფარჩითა კაპარი გვევლოგიონ“ 132.

ცემა: „თაყუანის-ვეც... წმიდისა მამისა შიოჲს საფლავსა" 30; „უკუნით ეცით ნაქონები მისა მიმართ" 115.

ცთომილება — *შეცდომა*: „ბრალნი ცთომილებისანი" 91.

ციხე: „ზეზადნის ციხე... ძუჱლითგან ვეცადე მათგან ძებნითა" 107; „მთასა ციხე მარანი", „მღჳმე მონასტერი შიგან ციხედ... ჰქონდეს" 113.

ცნობა: „ცნობისა(გან) ... ოჴერ ყავ იგი" 153.

ცოდვა: „სულგრძელმან მხედველობათა შინა ცოდვათასა..." 8.

ცოდვილი: „არცა მიეშუა კუჱრთხი ცოდვილთა ნაწილსა ზედა მართალსა" (ფს. 124,4) 26.

ცჳლი: „ცჳლი გამიჩენენიან(!) ვაჭართა ზედა ჟამად-ჟამადი" 65.

ცუარი ზეცისაჲ: „ნუმცა მიეცემის წყალობაჲ შენი ნუცა ცუარისაგან ზეცისა" 151.

ცხადი: „ცხადთა წინაალმდგომთა განგებულისა მისისა მისცემდა მოსასრველად" 17; „ცხად არს, რამეთუ ღმრთისამან" 25.

ცხენი: „მომეტებული ზროხაჲ... ცხენსა სამსახურებელსა იქმოდის" 81.

ცხოვნებული: „განყავ იგი ნაწილისაგან ცხოვნებულთაჲსა" 155.

ცხუარი: „სიგელი შეუვალობისაჲ აქუს ცხუართათჳს უსაბანჯრობისაჲ სამი ათასისა ცხურისაჲ", „მე მომიჴსენებია ორი ათასი ცხუარი. და ხუთი ათასი ცხუარი... დგეს და იარებოდის ჩუენსა ჭამბარსა გუჱრდით" 73-77.

ცხორებაჲ: „ვიხილე... წესიერი ცხო-

რებაჲ" 39; „ძელი ცხორებისაჲ... ჩემსა ეკლესიასა შინა იყოს" 87.

ძ

ძაგანი: „ძაგანმან, შემაწუხებელმან ღმრთისა..." 20; „ძაგანი, მღჳმეს შელტოლვილი, მომცა ღმერთმან" 27; „ძაგანმან სადგომად საებისკოპოსონიცაჲ... დაემჭირნეს" 109.

ძე: „ძემან ჩემმან დემეტრე... აკურთხოს ეკლესია" 46; „გაგზავნოს ძემან ჩემმან დემეტრე" 86.

ძებნა: „ძუჱლითგან ვეცადე მათგან ძებნითა" 107.

ძელი ცხორებისაჲ – *ქრისტეს ჯუარი*, აქ *საწინამძღვრო ჯუარი*: „ძელი ცხორებისაჲ... ჩემსა ეკლესიასა შინა იყოს" 87.

ძიება: „შური იძიე" 155, 158.

1. **ძმა**: „თანავე ძმისა თჳსისა მოდისტოს" 22.

2. **ძმა** – *მონასტრის კრებულის წევრი*: „საზრდელი ძმათა პური" 66; „წუჱლაჲ ძმათა მიეცემოდის" 78.

ძუჱლი: „ძუჱლითგან... სიგელი შეუვალობისაჲ აქუს" 72; „ძუჱლითგან ვეცადე მათგან ძებნითა" 107; „თჳთ ძუჱლთა... ქ~სა კათალიკოზთა ჴელნი ჰქონან" 126; ძ. ძუჱლი: „თჳთ ძუჱლის ძუჱლი ნასყიდი" 51.

წ

წარმოდგომა: „წარმოუდეგ და განესაჯე" 157.

წარტყუჱნული – აქ *დატაცებული, გაძარცული*: „ქონებანი მისნი, საავაზაკონი და წარტყუჱნული" 116.

წაღმართ: „წაღმართ მოიგონ იგიცა... გამოსავლისაგან ჰქონდეს" 55.

წევნა: „რისხვაჲ შენი ეწიენ" 153.

წერა: „მამისა ჩემისა ბრძანებასა შიგან გაჩენით სწერია" 117; „მამათა ნათლისა შიოჲს ანდერძში სწერია" 119.

წერილი წმიდა: „ვითა თჳთ წერილნი წმიდანი უმოძღურებენ" 120.

წესი: „წესსა ზედა სჳმეონ წმიდისსა დავსხენ მონასტრისა მღჳმისა წესნი" 37, 38; „ნუვინ შესცვლის ამას წესსა" 104; „ამითვე წესითა სხუაჲ... იყოს" 125; „ვითა თჳთ წესი არს" 134.

წესიერი: „ვიხილე... წესიერი ცხორებაჲ" 39.

წილკანი: „საქონებელნი მრავალნი დაემჭირნეს წილკანი საყდრისა" 112.

წილგდებაჲ – *კენჭისყრა*: „წმიდისა შიოჲს საფლავსა ზედა წილგდებაჲ" 135.

წინაალმდგომი: „ცხადთა წინაალმდგომთა... მისცემდა მოსასრველად" 17.

წინამძღუარი: „წინამძღუარსა მჯულისა ჩუჱნისასა ... უბრძანებია" 57.

წინაშე: „წინაშე ღმრთისა მეოხებად კადნიერ იყვნენ" 41; „წინაშე ღმრთისა შეკრებასა" 138.

წინა-უკმოჲ – *წინა-უკუღმა* (*საბა*): „მოდისტოს წინა-უკმოჲსა მღდელთმოძღუარისა..." 22.

წირვა: „ჩემთჳს წირვიდეს ჩემსა ეკლესიასა შინა" 92.

წისქჳლი: „წისქჳლთაჲ ყოველი შესამოსლად განეყოფვოდის" 71.

წმიდა: „შევევედრე... წმიდასა მა-

მასა შიოს“ 3; „თაყუანის-ვცე წმიდისა მამისა შიოჲს საფლავსა“ „ვიხილე წმიდაჲ მთავარ-მამა მემღჳმე“ 30; „მეოხებითა წმიდისა შიოჲსითა მიეცინ სიმტკიცე ეკლესიასა“ 43; „სიგელნი ჰქონან... წმიდასა ამას უდაბნოსა“ 49; „მომიჴსენებია წმიდისა მამისა შიოსათჳს“ 53; „ოცდაათი ლიტრაჲ ვეცხლი წმიდაჲ“ 65; „ხოდაბუნი შემიწირავს... წმიდისა სჳმეონ საკჳრველთმოქმედისადა“ 97; „მეუფე წმიდაჲ მამა შიოჲ“, „წერილნი წმიდანი უმოძღურებენ“ 120; „წმიდისა შიოჲს ხატსა შეგვამთხჳნენ“ 131; „წმიდისა შიოჲს საფლავსა ზედა წილგდებაჲ“ 134; „შენ... წმიდაო მამაო შიო“ 156; „წმიდაო მეუფეო“ ქ~სა კათალიკოზო“ 161; წ. ღმრთისმშობელო: „სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისასა“ 35; „მადლითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა“ 42; „ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო... განყავ იგი“ 154; წ. წერილი: „ვითა წერილნი წმიდანი უმოძღურებენ“ 120; წ. ნაწილნი: „ნაწილნი წმიდათანი ორი მოთხე სავსე“ 87; „წმიდათა დიდთა მარხვათა... სეფისკუჱრსა განუყოფდენ“ 88.

წონი — *წონა:* „ხუთასისა დრამისა წონი“ 67.

წუჱლაჲ — *რძე; რძის ნაწარმი:* „წუჱლაჲ ძმათა მიეცემოდის“ 78.

წყალობაჲ: „ვინაჲთგან მსთუამან წყალობად... აჩუჱნნა მიუწდომელნი ქველისმოქმედებანი“ 8; „წყალობითა სიყუარულისა თჳსისა მიმართ მიმზიდველმან“ 9; „არა დააცადა ჩუჱლებითი წყალობაჲ“ 12; „პატრონთა თჳსთა წყალობაჲ სასრელაჲდ ალმახუა“ 13; „ნუმცა მიეცემის წყალობაჲ შენი“ 151; „მოლოდებასა შინა წყალობისასა რისხვაჲ შენი ეწიენ“ 152.

წყევა: „წყევითა დაამტკიცეთ“ 160.

წყენა იხ. უწყენლად.

ჭ

ჭამბარი — *ფარი:* „ცხუარი... იარებოდის ჩუენსა ჭამბარსა გუჱრდით“ 77.

ჭეშმარიტი — *ნამდვილი:* „მწემსი უკაროჲ ჭეშმარიტთა მწყემსთა მიერ დაემკუაჲ“ 27.

ჭურჭელი — *ქონება, სამკაული, სიმდიდრე:* „ჭურჭელი ივარი სპარსთაჲ“ 85.

ხ

ხარება: „იხარებს მართალი“ 19.

ხატი: „ჩემისა ხატისათჳს დამიც“ 82; „წმიდისა შიოჲს ხატსა შეგვამთხჳნენ“ 131.

ხედვა: „ხედვისაგან ოკერ-ყავ იგი“ 153.

ხილვა: „ვიხილე ეკლესიაჲ“ 3; „... რაჟამს იხილოს შურისგებაჲ“ 29; „ვიხილე მთავარ-მამა მემღჳმე“ 80; „სრულად ვიხილე“ ეკლესიაჲ 38; „ენკენიობაჲ მისი ვიხილო“ 44; „იხილვნეთ ღმრთისა და ანგელოზთა მისთაგან“ 138; „ნუმცა უხილავს ნათელი ღმრთეებისა შენისაჲ“ 150;

ხილი: „პური—ხილი ფურნისაჲ“ 66.

ხოლო: „ხოლო მეორემან...“ 23; „ხოლო შენ...“ 154, 156.

ხუდაბუნი — *კარგი სახნავ-სათესი მიწა*: „მე ხ უ დ ა ბ უ ნ ი შემიწირავს“ 97.

ხუთასი: „ხ უ თ ა ს ი ს ა დრამისა წონი“ 67.

ხუთი ათასი: „ხ უ თ ი ა თ ა ს ი ცხუ-არი“ 75.

ჴ

ჴარი: „ჴ ა რ ი სამცხორებლოთა სამუშაოთა მოიჴმარონ“ 81.

1. ჴელი — *ხელი*: „ალილო ჴ ე ლ ი სიტკბოებითა თჳსითა“ 16; „აკურთხონ ჴ ე ლ ი თ ა“ 47; „არსენის ჴ ე ლ ს ა არს“ 65; „თჳთ ჴ ე ლ ი თ ა ჩემითა დამიწერია“ 101.

2. ჴელი — *უფლება*: „ქართლისა კათა-ლიკოზთა ჴ ე ლ ნ ი ვითარად ჰქონან“ 126.

ჴელისუფალი: „გინა ჴ ე ლ ი ს უ-ფ ა ლ მ ა ნ ვინ... საურავი მოულოს“ 143.

ჴელმწიფებაჲ: „არცა... ვის აქუს ჴ ე ლ მ წ ი ფ ე ბ ა ჲ“ 129.

ჴორცი: „განყოფაჲ იქმნას ჴ ო რ ც თ ა ამათგან“ 94; „განყოფასა მისსა ჴ ო რ ც-თ ა გ ა ნ განყავ“ 154.

ჯ

ჯერი: „ჯ ე რ ი ს ა ე ბ რ ვერ მმად-ლობელიყა“ 11.

ჯორი: „ოცდაათი ჯ ო რ ი, რომელ აქ მე [illegible]“ 72; „ამისი გამოსავალი ცხუარი ჯ ო რ ს ა იყიდდეს“ 77; „მომეტე-ბული ზროხაჲ ჯ ო რ ს ა ... იქმოდეს“ 80.

ჯუარი: „<მოილოს> ჯ უ ა რ ი მისი“ 133.

ჰ

ჰნახევდით იხ. ნახვა.

ჰქონან, ჰქონდეს, ჰქონებოდა იხ. ქონა.

ჰშუჱნის იხ. შუენება.

В. И. Силогава

ЗАВЕЩАНИЕ ЦАРЯ ДАВИДА СТРОИТЕЛЯ ШИОМГВИМСКОЙ ЛАВРЕ

(резюме)

В 1124 году, перед одним из походов на Ширван, царь Грузии Давид Строитель (1089-1125) посетил Шиомгвимскую лавру - одну из древних и высокопочитаемых грузинских монастырей, который расположен на левом, северном берегу р. Куры, в глубокой, с высокими и крутыми отвесами ущельии, в 12 км на запад от древней столицы Грузии Мцхета. Целью посещения царем монастыря было помолиться у гробницы св. Шио - основателя монастыря, одного из тринадцати т.н. сирийских отцов, прибывщих в Грузию в VI веке и основавших здесь первые монастыри и христианские обители; получение благословения от монастырской братии перед столь ответственным походом и осмотрение нового, большого храма во имя Пресвятой Богородицы, построенного посреди монастыря по желанию и на средства самого царя. Кроме этого, царь утвердил типик (устав) монастыря; пожаловал монастырю большое число пожертвований (в основном, движимое имущество); освободил монастырь от всяких повинностей, подчинил его непосредственно первому министру ("*Чкондидел-мцигнобартухуцеси*") государства, освободил от подчинения в отношении управления от какой-то ни было церковной власти и, таким образом, превратил Шиомгвимскую лавру в ставропигиальную монастырь.

Вследствие посещения царем монастыря был составлен документ, который в текстеже документа назван "завещанием" ("*андердзи*") и в ней рассказано все то, что выше было изложено. Текст завещания составлен от первого лица, от именин царя и в ней, между прочем, сказано: "*Если Богу угодно будет и я возврашусь (из этого похода живым), то (завещание это) будет заменено лучшим, а если нет, то пусть останется в силе это самое (завещание)*". Царь из ширванского похода, правда, возвратился победителем и надолго закрепил эту страну за грузинским государством, но вскоре, в 1125 году скончался, так что, новое завещание, или какой-нибудь другой документ по Шиомгвимскому монастырю, насколько известно, более не составлял.

Завещание Царя Давида Строителя Щиомгвимской лавре, являющийся собой замечательным письменным памятником и по содержанию своему превосходным историческим источником, было также и драгоценной реликвией, так как первая и последняя строки этого обширного посьменного памятника были написаны рукою

самого царя. В первой строке было сказано: "*Содействием Бога, я, Давид начал (писать)*"; а последняя строка, как это положено по дипломатическому приему, то есть по правилам составления документов, являлся заверением-подписью выдателя документа, в настоящем случае царя, и в ней сказано; "*Господи, утверждение всех, (это) твердое (завещание) обрати в непреложное*".

Текст Завешания Давида Строителя Шиомгвимской лавре был написан на белых листах пергамена весьма тонкой отделки; пять таких листов были сшиты в один свиток, длина которого составляла 212 см, а ширира 28-30 см. Текст был написан в 165 строк, черными чернилами, крупными буквами письма "*нусхахуцури*" (т.е. церковным письмом), за исключением двух строк - первого и последнего, которые написаны письмом "*мхедрули*" (т.е. гражданским письмом), как уже сказано, рукою самого царя.

Этот документ, в течение почти 800 лет сохранившийся в первоначальном и неповрежденном виде, в наши дни, почти на наших глазах, а именно в феврале 1919 года погиб, сгорел на Северном Кавказе, в станице Кавказской, куда был вывезен вместе с несколькими тысячами древнегрузинскими актами в 1915 году, в связи с опасностью нападения турецких войск на Тбилиси во время Мировой войны. Нападение турецких войск на Тбилиси не состоялось, а документы (вернее - целые архивы) застряли на Северном Кавказе вследствие революций 1917 года. Абсолютное их большинство, в том числе и Завещание Давида Строителя, вместе с подлинниками грамот царей Георгия II-го (1073 г.), Тамар (1195 г.), Георгия IV (1211 г.) и др., на которых имелись их собственоручные подписи-заверения, там погибли в условиях развернувшейся Гражданской войны.

В 1923 году проф. *Саргис Какабадзе*, командированный грузинским правительством на Северный Кавказ, для возвращения вывезенных в 1915 году грузинских архивов, обнаружил лишь незначительные фрагменты, пергаменные обрывки размером немногим больше ладони, двух документов - грамоты царя Георгия II-го (1073 г.) и Завещания царя Давида Строителя Шиомгвимской лавре, что и были им возращены в Грузию.

В 1975 году, во время подготовки и изданию I тома "Корпуса грузинских исторических документов", в богатой фототеке Музея искусств Грузии, нами были обнаружены фотонегативы некоторых древнегрузинских исторических документов, изготовленные в 90-ых годах XIX века известным фотографом *Александром Роинашвили* по заказу грузинского историка *Феодора Жордания* - первого издателя текста Завещания с русским переводом в 1895 году. Среди них оказались фотонегативы и некоторых тех документов, которые были вывезены из Тбилиси в 1915 году и погибли на Северном Кавказе в 1919 году; в том числе - и фотонегатив Завещания царя Давида Строителя Шиомгвимской лавре. Изготовление с этого негатива фотоотпечатка в натуральную величину дало

возможность предоставить в первоначальном виде этот замечательный письменный памятник. К сожалению, на фотонегативе текст Завещания полностью не изображен - не хватает приблизительно одной трети начальной части.

Настоящее издание Завещания царя Давида Строителя Шиомгвимской лавре является фототипическим - публикуются факсимиле оригинала и в соответствии с ным построчный текст.

Valeri Silogava

WILL OF THE KING DAVID THE BUILDER TO SHIOMGVIME LAVRA

(summary)

In 1124, before one of the campaigns against Shirvan, the king of Georgia David the Builder (1089-1125) visited Shiomgvime Lavra - one of the oldest and most venerated Georgian monasteries, which is located on the left, northern bank of the river Mtkvari, in a deep gorge with high and steep slopes, 12 km. to the West of the ancient capital of Georgia, Mtskheta. The aim of the royal visit was to pray by the tomb of St. Shio - the founder of the monastery, who was one of the so called 13 Syrian fathers, who came to Georgia in the 6th c. and founded first monasteries and christian abodes here; to get benediction from the monastery brethren before such a responsible campaign and to see the new, big church of the Holy Virgin, erected in the midst of the monastery by the desire and commission of the king himself. Besides, the king affirmed the typicon of the monastery; bestowed vast donations to the monastery (movable property, in general); freed the monastery from any king of duties and subjected it directly to the Prime Minister ("*Chkondidel-mtsignobartukhutsesi*"), freeing it fron the subjection of the management to any king of the ecclessiastical power, thus turning Shiomgvime lavra into an independent monastery.

The king's visit to the monastery resulted in the drawing up of a document, called "the will" ("*anderdzi*") in the document itself, which tells of everything, recited above. the text of the will is written on the first person, that of the king, and among other things it says: "*If such is the Lord's will and I come back (from rhis campaign alive), than (this will) will be changed by a better one, and if not, let this (will) remain valid*". Though, the king returned victorious from Shirvan campaign and for long attached this country to Georgian kingdom, but soon he died in 1125, so that the new will, or any other document, concerning Shiomgvime monastery, was not, so far drawn up.

The Will of the king David the Builder to Shiomgvime lavra, being a significant literary monument and a perfect historical source, due to its contents, was a national relic as well, for the first and the last lines of this vast literaty monument were written by the king himself. The first line read: "*With the Lord's help, I, David, began (to write)*", while the last line, according to the diplomatic mode, i. e. the rule of the drawing up of the documents, was the witnessing the signature of the giver of the document, the king in the present instance, and it said: "*Lord, affirmation of all, (this) firm (will) turn into an im-*

mutable".

The text of the Will of David the Builder to Shiomgvime lavra was written on the white sheets of the parchment of a delicate currying; five sheets were sewn in a scroll, its length reaching 212 cm, and width 18-30 cm. The text was written in 165 lines, in black ink, in large letters of "*nuskhuri*" (i. e. eclessiastical script), excluding two lines - the first and the last, which vere written in "*mkhedruli*" (i. e. civil script) by the king himself.

This document, being for nearly 800 years kept in its original and undamaged state, recently, nearly before our eyes, namely in February 1919 vanished; it got burnt during the fire in North Caucasus stanitsa Caucasian, where it was taken, together with several thousands of old Georgian acts in 1915, when there arose the danger of Turkish invasion in Tbilisi during the World War. Turkish army did not attack Tbilisi, while the documents (the whole archives, in fact) got stuck in North Caucasus in the result of the revolutions of 1917. The overwhelming majority of these documents, David the Builder's Will among them, together with the originals of the deeds of the kings George II (1073), Tamar (1195), George IV (1211) etc., which had their own signatures-witnessings, vanished there in the conditions of the Civil War.

In 1923, prof. *Sargis Kakabadze*, who was sent by the Georgian government to North Caucasus in order to return Georgian archives evacuated in 1915, found there just small fragments, parchment pieces, of the two documents - deed of the king George II (1073) and the Will of the king David the Builder to Shiomgvime lavra and returned them to Georgia.

In 1975, while preparing the edition of the first volume of the "Corpus of Georgian Historical Documents", photonegatives of some old Georgian historical documents, taken in the 90-ies of the 19th c. by a well-known photographer Alexander Roinashvili by the order of Georgian historian *Theodore Zhordania*- the first editor of the Will text with Russian translation (1895) were discovered in the Museum of Fine Arts of Georgia. Among them were the photonegatives of some documents, which were evacuated from Tbilisi in 1915 and vanished in North Caucasus in 1919; including a photonegative of the Will of the king David the Builder to Shiomgvime lavra. The photo, taken from this negative made it possible to present the original form of this magnificant literary source. Unfortunarely, the photonegative does not reproduce the entire text of the Will - nearly one third of the beginning is lacking.

დ ა მ ა ტ ე ბ ა I

1124 წ. ახლო. განაჩენი სვინეონ [ბედიელ-ალავერდელისა] შიომღვიმის ლავრის წინამძღვრის, მოძღვრისა და დეკანოზის შესახებ

საბუთის დედანი დაკარგულია; მოიპოვება მისი პირი, გადაწერილი თეთრ, ოდნავ სქელ ქაღალდზე, ხელის მიხედვით XIV ს-ში (ი. დოლიძის (ქსძ, III, გვ. 1445) და „კორპუსის" (ქისკ, I, გვ. 64) გამოცემის მიხედვით — XVII ს-ში); ზომა: 24×14,5 სმ. შავი მელანი (დროთა განმავლობაში ოდნავ გაბაცებული); დაწერილია მსხვილი ნუსხურით ფურცლის ორივე გვერდზე (მეორე გვერდზე ტექსტი გრძელდება 35-ე სტრიქონიდან); რესტავრირებული ხელნაწერთა ინსტიტუტში.

საბუთის ტექსტი თავნაკლულია; ქაღალდის მოხევის გამო (გადანაკეცზე და სწორხაზოვნად), პირველი ხუთი სტრიქონიდან (შეიძლება მათ წინ აკლია კიდევ ერთი ან რამდენიმე სტრიქონი) მოღწეულია მხოლოდ მარცხენა ნაწილი, ნახევარზე ცოტათი ნაკლები, ისე რომ ყოველი სტრიქონის მარჯვენა მხარეს აკლია დაახლოებით 23-25 ასო. ქაღალდის მოღწეული ნაწილი ძველადვე შეუვსიათ სხვა ქაღალდის ნაჭრით, რომელზედაც დაწერილია ორი ძველი სააღრიცხვო ნომერი: *ნლთ*, ე. ი. 136 და 490; პირველი წერია სინგურით, ასომთავრულით; აქვეა მიწერილი ახალი სააღრიცხვო ნომერი ხელნაწერთა ინსტიტუტისა — Ad-721 (სურ. 7,8).

პირის გადამწერს რამდენიმე ადგილას შეცდომა მოსვლია და ნაწერი გადაუხაზავს: *სტრქ.* 6 — „დედოფლისას" წინ გადახაზულია „ღ~თისა"; *სტრქ.* 38 — "კორთას" შემდეგ გადახაზულია ერთი ასო (შ?); *სტრქ.* 49 — „ესეს" შემდეგ გადახაზულია ორი თუ სამი გაურკვეველი ასო.

თ. ჟორდანიას ბრჭყალებში ჩასმით მოჰყავს საბუთის, თითქოს, ძველი სათაური — „უდაბნოს წინამძღვრის რიგი. თავი აკლდა" (*თ. ჟორდანია*, ისტორიული საბუთები, გვ. 19); მისი მიხედვით ამასვე იმეორებს ი. დოლიძე (ქსძ, III, გვ. 1445), მაგრამ, ასეთი მინაწერი საბუთზე არ მოიპოვება და მის შესახებ არც „კორპუსის" გამოცემაშია აღნიშნული.

როგორც ჩანს, დედნიდან პირის არასწორად გადმოღების გამო, ტექსტში არის რამდენიმე გაუგებარი ან ბუნდოვანი ადგილი:

სტრქ. 8 — „*მოვლინებულისა ჰნებავს ღმერთსა*" კონტექსტში არ ზის, გაუგებარია და ზედმეტი ჩანს.

სტრქ. 9 — „*საწინამძღურო კურთხევა ჴელთა მიეცით*"; უნდა იყოს „კუერთხი" და არა „კურთხევა", თუმცა, ტექსტის დაქარაგმებული სიტყვა

„კ~ხვა" კანონზომიერად იხსნება, როგორც „კ(ურთ)ხ(ე)ვა". აქ საუბარია მონასტრის ახალარჩეული წინამძღვრისათვის კვერთხის გადაცემაზე — *„სან-ინამძღურო კუერთხი ჴელთა მიეცით"*, ხოლო კურთხევის ხელთა მიცემა უაზ-რობაა. განაჩენის ეს ადგილი ეხმიანება დავით აღმაშენებლის ანდერძის იმ ადგილს, სადაც აღნიშნულია, რომ მონასტრის წინამძღვარს *„ჩუენ არგანი მოვაჴსენოთ"* (სტრქ. 135). *არგანი* აქ იგივე სანინამძღვრო *კვერთხია*, იგი მონასტრის წინამძღვრის ერთ-ერთი ნიშანი იყო.

სტრქ. 17-18 — *„რომელმან თქუენი არა ისმინოს, ჩემი არა ისმინოს და რომელმან თქუენ შეურაცხ-გყოს, მე შეურაცხ-მყოფს"* — ესაა თავისუფალი გადმოცემა ლკ. 10,16-ისა. კანონიკურ ტექსტში, ქართული ოთხთავის ყველა რედაქციაში, საბუთში მოყვანილი ციტატისაგან განსხვავებით, მტკიცებითი ფორმაა და არა უარყოფითი: *„რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა; და რომელმან თქუენ შეურაცხ-გყვნეს, მან მე შეურაცხ-მყოს"*. შეიძლება ეს პირის გადმომღების შეცდომა არც იყოს და დედანშიც ასე ეწერა სახარების თარგ-მანის რომელიღაც უცნობი რედაქციის მიხედვით, ან ტექსტის ზეპირად ციტირების გამო. საღმრთო წერილის სიმფონია-ლექსიკონებში ლკ. 10-16-ის პარალელურ მასალად მითითებულია აგრეთვე მთ. 10,40, ლკ. 9,48 და ი. 13,20, მაგრამ ამ ადგილებში აღნიშნულია *„შეწყნარების"* და არა *„შეურაცხ-ყოფის"* შესახებ.

სტრქ. 19-21 — აქ მოყვანილი საღმრთო წერილის ციტატის (ებრ. 13,17) მეორე ნაწილი (*„და ეტყოდით ყოველსა საქმესა"*) საღმრთო წერილში ვერ დაიძებნა.

სტრქ. 32 — *„ლგო~ნა და"* სიტყვა „ლოცვის" შემდეგ ზედმეტია. როგორც ჩანს, იგი პირის გადმომღებმა შეცდომით დაწერა მომდევნო სიტყვა „ლოცვის" ნაცვლად (*„მათი ლოცვა ლოცვა არა არს"*) და გადახაზვა (ისევე, როგორც გად-ახაზა შეცდომით დაწერილი სიტყვა „ღ~თისა" მე-6 სტრქ-ში) დაავიწყდა, ან ხელუხლებელი დატოვა. შეიძლება აქ მისთვის გაუგებარი სიტყვა ეწერა დედანში, რომელიც შეცდომით („ლგო~ნა") გადმოწერა.

სტრქ. 48-49 — სტრიქონის ბოლოს არ იკითხება სამი ასო — ისინი „ჩაჭყლეტილია" ქაღალდის გადანაკეცში, რომელსაც ზემოდან გადაწებებული აქვს სარესტავრაციო მიკოლენტა, ამდენად, ამ გადანაკეცის გასწორება ამჟა-მად შეუძლებელია. ამის გამო, გაუგებარია თუ რას ნიშნავს 49-ე სტრქ. თავში დაწერილი *„ხოლ~ე"*. თ. ჟორდანია შეცდომით წერს, რომ 48-ე სტრქ-ის ბოლოს „ნუსხაში ცარიელი ადგილია დატოვებული". იგი თვლის, რომ „იქ უნდა წერე-ბულიყო ბედიელ-ალავერდელი" (ისტორიული საბუთები, გვ. 20, შენ. სქ-ში).

სტრქ. 49 — *„ესე"* წერია სტრიქონის შუაში სხვებთან შედარებით მოზ-რდილი ასოებით, თანაც პირველი ე — ასომთავრულით. აშკარაა, რომ ტექსტის ეს (მომდევნო) მონაკვეთი პირის გადმომღებს სურდა გამოყოფით აღენიშნა დანარჩენი ტექსტისაგან. არსებულ სამივე გამოცემაში ტექსტის ეს მონაკვეთი უშუალოდ ებმის წინ არსებულ ძირითად ტექსტს (თუმცა, აბზაცი-

თაა დაწყებული). ვთვლი, რომ ეს მამა სვიმეონის ხელრთვაა, განაჩენის მისეული დამტკიცებაა, რაც მისი შინაარსითაც ცხადია და, როგორც ასეთი, იგი გამოცემისას ძირითადი ტექსტისაგან უნდა გამოიყოს.

დათარიღება. საბუთის გამცემი და დამამტკიცებელი „მამა სჳმეონი" (სტრქ. 48) ჯერ კიდევ თ. ჟორდანიამ (1896), სავსებით სწორად, მიიჩნია დავით აღმაშენებლის (1089-1125) თანამედროვე სვიმეონ მწიგნობართუხუცეს ბედიელ-ალავერდელად. ეს მოსაზრება გაიზიარა საბუთის მეორე გამომცემელმა ი. დოლიძემ და ამის მიხედვით იგი XII ს-ით დაათარიღა — ტექსტის სათაურში კითხვის ნიშნის დასმით, ხოლო არქეოგრაფიულ შენიშვნებში ამის გარეშე, მაგრამ შენიშვნით — „მასში ნახმარი ზოგიერთი ტერმინი და სიტყვა: „დიდებული", „აზნაური", „პატარა" და სხვ., თუ საბუთი შემდგომ არ განუახლებიათ, ამ დათარიღებას საეჭვოს ხდის" (ქსძ, III, გვ. 1145-1146). აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ყველა ეს სიტყვა, არა თუ XII ს-ში, არამედ გაცილებით ადრეც — IX-X-XI სს. დასტურდება, როგორც ჩვეულებრივი და გავრცელებული ლექსიკური ერთეულები ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში და ისინი საბუთის XII ს-ით დათარიღებაში ეჭვის შესატანად არ გამოდგება.

„კორპუსის" გამოცემაში საბუთი დათარიღებულია XII ს-ის I მეოთხედით (ქისკ, I, გვ. 64) და აღნიშნულია, რომ ასეთი დათარიღების საფუძველია, იგივე, რაც თ. ჟორდანიასეული გამოცემის დათარიღებისა, ე.ი. „მამა სვიმეონის" მიჩნევა სვიმეონ ბედიელ-ალავერდელად, რომელიც დავით აღმაშენებელმა შიომღვიმის მონასტრის მეურვედ დანიშნა.

საბუთში დასახელებული — მისი გამცემი და დამამტკიცებელი, მამა სვიმეონი, თ. ჟორდანიას და სხვა გამომცემლების კვალდაკვალ, მართლაც, დავით აღმაშენებლის თანამედროვე *სვიმეონ ბედიელ-ალავერდელად* უნდა მივიჩნიოთ. იგი შემდეგში ჭყონდიდელიც გახდა (იხ. დავით აღმაშენმებლის ისტორიკოსის ცნობა: ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345:20; უბისის სვეტის 1141 წლის წარწერა: ქართული წარწერების კორპუსი, II, N163). როგორც ეს ჯერ კიდევ თ. ჟორდანიამ აღნიშნა, იგი დასახელებულია დავით აღმაშენებლის 1124 წლის ანდერძში შიომღვიმისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ შიომღვიმის ლავრა *„აწ სჳმეონ ბედიელ-ალავერდელისა იყოს შევედრებულ. რაცა საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყვოფოდის, რომელსა ჩუჱნ ვერ მივიწინეთ"* (სტრქ. 123-124). წინამდებარე საბუთი იმის განჩინებაა, რაც დავით აღმაშენებლის ანდერძში „მიწევნილი", ე.ი. დადგენილ-განსაზღვრული არაა. მართალია, იქ აღნიშნულია წინამძღვრის არჩევის წესის შესახებ (სტრქ. 134-135), მაგრამ მონასტრის სამი ხელისუფლის — *წინამძღვრის, მოძღვრის და დეკანოზის* უფლება-მოვალეობათა, მათი ფუნქციების შესახებ არაფერია აღნიშნული. ამას ავსებს მამა სვიმეონის, როგორც მონასტრის საერთო მეურვის განაჩენი. აქედან ცხადია, რომ ეს განაჩენი შედგებოდა არა ზოგადად XII ს-ში, ან XII ს-ის I მეოთხედში, არამედ 1124 წლის, დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისათვის ანდერძის შედგენის შემდეგ. ამავე დროს, საბუთის შედგენის დრო ამ თარიღ-

თან დიდად დაშორებული არ უნდა იყოს და არაა გამორიცხული, რომ ორივე საბუთი მეფის და მისი ამალის, რომელშიც, ალბათ, მწიგნობართუხუცესი სვიმეონ ბედიელ-ალავერდელიც შედიოდა, მონასტერში სტუმრობის დროს (1124 წლის სექტემბერი — იხ. აქვე, თავი II) ერთდროულად შედგა. ამიტომ, ვფიქრობ, მამა სვიმეონის განაჩენის თარიღი შეიძლება განისაზღვროს 1124 წლის ახლო დროით.

გამოცემები: 1. *თ. ჟორდანია*, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი" ვაჰხანის ქვაბთა, თბ., 1896, გვ. 19-20 (პირველი ხუთი ნაკლული სტრიქონის გამოკლებით). 2. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ *ი. დოლიძემ*, თბ., 1970, გვ. 127-128, 1145-1146 (თ. ჟორდანიას მიხედვით, პირველი ხუთი ნაკლული სტრიქონის გამოკლებით). 3. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს *თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა*, თბ., 1984, გვ. 52-59, ფოტო — გვ. 293-294.

|[1] სრული იქმნეს შ[...]
|[2] კონი და სამგზის ა[...]
|[3] [...]აგ(ა)ნ აღჰ[...]
|[4] ეჭდული და მო[...]
|[5] და რა(ჲ)ცა ს(ა)ხ(ე)ლი [...]
|[6] [ყ]ონ, ვ(ითარც)ა ქ(რისტ)ეს ღ(მრ)თისაგ(ა)ნ და ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ა დედოფ|[7]ლისა ღ(მრ)თისა მშობელისაგ(ა)ნ გამორჩეული არის თქ(უე)ნდა|[8] წ(ი)ნამძღურად, მოვლინებ(უ)ლისა ჰნებავს ღ(მერ)თსა.|[9] და საწ(ი)ნამძღ(უ)რო კ(ურთ)ხ(ე)ვა(!) ჴ(ე)ლთა მიეცით და საჯდ|[10]ომსა და პატ(ი)ვსა დაისუას და იყოს უცვალებ(ელ)ად.|[11] არა თუ გამოჩნდეს მის თანა საქმე: წვ(ა)ლება,|[12] მონასტრისა ორგულება, ანუ მეფ(ე)თა ღ(ა)ლ(ა)ტი და|[13] სჯულისა შეცოდება. თუ მ(ა)ს ესე არა სჭირდეს, დაე|[14]მორჩილოს ყ(ო)ველი, ვ(ითარც)ა ქ(რისტ)ესა ღ(მერ)თსა და ვ(ითარც)ა თუ(ი)თ ღ(მერ)თსა.

|[15]ვერვინ იკადრებდ(ე)ს უნებლი(ე)სა მისსა; ვინცა |[16] იკ(ა)დროს, წ(ი)ნააღმდგომ-არს ღ(მრ)თ(ი)სა, ვ(ითარც)ა თჳთ თ(ა)ვა|[17]დი ღ(მერ)თი ბრძ(ა)ნებს, ვ(ითარმე)დ „რ(ომელმა)ნ თქ(უე)ნი არა ისმ(ი)ნოს, ჩ(ე)მი |[18] არა ისმ(ი)ნოს და რ(ომელმა)ნ თქ(უე)ნ შეურაცხყ-გყოს, მე შეურაცხ-მყოფს".* და მოციქ(უ)ლი იტყჳს ვ(ითარმე)დ, „დაემორჩი|[19]ლენით წ(ი)ნამძღუ(ა)რთა თქ(უე)ნთა და ეტყოდით ყ(ოვე)ლსა |[21] საქმესა".** ეგრეთვე უჴმს წ(ი)ნამძღუ(ა)რთა, ღ(მრ)თ(ი)სა |[22] მ(იე)რ გამორჩეულთა მწყემსსა და მოძღუ(ა)რსა მ(ა)თსა.

|[23]ეგრეთვე დეკ(ა)ნოზი მოაკლდეს, შეკრბენ ძმ(ა)ნი წ(ინაშ)ე მ(ა)მას|[24] და წ(ი)ნამძღურისა და მოძღურისა და გ(ა)მოარჩიონ იმ(ა)|[25]ვე წესითა, რომე ზემო

* შდრ. ლკ. 10,16.
** ებრ. 13,17.

სწერია, ისრე იმ(ა)ს დაა|26ყ(ე)ნებს.

და პატივი ორი დეკ(ა)ნოზისა, რომე ღ(მრთ)ისმოშიშებ|27ითა მს(ა)ხურობდეს ეკლესიათა. ეკლესიასა შ(ინ)ა შე|28მ(ო)სლევად და დგომად ეუბნებოდეს. და ანუ შინა შევა |29 და ლ(ო)ცვასა იჩემებს და სხუათა ეუბნების და ღ(მრ)თ(ი)სა |30 წ(ი)ნაალმდგომთა და შეურაცხისმყოფ(ე)ლთა თ(ა)ნა და|31ისჯების. ესრეთ, ეკლესიად შესრულთა ეუბნე|32ბის, მ(ა)თი ლოცვა ლგო~ნა(!) და ლოცვა არა არს, სო|33ფლ(ი)ოთა და ჴორც(ი)ელთათ(უი)ს მოს-რულან და |34 ყ(ოველ)თა ზრ(ა)ხვენ და ეუბნებიან.||35 [v] და ესრეთ იქმნების ღ(მრ)თისაგ(ა)ნ რისხვა, |36 ზრ(ა)ხვითა და უწესოდ დგომითა. ეკლესიათა |37 გ(ა)ნიდევნოს და იკონივი არა მიხუდეს ძმ(ა)თა|38გ(ა)ნ სამ დღე. და ეკლესიათა კართა მდგომ(ა)რე |39 იყოს სამ დღე და შენდობასა ითხოვიდეს ყ(ოველ)თა ძ|40მ(ა)თაგ(ა)ნ. ს(ა)ღ(მრ)თო კრებულთა ძმ(ა)თა შენდობა მისცენ, |41 მწ(უ)ხრი და იკონივი მისცენ.

დეკ(ა)ნოზის მეტისა კ(ა)ცისა|42გ(ა)ნ საუბარი არა იკადრების; მ(ა)ნცა—თუ დაჭირე|43ბა იყოს.

ვინცა ლოცვა მოშ(ა)ლოს, გ(ა)ნიკ(ა)ნონოს |44 მოძღურისაგ(ა)ნ.

წ(ი)ნამძღურისა, მოძღურისა |45 და დეკ(ა)ნოზისა ჴელთა არის ეკ-ლესი(ი)სა საქ|46მე და ძმ(ა)თა ს(უ)ლიერთა. ამა სამთა ჴ(ე)ლთა ა|47რის ეკლ(ე)სი(ი)სა საქმე. რ(ა)ჲცა დააკლონ, ღ(მერთმა)ნ მ(ა)|48თ ჰკითხოს.

დამტკიცება. სკმეონ [ბედიელ-ალავერდელისა]:

ესე განაჩენი მე, მ(ა)მ(ამა)ნ ს(კმეო)ნ - - - |49ხოლე გავაჩინე. ვინცა ესე ზემოწე|50რილი გა(ა)თ(ა)ოს და ისმ(ი)ნოს, ღ(მერთმა)ნ მისი ლოცვა ის|51მინოს. დ(ი)დმ(ა)ნ ანუ პატ(ა)რ(ა)მ(ა)ნ, რამ(ა)ნცა კ(ა)ცმ(ა)ნ |52 მოშ(ა)ლოს, ანუ დ(ი)დებულმ(ა)ნ, ანუ აზნაურ|53მ(ა)ნ, ანუ მოლ(ო)ზონმ(ა)ნ, ანუ ძმ(ა)თაგ(ა)ნმ(ა)ნ დაუ|54ჭირებლად მოშ(ა)ლოს, ამა სოფ(ე)ლსა შერცხ|55უვენითა და სიკუდ(ი)ლითა ჰკ(ი)თხოს და ს(აუ)კ(უ)ნესა |56 წ(ა)წყმედითა ჰკ(ი)თხოს ს(უ)ლსა მისსა, ა(მე)ნ.



სურ. 7. განაჩენი სვინეონ [ბედიელ-ალავერდელისა] შიომღვიმის ლავრის წინამძღვრის, მოძღვრის და დეკანოზის შესახებ (დასაწყისი).



სურ. 8. განაჩენი სვინეონ [ბედიელ-ალავერდელისა] შიომღვიმის ლავრის წინამძღვრის, მოძღვრის და დეკანოზის შესახებ (დასასრული).

დ ა მ ა ტ ე ბ ა II

XIII ს-ის 20-იანი წლები. დაწერილი საქართველოს საეკლესიო კრებისა შიომღვიმის ლავრის შეუვალობის შესახებ

ამჟამად საბუთი არსად ჩანს; ეტყობა, იგი დაიღუპა ჩრდ. კავკასიაში 1919-1921 წწ. იქ გახიზნულ ძველ ქართულ საბუთებთან ერთად[1]. თ. ჟორდანიას ცნობით, საბუთი ინახებოდა „სინოდალური კანტორის გუჯრებში", N66. იგი დაწერილი იყო ეტრატის ფურცელზე — ძირითადი ტექსტი ნუსხახუცურით, ხოლო ხელრთულობები — მხედრულით. ტექსტი ძალზე დაზიანებული და ნაკლული ყოფილა, იმდენად, რომ ძირითადი ტექსტიდან მხოლოდ „წყევლა-კრულვის ნაწყვეტს" მოუღწევია, რომელსაც ჩვენ არ ვბეჭდავთო, აღნიშნავს გამომცემელი. ხელრთულობებიც ძალზე ნაკლული ყოფილა, იმდენად, რომ მეფის ხელრთულობაში თ. ჟორდანიას მეფის სახელიც ვერ ამოუკითხავს და დაეჭვებით შენიშნავს „ეს უნდა იყოს გიორგი-ლაშას ხელი და ანუ მეფე რუსუდანისა".

თ. ჟორდანიას ცნობით, „ეტრატი აქა-იქ დაგლეჯილია ანუ მოცრეცილი სიძველით". მოღწეული ფრაგმენტის ზომა ყოფილა: „სიგრძით 2 3/4 არშინი, სიგანით — 1/2 არშინი" (ე.ი. დაახ. 130×35 სმ.).

შესწავლის ისტორია. 1880 წელს საბუთის რამდენიმე სტრიქონის ასლი (ზოგიერთი სხვა საბუთის ცალკეული სტრიქონების პალეოგრაფიულ ასლებთან ერთად) გადმოუღია თბილისის რეალური სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელს მღვდელ *იოსებ ახალშენაშვილს* (ხელნაწერთა ინსტიტუტი, H-2389); კერძოდ, არსენი კათალიკოსის ხელრთულობის სხვადასხვა ადგილის ორი სტრიქონისა (სურ. 9) და საბა მთავარეპისკოპოსის ხელრთულობის ერთი სტრიქონის (სურ. 10). 1881 წელს არსენი კათალიკოსის ხელრთულობის ეს ასლი გამოაქვეყნა *დიმიტრი ფურცელაძემ* — კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარემ, ძველი ქართული საბუთების რუსული თარგმანების (შინაარსის ან ანოტაციების) გამომცემელმა, რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობის (თბილისის) აქტიურმა მონაწილემ[2]. საბუთიდან სადღეისოდ ეს ფრაგმენტული ასლები შემოგვრჩა[3].

საბუთის ტექსტი პირველად გამოაქვეყნა *თ. ჟორდანიამ* ორჯერ (1896,

[1] ჩრდ. კავკასიაში ძველი ქართული საბუთების ევაკუაციისა და მათი შემდგომი ბედის შესახებ იხ. *სარგ. კაკაბაძის* მოხსენება-ანგარიში: „საისტორიო მოამბე", წიგნი I, 1924, გვ. 272-281.

[2] *Д.П. Пурцеладзе*, Научное значение грузинских церковных гуджаров (грамот), Протоколы заседаний Предварительного комитета V Археологического съезда, М., 1881, с. 426-430, таб., XXIII, рис. 11,12.

[3] ორივე ფრაგმენტის ასლს, გადმოღებულს დედნის ზომაზე ი. ახალშენაშვილის მიერ, აქვე ვაქვეყნებთ (იხ. გვ.).

1897). ორივე პუბლიკაცია აბსოლუტურად იდენტურია. 1970 წელს საბუთი გამოაქვეყნა *ი. დოლიძემ* თ. ჟორდანიასეული პუბლიკაციის (1896) მიხედვით. აქ საბუთი თავნაკლულია (აკლია თ. ჟორდანიასეული გამოცემითაც ცნობილი ადგილი), თანაც ტექსტი ისეა წარმოდგენილი, რომ არსენი ქართლის კათალიკოსის ხელრთულობა საბუთის ძირითად ტექსტადაა მიჩნეული. 1991 წელს გამოქვეყნდა საბუთის ტექსტი მის შესახებ არსებული ყველა მასალის გათვალისწინებით („მაცნე", ისტორიის... სერია, 1, 1991, გვ. 129-130, 134).

გამოცემები: 1. *თ. ჟორდანია*, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი" ვაჰხანის ქვაბთა, თბ., 1896, გვ. 50-52. 2. *თ. ჟორდანია*, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 94-96. 3. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (IX-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. *ი. დოლიძემ*, თბ., 1970, 14, გვ. 160-161, 1147. 4. *ვ. სილოგავა*, დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძში დამოწმებული ძველი ქართული საბუთები და ანდერძის დამოწმება ძველ ქართულ საბუთებში, „მაცნე", ისტორიის... სერია, 1, 1990, გვ. 129-130, 134.

რაობა: თ. ჟორდანია მიიჩნევდა, რომ საბუთი წარმოადგენდა არსენი კათალიკოსის სიგელს, ხოლო მის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი — ამ სიგელის ნაწყვეტს; თუმცა, სქოლიოში იგი იმასაც შენიშნავს, რომ „სიგელი წარმოგვიდგენს განაჩენს, ყველა ეპისკოპოსთა კრებისაგან დადგენილს". მაგრამ, როგორც ეს ი. დოლიძისეული პუბლიკაციის სათაურშია აღნიშნული, საბუთი წარმოადგენს საეკლესიო კრების განჩინებას შიომღვიმის შეუვალობის შესახებ. ეს არაორაზროვნად ჩანს საბუთისადმი დართულ და შედარებით სრული და დაუზიანებელი სახით მოღწეულ *საბა ქართლის მთავარეპისკოპოსის* ხელრთულობიდან, რომელიც იწყება სიტყვებით: „*ესე, ვითა წმიდასა კრებასა... განუჩენია*".

საბუთის რაობის ასეთი განსაზღვრა ეწინააღმდეგება მის გვიანდელ სათაურს — „სხალტბური სიგელი საალაპო", რომელიც, თ. ჟორდანიას ცნობით, „XVI ს-ის ხელით" მიწერილი ყოფილა საბუთზე. შიომღვიმის მონასტრის ჩვენამდე მოღწეულ საბუთებს შორის „სხალტბური" ორია:

1) 1195 წლის *სიგელი თამარ მეფისა მღვიმისადმი*, რომლითაც იგი შიომღვიმეს სწირავს სხალტბელ გლეხებს ქოსაისძეებს ანტონ ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესის მიერ მონასტრისათვის გამოყვანილი წყაროს წყლის (ფაქტიურად წყალსადენის) მკაზმავად. გვიანდელი სათაური ამ სიგელსაც მოეპოვებოდა; იგი, თ. ჟორდანიას ცნობით, XVII ს-ის ხელით ყოფილა მიწერილი: „ქ. ესე სიგელი წმიდისა შიოსა არს, სხალტბური" (ქისკ, I, N20:96).

2) 1230-იანი წლების I ნახევრით დათარიღებული საბუთი — *დაწერილი დემეტრე წირკნელისა საბასადამი*, რომლითაც გაცემულია „სხალტბას ვენაჴი და მიწანი და წყლისპირს ვაზნი, კითხვითა და ნებადართვითა სრულად მღუმისა კრებულთაითა" (ქისკ, I, N 24, გვ. 112:8-9), ცხადია, ისევ მოსაშენებლად

და მონასტრის სამსახურებლად. ამ საბუთსაც მოეპოვება გვიანდელი მინაწერი-სათაური: „აგარული და სხალტბისა ნასყიდობისა და შეწირულობის სიგელი" (ქისკ, I, გვ. 113:26).

არც ერთი და არც მეორე საბუთით აღაპი (მოსახსენებელი) არაა დაწესებული.

როგორც ჩანს, ეს ორი სიგელი (მეორე „დაწერილია" და არა სიგელი, თუმცა, გვიანდელი მინაწერ საბუთებში, ისიც, ისევე როგორც სხვა „დაწერილები", „სიგელად" მოიხსენიება) უნდა იყოს დასახელებული „XV-XVI სს. მდარე მხედრულით" შესრულებულ შიომღვიმის საბუთების ნუსხაში, რომელიც მიწერილია გიორგი-ლაშას 1212 წლის ბრძანებაზე მღვიმისადმი (მღვიმის სოფელ აგარისათვის „ზროხის შებმის" ახსნის შესახებ). კერძოდ, აქ ჩამოთვლილ სხვა საბუთებს შორის დასახელებულია: „ერთი სხალტბური...", „სიგელი სხალტბური სხუავე" (ქისკ, I, გვ. 111:1,4).

როგორც ჩანს, სხვა სხალტბური სიგელები უცნობია და, ალბათ, არც არსებობდა, თორემ ამ ჩამონათვალში მაინც იქნებოდა აღნიშნული.

ამავე დროს, საეკლესიო კრების განჩინების გვიანდელი სათაურის მიხედვით, ეს საბუთი „სააღაპო" ყოფილა, მაშინ, როდესაც არსენ კათალიკოსის ვრცელ ხელრთულობაში ვინმესთვის აღაპის დაწესების შესახებ აღნიშნული არაა. ცხადია, იგი რომ სააღაპე ყოფილიყო (ე.ი. ამ საბუთით ვინმესთვის მოსახსენებელი დაწესებულიყო), ხელრთულობაში ეს უთუოდ აღინიშნებოდა (მით უმეტეს ასეთ ვრცელ ხელრთულობაში), რადგან მისი შედგენის ძირითადი დანიშნულება ხომ ეს იქნებოდა.

გაუგებარი ჩანს თუ რას ნიშნავს „სიგელი სააღაპო წმიდისა შიოსა". აღაპი ხომ ყოველთვის კონკრეტული პირისათვის დაწესებული მოხსენიების კონკრეტული დღეა, რომლის შესახებაც კონკრეტული საბუთი იქმნებოდა. ზოგადად „სააღაპო სიგელი" არ არსებობს. სააღაპე შეიძლება წიგნი იყოს, ანუ საგანგებო ნუსხა აღაპებისა, როგორსაც წარმოადგენს *ათონის მონასტრის აღაპთა კრებული* (ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, თბ., 1901; *ე. მეტრეველი*, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998), რომელიც შეიცავს 170-მდე აღაპს, დაწესებულს სხვადასხვა პირისათვის, ხოლო საბუთი, როგორც წესი, ყოველთვის ერთი (ან რამდენიმე მონათესავე) პირისათვის აღაპის დასაწესებლად იქმნებოდა.

როგორც ჩანს, ფრაგმენტულად და დაზიანებული სახით მოღწეული საბუთი XVI ს-ის უცნობმა აღმრიცხავ-დამსათაურებელმა სწორად ვერ განსაზღვრა და რაობაც შეცდომით მიუწერა.

ჩვეულებრივ, სხვა ძველ ქართულ (XI-XIII სს.) საბუთებში, რაობა-სათაურები თითქმის სწორად არის მიწერილი, თუმცა, აშკარა შეცდომებიც გვხვდება. მაგ., 1259-1293 წწ. დათარიღებული *დაწერილი იაკობ დეკანოზისა ხახულის ღმრთისმშობლისადმი*, რომლის შესავალ ნაწილში მოხსენიებულია რუსუდანის ძე დავით მეფეთა მეფე (ქისკ, I, N332, გვ. 142:4-5), გვიანდელი სათაურით განსაზღვრულია, როგორც „სიგელი ესე მეფეთ-მეფისა დავით

აღმაშენებელისა" (ქისკ, I გვ. 144:8). სინამდვილეში, საბუთი იაკობ დეკანოზის მიერ გელათის მონასტერში უკვე იმ დროს დასვენებული ხახულის ღმრთისმშობლის ცნობილი კარედი ხატისათვის მისი სულის მოსახსენებლად (სააღაპედ) შეწირული ქონების ჩამოთვლაა.

ამ საბუთის ტექსტის ბოლოს კიდევ ერთხელაა დასახელებული მეფე დავით რუსუდანის ძე, ოღონდ მხოლოდ სახელით („ღმრთისა სწორისა მეფეთ-მეფისა დავითის სადიდებელად": ქისკ, I, გვ. 143-144), რაც მისი შეცდომით დასათაურების საფუძველი გამხდარა. ამრიგად, ეს საბუთი არა თუ არ წარმოადგენს დავით აღმაშენებლის სიგელს, არამედ იგი მასში ნახსენებიც არ არის.

სწორედ ასევე, შეცდომით, სააღაპედ იქნა XVI ს-ში განსაზღვრული საეკლესიო კრების განჩინების ფრაგმენტი — ხელრთულობათა ერთი ნაწილი.

დათარიღება: თ. ჟორდანიამ საბუთი დაათარიღა 1218-1227 წწ. არსენის კათალიკოსობის მიხედვით, ხოლო ი. დოლიძემ — XIII ს-ის 40-იანი წლებით. XIII ს-ში ცნობილია სამი არსენ კათალიკოსი, ამიტომ რომელიმე მათგანის მიხედვით საბუთის დათარიღება სწორი არ იქნება. XIII ს-ის 40-იანი წლების არსენი ქართლის კათალიკოსის დროს (რა დროითაც ათარიღებს ი. დოლიძე საბუთს) ქართლის მთავარეპისკოპოსი იყო გიორგი (ქისკ, I, 26:28, 28:67; 38:18), რომელიც ჩანს ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსის დროსაც (ქისკ, I, გვ. 156:30). წერილობითი წყაროებით ცნობილია მისი წინა დროის ქართლის მთავარეპისკოპოსები — იოვანე (ქისკ, I, 23:6,9) და გიორგი (ქისკ, I, 15:120). ამათგან ერთერთი — გიორგი, თანამედროვეა თევდორე ქართლის კათალიკოსისა. ამიტომ, საბა ქართლის მთავარეპისკოპოსისათვის, რომლის თანამედროვეა ქართლის კათალიკოსი არსენი, ადგილი რჩება XIII ს-ის 20-იანი წლებისათვის. ამდენად, თ. ჟორდანიასეული დათარიღება საბუთისა, თუ მას კონკრეტული წლებით არ შემოვზღუდავთ და ზოგადად XIII ს-ის 20-იანი წლებით განვსაზღვრავთ, როგორც ჩანს, უფრო სწორია და მისაღები.

[„ხუცურად ნაწერი წყევლა-კრულვის ნაწყვეტი"].

ხელრთულობები:

1. მტკიცე არს [მეფესა...] დამიმტკიცებია.

2. [ქ. ესე ვითა] ზემოთ დაგუიწერია, მე, გლახაკსა არსენი ქართლისა კათალიკოზსა, წამე[ბითა და თანადგომითა ქარ]თლი[სა] ებისკოპოზთაითა წმიდისა უდაბნოისა მლუიმისათუის [დაგუიწერია] და [გ]უიბრძანებია, ჩუენ ყოველთა, შემდგომად მათსა [დაგუიმტკიცებიან ...]ლუნაი და ზრუნვაი მამათა მემლუიმეთა, მათთა [წმიდათა მეფეთა და მღდელთმოძღუართა დაწერ]ილი და დაწყევაი [მათი].

მე, გლახაკი არსენი ქართლისა კათალიკოზი, მა[თი მოწამე და] აღმასრულებელი ვარ, [რაიცა-რაი] ყოვლითა ზემოით დაგუიწერია, არა[ვის ვათნიოთ]. ვითა დიდისა და მეფეთა შორის სანატრელისა დავითის [ან-

დ ე რ ძ შ ი გაჩენით სწერია], კმა არს წმიდისა ამის უდაბნოისათუის და მათნი ღმრთივგუირგუინოსანი მეფენი. და მოურავად, ვითა იგი მასვე შინა სწერია გაჩენითავე ნი[შნად — მწიგნობა]რთუხუცესი ვაზირი მონაზონი ჯდეს და მამაი მემღუიმე სულიერთა საქმეთა მათთა [განაგებდეს].

არ[ა] უც საქმე მღუიმესა თანა არცა ქართლისა კათალიკოზთა, თუინიერ ლოცვისა და კურთხევისაგან, [არცა ქართლისა მთავარ]ებისკოპოზთა, არცა ვის სხუასა ებისკოპოზსა, არცა მთავარსა ვისმე. და არს [მღუიმე მონასტერი ყოვლითურთ უწყენარი და თავისუფალი ყოვლისა წყენისაგან. ვითა და]მიწერია, ლოცვაი წმიდათა მეფეთა ზედა აც; და ჟამისწირობანი ვითა ძუელთაგან [არს, აგრევე იყოს]. უკუეთუ ჩუენ მათნი მოღუაწენი ვიყვნეთ, სახელსა ჩუენსა მოიჴსენებდენ, პირველთა [თანა მღდელისაგან მოიჴ]სენებდენ.

და ვინცა ესე დაწერილი და გაგებული წმიდისა უდაბნოისა მღუიმისასა შეუცვალოს, [ანუ იგიცა დაწერილნი უწ]ინდელნი — წმიდისა მამათმთავრისა ი ო ვ ა ნ ე ს ი ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს ა, ა ნ უ ო ქ რ ო პ ი რ ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს ა, ა ნ უ გ ა ბ რ ი ე ლ [ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ს ა, და რაო]დენნი სხუანი შემდგომითი შემდგომად სხენან ჴელითწერილნი სანატრელთა [მამათმთავართანი და] წმიდისა მამათმთავრისა მ ე ლ ქ ი ზ ე დ ე კ ი ს ი, ვინ შეცვალოს, ამას ყოველსა [შეცვალებად-ყოს და] მათ სანატრელითა ჴელითა დამტკიცებულნი, გინა დიდისა დ ა ვ ი თ ი ს ა ა ნ - დ ე რ ძ [ი და] სიგელები მათი შეცვალებულ-ყოს, ჰრისხავს ღმერთი [დაუსა-ბამოი, წმიდაი მამაი შიოი და ყოველნი წმიდანი ღმრთისანი], კრულია ქრისტეს ღმრთისა მიერ [უკუნითი უკუნისამდე], ამენ.

მე, ა რ ს ე ნ ი [ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ მ ა ნ] ჩემითა ჴელითა დავწერე ყოველი ესე სიმტკიცე და სახელნი; მტკიცე მყოფელნი [ამა დაწერ-ილისა, დამამტკიცებელნი ამისნი, აკურთხ]ნეს ღმერთმან და წმიდამან დედაქალაქმან.

3. [ქ. ესე] ვითა წმიდასა კრებასა და წმიდასა მამათმთავარსა ჩუენსა ა რ - ს ე ნ ი ს, ქრისტეს მიერ ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ს ა განუჩენია ბჭობითა, და დიდთა მამათმთავართა და მოძღუართა ჩუენთა ჴელითწერილნი [მათნი] დაუმტკიცებიან, მეცა გლახაკი, ქ ა რ თ ლ ი ს ა მ თ ა ვ ა რ ე ბ ი ს კ ო პ ო ზ ი ს ა ბ ა ჴელისწერით დავამტკიცებ[...]

გვიანდელი სათაური (თ. ჟორდანიას მიხედვით, XVI ს-ის ხელით):
„[ქ. სხალტ]ბური სიგელი საალაპო წმიდის შიოსა".



სურ. 9. არსენი ქართლის კათალიკოსის ხელრთულობის ნანყვეტები.



სურ.10. საბა ქართლის მთავარეპისკოპოსის ხელრთულობის ნანყვეტი.

სარჩევი

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის გამოცემები 5
წინასიტყვაობა 9
თ ა ვ ი I. ანდერძის დედნის თავგადასავალი. შესწავლის ისტორია 12
თ ა ვ ი II. ანდერძის დათარიღება 29
თ ა ვ ი III. ანდერძის ტექსტის დადგენასთან დაკავშირებული საკითხები (*„ქართული წყაროთმცოდნეობა"*, VIII, თბ., 1993) 36
თ ა ვ ი IV. ანდერძში დამოწმებული ძველი ქართული საბუთები და ანდერძის დამოწმება ძველ ქართულ საბუთებში (*„მაცნე" ისტორიის... სერია*, 3, 1989; 1, 1990)..59
ანდერძის აღწერილობა. ტექსტის გამოცემები 110
პირობითი ნიშნები.. 112

ანდერძის ტექსტი (ფოტოპუბლიკაცია) 113

ანდერძის სიმფონია-ლექსიკონი... 144
Завещание Давида Строителя Шиомгвимской лавре (*резюме*) 174
Will of the King David the Builder to Shiomgvime lavra (*summary*)............ 177
დ ა მ ა ტ ე ბ ა I. განაჩენი სვიმეონ [ბედიელ-ალავერდელისა] შიომღვიმის ლავრის წინამძღვრის, მოძღვრისა და დეკანოზის შესახებ.... 179
დ ა მ ა ტ ე ბ ა II. დაწერილი საქართველოს საეკლესიო კრებისა შიომღვიმის ლავრის შეუვალობის შესახებ (*„მაცნე", ისტორიის... სერია*, 1, 1990) 186

საგამომცემლო ჯგუფი:

გიორგი ბაგრატიონი
ნანი კალანდაძე
ირაკლი მარგველაშვილი
ნანა ქვაჩახია
ნანა ჩავლეშვილი
ნუგზარ ჩიტაია

გარეკანის დიზაინი — დეა ჯაბუა

წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობაში „ნეკერი"
Printed in Publishing House "NEKERI"